

გამოცდების ეროვნული ცენტრი  
ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფი

როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა  
სასერტიფიკაციო გამოცდისათვის

**ქართული ენა და ლიტერატურა**  
(V შევსებული გამოცემა)

2015

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულების გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

## შ ე ს ა გ ა ლ ი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით გრძელდება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების პროცესი, რაც პედაგოგთა კვალიფიკაციის შემოწმებასა და შესაბამისი სერტიფიკატის გაცემას გულისხმობს.

წინამდებარე კრებულის დანიშნულებაა გააცნოს საშუალო და საბაზო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს სასერტიფიკაციო გამოცდის მოთხოვნები, საგამოცდო პროგრამა და ტესტურ დავალებათა ნიმუშები.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფმა შექმნა ტესტურ დავალებათა ბაზა, რომლის დიდმა ნაწილმაც გაიარა შემოწმება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. კრებულში შეტანილი დავალებების ნიმუშები შეირჩა არა-ერთი აპრობაციის შედეგების ანალიზის საფუძველზე და საკონსულტაციო ჯგუფის წევრებთან შეთანხმებით. გარდა ამისა, კრებულში შეტანილია ტესტურ დავალებათა შეფასების სქემები, კანდიდატთა მიერ შესრულებული საინტერესო ნამუშევრების ნიმუშები და ცალკეულ დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

### სასერტიფიკაციო გამოცდაზე შემოწმდება:

- ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად მოთხოვნათა ცოდნა;
- საგნის სწავლებისათვის აუცილებელი ლინგვისტური და ლიტერატურული მასალის ცოდნა;
- გაკვეთილის დაგეგმვისა და წარმართვის უნარი;
- სწავლების მეთოდიკის ცოდნა და პრაქტიკული გამოყენების უნარი;
- შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად;
- უცნობი ტექსტის გააზრებისა და რეზიუმირების უნარი;
- კრიტიკული აზროვნების უნარი;
- წერის კულტურა.

ვფიქრობთ, ამ კრებულში გამოქვეყნებული მასალა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს სათანადო დახმარებას გაუწევს სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მომზადებაში.

**გისურვებთ წარმატებას!**

# საგამოცდო პროგრამა

## ა) ქართული ენა

### I. შესავალი

1. ქართული ენა როგორც ქართველი ერის საერთო ეროვნული ენა და საქართველოს სახელმწიფო ენა. ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა შორის. ქართველური ენები. ქართული ენის როლი და მნიშვნელობა ქართველური ტომების ეროვნული და სახელმწიფო ენის ჩამოყალიბების პროცესში.
2. ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი და მისი განვითარების ძირითადი ეტაპები. ქართული დამწერლობის ჩამოყალიბებისა და მწიგნობრობის განვითარების ძირითადი ეტაპები. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პერიოდებად დაყოფის პრობლემა. ანტონ I და ქართული სალიტერატურო ენა. სამოციანელთა როლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების საქმეში; თაობათა და შეხედულებათა ბრძოლა სალიტერატურო ენის განვითარების საკითხებზე.
3. თანამედროვე სალიტერატურო ქართული როგორც მრავალფუნქციური სახელმწიფო ენა – სრულფასოვანი კომუნიკაციის, მწერლობისა და მეცნიერების ენა.
4. ქართული სალიტერატურო ენა და ეროვნული ენა. ქართული ენის დიალექტები და სხვა ენობრივი ქვესისტემები – ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრების წყარო და ენობრივ ვარიაციულობათა ძირითადი მიზეზი. ნორმათა დადგენის პრინციპები. ნორმატიული მუშაობის დღევანდელი მდგომარეობა.

### II. ფონეტიკა-ფონოლოგია

5. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფონემური სტრუქტურა. ბგერა და ფონემა. ანბანი. ხმარებიდან გასული ასოები. ხმოვნები და თანხმოვნები. ხმოვანთა კლასიფიკაცია. თანხმოვანთა კლასიფიკაცია.
6. მარცვალი. ღია და დახურული მარცვალი. დამარცვლის საფუძველი და გადატანის წესები ქართულში.
7. ძირითადი ფონეტიკური მოვლენები.
8. სიტყვისა და ფრაზის მახვილის საკითხი ქართულ სალიტერატურო ენაში.

### III. მორფოლოგია

9. სიტყვა. სიტყვა მორფოლოგიური თვალსაზრისით: ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები. სრულმნიშვნელოვანი და დამსმარე სიტყვები. გრამატიკული კატეგორიის რაობა. სიტყვის მორფოლოგიური აგებულება: ძირი, ფუძე, მორფემა (აფიქსები). აფიქსთა კლასიფიკაცია.
10. მეტყველების ნაწილების კლასიფიკაცია.
11. არსებითი სახელი. არსებით სახელთა დაჯგუფება შინაარსის მიხედვით. არსებით სახელთა ბრუნება. ბრუნვები და მათი ნიშნები. ბრუნვათა რიგი. ბრუნების ტიპები და მათი გამოყოფის საფუძველი. საკუთარ სახელთა ბრუნება. თავისებურად ბრუნებადი არსებითი სახელები. თანდებულიანი ბრუნვები. ადგილობრივი (ლოკალური) ბრუნვების საკითხი. ნაწილაკიანი ბრუნვები.
12. არსებითი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
13. ზედსართავი სახელი. ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელი. თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელის ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად პირდაპირი და შებრუნებული წყობით. ნათესაობითში დამუშავები სახელის ბრუნება არსებით სახელთან ერთად პირდაპირი და შებრუნებული წყობით.
14. ზედსართავი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
15. რიცხვითი სახელი. რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები. რაოდენობითი რიცხვითი სახელი შედგენილობის მიხედვით. რიცხვითი სახელის ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად. ნაწილაკიანი რიცხვითი სახელი და მისი ბრუნება.
16. რიცხვით სახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
17. ნაცვალსახელი. ნაცვალსახელთა ჯგუფები. ნაცვალსახელთა ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად. ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნება.

18. ნაცვალსახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
19. ზმნის კატეგორიები. პირისა და რიცხვის ასახვა ზმნაში. პირის რომლობა, როგორობა. პირთა რაოდენობა ერთ ფორმაში. სუბიექტები და ობიექტები პირის ნიშნები. სუბიექტები და ობიექტები წყობა. ინვერსია და მისი საფუძველი. ზმნისწინი. მისი ადგილი და ფუნქციები. ზმნისწინის მარტივი და რთული სახეები. ზმნისწინის ძველი სახით ხმარება. უზმნისწინო ზმნები. დრო. გეზისა და ორიენტაციის საკითხი. კილო. ასპექტი. გზისობა. გარდამავლობა. დინამიკურობა-სტატიკურობა. გვარი. კონვერსია. ქცევა. გარდამავლობა და ქცევა. ქცევა-ნაკლი ზმნები. კონტაქტი. კონტაქტი და გარდამავლობა. მწკრივი. მწკრივთა რაოდენობა და კლასიფიკაცია სერიათა მიხედვით. სერიებად დაყოფის საფუძველი. ზმნის ძირი, ფუძე და თემა. თემის ნიშნები. ერთოებიანი და ორთოებიანი ზმნები. ფუძედრეკადი (ხმოვანმონაცვლე) ზმნები. თავისებური ზმნები. ზმნის უღვლილება.
20. ზმნის ფორმაწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. შუალობითი კონტაქტის ფორმათა მართლწერა.
21. სახელზმნა: საწყისი და მიმღეობა. საწყისის (მასდარის) წარმოება. მიმღეობათა წარმოება. საწყისში და მიმღეობაში შემავალი ზმნის კატეგორიები. საწყისი და მიმღეობა როგორც სახელი.
22. ზმნიზედა. ზმნიზედათა დაჯგუფება ფუნქციისა (ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა, მიზნისა) და ფორმის მიხედვით. ზმნიზედის მართლწერა.
23. თანდებული. ცალკე მდგომი და სახელთან შერწყმული თანდებულები. ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით.
24. კავშირი. კავშირის სახეები. მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები.
25. შორისდებული. შორისდებულთა ჯგუფები.
26. ნაწილაკი. ნაწილაკთა ჯგუფები.

#### IV. სინტაქსი

27. წინადადება როგორც სინტაქსური ერთეული.
28. სინტაგმის ცნება. სიტყვათა სინტაქსური შეკავშირების სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა. მართვისა და შეთანხმების სპეციფიკურობა ქართულ ში.
29. წინადადების მთავარი წევრები:
  - ა) შემასმენებლის კითხვები. მარტივი და შედგენილი შემასმენებლი.
  - ბ) ქვემდებარე. სინტაქსური ურთიერთობა ქვემდებარესა და შემასმენებლს შორის.
  - გ) პირმიმართი დამატებები. პირდაპირი და ირიბი დამატება და მათი სპეციფიკურობა ქართულ ში. სინტაქსური ურთიერთობა პირმიმართ დამატებებსა და შემასმენებლს შორის.
30. წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები:
  - ა) უბრალო დამატება. უბრალო დამატების ბრუნვები (უთანდებულო და თანდებულიანი). უბრალო დამატების სინტაქსური ურთიერთობა წინადადების სხვა წევრებთან.
  - ბ) განსაზღვრება. შეთანხმებული, მართული და მართულ-შეთანხმებული განსაზღვრებები. არსებითი სახელის გამოყენება განსაზღვრებად (ადიექტივაცია) და პირუკუ, ზედსართავისა – ქვემდებარედ (სუბსტანტივაცია).
  - გ) გარემოება. გარემოებათა კლასიფიკაცია: დროის, ადგილის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის გარემოებები. ბრუნვის ფორმები (უთანდებულო და თანდებულიანი), როგორც გარემოების გადმოცემის საშუალებები.
31. წინადადების ტიპები მოდალობის მიხედვით: თხრობითი, კითხვითი, ძახილისა, ბრძანებითი და კითხვა-ძახილისა. მათი გამოხატვის საშუალებანი: ინტონაცია, სიტყვათა წყობა, დამხმარე სიტყვები და ნაწილაკები.
32. წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით: მარტივი, შერწყმული და რთული.
33. მარტივი წინადადება. მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით.
34. ერთშემადგენლიანი წინადადება. ერთშემადგენლიანი წინადადების ტიპები. არასრული წინადადების გარჩევა ერთშემადგენლიანი წინადადებისაგან. სახელდებითი წინადადება.
35. შერწყმული წინადადება. შერწყმული წინადადების ტიპები. ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი: უკავშირო და კავშირიანი შეერთება. შემასმენლის შეთანხმება რიცხვში ერთგვარ ქვემდებარებითან. ქვემდებარის ბრუნვა სხვადასხვა გვარის ზმნით გადმოცემულ ერთგვარშემასმენლიან წინადადებაში.
36. სიტყვათა წყობა წინადადებაში. სიტყვათა წყობის მნიშვნელობა სტილისტიკისათვის.
37. განკურძოებული სიტყვები და გამოთქმები.

38. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვები. მიმართვა, შორისდებული, მიგებითი ნაწილაკები. ამ სიტყვებთან სასვენი ნიშნების გამოყენების წესები.
39. რთული წინადადება. თანწყობა (პარატაქსი) და ქვეწყობა (პიპოტაქსი).
40. რთული თანწყობილი წინადადება. შეერთების საშუალებანი (ინტონაცია, მაერთებელი კავშირები). თანწყობილ წინადადებათა აზრობრივი ურთიერთმიმართება. სასვენი ნიშნები რთულ თანწყობილ წინადადებაში.
41. რთული ქვეწყობილი წინადადება. დამოკიდებული წინადადების გარეგანი და შინაგანი ნიშნები. კითხვის დასმა, მაქვემდებარებელი კავშირები და სიტყვები. საკორელაციო სიტყვა მთავარ წინადადებაში. დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია ადგილის, კავშირისა და ფუნქციის მიხედვით.
42. რთული ქვეწყობილი წინადადება ერთი ან რამდენიმე დამოკიდებული წინადადებით. ქვეწყობის სახეები.
43. სიტყვათა წყობა მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში. კავშირთა და საკორელაციო სიტყვათა ადგილი მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში. სასვენი ნიშნების სახეები და ადგილი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.
44. შერეული სახის რთული წინადადება.
45. დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირთა შეხამების ზოგი საკითხი მთავარი წინადადების ასახსნელ წევრთან.
46. სხვათა სიტყვა. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. სხვათა სიტყვის ნაწილაკები. პირდაპირი და ირიბი ნათქვამის მნიშვნელობა სტილისტიკისათვის. სასვენი ნიშნის სახეები და ადგილი სხვათა სიტყვასთან. სხვათა სიტყვის მართლწერა.
47. მიზეზისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების აღრევის შემთხვევები.

## V. ლექსიკოლოგია

48. ლექსიკოლოგიის საგანი, მისი ადგილი სხვა საენათმეცნიერო დისციპლინებს შორის. ენობრივი ნიშნის პრობლემა. ლექსიკური ერთეული. ლექსიკა. ლექსიკური ფონდი. ლექსიკოგრაფია.
49. სიტყვა მნიშვნელობის თვალსაზრისით. სიტყვის გამოყენება ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობით. სიტყვის მნიშვნელობის ცელა ისტორიულად. მნიშვნელობის გაფართოება, დავიწროება და „პოლარიზაცია“. სიტყვის პოლისემიურობა. პოლისემია და ომონიმია. სინონიმია, ანტონიმია.
50. ფრაზეოლოგიზმები და იდიომები.
51. დიალექტიზმები, პროფესიული ლექსიკა, ჟარგონი, ბარბარიზმები, ნეოლოგიზმები, არქაიზმები.
52. ახალ სიტყვათა წარმოქმნის ძირითადი საშუალებანი. სიტყვაწარმოება როგორც ლექსიკოლოგიის საგანი. ძირეული და წარმოქმნილი სახელები. აფიქსური სიტყვაწარმოება. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები მაწარმოებელი აფიქსებისა და შინაარსის მიხედვით. ფორმამაწარმოებელი აფიქსები სიტყვაწარმოებითი ფუნქციით. ბრუნვისა და თანდებულიან ბრუნვის ფორმათაგან წარმოქმნილი სახელები. ნახესხები აფიქსები.
53. თხზვა (კომპოზიცია) როგორც ლექსიკის გამდიდრების საშუალება. ფუნქციალურკეცება (რედუქციიკაცია). კომპოზიტები ფუძეთა შემადგენლობის მიხედვით. ერთცნებიანი და ორცნებიანი კომპოზიტები.
54. კომპოზიტების მართლწერის საკითხები.

## VI. სტილისტიკა

55. სტილისტიკა როგორც ენათმეცნიერების დარგი. სტილისტიკის საგანი. სტილის რაობა.
56. ფუნქციური სტილისტიკა. მწიგნობრული და სასაუბრო სტილი.
57. პუბლიცისტური, მხატვრული, სამეცნიერო და ოფიციალურ-საქმიანი სტილი.
58. ლექსიკური სტილისტიკა. სიტყვათა შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით. პარონიმები, ევფემიზმები, თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები.
59. სტილისტიკური სარგებები: ტავტოლოგია, კალკი, ატროფია.

## სარეკომენდაციო ლიტერატურის სია:

1. ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
2. შუქია აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.
3. გიორგი ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999.
4. თამაზ გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძელი ქართული დამწერლობა, თბ., 1989.
5. მარიამ თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1959.
6. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1989.
7. ვარლამ თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965.
8. ლეო კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.
9. ბიძინა ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
10. ქართული ენა და ლიტერატურა (მასწავლებლის ბიბლიოთეკა), 5 ტომად, შედგენილი გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის მიერ, ქართული ენა, რედაქტორები: ელენე ბაბუნაშვილი და მზექალა შანიძე, I-II, თბ., 2009.
11. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VII, თბ., 1985.
12. აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980.
13. აკაკი შანიძე, ძელი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
14. არნოლდ ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
15. არნოლდ ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950 (ცალკე გამოცემა, თბ., 1998).
16. შოთა ძიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1969; ან: საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1975.
17. ზურაბ ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956.
18. ბესარიონ ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1995.

## ლექსიკონები:

1. ილია აბულაძე, ძელი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
2. ვარლამ თოფურია, ივანე გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.
3. ზურაბ სარჯველაძე, ძელი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1995.
4. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991; II, თბ., 1993.
5. ურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, თბ., 2002.
6. ურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, თბ., 2009.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1954; I, თბ., 2009.
8. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთგომეული, თბ., 1986.

## ბ) ქართული ლიტერატურა

- I. **მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელი ლიტერატურისმცოდნეობითი ტერმინები:** ალეგორია, ალიტერაცია, ალუზია, ანდაზა, ასონანსი, აფორიზმი, ბალადა, ბიოგრაფია, განმეორება, გაპიროვნება, გმირი, გროტესკი, დიალოგი, დრამა, ელეგია, ეპიგრაფი, ეპითეტი, ეპილოგი, ეპოსი, ესე, ზღაპარი, თემა, თქმულება, იგავ-არაკი, იდეა, ინტენაცია, ირონია, იუმორი, კოლიზია, კომედია, კომპოზიცია (კომპოზიციური ელემენტების ჩათვლით), ლეგენდა, ლექსი, ლირიკა, ლიცენცია, მემუარი, მეტაფორა, მითი, მოთხოვობა, მონოლოგი, მოტივი, მხატვრული ენა, მხატვრული სახე, ნოველა, პეიზაჟი, პერსონაჟი, პერსონაჟი, პიესა, პოეზია, პორტრეტი, პროზა, პროლოგი, ჟანრი, რემარკა, რემინისცენცია, რითმა, რიტმი, რომანი, სატირა, სახე, სიმბოლო, სიუჟეტი, სტროფი, ტაქტი, ტრაგედია, ტროპი, ფაბულა, შაირი, შედარება, ციტატა, ხასიათი, ხატოვანი თქმა, ჰიმნი, ჰიპერბოლა.
- II. **ლიტერატურული პროცესის ძირითადი ეტაპები:** სასულიერო მწერლობა, კლასიკური ხანის მწერლობა, აღორძინების ხანის მწერლობა, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი.
- III. **რეკომენდებულ ავტორთა და ნაწარმოებთა ჩამონათვალი:**
  1. ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია: „ცხორებად წმიდისა ნიხოვსი“, „წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაა“, „წამებად წმიდისა და ნეტარისა ჰაბოვსი“, „სიბრძნე ბალაპვარისი“, „ცხორებად წმიდისა გრიგოლ ხანძთელისაა“, „ცხორებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვანებისი“, „ქებად და დიდებად ქართულისა ენისაა“, „გალობანი სინანულისანი“.
  2. კლასიკური ხანის მწერლობა: „ამირანდარეჯანიანი“, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“, „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“.
  3. აღორძინების ხანის მწერლობა: ვახტანგ VI, სულხან-საბა თრბელიანი, დავით გურამიშვილი, ბესიკი.
  4. ახალი ქართული ლიტერატურა: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ თრბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, ლავრენტი არდაზიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა.
  5. უახლესი ქართული ლიტერატურა: დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლევ ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, დემია შენგელაია, პოლიკარპე კაკაბაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ტერენტი გრანელი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, იოსებ გრიშაშვილი, ლევან გოთუა, გიორგი შაგბერაშვილი, ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ნიკო სამადაშვილი, შოთა ჩანტლაძე, მურმან ლებანიძე, გივი გეგმჭკორი, გურამ რჩეულიშვილი, ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, თოარ ჩხეიძე, ჯემალ ქარჩხაძე, გოდერძი ჩოხელი, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, გურამ დოჩანაშვილი.

## სარეკომენდაციო ლიტერატურა:

### ა) ლიტერატურული კრიტიკა და პუბლიცისტიკა

1. კიტა აბაშიძე, გონს მოდით! წიგნში: „ცხოვრება და ხელოვნება“, თბ., 1971.
2. კიტა აბაშიძე, XIX საუკუნეს საქართველოს ლიტერატურისათვის, იქვე.
3. იაკობ გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, წიგნში: რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1990.
4. რევაზ ერისთავი, პასუხი თავადი ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა, წიგნში: ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, შემდგენელი ს. ხუციშვილი, ტ. I, თბ., 1954.
5. ვაჟა-ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, წიგნში: თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1961.
6. ვაჟა-ფშაველა, კრიტიკა ბ. ია. ვართაგავასი, იქვე.
7. ვაჟა-ფშაველა, Pro domo sua, იქვე.
8. ვაჟა-ფშაველა, სად არის პოეზია? იქვე.
9. ნიკო ნიკოლაძე, კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1960.
10. გრიგოლ რობაქიძე, აკაკის ქნარი, თბ., 1991.
11. ქართული ლიტერატურული ესსე (96 ესსე), (შემდგენელი მანანა ხელაია), თბ., 1986.
12. გერონტი ქიქოძე, ეროვნება, ენა და ესოებიკური კულტურა, წიგნში: რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტ. II, თბ., 1964.
13. გერონტი ქიქოძე, ძველი იბერიელების ფსიქოლოგიდან, იქვე.
14. აკაკი წერეთელი, ახირებული ფურცელი, წიგნში: თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XI, თბ., 1960.
15. აკაკი წერეთელი, რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ, იქვე.
16. გიორგი წერეთელი, რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის... ტ. I, თბ., 1954.
17. ილია ჭავჭავაძე, აი ისტორია, წიგნში: თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IV, თბ., 1955.
18. ილია ჭავჭავაძე, ერი და ისტორია, იქვე.
19. ილია ჭავჭავაძე, ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შემლილის“ თარგმნაზედა, იქვე, ტ. III, თბ., 1953.
20. ილია ჭავჭავაძე, პასუხი, იქვე.
21. ილია ჭავჭავაძე, საქართველოს მოამბეზედ, იქვე.
22. ილია ჭავჭავაძე, ქვათა დაღადი, იქვე, ტ. VIII, თბ., 1957.
23. ილია ჭავჭავაძე, წერილები ქართულ ლიტერატურაზე, იქვე, ტ. III, თბ., 1953.
24. არჩილ ჯორჯაძე, პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძე, წიგნში: წერილები, თბ., 1989.
25. ბარბარე ჯორჯაძე, თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ, წიგნში: ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის... ტ. I, თბ., 1954.
26. ბარბარე ჯორჯაძე, პასუხის პასუხი, იქვე.

### ბ) სამეცნიერო ლიტერატურა

1. კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1962.
2. გურამ ასათიანი, საუკუნის პოეტები, თბ., 1988.
3. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1956.
4. აკაკი ბაქრაძე, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, თბ., 2004.
5. ბაჩანა ბრეგვაძე, რუსთაველი და პლატონი, წიგნში: დრო და მარადისობა, I, თბ., 2006, გვ. 237-456.
6. აკაკი გაწერელია, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1978.
7. მანანა გიგინეიშვილი, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, კრებულში: „ნათელი ქრისტეს საქართველო“, ტ. I, თბ., 2003.
8. ლაურა გრიგოლაშვილი, დავით ადმაშენებლის „გალობანი სინაზელისანი“, თბ., 2005.
9. თამაზ გასაძე, „ვეფხისტესნის“ მხატვრული სამყარო, თბ., 2003.

10. მარიამ თაბორიძე, ვეფხისტყაოსნის ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზი სკოლაში, თბ., 2000.
11. რევაზ თვარაძე, გადასახედი, თბ., 1997.
12. გაიოზ იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბ., 1968.
13. პავლე ინგოროვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, წიგნში: თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, ტ. I, თბ., 1963.
14. კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980; ტ. II, თბ., 1981.
15. კორნელი კეკელიძე, კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957.
16. კორნელი კეკელიძე, „შმიდა“ მხედარი ძველ ქართულ მწერლობაში, იქვე, ტ. II, თბ., 1945.
17. მიხეილ კექსელავა, პოეტური ინტეგრალები, თბ., 1977.
18. გრიგოლ კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957.
19. გრიგოლ კიკნაძე, რომანტიკოსებიდან რეალისტებისაკენ, წიგნში: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1956.
20. ვახტანგ კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები ორ წიგნად, წგნ. I, თბ., 1965.
21. გიორგი ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958.
22. ლევან მენაძე, ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.
23. იონა მეუნარგია, ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა, წიგნში: ქართველი მწერლები, ტ. I, თბ., 1954.
24. გიორგი ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958.
25. ნოდარ ნათაძე, სარგის ცაიშვილი, რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966.
26. რევაზ სირაძე, სახისმეტყველება, თბ., 1982.
27. რევაზ სირაძე, ქართული კულტურის საფუძვლები, თბ., 2000.
28. რევაზ სირაძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 2005.
29. გრივერ ფარულავა, ქართული პაგიოგრაფია, კრებულში: „ნათელი ქრისტესი. საქართველო“, ტ. I, თბ., 2003.
30. გრივერ ფარულავა, წმ. გრიგოლ ხანძთელი, იქვე.
31. ქართული ენა და ლიტერატურა (მასწავლებლის ბიბლიოთეკა), 5 ტომად, შედგენილი გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის მიერ, ძველი ქართული ლიტერატურა, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, რედაქტორები: რევაზ სირაძე, გრივერ ფარულავა, ბაჩანა ბრეგვაძე, დავით წერედიანი, ნონა ლეიიშვილი და გულავრ ჭარელიშვილი, III-V, თბ., 2009.
32. გერონტი ქიქოძე, რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტ. III, თბ., 1965.
33. თამაზ ჩხერიძე, მშვენიერი მძღვარი, თბ., 1989.
34. სარგის ცაიშვილი, მარადიული სახეები, თბ., 1981.
35. სარგის ცაიშვილი, შოთა რუსთაველი – დავით გურამიშვილი, თბ., 1980.
36. დავით წერედიანი, ანარეკლი, თბ., 2005.
37. ელგუჯა ხინთიბიძე, ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის ისტორიისათვის, კრებულში: ივირონი – 1000, თბ., 1983.
38. ნიკოლოზ ჯანაშია, „შუშანიკის წამება“, თბ., 1988\*.

\* საგამოცდო პროგრამა და სარეკომენდაციო ლიტერატურის სია შეადგინეს: ელენე ბაბუნაშვილმა, ბაჩანა ბრეგვაძემ, ნონა ლეიიშვილმა, რევაზ სირაძემ, გრივერ ფარულავამ, მზექალა შანიძემ, დავით წერედიანმა და გულავრ ჭარელიშვილმა.

მასწავლებელს უნდა შეეძლოს საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული ტექსტების გააზრება, რაც გულისხმობს მხატვრულ ნაწარმოებში გამოკვეთილი სახეების, თემისა და იდეის, მოტივების, ცალკეული დიალოგების, სიტუაციის, კოლიზიის, ქვეტექსტის არსისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის ადეკვატურ გაგებას; გარდა ამისა, ლირიკული ნაწარმოებების აზრობრივი და ემოციური შინაარსის წვდომას, ტროპის გააზრებას; ესეისტური თუ ლიტერატურისმცოდნეობითი ტექსტების გაგებას, რისთვისაც აუცილებელია ავტორისეული არგუმენტაციის კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი, მსჯელობის ლოგიკის წვდომა და სამსჯელო საკითხის შესახებ საკუთარი პოზიციის გამოკვეთა.

პედაგოგს მოეთხოვება ლიტერატურულ ტექსტებში ასახული ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი საეციფიკური იდეებისა თუ პრობლემატიკის ცოდნა; აგრეთვე, უნდა გააჩნდეს, ერთი მხრივ, ლიტერატურულ პროცესზე ეპოქის თავისებურებებისა და, მეორე მხრივ, მხატვრული შემოქმედების საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზეგავლენის წვდომის უნარი.

მასწავლებელს უნდა შეეძლოს ერთი და იმავე ეპოქის ტექსტებში ასახული პრობლემატიკის გაანალიზება მსგავსება-განსხვავების თვალსაზრისით (სხვადასხვა ეპოქის ტექსტებში ერთი და იმავე თემების, იდეების, პრობლემებისა და მათი ინტერპეტაციების ერთმანეთთან შედარება); მსგავსი ან ერთნაირი პრობლემის გაანალიზება სხვადასხვა ქვეყნისა თუ კულტურის წარმომადგენელთა შემოქმედებაში.

იმისათვის, რომ ამგვარ მოთხოვნებს უპასუხოს, მასწავლებელს განვითარებული უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი აზროვნება, ნაწარმოების შესახებ კრიტიკული, ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობისა და ლიტერატურული ტექსტის მონაკვეთებსა თუ სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებს შორის კავშირების დამყარების უნარი.

## ტესტურ დავალებათა ნიმუშები

### ა) ქართული ენა და ენის სწავლების მეთოდიკა

- (1) 1. დაასახელეთ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები.
- (1) 2. განმარტეთ, რას ნიშნავს ტერმინი „ხანძუტი ძეგლი“.
- (2) 3. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი გაქვეთილის თემაა – 60-იანელთა დამსახურება ქართული სალიტერატურო ენის რეფორმირებაში.  
ჩამოაყალიბეთ თეზისებად ის ინფორმაცია, რომელიც გინდათ გადასცეთ მოსწავლეებს.
- (1) 4. ჩამოთვლილთაგან რომელ სიტყვებს შორის არის გვარეობრივ-სახეობრივი მიმართება?  
ა) დაქირავება – გაქირავება; ბ) ფერი – მწვანე; გ) ყმაწვილი – ჩოგბურთელი.
- (1) 5. შეადარეთ ერთმანეთს სინონიმური წევილები: გულადი – მამაცი; ბებური – მეცოვანი.  
ჩამოაყალიბეთ, რა განასხვავებს პირველ წევილს მეორისაგან.
- (1) 6. რომელ სიტყვებს ეწოდება ომონიმები?
- (1) 7. განმარტეთ, რა სტილისტური ხარვეზია ამ წინადაღებაში:  
უკელაბი უმნიშვნელოვანების პრობლემა, საბეჭიროებოდ, უკვე მოგვარებულია.
- (2) 8. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზი.  
ზარზმის სამრეკლო უკელაბი უძველესია საქართველოში.
- 
- ეს სტილისტური ხარვეზი არის:  
ა) ატროფია; ბ) კალკი; გ) ტავტოლოგია.
- (2) 9. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზი.  
ამ საქონლის ფასი საგრძნობლად გაძირდა.
- 
- განმარტეთ, რამ გამოიწვია ეს ხარვეზი.
- (1) 10. განმარტეთ, რა სტილისტური ხარვეზია ამ წინადაღებაში:  
ქალაქის ძეგლი უბნების იერსახე პირვანდელი სახით უნდა შენარჩუნდეს.
- (2) 11. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზი.  
მოგზაურმა თავის წიგნში აღწერა ინდოეთის ქვიდრი აბორიგენების ზნე-ჩვეულებები.
- 
- განმარტეთ, რამ გამოიწვია ეს ხარვეზი.
- (1) 12. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზი.  
ოჯახურმა გარემომ თავისი დაღი დაატყო გიორგის ხასიათს.
- (2) 13. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზი.  
მასპინძლებმა სანაქებო სტუმართმუყვარეობა გაუწიებ უცხოელებებს.
- 
- განმარტეთ, რა იწვევს ანალოგიურ ხარვეზებს.
- (2) 14. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზი.

არაერთი იმპერია აღიგვავა მიწისაგან პირისა.

განმარტეთ, რამ გამოიწვია იგი.

(3) 15. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზი.

აქ ბაგშეგისათვის უკიდურესად ხასიათოვნო გარემოა შექმნილი.

მიუთითეთ, რა ტიპისაა ეს სტილისტური ხარვეზი.

განმარტეთ, რამ გამოიწვია იგი.

(2) 16. რას ნიშნავს და საიდან მომდინარეობს გამოთქმა: *ხელი დაიბანა?*

(2) 17. განმარტეთ, რას ნიშნავს გამოთქმა – *აქილევის ქუხლი.*

საიდან მომდინარეობს ეს გამოთქმა?

ა) ანგიკური მითოლოგიდან; ბ) ქართული მითოლოგიდან; გ) ბიბლიიდან.

(3) 18. რას უწოდებენ სიტყვათა წევილს: *მასობრივი – მასიური?*

ამ სიტყვებიდან რომელი უნდა გამოვიყენოთ მოცემულ წინადადებაში და რატომ? ახალგაზრდები ხშირად მონაწილეობდნენ . . . გამოხვდებში.

(1) 19. განმარტეთ, რა სტილისტური ხარვეზია წინადადებაში:  
ბიჭმა ცაცია ხელი ჩამომართვა.

(1) 20. მოსწავლემ დაწერა შემდეგი კომპოზიტები: დედ-მამა, ჩივ-ჩივი, ქუჩა-ქუჩა.  
განუმარტეთ, რა შეცდომა დაუშვა მან.

(2) 21. გაასწორეთ შეცდომა.  
*ერეკლე II გაილაშქრა ახალციხის ხაფაშოს წინააღმდეგ.*

ამ წინადადებაში დაშვებულია:

ა) მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომა; ბ) სინტაქსური შეცდომა;  
გ) სტილისტური ხარვეზი.

(2) 22. გაასწორეთ შეცდომა.  
*ქალბატონ მარიამის დავალება უკვე შევასრულებო.*

რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, რათა არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა?

(2) 23. ხშირია ამგვარი შეცდომები: *ჩემ მეგობარს და ჩემს მახლობლად.*  
გააანალიზეთ თითოეული მათგანი.

(1) 24. გააანალიზეთ, რა შეცდომაა დაშვებული წინადადებაში:  
*უკუკ ჩვენთაგანს თითო-თითო შეკითხვა უნდა დაეხვა კონკურსანტებისათვის.*

(1) 25. გააანალიზეთ, რა შეცდომაა დაშვებული წინადადებაში:  
დავინახე ჩემსკენ მომავალი რამდენიმე მოხსენენ.

(2) 26. გაასწორეთ შეცდომა.  
*უკვე ორი წელია, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანავგზრობლობით.*

განმარტეთ, რა იწვევს ანალოგიურ შეცდომებს.

(2) 27. განმარტეთ, რატომ არის მცდარი ფორმა ავადგენულობა.

რა ტიპის ზმნათა გავლენა განაპირობებს ამგვარ შეცდომას?

(2) 28. მოსწავლემ ჩამოთვალა -ავ თემისნიშნიანი ზმნები: ძზინავს, ზნიქავს, თიბავს, ჭიმავს.  
მიუთითეთ, რა შეცდომა დაუშვა მან.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს მან, რათა არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) 29. მოსწავლემ მყოფადის ფორმის მაგალითად მოიყვანა გადაუგრიხავს. დაწერეთ ეს ზმნასწორი ფორმით.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა თავისებურება ახასიათებს ამ ზმნას.

(3) 30. მოსწავლემ ზმნის სათავისო ქცევის ფორმის მაგალითად მოიყვანა იზრდება.  
მიუთითეთ, რა შეცდომა დაუშვა მან და გააანალიზეთ, რა განაპირობებს ამგვარ შეცდომას.

განმარტეთ ქცევის რაობა.

(2) 31. გაასწორეთ შეცდომა.  
ეს წინადაღება ქართულად გადამათარგმნია!

განმარტეთ, რა იწვევს ანალოგიურ შეცდომებს.

(2) 32. გაასწორეთ შეცდომა.  
ნიკამ თიხიდან პატარა ფიგურა გამოძერწა.

რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა?

(2) 33. გაასწორეთ შეცდომა.  
*XIII-XIV საუკუნეებში ჯაყელებდა საფარა თავის რეზიდენციად გადააკეთება.*

რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა?

(1) 34. გააანალიზეთ, რა შეცდომაა წინადაღებაში:  
დედა-შეილი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

(1) 35. მოსწავლემ განმარტა: როცა პირველი პირი იმურებს თავისსავე ნათქვამს, უნდა გამოვიყენოთ მხრივოდ -ძეთქი ნაწილაკი.  
დააზუსტეთ მისი პასუხი.

(1) 36. გააანალიზეთ, რა შეცდომაა წინადაღებაში:  
შეა რთახში ძაგიდა იდგა, ძაგიდაზე ცარიელი ლარნაკი.

(2) 37. გაასწორეთ შეცდომა.  
იქვე, ხოვლის განაპირას დაიღვა მოხუცება ქოხი.

რა უნდა იცოდეს მოსწავლებ, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა?

- (4) 38. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი მიზანია მოსწავლეებს აუხსნათ ზმნისწინიან ფორმათა მართლწერის საკითხები და გამოუმუშაოთ მათ მიღებული ინფორმაციის პრაქტიკული გამოყენების ჩვევები.
- I. დაასახელეთ, რა ტიპის შეცდომებს უშვებენ მოსწავლეები ზმნისწინიან ფორმათა წერისას (მოიყვანეთ მაგალითები).
- II. აღწერეთ ის სასწავლო ქმედება, რომლითაც დაიწყებთ ამ საკითხზე მუშაობას გაპვარისაბუთებობის უფლებების ეფექტურობა.
- III. დაასაბუთეთ ამ ქმედების ეფექტურობა.
- (3) 39. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი გაპვეთილის თემაა – *ენის ლექსიკური ფონდის შეცვება-გამოიძრების გზები*.
- I. ჩამოაყალიბეთ თეზისებად ის ინფორმაცია, რომელიც უნდა მიაწოდოთ მოსწავლეებს.
- II. აღწერეთ სასწავლო ქმედება, რომელიც დაგეხმარებათ გამოუმუშაოთ მოსწავლეებს კვლევის ელემენტარული უნარ-ჩვევა (პასუხი დაასაბუთეთ).
- (4) 40. თქვენი მიზანია, განვლილი მასალიდან გაახსენოთ მოსწავლეებს ის საკითხები, რომლებიც დაეხმარება მათ განხაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების არსის უკეთ გააზრებაში;
- I. ჩამოთვალეთ ეს საკითხები;
- II. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან შეარჩიეთ მხოლოდ ერთი სასწავლო ქმედება და დაასაბუთეთ, რომ სწორედ ის დაგეხმარებათ ამ მიზნის მიღწევაში;
- ქმედებები: 1. ტაბულების ანალიზი; 2. ზეპირი გამოკითხვა; 3. წერითი სამუშაო.
- III. განიხილეთ დანარჩენი ორი ქმედება და დაასაბუთეთ, რატომ არ გამოიყენეთ ისინი.
- (4) 41. წაიკითხეთ ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილიდან.
- I. იმსჯელეთ, რა მიზნით გამოიყენებთ ამ ტექსტს (გააანალიზეთ ტექსტი ამ თვალსაზრისით).
- II. აღწერეთ ერთ-ერთი ქმედება, რომელსაც გამოიყენებთ მიზნის მისაღწევად და დაასაბუთეთ მისი ეფექტიანობა.
- რაც უნდა კარგად მოიგონო სიტყვა, თუნდა ქართული იყოს, რაკი სიტყვას ახალ მნიშვნელობას მისცემ, ისიც ისე გაუგებარი იქნება ჯერ-ხანად, როგორც უცხო ენის სიტყვა. ამ უკანასკნელ დროს რამდენი ახალი სიტყვა შედგა წმინდა ქართული: „შიგ-მდებარეობა, წარლტოლვილი, მოთხოვნილება, გავლენა, მიმართულება, მეცნიერება. თვით „მამული“ უწინ იხმარებოდა როგორც მარტო დედლუ-მამულის სახელი, ეხლა ეგრეც იხმარება და ისეც, როგორც მთელი სამშობლო ქვეყნის საზოგადო სახელი. აი, ეს სიტყვები ხომ სულ ქართულია, მაგრამ მაინც კიდევ ადვილი გასაგებნი არ არიან, იმიტომ რომ ახლები არიან, ე. ი. ახლის აზრით და მნიშვნელობით იხმარებიან. ვინც იძახის, ნუ იხმარებთ ახალს სიტყვებსო, ის ამით ამბობს, რომ აზრს ნუ გვმატებოთ, გონებას მხედველობას ნუ უკრცელებთო, წინ ფეხს ნუ გვადგმევინებოთ...
- (7) 42. თქვენი მიზანია მოსწავლეებს გამოუმუშაოთ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.
- I. წაიკითხეთ ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილიდან და დაასაბუთეთ, რომ ეს ტექსტი დაგეხმარებათ დისკუსიის წარმართვაში.
- II. ჩამოაყალიბეთ სადისკუსიო თემა და არგუმენტები ავტორის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.
- III. დაასახელეთ ამ არგუმენტების გასამყარებელი თითო-თითო მაგალითი იმ უცხო სიტყვათაგან, რომლებიც დღეს მკვიდრდება თანამედროვე ქართულში.
- ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგვარი სიტყვები, ხმარებული ჩემს აპრილის სტატიაში, თქვენ უცხო სიტყვებად მიგიღიათ. ეგ, მართალია, ქართული სიტყვები არ არის, მთელი კაცობრივობა კი ხმარობს. ყოველ ხალხს, ცოტაოდენ განვითარებულს და ფეხშედგმულს ეგრობის განათლებაში, შემოუტანია და მიუღია ეგ სიტყვები, როგორც თავის ლგიძლი ენის ლექსი; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც ვიხმაროთ. მე „ოსტროვები“,

„ლინიები“ და სხვა სიტყვები ამისთვის დაგმრახეს, რომ მაგის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვები არიან ჩვენს ენაში... მე რომ ახალი სიტყვები მომეგონა და შემედგინა, ისინი ისე გაუგებარნი იქნებოდა ეკველასათვის, როგორც ეხლა ეგენი არიან გაუგებარნი ზოგიერთისათვის. განათლებულ კაცს მაინც ესმის ეგ სიტყვები და იმ ქართულისა, რომელსაც მე შევადგენდი, ვერც განათლებული გაიგებდა და ვერც გაუნათლებელი. თუნდ რომ მე არ ვიხმარო ეგ სიტყვები, მაინც კიდევ უფრო შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარნენ: პოემა, პოეზია, ფილოსოფია, კრიტიკა, ხტატია, ლოლიკა და სხვანი მრავალნი. ეგ არა ხალხს დაეძრახება, ის ჰცრუობს, რომელიცა ძრახავს მაგვარ სიტყვების შემოტანას ენაში.

(6) 43. გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მეშვეობით და თქვენი შეფასება დაასაბუთეთ. I და II კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; III და IV კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყოველი შეცდომა და ხარვეზი, მიუცით თითოეულ მათგანს სათანადო კვალიფიკაცია.

### შეფასების სქემა

Nº	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ქულები
I	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) ტექსტი ადეკვატურად არის გაგებული; მსჯელობა მკაფიოა; არგუმენტები დამაჯერებელია და გამყარებულია ტექსტური მასალით; არ არის დაშვებული არც ერთი ფაქტობრივი შეცდომა; ბ) ტექსტი ადეკვატურად არის გაგებული, მსჯელობა მკაფიოა; არგუმენტები მთლიანობაში დამაჯერებელია, მაგრამ არ არის გამყარებული ტექსტური მასალით; არ არის დაშვებული არც ერთი ფაქტობრივი შეცდომა; გ) ტექსტი ნაწილობრივ ადეკვატურად არის გაგებული, მსჯელობა მკაფიოა; არგუმენტები მთლიანობაში დამაჯერებელია და გამყარებულია ტექსტური მასალით; ანდა დაშვებული ერთი ფაქტობრივი შეცდომა. დ) ტექსტი ნაწილობრივ ადეკვატურად არის გაგებული, მსჯელობა მთლიანობაში დამაჯერებელია და გამყარებულია ტექსტური მასალით, დაშვებულია ერთი ფაქტობრივი შეცდომა. ე) ტექსტი არაადეკვატურად არის გაგებული; ან მსჯელობა არადამაჯერებელია და არ არის გამყარებული ტექსტური მასალით (ან ტექსტური მაგალითები მსჯელობის არაადეკვატურია); ანდა დაშვებულია ერთზე მეტი ფაქტობრივი შეცდომა; ნაშრომი ტექსტის პერიფრაზია.	4 3 2 1 0
II	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ა) მკაფიოდ ჩანს დამოუკიდებელი აზროვნება; ბ) ნაწილობრივ ჩანს დამოუკიდებელი აზროვნება; გ) არ ჩანს დამოუკიდებელი აზროვნება.	2 1 0
III	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწილი სტილისტურად გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ გვხვდება სტილისტური ხარვეზები; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, ლექსიკა მწირია, ნაწილი სტილისტურად გაუმართავია.	2 1 0
IV	ორთოგრაფია-მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის სამართლებრივი შეცდომა; ბ) არ არის ამ ტიპის უკეთები შეცდომა; გ) ამ ტიპის შეცდომა უკეთები შეცდომა.	2 1 0

წაიკითხეთ ნაწყვეტი მოსწავლის თხზულებიდან, რომელიც უპასუხებს მითითებას: *იმსჯელეთ ხოსიას მხატვრული ხახის შესახებ იღია ჭავჭავაძის მოთხოვობა „ოთარაანთ ქვრივის“ მიხდვით.*

სოსია მეწისქვილე სასაფლაოზე სხვის ლაპარაკის მოსახმენად არ მოსულა. მისი აქ ყოფნა გლეხების ნათქვამს – „ვინც მოჰკვდა, თავსა მოუპვდაო“, – არ ამართლებდა. ის ოთარაანთ ქვრივის დასატირებლად მივიდა. მხოლოდ ახლა ეღირსა მასთან ახლოს ყოფნა. მნელია ოცდაათი წლის განმავლობაში ყოველ გვარი იმედის გარეშე გიყვარდეს. სოსია მეწისქვილე, როგორც ჩანს, ძალიან ერთგული პიროვნება იყო. მის გრძნობებზე სხვადასხვა გარემოებებმა მოახდინა ზეგავლენა. ტექსტში ნათლად ჩანს სოსიას ხასიათის სირბილე. ის ძალიან მძიმე წუთებშიც კი შემწყნარებელია და დაცინვას ალერსით უპასუხებს „ნუ ამბობ მაგას, ჩემო მამავ და შვილო“. ჩემი აზრით, მისი საქციელი ლაჩრობად და გაუბედაობად არ უნდა ჩაითვალოს. ადამიანებს ნებისმიერ სიტუაციაში მართებთ თავის შეკავება და ეს ფაქტორი მათზე მხოლოდ და მხოლოდ კარგად მეტყველებს.

## ქართული ენისა და ენის სწავლების მეთოდიკის დაგალებათა შეფასების სქემა

1. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპებია: ძველი (V-XI სს.) და ახალი ქართული ენა (XII ს. - დღემდე) [ძველი (V-XI სს.), საშუალი (XII-XVIII სს.) და ახალი ქართული ენა (XIX ს. - დღემდე)]. -----1ქ.  
2. ამ ტერმინით აღინიშნება ის უძველესი წერილობითი ძეგლები, რომლებშიც II სუბ. და III ობიექტი. პირის ნიშნავ (აგრეთვე ზედსართავის ხარისხის საწარმოებლად) იხმარებოდა პრეფიქსი b. მოგვიანებით (IX-XI სს.) სალიტერატურო ენისათვის ეს ხ ზედმეტი გახდა, აქედან მომდინარეობს ტერმინი ხანძები. -----1ქ.  
3. 1. თუ ჩამოყალიბებულია ორი თეზისი მაინც (ილია ჭავჭავაძის წერილი: „ორიოდე სიტყვა...“; სალიტერატურო ენის დაახლოება სასაუბროსთან; ერთიანი სალიტერატურო ენის განვითარება; ანბანის რეფორმა...). -----2ქ.  
2. თუ ჩამოყალიბებულია ერთი თეზისი. -----1ქ.  
3. თუ თეზისები არასწორად არის ჩამოყალიბებული. -----0ქ.  
4. ბ) -----1ქ.  
5. პირველ სინონიმურ წყვილში შემავალი სიტყვების – გულადი და მამაცი – მნიშვნელობა ნეიტრალურია და თავისუფლად ჩაენაცვლება ერთმანეთს (სემანტიკური სინონიმებია). ბებური და მხცოვანი ემოციური ელფერის მქონე სიტყვებია და მათ შერჩევას მთქმელის დამოკიდებულება განსაზღვრავს (სტილისტური სინონიმებია). -----1ქ.  
6. ომონიმები ეწოდება სიტყვებს, რომლებსაც ერთნაირი ბერითი შედგენილობა, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. -----1ქ.  
7. კველაზე უმნიშვნელოვანები ტავტოლოგიური შესიტყვებაა. -----1ქ.  
8. 1. ზარზმის სამრეკლო უძველესია საქართველოში / კველაზე ძველია. -----1ქ.  
2. გ) -----1ქ.  
9. 1. ეს საქონელი საგრძნობლად გაძვირდა. / ამ საქონლის ფასმა საგრძნობლად იმარცა. -----1ქ.  
2. ფასი აღნიშნავს საქონლის დირებულებას, ძვირი ნიშნავს დიდი ფასის მქონეს. ამდენად, ძვირი ან გაძვირებული შეიძლება იყოს მხოლოდ საქონელი და არა მისი ფასი. -----1ქ.  
10. ამ წინადაღებაში იურსახე სახით ტავტოლოგია. -----1ქ.  
11. 1. მოგზაურმა თავის წიგნში აღწერა ინდოეთის აბორიგენების (ინდოეთის მკვიდრთა) ზნებულებები. -----1ქ.  
2. აბორიგენი ნიშნავს ადგილობრივს, მკვიდრს. ამიტომ სიტყვა აბორიგენთან მსაზღვრელად გვიდრო ზედმეტია. -----1ქ.  
12. ოჯახურმა გარემომ თავისი დადი დაასვა გიორგის ხასიათს. -----1ქ.  
13. 1. მასპინძლებმა სანაქებო სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს უცხოელების მიმართ. -----1ქ.  
2. ანალოგიურ ხარვეზებს იწვევს სხვადასხვა გამოთქმის აღრევა – კონტამინაცია. კერძოდ, ზნა გაუწიებ აღებულია გამოთქმიდან – მასპინძლობა გაუწიებ. -----1ქ.  
14. 1. არაერთი იმპერია აღიგავა პირისაგან მიწისა. -----1ქ.  
2. ამ არქაულ ფრაზეოლოგიზმს გაუაზრებლად იუქნებენ, სიტყვებს უმართებულოდ აკავშირებენ და ამასინჯებენ გამოთქმას. -----1ქ.  
15. 1. აქ ბავშვებისათვის უაღრესად / ძალზე / ძალიან სასიამოვნო გარემოა შექმნილი (აქ ბავშვებისათვის სასიამოვნო გარემოა შექმნილი). -----1ქ.  
2. სიტყვათა არაადეკვატური გამოყენება. -----1ქ.  
3. ეს ხარვეზი გამოიწვია იმან, რომ სიტყვა უკიდურესად მხოლოდ უარყოფითი სემანტიკური ნიუანსის მქონე შესიტყვებაში გამოიყენება, ამიტომ ამ კონტექსტში იგი უმართებულო. -----1ქ.  
16. 1. ხელი დაიბანა ნიშნავს – პასუხისმგებლობა მოიხსნა. -----1ქ.  
2. მომდინარეობს სახარებიდან (ბიბლიიდან). -----1ქ.  
17. 1. აქტიურუსის ქუსლი ნიშნავს ადამიანის სუსტ მხარეს. -----1ქ.  
2. ა) -----1ქ.  
18. 1. პარონიმებს. -----1ქ.  
2. ამ წინადაღებაში უნდა გამოვიყენოთ სიტყვა მასობრივი. -----1ქ.  
3. მასობრივი ნიშნავს იმას, რაშიც ბევრი ადამიანი მონაწილეობს, მრავალრიცხოვანს, საყოველთაოს, ხოლო მასიური ნიშნავს დიდი მოცულობის მქონეს. -----1ქ.  
19. ცაცია ნიშნავს: 1. ადამიანს, რომელიც მარცხენა ხელს უფრო მარჯვედ ხმარობს. 2. მარცხენა ხელს, ამიტომ ცაცია ხელი შეცდომა. -----1ქ.  
20. ჩივჩივი ერთცნებიანი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტია, იწერება უდეფისოდ. -----1ქ.  
21. ერქველე II-მ გაიღაშერა ახალციხის საფაშოს წინააღმდეგ. -----1ქ.  
ა) -----1ქ.  
22. 1. ქალბატონი მარიამის დაგალება უკვე შეგასრულეთ. -----1ქ.

2. ქალბატონი და ბატონი საკუთარ სახელთან ერთად ბრუნებისას, ხელობა-წოდებისა და თანამდებობის სხვა სახელებისაგან განსხვავებით, ინარჩუნებს -ი ნიშანს ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში. -----1ქ.
23. პირველ სინტაქსურ წყვილში ჩემი კუთვნილებითი ნაცვალსახელია და მიცემით ბრუნვაში მას უნდა დავურთოთ ბრუნვის ნიშანი, ხოლო მეორე წყვილში ჩემ პირის ნაცვალსახელია და ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს. -----2ქ.
24. ნაცვალსახელი ჩვენ თავად გამოხატავს სიმრავლეს, ამიტომ მრავლობითის -თა ნიშანი აფ-არ სჭირდება. -----1ქ.
25. ჩემ პირის ნაცვალსახელია და ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს. -----1ქ.
26. 1. უკვე ორი წელია, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებთან ვთანამშრომლობთ. -----1ქ.  
2. ანალოგიურ შეცდომებს იწვევს კომპოზიტისაგან ნაწარმოებ ზმნაში პირის ნიშნის არას-წორი გამოყენება. -----1ქ.
27. 1. ეს ზმნა ნაწარმოებია კომპოზიტისაგან აჯაღმყოფი, პირის ნიშანი ასეთი ტიპის ზმნების ფუძეს თავში დაერთვის – გავადმყოფობ. -----1ქ.  
2. ამგვარ შეცდომას განაპირობებს როულ ზმნათა გავლენა. -----1ქ.
28. 1. ზნიქავს მცდარია, უნდა იყოს ზნექს. -----1ქ.  
2. ხმოვანმონაცვლე (ფუძედრეკადი) ზმნაა და თემის ნიშანს არ დაირთავს. -----1ქ.
29. 1. სწორია – გადაუგრეხს. -----1ქ.  
2. ეს ზმნა ხმოვანმონაცვლე (ფუძედრეკადი) და თემის ნიშანს არ დაირთავს. -----1ქ.
30. 1. იზრდება ერთპირიანი ვნებითის ფორმა. -----1ქ.  
2. შეცდომას განაპირობებს ვნებითი გვარისა და სათავისო ქცევის კატეგორიების არას-რულყოფილი ცოდნა. ამ შემთხვევაში მოსწავლეს უჭირს გაარკვიოს ი-პრეფიქსის ფუნქცია. -1ქ.  
3. ქცევა ეწოდება ზმნის ფორმას, რომელიც გამოხატავს კუთვნილებით-დანიშნულებით ურ-თოერთობას სუბიექტსა და ობიექტს ან ობიექტებს შორის. -----1ქ.
31. 1. ეს წინადადება ქართულად გადამათარგმნინე! -----1ქ.  
2. ანალოგიურ შეცდომებს იწვევს შუალობითი კონტაქტის მაწარმოებლის არასწორი გამო-ყენება. -----1ქ.
32. 1. ნიკამ თიხისაგან პატარა ფიგურა გამოძერწა. -----1ქ.  
2. როდესაც სახელი აღნიშნავს მასალას, -გან თანდებული ნათესაობითი ბრუნვის ფორმას უნდა დაერთოს. -----1ქ.
33. 1. XIII-XIV საუკუნეებში ჯაელებმა საფარა თავიანთ რეზიდენციად გადააკეთეს. -----1ქ.  
2. როდესაც სუბიექტი მრავლობით რიცხვშია, მისი კუთვნილების გამოსახატავად გამოიყე-ნება ნაცვალსახელი თავიანთი. -----1ქ.
34. ქვემდებარე დედა-შვილი ორცნებიანი კომპოზიტია. ამ ტიპის ქვემდებარეს შემასმენებლი მხო-ლობით რიცხვში შეეწყობა. -----1ქ.
35. როცა პირველი პირი იმეორებს თავისსავე ნათქვამს და ეს პირი მხოლობითი რიცხვის ფორ-მითა წარმოდგენილი, გამოიყენება ნაწილაკი -ძეთქი. -----1ქ.
36. ამ წინადადებაში გამოტოვებული მეორე შემასმენლის ნაცვლად არ არის დასმული ტირგ-უნდა იყოს: შესაბუთი მაგიდა იდგა, მაგიდაზე – ცარიული ლარნაკი. -----1ქ.
37. 1. იქვე, ხოვლის განაპირას, დაიღვა მოხუცმა ქოხი. -----1ქ.  
2. განკერძოებული ადგილის გარემოება მძიმით გამოიყოფა. -----1ქ.
38. I. a) თუ დასახელებულია ორი ტიპი მაინც (ძველი ზმნისწინის გათიშვა პირის ნიშნით – აგ-დნიშნე; უზმნისწინო ფორმებში ძველი ზმნისწინის ბოლოკიდური თანხმოვნის უმართებულო ხმარება – ანთავისუფლებს; ზმნისწინიან ფორმებში ხმოვნის დაკლება ერთი და იმავე ხმოვნე-ბის თავმოყრის შემთხვევაში – დაარსა...). -----2ქ.  
b) თუ დასახელებულია მხოლოდ ერთი ტიპი. -----1ქ.
- II. a) თუ აღწერილია ქმედება. -----1ქ.  
b) თუ ქმედება მხოლოდ დასახელებულია. -----0ქ.
- III. a) თუ დასაბუთება არგუმენტირებულია. -----1ქ.  
b) თუ მითითება არ არის შესრულებული ან დასაბუთება არა არის არგუმენტირებუ-ლი. -----0ქ.
39. I. a) თუ ჩამოყალიბებულია ორი თეზისი მაინც. -----1ქ.  
b) თუ თეზისები არასწორად არის ჩამოყალიბებული. -----0ქ.
- II. a) თუ ქმედება აღწერილი და დასაბუთებულია. -----2ქ.  
b) თუ ქმედება მხოლოდ აღწერილია. -----1ქ.  
g) თუ ქმედება მხოლოდ დასახელებულია. -----0ქ.

- 40.** I. а) თუ ჩამოთვლილია ორი საკითხი მაინც (განსაზღვრების, რთული ქვეყობილი წინადაღების, მისათითებელი სიტყვისა და წევრ-კავშირის რაობა, მიმართებით ნაცალსახელთა ბრუნება, მაქვემდებარებელი კავშირები...). -----1ქ.  
 ბ) თუ დასახელებულია მხოლოდ ერთი საკითხი. -----0ქ.  
 II. а) თუ დასაბუთება არგუმენტირებულია. -----1ქ.  
 ბ) თუ მითითება არ არის შესრულებული ან დასაბუთება არა არის არგუმენტირებული. -----0ქ.  
 III. а) თუ ორივე ქმედების უარყოფითი მხარეებია გამოკვეთილი და დასაბუთება არგუმენტირებულია. -----2ქ.  
 ბ) თუ ერთ-ერთი ქმედების უარყოფითი მხარეა გამოკვეთილი და დასაბუთება არგუმენტირებულია. -----1ქ.  
 გ) თუ მითითება არ არის შესრულებული ან დასაბუთება არა არის არგუმენტირებული. -----0ქ.
- 41.** I. а) თუ განსაზღვრულია მიზანი და მსჯელობა დასაბუთებულია. -----2ქ.  
 ბ) თუ განსაზღვრულია მიზანი, მაგრამ მსჯელობა დასაბუთებული არ არის. -----1ქ.  
 გ) თუ არ არის განსაზღვრული მიზანი. -----0ქ.  
 II. а) თუ აღწერილია ქმედება და დასაბუთებულია მისი ეფექტიანობა. -----2ქ.  
 ბ) თუ აღწერილია ქმედება, მაგრამ დასაბუთებული არ არის. -----1ქ.  
 გ) თუ ქმედება მხოლოდ დასახელებულია. -----0ქ.
- 42.** I. а) თუ მსჯელობა კარგად არის დასაბუთებული. -----2ქ.  
 ბ) თუ მსჯელობა ნაწილობრივ არის დასაბუთებული. -----1ქ.  
 გ) თუ მსჯელობა დასაბუთებული არ არის. -----0ქ.  
 II. а) თუ ჩამოყალიბებულია სადისკუსიო თემა და არგუმენტები. -----3ქ.  
 ბ) თუ ჩამოყალიბებულია მხოლოდ სადისკუსიო თემა ან არგუმენტები. -----2ქ.  
 გ) თუ ჩამოყალიბებულია მხოლოდ სადისკუსიო თემა ან ერთი არგუმენტი. -----1ქ.  
 III. а) თუ დასახელებულია ორივე არგუმენტის გასამყარებელი მაგალითები. -----2ქ.  
 ბ) თუ დასახელებულია ერთ-ერთ არგუმენტის გასამყარებელი მაგალითი. -----1ქ.
- 43.** კომენტარის შეფასების მაქსიმალური ქულა 6.

### 1. შინაარსობრივი მხარის (I-II) შეფასება:

- ა) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება პირველი ორი კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო მაგალითების მოხმობით. -----3ქ.  
 ბ) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება პირველი ორი კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო, მაგრამ მაგალითები არ მოიხმო. -----2ქ.  
 გ) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება მხოლოდ ერთი კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო. -----1ქ.  
 დ) თუ გადმოწერილია მხოლოდ კრიტერიუმის მითითებები. -----0ქ.

### 2. ენობრივი მხარის (III-V) შეფასება:

- ა) თუ მასწავლებელმა იპოვა ყველა ენობრივი შეცდომა, ხარვეზი და თითოეულის კვალიფიკაცია სწორია. -----3ქ.  
 ბ) თუ მასწავლებელს გამორჩა ერთი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ანდა იპოვა ყველა, მაგრამ ერთის კვალიფიკაცია არასწორია. -----2ქ.  
 გ) თუ მასწავლებელს გამორჩა ორი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ანდა იპოვა ყველა, მაგრამ ორის კვალიფიკაცია არასწორია. -----1ქ.  
 დ) თუ მასწავლებელს გამორჩა სამი და მეტი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ანდა იპოვა ყველა, მაგრამ სამის ან მეტის კვალიფიკაცია არასწორია. -----0ქ.

სოსია მეწისქვილე სასაფლაოზე სხვისი ლაპარაკის მოსახმენად არ მოსულა. მისი აქ ყოფნა გლეხების ნათებამს – „ვინც მოჰკვდა, თავსა მოჰკვდა“ – არ ამართლებდა. ის ოთარანთ ქვრივის დასატირებლად მივიდა. მხოლოდ ახლა ედირსა მასთან ახლოს ყოფნა. ძნელია ოცდაათი წლის განმავლობაში ყოველგვარი იმედის გარეშე გიყვარდეს. სოსია მეწისქვილე, როგორც ჩანს, ძალიან ერთგული პიროვნება იყო. მის გრძნობებზე სხვადასხვა გარემოებამ მოახდინა ზეგავლენა. ტექსტში ნათლად ჩანს სოსიას ხასიათის სირბილე. ის ძალიან მძიმე წუთებშიც კი შემწყნარებელია და დაცინვას აღერსით უპასუხებს: „ნუ ამბობ მაგას, ჩემო მამავ და შვილო“. ჩემი აზრით, მისი საქციელი ლაბრობად და გაუბედაობად არ უნდა ჩაითვალოს. ადამიანებს ნებისმიერ სიტუაციაში მართებოთ თავის შეკავება და ეს ფაქტი მათზე მხოლოდ და მხოლოდ კარგად მეტყველებს.

## ბ) ქართული ლიტერატურა

- (2) 1. „წმინდა ნინოს ცხოვრების“ დაწერის თარიღის შესახებ ორგვარი თვალსაზრისი არსებობს. მოიყვანეთ მკლევართა ორივე ვარაუდი (მოსაზრებათა დასაბუთება საჭირო არ არის).
- (1) 2. გიორგი მერჩულის ტექსტზე მუშაობის დროს მოსწავლეებმა ვერ უპასუხეს მასწავლებლის შეკითხვას: „როგორ უნდა გავიგოთ ის, რომ თეოდორესა და ქრისტეფორეს პირველი გაპარვის შემდეგ გრიგოლ ხანძთელმა არ დატოვა ისინი აფხაზეთში, რათა დამოუკიდებლად ეშენებინათ მონასტრები, ხოლო მეორე შემთხვევაში თვითონვე დაქმარა მათ სამონასტრო ადგილების შერჩევაში?“  
განუმარტეთ მათ გრიგოლის ქცევის მოტივაცია (შეგიძლიათ გამოიყენოთ საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა).
- (2) 3. განუმარტეთ მოსწავლებს, როგორ გამოითვლება გრიგოლ ხანძთელის დაბადებისა და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დაწერის თარიღები.
- (2) 4. როგორც გიორგი მთაწმინდელი გვიამბობს, თორნიკეს უყვარდა თხრობა თავისი ლაშქრობების შესახებ. იოვანემ მას უთხრა: „საყუარელო მმაო, აწ დააცადე სოფლიოთა მაგათ საქმეთა უბნობად და ამიერითგან სხუასა ნუ ვის ეუბნები, გარნა გაბრიელს ხოლო ხუცესსა“.  
განუმარტეთ მოსწავლებს, იოვანე რატომ სთხოვს თორნიკეს, რომ გარდა გაბრიელისა, სხვა ბერებს არ უამბოს თავისი ლაშქრობების შესახებ.
- (1) 5. მოსწავლეებმა ვერ გაიგეს „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი სტრიქონები:  
„უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,  
მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათაო!“  
დაწვრილებით განუმარტეთ მათ, რას გულისხმობს შოთა რუსთველი ამ სტრიქონებში.
- (2) 6. „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ მსჯელობისას მოსწავლემ თქვა: „ფატმანი უარყოფითი პერსონაჟია“. მოიყვანეთ ორი არგუმენტი იმის დასასაბუთებლად, რომ ფატმანის ამგვარი შეფასება ცალმხრივია.
- (2) 7. „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმი – „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ – მოსწავლემ ამგვარად განმარტა: „სიკეთებ ბოროტებას ძალით აჯობა“.  
აუხსენით მოსწავლეს, რა უზუსტობა დაუშვა მან ამ აფორიზმის განმარტებისას.
- (1) 8. მოსწავლემ დაგისვათ შეკითხვა: „რატომ არ არის შესული სულხან-საბა თორბელიანის თხზულებაში „მოგზაურობა ევროპაში“ მწერლის საფრანგეთში ყოფნის ამსახველი ეპოზოდები?“  
გაეციო აასუხი მოსწავლის შეკითხვას.
- (2) 9. მოსწავლემ ნახა მინიატურა: სულხან-საბა თორბელიანი წიგნს გადასცემს ვახტანგ მეექვეს.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა წიგნია ეს და რა აკავშირებს მას სულხან-საბას სახელთან.
- (2) 10. „დავითიანის“ ტექსტის ანალიზისას მოსწავლემ ამგვარი თვალსაზრისი გამოთქვა: „XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს განადგურების მიზეზი გარეშე მტრების შემსევები იყო“.  
დაუხსახელეთ მოსწავლეს, რა იყო ის ორი არსებითი მიზეზი, რომლებმაც, დავით გურამიშვილის აზრით, ქართველთა თავს დატეხილი უბედურება განაპირობა.
- (2) 11. თქვენი მიზანია, მოსწავლეებს აუხსენათ, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „ვისაც გსურთ“ პატრიოტულ თემაზე შექმნილი ალეგორიული ნაწარმოებია.  
მოიყვანეთ ორი კონკრეტული მაგალითი ლექსიდან ზემოთქმული მოსაზრების დასასაბუთებლად.
- (2) 12. მოსწავლეებმა დამოუკიდებლად წაიკითხეს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „ვაჟ, დრონი, დრონი“. ერთ-ერთმა მათგანმა გამოთქვა მოსაზრება: „როგორ შეიძლება, კაცს ათასგვარი უბედურება დაატყვეს თავს, მოშორდეს ყველას, ვინც უყვარდა, იმედიც კი გადაეწუროს

და მაინც უცვლელი დარჩეს. საერთოდაც, წარმოუდგენელია, რომ ადამიანი დროის მსვლელობას არ ემორჩილებოდეს. ამიტომ, ჩემი აზრით, ავტორი არ არის გულწრფელი.“ მოიყვანეთ ორი კონკრეტული მაგალითი ლექსიდან იმის დასასაბუთებლად, რომ მოსწავლის მოსაზრება მცდარია.

- (2) 13. თქვენი მიზანია, ყურადღება გაამახვილოთ იმაზე, რომ სატრფოსთან თუნდაც სამუდამო განშორების შემთხვევაშიც კი რომანტიკოს ავტორთა ნაწარმოებებში არასოდეს შეინიშნება გადიზიანება ან სიბრაზე. პირიქით, ისინი მუდამ მხოლოდ ბედიერებასა და სიკეთეს უსურევებენ თავიანთ რჩეულებს.  
მოიყვანეთ გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან „სადამო გამოსალმებისა“ ორი კონკრეტული მაგალითი, რომლებიც ზემოთქმულ მოსაზრებას დაადასტურებს.
- (2) 14. რომანტიზმის შესახებ საუბრისას დროის დაუნდობლობისა და ადამიანის ხელით შექმნილის წარმავლობის საკითხი დაისვა. მოსწავლეებს თქვენ განუმარტეთ, რომ ამგვარი განწყობილებები მეტად დამახასიათებელია ამ მიმდინარეობისათვის.  
მოიყვანეთ გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ორი კონკრეტული მაგალითი, რომლებიც ზემოთქმულ მოსაზრებას დაადასტურებს.
- (2) 15. გრიგოლ ორბელიანის პოემის შესახებ საუბრისას მოსწავლეებს განუმარტეთ, რომ „სადღეგრძელო“ პატრიოტული სულისკეთებით გამსჭვალული ნაწარმოებია, თუმცა ამ პოემაში მრავალი სხვა მოტივიც გვხვდება, მაგალითად, ბუნების რომანტიკული გაიდეალიზის მოტივი.  
მოიყვანეთ ორი კონკრეტული მაგალითი პოეტის სხვადასხვა ნაწარმოებიდან ზემოთქმული მოსაზრების დასასაბუთებლად.
- (2) 16. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის სწავლებისას გსურთ მოსწავლეებს აჩვენოთ, რომ ზეცისაკენ სწრაფვა, ლაჟვარდისფერის სიყვარული დამახასიათებელია რომანტიკოსთათვის.  
მოიყვანეთ ორი კონკრეტული მაგალითი პოეტის სხვადასხვა ნაწარმოებიდან ზემოთქმული მოსაზრების დასასაბუთებლად.
- (2) 17. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ფიქრი მტკვრის პირას“ განხილვისას თქვენ აღნიშნეთ, რომ ავტორი ამ ნაწარმოებში რამდენიმე რიტორიკულ შეკითხვას სვამს.  
მოიყვანეთ ორი კონკრეტული მაგალითი ლექსიდან ნათქვამის დასასაბუთებლად.
- (1) 18. კლასში დაისვა შეკითხვა: „რა არსებითი სხვაობაა ლავრენტი არდაზიანის პერსონაჟ სოლომონ ისაკის მეჯდანუაშვილსა და გიორგი ერისთავის მიკირტუმ გასპარის ტრდატოვს შორის?“  
მოსწავლეებმა სხვადასხვაგვარად უპასუხეს კითხვას. შემოხაზეთ სწორი პასუხი:  
ა) მიკირტუმ გასპარის მეჯლო თავისი ქალიშვილის სასურველი სასიძოსათვის მითხოვება, მეჯდანუაშვილმა კი ეს ვერ მოახერხა. ბ) მიკირტუმ გასპარის ირონიული დამოკიდებულება აქვს არისტოსტორატულ წარმომავლობას. გ) მიკირტუმ გასპარის ტრდატოვსა და სოლომონ ისაკის მეჯდანუაშვილს შორის არსებითი განსხვავება არ არის. დ) მიკურტუმი ტკბება საკუთარი მატერიალური კეთილდღეობით, ხოლო სოლომონს ცოდვის სიმბიმე აწევს და ამიტოც სიძიდიდრე სულიერ ქმაყოფილებას არ ანიჭებს.
- (2) 19. განუმარტეთ მოსწავლეს, რა ცოდვას გულისხმობდა სოლომონ ისაკის მეჯდანუაშვილი სიტყვებში: „მე მდევნიდა ცოდვა, ჩემი მტერი იყო ცოდვა. სხვა მტერი მე არა მყვანდა“. განმარტების გასამყარებლად დაიმოწმეთ კონკრეტული მაგალითი ტექსტიდან.
- (2) 20. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: „რას გულისხმობს ავტორი „აჩრდილის“ ამ მონაკვეთში?“  
„ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას  
და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული  
ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,  
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,  
უქმისა დრტვინვით, გულის-წვითა მწარე ცრემლს დაღვრის,  
მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს ადდგენასა,  
და იგი ცრემლი ურწმუნბის, ეჭვის და ტანჯვის,  
ჰდადადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.“

განუმარტეთ მოსწავლეს ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

- (2) 21. „განდეგილის“ სწავლებისას მოსწავლემ წაიკითხა პოემის სტროფი:
- „განშორებია ამ წუთისოფელს,  
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,  
სად თვით სიტურფე და საონოება  
ეშმაკის მახე და ცდუნებაა.“
- შემდეგ კი მან ასეთი შეკითხვა დასვა: „რატომ უნდა იყოს სილამაზე ეშმაკის მიერ და-  
გებული მახე?“  
უპასუხეთ ამ შეკითხვას და დაიმოწმეთ შესაბამისი მაგალითი ქართული ლიტერატური-  
დან.
- (2) 22. კონკრეტულად რა გარემოებამ აიძულა იღია ჭავჭავაძე დაეწერა „ქვათა დადადი“ და რა-  
ტომ შეურჩია თხზულებას ამგვარი სათაური?
- (2) 23. „განთიადის“ სწავლებისას მოსწავლემ გთხოვათ განუმარტოთ, ვის გულისხმობდა აკაკი  
წერეთელი ამ ლექსში და რატომ ჩათვალა საჭიროდ ლირიკულმა გმირმა სამშობლოში  
დაკრძალვის სურვილი ანდერძად დაებარებინა?
- (2) 24. რატომ დააკისრა აკაკი წერეთელმა ბახტონის ციხის აღების ისტორიაში ერთ-ერთი  
მთავარი ფუნქცია იმერეთიდან გადმოსულ გლახუნა ბაქრაძეს? თქვენი შეხედულების გა-  
სამყარებლად ტექსტიდანვე დაიმოწმეთ სხვა მაგალითი.
- (1) 25. კლასში დაისვა შეკითხვა: „რომელი ეპიზოდით მთავრდებოდა ალექსანდრე ყაზბეგის  
„ელგუჯას“ ტექსტის პირველი პუბლიკაცია?“  
მოსწავლეებმა სხვადასხვაგვარად უპასუხეს კითხვას. შემოხაზეთ სწორი პასუხი:  
ა) 1804 წლის აჯანყების დამარცხებით. ბ) გაგი ჩოფიკაშვილის სიკვდილით. გ) ელგუჯა  
ნაციიდაშვილის სიკვდილით. დ) სვიმონ ჩოფიკაშვილის სიკვდილით.
- (1) 26. კლასში დაისვა შეკითხვა: „რატომ გაანადურეს ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ პირ-  
ველი გამოცემა?“  
მოსწავლეებმა სხვადასხვაგვარად უპასუხეს კითხვას. შემოხაზეთ სწორი პასუხი:  
ა) გიორგი მეთორმეტის პოლიტიკისადმი კრიტიკული დამოკიდებულების გამო. ბ) ისტო-  
რიული ფაქტების არასწორი ინტერპრეტაციის გამო. გ) ნაწარმოების ანტირუსული სუ-  
ლისკვეთების გამო. დ) საქართველოს წარსულის გაიდეალების გამო.
- (2) 27. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „გველისმჭამელი“:  
ვინ არის ის ისტორიული პირი, რომელიც პოემაშია ნახსენები და მინდიას რა დამსახუ-  
რებას აღნიშნავს იგი?
- (2) 28. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „გველისმჭამელი“:  
რა ნახა მზიამ სიზმარში და რის მომასწავებული აღმოჩნდა იგი?
- (2) 29. მინდია საყვედურით ეუბნება ცოლს:
- „უფლისგან მომადლებული  
დიდი ცოდნა და ძალია  
დავკარგე შენის აყოლით,  
წელზე რადღა მრტყავ ხმალია?“
- „უფლისგან მომადლებული“ რა „დიდი ცოდნა და ძალი“ დაკარგა მინდიამ და კონკრე-  
ტულად რამ გამოიწვია ეს?
- (1) 30. განუმარტეთ მოსწავლეს, რატომ გამოიწვია დავით კლდიაშვილმა დუელში ბათუმის გა-  
ხეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორი პალმი.
- (2) 31. დავით კლდიაშვილის მოთხოვბა „ბაკულას დორების“ შესახებ საუბრის დროს თქვენი<sup>1</sup>  
მიზანია, ყურადღება გაამახვილოთ, თუ როგორ აგებს აგზორი თხრობას სიტუაციურ კო-  
მიზმზე.  
მოიყვანეთ ნაწარმოებიდან ორი კონკრეტული მაგალითი, რომლებიც ზემოთქმულ მო-  
საზრებას დაადასტურებს (გაიზოდების შინაარხების გადმოცემა აუცილებელი არ არის).

- (1) 32. მოსწავლემ ვერ გაიგო, რატომ ახსენებს გრიგოლ რობაქიძე დოსტოევსკის ამ მონაკვეთში: „...იტალიურ ჟურნალისტებს დოსტოევსკიც კი დაავიწყდათ. მაგრამ თამაზს არ დავიწყებია. მის ტვინს ეჭვი წვავდა... რატომ მაინცდამაინც „ეშმაკებზე“ ჩამოუგდეს სიტევა“. განუმარტეთ მოსწავლეს, რა მიზნით იყენებს ავტორი დოსტოევსკის წიგნს თავის რომანში.
- (2) 33. კონსტანტინე გამსახურდიას რომანის ტექსტზე მუშაობისას მოსწავლემ დასვა შეკითხვა: „რატომ არ უყვარდათ ერთმანეთი მელქისედეგ კათალიკოსესა და მევე გიორგის?“ დაასახელეთ ორი მიზეზი, რომლებიც განაპირობებდა მეფესა და კათალიკოსს შორის „უჩინრად წარმოებულ ბრძოლას“.
- (1) 34. უპასუხეთ მოსწავლის შეკითხვას: „რატომ აღწერს ავტორი მოთხოვობაში „ლამბალო და ქაშა“ ამდენ სისახტიკესა და დაუნდობლობას?“
- (1) 35. უპასუხეთ მოსწავლის შეკითხვას: „რა მიზანს ისახავს მიხეილ ჯავახიშვილი, როდესაც ასე ხშირად უსვამს ხაზს თეიმურაზ ხევისთავის უსუსურობას?“
- (1) 36. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: „რატომ მოიხსენიებს მიხეილ ჯავახიშვილი ასე ირონიულად მწიგნობრებს „ჯაყოს ხიზების“ მოცემულ მონაკვეთში?“ „ახალი და ცოცხალი ცხოვრება არა ჰგავდა თეიმურაზის და იმის მასწავლებელ მწიგნობართა ნაროშვარს. ჰედავდა ამ უცნაურობას თეიმურაზი და გულუბრყვილოდ ბრაზობდა იმის გამო, რომ ცხოვრება წიგნებს არ ემორჩილებოდა, არც კი ეკითხებოდა, და ბრძენთა ნებადაურთველად, თავისი გზით თავხედურად მიაბიჯებდა“. განუმარტეთ მოსწავლეს, რის თქმა სურს ავტორს.
- (2) 37. ნიკო ლორთქიფანიძის მოთხოვობის „შელოცვა რადიოთი“ განხილვისას მოსწავლეთა ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ ნაწარმოების მთავარი თემაა ნოსტალგია; მეორე ნაწილი კი ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ მოთხოვობა ტრაგიკული სიყვარულის შესახებაა დაწერილი. ერთო-ორი წინადაღებით განუმარტეთ მოსწავლეებს მოთხოვობის თემა და იდეა.
- (1) 38. მოსწავლემ ვერ გაიგო, რის თქმა სურს ნიკო ლორთქიფანიძეს მოთხოვობის „შელოცვა რადიოთი“ ამ მონაკვეთით: „ხელოვნების ნაწარმოებს უურადღებით ათვალიერებდა იგი არა „ფიქროვ გასართველად“, ცოდნის შეძენისა და ესთეტიკურ განცდათა მისაღებათ, არამედ პირადი ტკივილების გასამწვავებლად, მივიწყებულის გასახსენებლად, ახალ იარის მისაღებად და აღსაძვრელად. ეს იყო მწუხარებით ლოთობა. და რაც უფრო ხშირად დააქროლებდენ გამიჯურებული ვაჟები დრამიდან დამის ყავახანებში, დოდიდან სამხრის ჩაიზე, რაც უფრო ძვირფასი იყო ამბაჩა და სირაქლემას კალმებიდან შეეკრილი ხედაწელი, მით უფრო დიდხანს რჩებოდა იგი იდუმალ ტანჯვის გამომხატველ ქანდაკბასთან, ნახატთან... ნერვებს სწვავდა ორივ მხრიდან“. ახსენით, რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი.
- (1) 39. გამოყავით მოცემული ტექსტის ძირითადი მხატვრული თავისებურება: „ქალი დაიხარა. გველთა კუდები ზე-აიტანა. გველები აქაც შემოჭკვდენ დასხებილ მკლავებს; ქალმა მოალერსე ხელები შემოავლო გველების თავებს... სიყვარულით გაედენთილი, ამდვრული, მინელებული თვალები ქვე დახარა და გაპობილი ბაგე უნდოდა დაეკონა ჭრელ მიჯნურებისთვის, რომ შემდეგ ყელსაბმურად შემოევლო... დარეტიანებულ გედათ ტორგმანით დაეშვა ნოხეზე. სურათის დასამთავრებლად ესეც მშვენიერი გამოდგა. სულ-განაბული იყო ყველა, აღტაცების გამოსათქმელად ელოდენ წუთს, როცა ელი ფეხზე წამოდგებოდა. გადაისრიალეს ტანზე ურწმუნოებმა და სისინით გაიზლაზნენ კალათებისკენ... პირველი ჰელსლეი გაექანა...“
- (2) 40. „ყვარეულე თუთაბერის“ ტექსტზე მუშაობის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა: რით ჰგავს და რით განსხვავდება ყვარეულე თუთაბერი ხალხური ნაცარქექიასაგან?
- (2) 41. „ყვარეულე თუთაბერის“ ტექსტზე მუშაობის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა: – როგორ უნდა გავიგოთ ქუჩარას სიტყვები: „ბოლშევიკებს, თურმე, ერთი კალაპოტი მოუტანით, ვინც პატარაა, იმაზე გაადიდებენ და ვინც დიდია, იმაზე დაამოკლებენ. რაც უნდა იხტუნო, თურმე, იმ კალაპოტს ვერ გაექცევი“.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა იგულისხმება პერსონაჟის სიტყვებში და დაასახელეთ ან-ტიკური მითოლოგიიდან მომდინარე რომელ გამოთქმას გამოიყენებდით მსჯელობის დროს.

- (2) 42. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ანალიზისას ერთ-ერთმა მოსწავლემ გამოთქვა მოსაზრება, რომ გალაკტიონის ზოგიერთ ლექსში აზრი არ ჩანს და მხოლოდ მუსიკალურობა (რიტ-მი და რითმა) ხიბლავს ადამიანს. თავისი თვალსაზრისის დასასაბუთებლად მან მოიყვანა სტროფი ლექსიდან „საუბარი ედგარზე“:

„ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელი,  
როცა საუბარი ედგარ პოეზეა!  
აჩრდილს თანაზიარს მარად საშინელი  
დასდევს განწირულთა შავი პოეზია.“

განუმარტეთ მოსწავლეს, რომ მისი თვალსაზრისი მცდარია.

- (1) 43. მოსწავლემ დასვა შეკითხვა – „რას გულისხმობს გრიგოლ რობაქიძე სიტყვებში: „გიორგი ლეონიძეს არ ესაჭიროება მიწასთან დაბრუნება. იგი თვითონ არის მიწა“. უპასუხეთ მოსწავლის შეკითხვას.

- (1) 44. მოსწავლემ დასვა შეკითხვა – „რას გულისხმობს კოლაუნ ნადირაძე ამ სიტყვებში:  
„თეორ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით  
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!“  
უპასუხეთ მოსწავლის შეკითხვას.

- (1) 45. კლასში დაისვა შეკითხვა: „რატომ დაწერა პაოლო იაშვილმა ეს სტროფი?“  
„უფალო! უსმინე შავარდენს,  
მის პირით გიგზავნი ბარათს,  
მიშველე ღორებში ჩავარდნილს,  
ღორებში დარჩენილს მარად.“

მოსწავლებმა სხვადასხვაგვარად უპასუხეს კითხვას. შემოხაზეთ სწორი პასუხი:  
ა) იმიტომ, რომ ბოლშევიკებმა დახვრიტებს ტიციან ტაბიძე და მიხეილ ჯავახიშვილი.  
ბ) იმიტომ, რომ ვერ ეგულებოდა ბოლშევიკურ რეჟიმს საქართველოში.  
გ) იმიტომ, რომ თავისი მატერიალური გაჭირვება ეწვენებინა მკითხველისათვის.  
დ) იმიტომ, რომ სურდა, გამოეხატა ხელოვანის ყოფა ბოლშევიკურ საქართველოში.

- (2) 46. პაოლო იაშვილი წერს:

„ასული მწველია ძველი სურნელებით,  
დედოფლის ალერსი გრძელია, ძნელია;  
ლეილა ლოცულობს დაღალულ ხელებით,  
ქალები გალობით ალიონს ელიან.“

რა მხატვრული საშუალება ანიჭებს ამ სტროფს განსაკუთრებულ ჟღერადობას? განუმარტეთ მოსწავლებს ამ მხატვრული საშუალების თავისებურებას.

- (1) 47. მოსწავლემ დასვა შეკითხვა – „რას გულისხმობს ტიციან ტაბიძე ამ სტროფში:  
„გაფიზის ვარდი მე პრუდომის  
ჩავდე ვაზაში.  
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის  
ბოროტ ყვავილებს.“  
უპასუხეთ მოსწავლის შეკითხვას.

- (1) 48. ტიციან ტაბიძე წერს:

„...და მე ხანდისხან მეჩვენება,  
კიოთმ სამყარო  
ბაღია დიდი, დაწყევლილი  
და შხამიანი.  
მიმეგ მხედარნი, შუბლშეკრულნი  
და უაბჯარო,  
მოპერიან: რემბო, ერედია,  
ემილ ვერპარნი.“

განუმარტეთ მოსწავლებს: რატომ ახსენებს ავტორი ეკროპელ პოეტებს.

- (2) 49. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: „რატომ იწყება გურამ დოჩანაშვილის მოთხოვნა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ასეთი დახლართული წინადაღებებით?“ „ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ხელმძღვანელმა დამიბარა და თქვა: „ოქვენს მომავალ ნაშრომში უნდა აისახოს ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა უოველდღიური საქციელის ასპექტების ასახვა და გამომჟღავნდეს კანონზომიერებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მის დამოკიდებულებას ცხოვრების პირობებისადმი. საზოგადოების ფუნქციონერობებისა და განვითარების იმ მხარეებში, რომელსაც ამჟამად გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე აქამდე, პატარა ადგილს როდი იჭერს ყოფა-ცხოვრება, წარმოების გარეთა სფერო ადამიანის საქციელსა და მოქმედებაში.“ განუმარტეთ მოსწავლეს, რა მიზანს ისახავს მოცემული ტექსტი და რა ძირითად მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი მიზნის მისაღწევად.

## ქართული ლიტერატურის დაგალებათა შეფასების სქემა

1. ერთი ვარაუდის მიხედვით, თხზულება შეიქმნა IX საუკუნეში, ხოლო მეორე თვალსაზრისის მიხედვით, იგი IV საუკუნეში დაიწერა.
    1. *IX საუკუნეში* ————— *IJ.*
    2. *IV საუკუნეში* ————— *IJ.*
  2. აფხაზეთი დაცული იყო არაბთა უდლისაგან და საფრთხე არც სარწმუნოებას ემუქრებოდა და არც ეროვნულ თვითმყოფადობას. რაც შეეხება ქართლსა და სამცხეში გაპარვას, გრიგოლმა თეოდორე და ქრისტეფორე უკან არ დააბრუნა, პირიქით – მოუწონა განზრახვა და მიეხმარა კიდეც სამონასტრო ადგილების შერჩევაში (დასაშვებია აგრეთვე – თავდაპირველად გრიგოლმა ჩათვალა, რომ მისი მოწაფეები მზად არ იყვნენ სამონასტრო მშენებლობისათვის, ხოლო შემდეგ დარწმუნდა მათს შესაძლებლობებში). ————— *IJ.*
  3. ტექსტში ნათქვამია, რომ გრიგოლი გარდაიცვალა „ქორონიკონისა თხმეოც და ერთსა“. დღევანდელ სისტემაზე გადასაყვანად ამ რიცხვს (81-ს) უნდა დაემატოს 780, რადგან ქორონიკონის სისტემა 532 წლიან ციკლს მოიცავდა და, ძველების ანგარიშით, 780 წელს დამთავრებულა 12 ასეთი მოქცევა-ციკლი. გრიგოლი გარდაიცვალა მეცამეტე მოქცევის 81-ე წელს, ე. ი. გამოდის 861 წელი. ავტორის ცნობით, გრიგოლი 102 წლის ასაკში გარდაცვლილა, მაშასადამე, გრიგოლი დაბადებულა 759 წელს. რაკი ტექსტში მითითებულია, რომ თხზულება გრიგოლის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ დაიწერა, მაშასადამე, ტექსტის შექმნის თარიღია 951 წელი.
    1. *თორმეტი ქორონიკონის წელთა რაოდენობას (780-ს) უნდა დაემატოს ტექსტში მითითებული 81 წელი და მიღებულ 861 წელს გამოაკლდეს 102 და მივიღებთ 758 წელს* ————— *IJ.*
    2. *861 წელს უნდა დაემატოს 90 წელი და მივიღებთ 951 წელს* ————— *IJ.*
    4. იოვანე იმიტომ სთხოვს თორნიკეს, თავისი ლაშქრობების შესახებ გაბრიელის გარდა სხვა ბერებს არაფერი უამბოს, რომ თორნიკეს მონათხორობმა შესაძლოა გაუფანტოს ბერებს ყერადლება და მოსწყვიტოს ისინი სულიერ ცხოვრებას; გაბრიელის რწმენა კი იმდენად მტკიცე და ურყევია, რომ მისთვის ამგვარი საცდური არ არსებობს.
  1. *რომ ბერების ყურადღება არ გაიფანტოს* ————— *IJ.*
  2. *გაბრიელის რწმენა შეურყეველია* ————— *IJ.*
  5. შეუცნობელო და ენიო გამოუთქმელო, ყოველგვარი ზეციური თუ მიწიერი ძალაუფლების პატრონო (უფალო), მომანიჭე ვნებათა დაძლევის (დათრგუნვის) უნარი; გამაბატონე კველა იმ სურვილზე, რომლებიც ხელს შემიშლის მაღალი მიზნისაკენ სვლაში. ————— *IJ.*
  6. ფატმანის ამგვარი შეფასება, უპირველეს ყოვლისა, იმის გამოა უმართებულო, რომ იგი მეგობრობას უწევს ნესტან-დარეჯანს და სწორედ მისი დახმარებით ახერხებს ავთანდილი ნესტანის ადგილსამყოფლის დადგენას. ფატმანმა არა მარტო საკუთარი თავი, მთელი ოჯახის ინტერესები დადო სასწორზე ნესტანის გადასარჩენად (ხოლო როცა გაიგო, რომ ავთანდილის გრძნობები მოჩვენებითი იყო, კი არ გაბრაზდა, არამედ განაგრძო ზრუნვა ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის გადასარჩენად).
  1. *მთაგარი პერსონაჟების ბერნიერება ფატმანის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა* ————— *IJ.*
  2. *ფატმანის დამსახურებას საგანგებოდ აღნიშნავებს პოემის გმირები* ————— *IJ.*
  7. დიონისე არეოპაგელის მოძღვრების მიხედვით, სიკეთეს აქვს სუბსტანცია („არსება“), რასაც ბოროტება მოკლებულია. ასე რომ, „ვეფხისტეოსნის“ აფორიზმით გამოხატულია აზრი, რომ „არსების“ მქონე სიკეთემ სძლიია „არსების“ არმქონეს – ბოროტებას. შესაბამისად, მოსწავლის პასუხი – „...ძალით აჯობა“ – არ არის სწორი.
  1. *ამ აფორიზმით გამოხატულია აზრი, რომ სიკეთეს მარადიული არსებობა ახასიათებს, ბოროტება კი უარსოა* ————— *IJ.*
  2. *ავტორის ეს შეხედულება ეყრდნობა დიონისე არეოპაგელის მოძღვრებას სიკეთის მარადიულობისა და ბოროტების „უარსობის“ შესახებ (ბოროტება „არარსია“)* ————— *IJ.*
  8. თხზულებაში „მოგზაურობა ევროპაში“ მწერლის საფრანგეთში ყოფნის ამსახველი ეპიზოდები იმიტომ არ არის შესული, რომ ნაწარმოების ეს მონაკვეთი დაკარგულია.
9. *სულხან-საბა ორბელიანი ვახტანგ მეექვსეს გადასცემს „ქილილა და დამანას“ ტექსტს, რომელიც ვახტანგმა სპარსულიდან თარგმნა, ხოლო სულხან-საბამ თარგმანს რედაქცია გაუკეთა („გაჩალხა“) და ცალკეული მონაკვეთები გაღესა.*
  1. *„ქილილა და დამანა“* ————— *IJ.*
  2. *ზოგიერთი მონაკვეთი გაღესა* ————— *IJ.*
10. *ქართველთა თავს დატეხილი უბედურება პირველ რიგში გამოიწვია იმან, რომ ქართველებმა თავიანთი ცოდვებით დმერთი განარისხეს; აგრეთვე იმანაც, რომ ქვეყანა დაასუსტა და დაუძლურა ძმათა შორის ჩამოვარდნილმა შუღლმა, სიძულვილობამ და შინაომებმა.*

1. დეთის რისხება ————— 1j.
2. ძმათა შუღლება ————— 1j.
11. ნაწარმოები იმიტომაა ალეგორიული ხასიათის, რომ სატრფოში აქ სამშობლო იგულისხმება. „მას ვსჭრებ პატიმრად, ვის მონებს გული...“ და „გუშაგნი ბევრნი თვითოსა მცველად გვყვან ნების წარმტაცველად...“
1. „მას ვსჭრებ პატიმრად, ვის მონებს გული...“ ————— 1j.
2. „გუშაგნი ბევრნი თვითოსა მცველად გვყვან ნების წარმტაცველად...“ ————— 1j.
12. ეს მაგალითებია: „პსაჯეთ, აყრობილმან უწყისა ტრფობა? საცა გინდ ვიყო, მასთან ვარ მარად“; „მე ერთმან ერთგზის ერთს უძმდვენ თავი, მასვე უმონებდე მტკიცედ და მყარად...“
1. „პსაჯეთ: პყრობილმან უწყისა ტრფობა? საცა გინდ ვიყო, მასთან ვარ მარად...“ ————— 1j.
2. „თუ მასცა ჩემებრ უცავს სიმტკიცე, ვიძრალებ რაყიფს, შერების მომცდარად, მე იგივე ვარ მარად და მარად, არ გხდევ უამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად!“ ————— 1j.
13. ეს მაგალითებია: „მიდიხიარ სატრფოვ? მშვიდობით! მარად დღე ჩემი კურობევა ცად მიმართ შენ-თვის მექნება, ვიდრემდის სული მელევა!“; „...მშვიდობით! შენს გულს ნუ პშორდეს მშვიდობა!“
1. „მარად დღე ჩემი კურობევა ცად მიმართ შენთვის მექნება...“ ————— 1j.
2. „...შენს გულს ნუ პშორდეს მშვიდობა!“ ————— 1j.
14. ეს მაგალითებია: „ვაჲ, თუ რაც წახდეს, ვედარა აღჭირდება, ვედარ აღყვავდეს ახლის შვენებით? და რაც დაეცა ის წარიტაცა შავმან ყორანმა ვით უმწე მსხვერპლი!“; „ნუთუ ესლა გვაქს, ვჰედავთ რასაცა? დაყრუებულსა, გზა შეუვალსა, უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს...“
1. „ვაჲ, თუ რაც წახდეს, ვედარა აღჭირდეს...“ ————— 1j.
2. „გვხედავთ... უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს...“ ————— 1j.
15. ეს მაგალითებია: „ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეჰქება, ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შვენება!“; „ოჲ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული! დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმით, პგალობს ბულბული?“
1. „ცისკარმან აღმოსავლეთი ფერად შეჰქება...“ ————— 1j.
2. „ოჲ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!“ ————— 1j.
16. ზეცისაკენ სწრაფვა და ლაუგარდისფერის სიყვარული ჩანს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექ-სებში: „ცისა ფერს“ („ცისა ფერს, ლურჯსა ფერს და არა ამ ქვეყნიერს, სიყრმიდგან ვეტრფო-დი...“) და „შემოღამება მთაწმინდაზე“ („აწცა რა თვალი ლაუგარდს გიხილვენ...“).
1. „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს...“ ————— 1j.
2. „აწცა რა თვალი ლაუგარდს გიხილვენ...“ ————— 1j.
17. ეს მაგალითებია: „არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება რად იყო ფუჭი და მხო-ლოდა ამაოება?..“; „მაინც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი, თუ არა ოდენ საწყაული აღუგ-სებელი?“; „ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს, და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვ-რით, ისი ექმაროს?“; „თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?“; „მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდ ბოლო მოეღოს, მაშინ ვიღამ სოქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..“
1. „მაინც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი, თუ არა ოდენ საწყაული აღუგსებელი?“ ————— 1j.
2. „მაშინ ვიღამ სოქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..“ ————— 1j.
18. ღ) ————— 1j.
19. სოლომონ ისაკი მეჯდანუაშვილმა მევახეშვილით (ადამიანების მოტყუებით) დააგროვა ქონქ-ბა. მან სასტიკად იძია შერი გასპარ სარქისბეგაშვილზე (გააკოტრა იგი).
1. ადამიანების მოტყუებას ————— 1j.
2. გახარ სარქისბეგაშვილის გაკოტრება ————— 1j.
20. სანამ ქართველი ქრისტიანული რწმენითა და ზნეობით არ განმტკიცდება და არ გააცნობიე-რებს საზოგადოებრივი ცხოვრების არსესა და მნიშვნელობას, მანამდე იგი დაიტანჯება უიმედო-ბით, ურწმუნოებითა და ეჭვით, რაც მისი უძლურების გამომხატველიც იქნება.
1. ქართველმა უნდა გაიაზროს საზოგადოებრივი ინტერესების სახიცოცხლო მნიშვნელობა - 1j.
2. სანამ ამას არ შეძლებს, ვერ ირწმუნებს, რომ მამულის გადარჩენა შესაძლებელია ————— 1j.
21. ხორციელი სილამაზე და ამქვეყნიური მისწრაფებები, განდეგილის აზრით, ეშმაკის მიერ დაგებული მახეა, რადგან ყოველივე ეს ცდუნებისაკენ, ცოდვისაკენ უბიძგებს ადამიანს; რაკი მატერიალური სამყარო ცდუნების საფუძველია (იგი, ბერის აზრით, ცოდვითა სავსე), სულიერი სრულყოფილების მიღწევის მიზნით ადამიანმა უნდა დათმოს უკელაფერი და განუდგეს ამქვეყ-ნიურობას. გრიგოლ ხანძთელმა თვით ეპისკოპოსის წოდებაც კი ხორციელ დიდებად მიიჩნია და ღვთის სამსახურის მიზნით უდაბნოსკენ გაეშურა.
1. იმიტომ, რომ ყოველივე ეს ცდუნებისაკენ, ცოდვისაკენ უბიძგებს ადამიანს ————— 1j.
2. გრიგოლ ხანძთელმა მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება მიატოვა ————— 1j.

22. „ქვათა დალადის“ დაწერა იღია ჭაბჭავაძეს აიძულა სომებს მეცნიერთა მიერ საქართველოს ისტორიის გაყალბებამ. ამგვარი დასათაურებით ავტორი მიანიშნებს იმას, რომ ეყრდნობა ისტორიულ-დოკუმენტურ წყაროებს.

1. **საქართველოს ისტორიის გაყალბებამ** ————— IJ.

2. **იღია ეყრდნობა ისტორიულ-დოკუმენტურ წყაროებს** ————— IJ.

23. ამ ლექსში აკაკი წერეთელი დიმიტრი ყიფიანს გულისხმობდა, რომელიც, როგორც ცნობილია, სამშობლოდან შორს, რუსეთში მოკლეს.

1. **დიმიტრი ყიფიანს** ————— IJ.

2. **იმიტომ, რომ იგი უცხოეთში დაიღუპა** ————— IJ.

24. ავტორმა ბახტრიონის ციხის აღების ისტორიაში ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იმერეთიდან გადმოსულ გლახუნა ბაქრაძეს იმიტომ დააკისრა, რომ გამოეხატა საქუთარი პოზიცია: ქართველები მხოლოდ გაერთიანებული ძალებით შეძლებენ მტერზე გამარჯვებას. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ბახტრიონის აღებაში არსებითი როლი ქსნის ერისთავებმა და არაგველებმაც შეასრულებს.

1. **საქართველოს ერთიანობის იდეის გამოსახატავად** ————— IJ.

2. **აჯანყებაში ქსნის ერისთავებიცა და არაგველებიც მონაწილეობდნენ** ————— IJ.

25. გ) ————— IJ.

26. გ) ————— IJ.

27. „გვირგვინოსანი თამარი“. თამარ მეფე აღნიშნავს მინდიას თავდადებას მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1. **თამარ მეფე** ————— IJ.

2. **თავდადებას მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში** ————— IJ.

28. მზიამ სიზმარში ნახა, რომ სოფელს დელგმა დაატყვდა თავს (რომ ის და მისი ოჯახი მოვარდნილმა წყალმა წაიღო). მზიას სიზმარი იმის მომასწავებელი აღმოჩნდა, რომ სევსურები დამარცხდნენ ქისტებთან (მტერთან) ბრძოლაში (აღმოჩნდა მინდიას სიკვდილის მომასწავებელი).

1. **მათი სახლ-ქარი წყალმა წაიღო** ————— IJ.

2. **მინდიას სიკვდილის მომასწავებელი** ————— IJ.

29. მინდიამ დაკარგა ბუნების (ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა) ენის გაგების უნარი. ეს გამოიწვია იმან, რომ მან ცოლის დაჟინებული მოთხოვნის გამო ინადირა და ხე მოჭრა.

1. **დაკარგა თავისი გამორჩეული უნარი** ————— IJ.

2. **ინადირა (ხე მოჭრა)** ————— IJ.

30. ბათუმის გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკში“ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც გაშარქებული იყო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის დაკრძალვის ცერემონიალი.

**გაბრიელ ეპისკოპოსის გასევების გაშარქება** ————— IJ.

31. ზენათის წევლის ეპიზოდი ნაწარმოების დასაწყისში; გალაქტიონის გადაწყვეტილება შაშასა და რუსი მოხელის დაპატიჟებით შეაშინოს ბაკულა და მისი ღორები; შაშასა და გალაქტიონისა და შაშასა და რუსი „სეკურეტარის“ დიალოგები; დორების შემოსევა ქეიფის დროს...

1. **ბაკულასა და მისი ღორების შეშინება** ————— IJ.

2. **სუვრის ეპიზოდი** ————— IJ.

32. გრიგოლ რობაქიძე პარალელს ავლებს დოსტოევსკის წიგნში დახატულ რეალობასა და ბოლშევიკურ რეჟიმს შორის (დასაშევებია აგრეთვე – დოსტოევსკის წიგნის არშიებზე იოსებ სტალინის მეტსახელის „ჯუდას“ მიწერით გამოხატულია თამაზ ენგურის პოზიცია).

**თამაზ ენგურის დაჭერის ერთ-ერთი საბაბი დოსტოევსკის წიგნის არშიებზე გაკეთებული მინაწერები ხდება** ————— IJ.

33. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ კათალიკოსი რჯულის ერთიანობის გამო აიდეალებდა ყოველივე ბიზანტიურს, მეფე კი ებრძოდა ბიზანტიულების პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას, გარდა ამისა, მელქისედეკი გიორგი პირველს რჯულის უპატივცემულობაში ადანაშაულებდა (კათალიკოსი მეფისათვის შორენას ჩამოცილებას ცდილობდა).

1. **იმიტომ, რომ ბიზანტიის იმპერიის მიმართ მათ ურთიერთდაპირისპირებული პოზიციები პქონდათ** ————— IJ.

2. **მელქისედეკი რჯულის უპატივცემულობაში ადანაშაულებდა გიორგის** ————— IJ.

34. მოთხოვნაში „ლამბალო და ყაშა“ აგტორი იმიტომ აღწერს ამდენ სისასტიკესა და დაუნდობლობას, რომ შექმნას ეპოქის სურათი და კიდევ უფრო დამაჯერებლად გამოხატოს პერსონაჟთა ტრაგიზმი.

**ეპოქის ასახვის მიზნით** ————— IJ.

35. თეიმურაზ ხევისთავის უსუსურობის ჩვენებით მიხეილ ჯავახიშვილი გამოხატავს ქართული ინტელიგენციის (არისტოკრატიის ერთი ნაწილის) გადაგვარებას.

- რათა გამოხატოს საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილის დეგრადაცია ——————Iქ.**
36. „ჯავოს ხინჯების“ ამ მონაკვეთში მიხეილ ჯავახიშვილი მწიგნობრებს ირონიულად იმიტომ მოიხსენიებს, რომ არსებული (ბოლშევიკური) რეალობა ძალზე დაშორებულია წიგნებში ასახული სინამდვილისაგან.
- წიგნებში ასახული რეალობა და თეიმურაზის ცხოვრება ერთმანეთს არ შეესაბამება ——————Iქ.**
37. ნაწარმოების თემაა ემიგრანტის ტრაგიული ცხოვრება XX ს-ის დასაწყისის რთული ისტორიული ვითარების ფონზე; იდეა კი ის არის, რომ ქართველს სამშობლოს გარეშე ცხოვრება არ შეუძლია.
1. ემიგრანტის ცხოვრების ტრაგიზმი ——————Iქ.
2. ქართველისათვის სამშობლოს გარეთ უზრუნველი ცხოვრებაც კი მომაჯვდინებელია ——————Iქ.
38. მწერალს სურს აჩვენოს, რომ ნოსტალგიას ესთეტიკური განცდა ამბაფრებს.
- ხელოვნების ნიმუშები ნოსტალგიას ამბაფრებს ——————Iქ.**
39. ამ ტექსტის ძირითადი მხატვრული თავისებურებაა თხრობის დინამიზმი და ექსპრესიულობა.
- დინამიზმი (ექსპრესიულობა) ——————Iქ.**
40. ყვარელურები ნაცარქექიას ცრუ საქმიანობითა და მახვილგონიერებით (ეშმაკობით...) ჰგავს, ხოლო განსხვავდება იმით, რომ ყვარელურები ბოროტებას ემსახურება, ნაცარქექია კი – სიკეთეს.
1. ცრუ საქმიანობით (მახვილგონიერებით) ——————Iქ.
2. ერთი ბოროტებას ემსახურება, ხოლო მეორე – სიკეთეს ——————Iქ.
41. ბოლშევიკური სისტემა ებრძვის პიროვნულ თვითმყოფადობასა და თავისუფლებას (ბოლშევიკური სისტემა ახშობს განსხვავებულ აზრს). „პროკრუსტეს სარეცელება“.
1. ბოლშევიზმი სპობს პიროვნულ თავისუფლებას ——————Iქ.
2. „პროკრუსტეს სარეცელება“ ——————Iქ.
42. ამ სტროფის აზრი ის არის, რომ ავტორი გამოხატავს თავის სულიერ სიახლოვეს ამერიკელ რომანტიკოს პოეტ ედგარ პოსტონ და, ამავე დროს, თავისებურად ახასიათებს მის პოეზიას („მარად საშინელი... დასდევს განწირულთა შავი პოეზია“).
1. ახსენებს ედგარ პოს ——————Iქ.
2. ახასიათებს მის პოეზიას ——————Iქ.
43. გრიგოლ რობაქიძე გულისხმობს, რომ გიორგი ლეონიძე თავისი შემოქმედებით რეალისტია, ახლოსაა „მიწასთან“ და სიმბოლიზმი უცხოა მისი შემოქმედებითი მეთოდისათვის.
- გიორგი ლეონიძე მხოლოდ პირადი ურთიერთობების გამო იყო „ცისფერი ორდენის“ წევრი, შემოქმედებითი მეთოდის თავაღსაზრისით კი იყო არ იყო სიმბოლისტი ——————Iქ.**
44. კოლაჟ ნადირაძე ამ სიტყვებში გულისხმობს 1921 წლის 25 თებერვლის ტრაგედიას – საქართველოს დაპყრობას რუსეთის მე-11 არმიის მიერ.
- ავტორი გულისხმობს, რომ წითელი არმიის სახით თბილისში სიკვდილი შემოვიდა ——————Iქ.**
45. დ)
46. ამ სტროფს განსაკუთრებულ ედერადობას ანიჭებს ალიტერაცია. ალიტერაციის თავისებურებაა თანხმოვანთა განმეორება შესიკალური (ბგერწერული) ეფექტის შესაქმნელად.
1. ალიტერაცია ——————Iქ.
2. თანხმოვანთა განმეორება ——————Iქ.
47. ტიციანი გამოხატავს აზრს, რომ მისი შემოქმედება აერთიანებს აღმოსავლური და დასაგლური მხატვრული აზროვნების მიღწევებს.
- ხდება აღმოსავლური და დასაგლური მოტივების შერწყმა ——————Iქ.**
48. ტიციან ტაბიძე იმიტომ ახსენებს ევროპელ პოეტებს, რომ გამოხატოს თავისი პოეტური ორიენტირები – თავად პოეტის თქმით, მისი მიზანი იყო „ქართული პოეზიის ევროპულ რადიუსზე გამართვა“.
- ავტორი გამოხატავს ქართველი სიმბოლისტების სწრაფვას ევროპული კულტურისაბენ ——————Iქ.**
49. გურამ დოხანაშვილის ამ ტექსტის მიზანია ხელმძღვანელის მეტყველების მეშვეობით გამოხატოს პერსონაჟის ხასიათი (ამბარტავანი და განსწავლულობის ნიდაბს ამოფარებული უგემოვნო ადამიანის სახე). ამ მიზნის მისაღწევად ავტორი გვთავაზობს მაღალფარდოვან, კანცელარიზმებითა და ფუჭსიტყვაობით გაჯერებულ ტექსტს.
1. პერსონაჟის დახასიათებას ——————Iქ.
2. ხელოვნურად დამძიმებულ სტილს ——————Iქ.

## გ) მხატვრული ტექსტის ანალიზი

(4) 1. წაიკითხეთ მინიატურა ილია ჭავჭავაძის მოთხოვნიდან „ამბავად გაგონილნი“.

შეფე გიორგი XIII ერთს დროს ყაზახ-ბორჩალოს მიბრძანებული და სწევენია ერთს დარბაისელს, საქართველოს ერთგულს მოხუცებულს ადალარსა. ჩამოვარდნილა ლაპარაკი ცხენებზედ და მეფეს უკითხავს აღალარისათვის:

— ყაზახ-ბორჩალოს ცხენი უწინ განთქმული იყო მთელს საქართველოში, ეხლა კი ამისთანაც ცხენები აღარ გამოდიან. რა იქნებ ის უწინდელი ცხენები?

— იმ ცხენებზედ ის უწინდელი ქართველები შესხდნენ და წავიდნენ, — უპასუხა გულამოჯდომით მოხუცებულმა აღალარმა.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

• განმარტეთ, რა განწყობილების შექმნა სურს ავტორს ამ ტექსტით;

• ჩამოყალიბეთ, რა საშუალებებს იყენებს ავტორი დასახული მიზნის მისაღწევად.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

(ნაშრომი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

(4) 2. წაიკითხეთ მინიატურა ნიკო ლორთქიფანიძის მოთხოვნიდან „ხელოვანთა ყავახანა“.

ბავში, ხუთი წლის ბავში წმენდს ფორთოხალს.

თითო ჭდოს დაურიგებს სტუმრებს: უკანასკნელი დარჩება — უნდა პირში ჩაიდვას... ამ დროს შემოდის დედა; შესთავაზებს; დედა უყურადღებოთ ართმევს და ჭამს.

ბავში ჩაიდებს სალოკ თითს პირში; ბევრი მოთმენის შემდეგ თვალები აუცრემლდება...

სტუმრებს ედიმება. ბავში იწყებს გულამოსკვნილ ტირილს.

მსხალი!

თხილი!

კანფეტი!

სიცილ-ნარევი თანაგრძნობით აწვდიან ბავშს.

— არ მინდა! არა! ფორთოხალი! — ტირის ბავში.

ფორთოხალი კი გამოლეულა...

კარგი ბავში, კეთილი ბავში, სულელი ბავში!

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

• იმსჯელეთ, რა არის ამ მინიატურის მთავარი სათქმელი;

• იმსჯელეთ, რა საშუალებებს იყენებს ავტორი სათქმელის გამოსახატავად.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

(ნაშრომი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

(4) 3. წაიკითხეთ ნაწყვეტი დავით კლდიაშვილის მოთხოვნიდან „როსტომ მანველიძე“.

ზღაპრული სახლთუხუცესის შემდეგ მანველიძეთა გვარი მაინცდამანც არავის უსახლებია, თუ მხედველობაში არ მივიღებოთ რამოდენიმე ყმაწვილს, რომელთაც მაომა არასაკადრისმა საქციელმა ციმბირში ამოაყოფინა თავი. მაგრამ მანველიძეებს მაინც დიდად მოჰქონდათ თავი, ძვირად თუ ვისმეს იტოლებდნენ და სხვა აზნაურებში არჩევდნენ თავიანთ თავს... ამგვარმა დაურიდებლობამ ამას წინათ, მაგალითად, მხიარული ქორწილი გააუგემურა და კინაღამ სისხლითაც შედება.

ერთი მანველიძეთაგანი საკმარისად ჩამოქვეითებული თავადის ქალზე იწერდა ჯვარს. სიძის სახლიკაცმა სახელდახელო შემთხვევად მიიჩნია აესხნა შეკრებილი საზოგადოებისათვის, თუ რა დირსშესანიშნავი ამბავი ხდებოდა, აესხნა, რომ დიდებულ სახლთუხუცესის და სხვათა გამოჩენილ მანველიძეთა შთამომავალი ანახლებდა კავშირს მათსავით დიდებულ თავადის ოჯახთან, რომლის წინაშე ერთ დროს თრთოდა მთელი ქვემო მხარე, და ამ განახლებული კავშირით ვითომ საფუძველი ეყრებოდა ქვემო და ზემო მხარეთა აღორძინებას და აყვავებას ამ ორ გვართა გავლენის ქვეშ იმავე დიდებით, როგორც ეს წინათ ყოფილა.

რასაკვირველია, მჭევრმუტყველის განმარტება გაზვიადებული იყო, ახსნა სრულიად უსაჭირო და უმნიშვნელო — მაგივრად ზოგიერთთავის საოხუნჯო მასალად გამოსადეგი აღმოჩნდა, რამაც გულზვიადი ორატორი ისე გააბრაზა, რომ გულმოსულმა თავი ვეღარ შეიკავა, მთელ საზოგადოებას უშვერი სიტყვებით მიმართა, და, რაც სრულიად საჭირო აღარ იყო, სიტყვას ფურთხი მიაყოლა. შეგინების მაგივრად — ერთი ყვირილი, მიწევ-მოწევა და ჩვეულებრივ ხანჯლებზე ხელის გასმა...

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

• განმარტეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი;

- ჩამოაყალიბეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი დასახული მიზნის მისაღწევად.
- თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**  
(ნაშრომი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს უკიცავს, არ გასწორდება).

საილუსტრაციოდ გთავაზობთ ტექსტის აპრობაციების დროს ორი კანტიდატის მიერ შესრულებულ ნაშრომებს, რომლებიც მხატვრული ტექსტის ანალიზის № 3 დავალების პირობის ადეკვატურია (ხტილი დაცულია):

## I

ამ ტექსტის მთავარი სათქმელი არის ის, რომ ადამიანს არ შეუძლია საზოგადოებას ქცევით დაუმტკიცოს თავისი დირსეულება და მაღალფარდოვან სიტყვებს იშველიებს, რაც სასაცილო მდგომარეობაში აგდებს. მანველიძეთა გვარი ერთ დროს დიდებულიც კი ყოფილა, მაგრამ დღეს ამ გვარს ასპარეზი დასცლია, რასაც ვერაფრით ეგუება.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებისათვის ცნობილია ამ გვარის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ ჩადენილი „საგმირო საქმენი“, მათ „ციმბირში რომ ამოაყოფინა თავი“, ერთ-ერთი მანველიძე მაინც ცდილობს ქორწილში თავშეერილ საზოგადოებას დაუმტკიცოს, რამდენად ცნობილია მათი გვარი. ყოველივე ამან კი ის გამოიწვია, რომ მისი ნათქვამი „ზოგიერთოთოათვის საოხუნჯო მასალად გამოსადეგი აღმოჩნდა“, რასაც მოჰყვა თრატორის უგმაყოფილება და გაწევ-გამოწევა.

ავტორის მიზანია გვიჩვენოს, რა შეიძლება მოჰყვეს ფუჭსიტყვაობას, სიტყვისა და რეალობის დაშორიშორებას; აგრეთვე ისიც, თუ რამდენად სასაცილოა, როცა ადამიანი დირსების ფარად საქმის ნაცვლად სიტყვას იშველიებს.

ტექსტს ირონიული ელფერი დაჰკრავს. ავტორი იყენებს ხატოვან გამოთქმებს: „ძვირად თუ ვისმეს იტოლებდნენ“, „სისხლითაც შეღება“, „ხანჯლებზე ხელის გასმა“... სიტყვების არაადეგვატურ კონტექსტში გამოყენებით კი გამოიხატება ავტორის დამოკიდებულება პერსონაჟების მიმართ, მაგ.: „საკმარისად ჩამოქვეთებული“, „მჭევრმეტყველის განმარტება“, „გულზვიადი თრატორი“. სწორედ ამ მხატვრული საშუალებებით ქმნის ავტორი ტექსტის ირონიულ ელფერს.

## II

წარმოდგენილი ტექსტის მთავარი სათქმელია აჩვენოს მკითხველს, რაოდენ მტკიცნეულია, როცა გვარი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში – მანველიძეთა) დეგრადირების გზაზე დგება. ერთი მხრივ, ზღაპრული სახლთუხუცესის საუკუნეებს მიღმა დარჩენილი, მაგრამ შთამომავლობისათვის საამაყო გმირობა და, მეორე მხრივ, შთამომავლობა უნიათობა. ერთი მხრივ, უსაგნო სიამაყე („ძვირად თუ ვისმეს იტოლებდნენ“) და, მეორე მხრივ, რეალური შესაძლებლობა (მხოლოდ ისდა შეუძლიათ, მხიარული ქორწილი გააუგემურონ).

შეუსაბამობა ადამიანის სურვილისა (განახლებული კავშირით ვითომ საფუძველი ეყრებოდეს ქვემო და ზემო მხარეთა აღორძინებას) და რეალობისა („ახსნა... საოხუნჯო მასალად გამოსადეგი აღმოჩნდა“), იწვევს კონფლიქტს („...ორატორი ისე გააბრაზა, რომ გულმოსულმა თავი ვპლარ შეიკავა...“) პიროვნებასა (შესაძლოა, პიროვნებებსა) და გარშემომყოფთა შორის, რაც, შესაძლოა, ქორწილის გაუგემურებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სისხლისდვრითაც კი დამთავრდეს.

ადამიანებს უჭირთ რეალობასთან შეგუება (მით უმეტეს, როცა რეალობა მმიმეა) და ქმნიან ილუზიურ სამყაროს თავის მოწონების, შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით, რაც, შესაძლოა, თავდაცვის ერთ-ერთ საშუალებადაც კი გავიაზროთ, საბოლოოდ კი ვიღებთ კონფლიქტს.

ავტორი დაპირისპირების ხერხს იყენებს მიზნის მისაღწევად: ზღაპრული საქციელი – არასაკადრისი საქციელი; ჩამოქვეთებული თავადის ქალი – კავშირის განახლება მასსავით დიდებული თავადის ოჯახთან. წარმოდგენილ დაპირისპირებას თან სდევს ირონია და ფრაზები, რომლებიც ავტორის პოზიციას გამოხატავს: „რასაკვირველია, მჭევრმეტყველის განმარტება გაზიადებული იყო“, „რაც სრულიად საჭირო აღარ იყო“. ირონია იგრძნობა მთელი ტექსტის კითხვისას, რაც მკითხველში დიმილსაც იწვევს და მას მწერლის მიზანდასახულობასაც თვალნათლივ აგრძნობინებს.

**მხატვრული ტექსტის ანალიზის შეფასების კრიტერიუმები**

<b>№</b>	<b>კრიტერიუმები</b>	<b>ჯული</b>
1.	<b>ორიგე</b> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი.	4
2.	<b>ორიგე</b> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, მაგრამ დაშვებულია ერთი-ორი ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი; ანდა ერთ-ერთი მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, ხოლო მეორე მითითება არასრულია ( <i>შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს</i> ) და არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი.	3
3.	<b>ორიგე</b> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, მაგრამ დაშვებულია ორზე მეტი ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი; ანდა ერთ-ერთი მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, ხოლო მეორე მითითება არასრულია ( <i>შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს</i> ) და დაშვებულია ერთი-ორი ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი.	2
4.	<b>ერთი</b> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, მეორე მითითება არ არის შესრულებული (ან არაადეკვატურადაა შესრულებული); ანდა <b>ორიგე</b> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, მაგრამ დაშვებულია <b>სამზე მეტი</b> ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი.	1
5.	მითითებები არ არის ადეკვატურად გააზრებული; ან პასუხი ენობრივად გაუმართავია; ანდა <b>50 სიტყვაზე</b> ნაკლები მოცულობისაა.	0

გთავაზობთ ზემოთ გამოქვეყნებული ნაშრომების შეფასებას მცირე კომენტარით, რომელიც, ჩვენი აზრით, წარმოდგენას შეგიძმნით, თუ როგორ გასწორდება ნაწერები მოცემული სქემის მიხედვით:

მოყვანილ ნაშრომთაგან პირველი შეფასდა 3 ქულით, ვინაიდან აქ ორივე მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, მაგრამ დაშვებულია ერთი სტილისტური ხარვეზი („ადამიანი ლირსების ფარად საქმის ნაცვლად სიტყვას იშველიებს“; საფიქრებელია, ავტორს სურდა ეთქვა, რომ ადამიანი საკუთარი ლირსების წარმოსაჩენად საქმის ნაცვლად სიტყვას იშველიებს).

მეორე ნაშრომმა დაიმსახურა მაქსიმალური 4 ქულა, რადგანაც, პირველის მსგავსად, ისიც სრულად უპასუხებს დავალების პირობას და, ამასთანავე, არ შეიცავს არც ერთ სტილისტურ ხარვეზსა თუ ენობრივ შეცდომას.

## დ) ლიტერატურის სწავლების მეთოდიგა

(7) 1. „გეფხისტეონის“ პროლოგში ავტორი წერს:

„ვთქვა მიჯნურობა – პირველი და ტრმი გვართა ზენათა,

ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;

იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;

ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.

მას ერთსა მიჯნურობასა ჰავიანი ვერ მიჰვდებიან,

ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან;

ვთქვნე სელობანი ქვენანი, რომელი ხორცო ჰევდებიან;

მართ მასვე პბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან.“

**აუხსენით პროლოგის ეს ორი სტროფი მოსწავლეებს:**

- სიტყვასიტყვით გადმოეცით ორივე სტროფის შინაარსი;
  - გამოყავით, რა სახის სირთულეს შეიძლება წააწყდეთ ამ სტროფების ახსნის (სწავლების) დროს და განმარტეთ, რამ შეიძლება გამოიწვიოს ეს სირთულე;
  - აღწერეთ ის ორი სასწავლო ქმედება, რომლებიც დაგეხმარებათ ამ სირთულის დაძლევაში.
- თბები განმარტებები და სასწავლო ქმედებები უნდა შეესაბამებოდეს XI კლასის მოსწავლის ცოდნის დონეს. (თითოეული მითითების პასუხი არ უნდა შეიცავდეს 30 სიტყვაზე ნაკლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კონკრეტული მითითება არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა).**

**ლიტერატურის სწავლების მეთოდიგის № 1 დავალების შეფასების კრიტერიუმები**

დავალება სამი ნაწილისაგან შედგება. მისი მაქსიმალური ქულაა 7. თუ **კომედიზმი** მითითების პასუხი ენობრივად გაუმართავი იქნება ანდა 30 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, **ამ კონკრეტული** მითითების პასუხი არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა.

დავალების ყოველი ნაწილი ამგვარად უნდა შეფასდეს:

**I მითითების შეფასების სქემა:**

Nº	კრიტერიუმები	ქულები
1.	სიტყვასიტყვითაა გადმოცემული <b>ორივე</b> სტროფის შინაარსი და მსჯელობა <b>შეესაბამება XI კლასის მოსწავლის ცოდნის დონეს.</b>	2
2.	სიტყვასიტყვითაა გადმოცემული <b>ორივე</b> სტროფის შინაარსი და მსჯელობა <b>ნაწილობრივ</b> შეესაბამება XI კლასის მოსწავლის ცოდნის დონეს; ანდა სიტყვასიტყვითაა გადმოცემული <b>ერთ-ერთი</b> სტროფის შინაარსი და მსჯელობა <b>შეესაბამება XI კლასის მოსწავლის ცოდნის დონეს.</b>	1
3.	<b>არ არის</b> სიტყვასიტყვით გადმოცემული სტროფების შინაარსი; ანდა მსჯელობა <b>არ შეესაბამება XI კლასის მოსწავლის ცოდნის დონეს.</b>	0

**II მითითების შეფასების სქემა:**

Nº	კრიტერიუმები	ქულები
1.	<b>გამოყოფილია</b> ის სირთულე, რომელსაც შეიძლება წააწყდეს პედაგოგი ამ სტროფების ახსნის დროს და <b>განმარტებულია</b> , რამ შეიძლება გამოიწვიოს ეს სირთულე.	2
2.	<b>გამოყოფილია</b> ის სირთულე, რომელსაც შეიძლება წააწყდეს პედაგოგი ამ სტროფების ახსნის დროს და <b>არ არის</b> განმარტებული, რამ შეიძლება გამოიწვიოს ეს სირთულე.	1
3.	<b>არ არის</b> გამოყოფილი ის სირთულე, რომელსაც შეიძლება წააწყდეს პედაგოგი ამ სტროფების ახსნის დროს.	0

### III მითითების შეფასების სქემა:

<b>№</b>	<b>კრიტერიუმები</b>	<b>ჯული</b>
1.	აღწერილია <b>ორიგი</b> სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება პედაგოგს დასახელებული სირთულის დაძლევაში.	2
2.	აღწერილია <b>ერთი</b> სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება პედაგოგს დასახელებული სირთულის დაძლევაში.	1
3.	არ არის აღწერილი <b>არც ერთი</b> სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება პედაგოგს დასახელებული სირთულის დაძლევაში.	0

თუ ნაშრომში არ არის დაშვებული ერთზე მეტი ენობრივი შეცდომა ან/და ხტილისტური ხარჯები, ქვემათა ჯამს დაუმატება 1 ქულა.

(11) 2. წარმოიდგინეთ, რომ ასწავლით X კლასს. თქვენი მიზანია დაეხმაროთ მოსწავლეებს ამოიცნონ და გაიაზრონ შესასწავლი ტექსტების მხატვრული თავისებურებები.

შეარჩიეთ ქვემოთ ჩამოთვლილ ტექსტთაგან **ერთ-ერთი**. გამოყავით და აღწერეთ მისი თავისებურებები, რომლებიც გულისხმობს (თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) თემატურ თუ იდეურ თავისებურებებს, კულტურულ-ისტორიულ კონტექსტს, ქვეტექსტსა თუ აღუზიას, კომპოზიციურ თავისებურებებს (ნაწარმოების არქიტექტონიკას), პერსონაჟთა დახმასიათებისა თუ თხრობის სპეციფიკურ მეთოდებს, სტილს, ჟანრულსა თუ ქვეჯანრულ მახასიათებლებს, საგანგებო ლიტერატურულ (მხატვრულ) საშუალებებსა თუ სპეციფიკურ პოეტურ ოსტატობას:

ნიურლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“;

ლავრენტი არდა ზიანის „სოლომონ ისაკის მეჯდანუაშვილი“;

ვაჟა-ფშაველას „აღუდა ქოულაური“ ან „ხტილი-მასინძელი“;

გიორგი ლეონიძის „მარიტა“;

ჯემალ ქარჩხაძის „იგი“.

**ლიტერატურული ნაწარმოების არჩევის შემდეგ შეასრულეთ მოცემული დავალება:**

a. გამოყავით და აღწერეთ ამ ნაწარმოების თარი ძირითადი თავისებურება, რომლებიც, თქვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია მთელი ტექსტის გაგებისა და გააზრებისათვის და მიიჩნევთ, რომ მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა ამოიცნონ (დაინახონ), გაიგონ, გაიაზრონ ისინი.

**ანალიზის დროს:**

- საგანგებოდ დაიმოწმეთ თქვენი მსჯელობისათვის შესაფერისი მაგალითები შერჩეული ნაწარმოებიდან;
- დაასაბუთეთ, რომ X კლასის მოსწავლეები გაიგებენ და გაიაზრებენ იმ თავისებურებებს, რომელთა ახსნაც განიზრახეთ (მსჯელობისას გაითვალისწინეთ აღნიშნული კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონე);
- ჩამოაყალიბეთ, გარდა უკვე აღნიშნულისა, კიდევ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ და რა უნდა შეეძლოს მას, რომ ადეკვატურად გაიგოს და გაიაზროს თქვენ მიერ გამოყოფილი თითოეული თავისებურება.

b. დაასახელეთ და გააანალიზეთ თარი პრობლემა, რომლებსაც თქვენ მიერ აღწერილი თავისებურებებისა და, შესაბამისად, მთელი ტექსტის გაგებისა და გააზრებისას შეიძლება წაწყყდნენ მოსწავლეები.

**ანალიზის დროს:**

- მოიხეთ ტექსტიდან ის მაგალითები, რომლებიც თვალსაჩინოს გახდის თქვენ მიერ გამოყოფილი თითოეული პრობლემის არსებობას;
- ახსენით, რა მიზეზით (მიზეზებით) შეიძლება შეექმნათ ეს პრობლემები მოსწავლეებს ამ კონკრეტული ნაწარმოების შესწავლისას;
- აღწერეთ ის თარი სასწავლო ქმედება, რომლებიც დაგეხმარებათ დაანახვოთ და გაააზრებინოთ მოსწავლეებს თქვენი მსჯელობის I ნაწილში გამოყოფილი თავისებურებები და დააძლევინოთ ამავე მსჯელობის II ნაწილში აღნიშნული პრობლემები.
- ახსენით, რა გზით დაეხმარება ეს სასწავლო ქმედებები მოსწავლეებს ამ ნაწარმოების თავისებურებების გაგებასა და გააზრებაში და რა გზით დააძლევინებს ტექსტის შესწავლისას წამოჭრილ პრობლემებს;

- მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ, როგორ უზრუნველყოფს თქვენ მიერ შერჩეული სასწავლო ქმედებები საგაკვეთილო პროცესში თითოეული მოსწავლის უშუალო მონაწილეობას;
- დაასაბუთეთ, რომ ეს სასწავლო ქმედებები შესაბამება X კლასის მოსწავლეების მომზადების დონეს.

თითოეული მითითების (ა, ბ, გ) პასუხი არ უნდა შეიცავდეს 50 სიტყვაზე ნაკლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კონკრეტული მითითება არ შევაძლება და დაიწერება 0 ქულა.

- (11) 3. წარმოიდგინეთ, რომ ასწავლით X კლასს. თქვენი მიზანია დაეხმაროთ მოსწავლეებს ამოიცნონ და გაიაზრონ შესასწავლი ტექსტების მხატვრული თავისებურებები.

შეარჩიეთ ქვემოთ ჩამოთვლილ ტექსტთაგან ერთ-ერთი:

ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“;

ლავრენტი არდა ზიანის „სოლომონ ისაკის მეჯდანუაშვილი“;

გაუა-ფშაველას „აღუდა ქეთელაური“ ან „სტუმარ-მასამიძელი“;

გორგი ლეონიძის „მარიტა“;

ჩემალ ქარჩხაძის „იგი“.

- ა. ლიტერატურული ნაწარმოების არჩევის შემდეგ შეასრულეთ მოცემული დავალება:

გამოყავით და აღწერეთ ამ ნაწარმოების ორი ძირითადი თავისებურება, რომლებიც, თქვენი აზრით, უმნიშვნელოვანებისა მთელი ტექსტის გაგებისა და გააზრებისათვის. ეს თავისებურებები გვლისხმობს (თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) თემატურ თუ იდეურ პრობლემატიკას, კულტურულ-ისტორიულ კონტექსტს, ქაეტექსტსა თუ ალუზიას, კომპოზიციურ თავისებურებებს (ნაწარმოების არქიტექტონიკას), პერსონაჟთა დახასიათებისა თუ თხრობის მეოდებს, სტილს, უანრულ მახასიათებლებს, მხატვრულ საშუალებებსა თუ პოეტურ ოსტატობას.

მსჯელობისას დაიმოწმეთ სათანადო მაგალითები შერჩეული ნაწარმოებიდან. (პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

---



---

- ბ. ვინაიდან თქვენ გამოყავით შერჩეული ნაწარმოების ორი ძირითადი თავისებურება, უკვე შეგიძლიათ დაასახელოთ და გააანალიზოთ ის ორი პრობლემა (სირთულე), რომლებსაც თქვენ მიერ აღწერილი თავისებურებებისა და, შესაბამისად, მთელი ტექსტის გაგებისა და გააზრებისას შეიძლება წააწყდნენ მოსწავლეები.

ანალიზის დროს:

- მოიხმეთ ტექსტიდან ის მაგალითები, რომლებიც თვალსაჩინოს გახდის თქვენ მიერ გამოყოფილი თითოეული პრობლემის არსებობას;
  - ახსენით, რა მიზეზით (მიზეზებით) შეიძლება შეექმნათ ეს პრობლემები მოსწავლეებს ამ კონკრეტული ნაწარმოების შესწავლისას. (პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).
- 

- გ. თქვენ უკვე დაასახელეთ და გააანალიზეთ ის ორი პრობლემა, რომლებსაც ტექსტის გაგებისა და გაბზრებისას შეიძლება წააწყდნენ მოსწავლეები.

ამჯერად აღწერეთ ის ორი სასწავლო ქმედება, რომლებიც დაგეხმარებათ დაანახვოთ და გაააზრებინოთ მოსწავლეებს თქვენი მსჯელობის I ნაწილში გამოყოფილი თავისებურებები და დააძლევინოთ ამავე მსჯელობის II ნაწილში აღნიშნული პრობლემები.

მსჯელობისას ახსენით, როგორ (რა გზით) დაეხმარება ეს სასწავლო ქმედებები მოსწავლეებს ამ ნაწარმოების თავისებურებების გაგებასა და გააზრებაში და როგორ (რა გზით) დააძლევინებს ტექსტის შესწავლისას წამოჭრილ პრობლემებს. (პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

---

- (11) 4. წარმოიდგინეთ, რომ ასწავლით IX კლასს. თქვენი მიზანია დაეხმაროთ მოსწავლეებს გაიაზრონ შესასწავლი ტექსტების მხატვრული თავისებურებები.

შეარჩიეთ ქვემოთ ჩამოთვლილ ტექსტთაგან ერთ-ერთი:

ა) „ცხოველებაზე წმიდისა ნინოვსი“;

- ბ) გიორგი მთაწმიდელის „ცხორებად ნეტარისა მამისა ჩუქნისა იოვანესი და ეფთემები“;  
გ) სულხან-ხაბა ორბელიანის „ხიბრძნე ხიცრუისა“;  
დ) დავით გურამიშვილის „დავითიანი“.

**ა. ლიტერატურული ნაწარმოების არჩევის შემდეგ შეასრულეთ მოცემული დავალება:**

გამოყავით და აღწერეთ ამ ნაწარმოების **ერთი ძირითადი** თავისებურება, რომელიც, თქვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია მთელი ტექსტის გაგებისა და გააზრებისათვის. ეს **თავისებურება გულისხმობს** (თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) თემატურ თუ იდეურ პრობლემატიკას, კულტურულ-ისტორიულ კონტექსტს, ქვეტექსტსა თუ ალუზიას, კომპოზიციურ თავისებურებას (ნაწარმოების არქიტექტონიკას), პერსონაჟთა დახასიათებისა თუ თხრობის მეთოდს, სტილს, ქანრულ მახასიათებლებს, მხატვრულ საშუალებებსა თუ პოეტურ ოსტატობას.

მსჯელობისას დაიმოწმეთ **სათანადო მაგალითები** შერჩეული ნაწარმოებიდან. (პასუხი, რომელიც 50 ხიტუგაზე ნაკლებ შეიცავს, არ გახსროდება).

---

**ბ. ვინაიდან გამოყავით შერჩეული ნაწარმოების ძირითადი თავისებურება, შეგიძლიათ დაასახელოთ და გააანალიზოთ ის პრობლემა (სირთულე), რომელსაც თქვენ მიერ აღწერილი თავისებურების (შესაბამისად, მთელი ტექსტის) გაგებისა და გააზრებისას შეიძლება წააწყდნენ მოსწავლეები.**

ანალიზის დროს მოიხმეთ ტექსტიდან **მაგალითები**, რომლებიც თვალსაჩინოს გახდის, რომ თქვენ მიერ გამოყოფილი პრობლემა რეალურად არსებობს.

ასესენით, **რა მიზეზით (მიზეზებით)** შეიძლება შეექმნათ ეს პრობლემა მოსწავლეებს კონკრეტული ნაწარმოების შესწავლისას. (პასუხი, რომელიც 50 ხიტუგაზე ნაკლებ შეიცავს, არ გახსროდება).

---

**გ. თქვენ დაასახელეთ და გააანალიზეთ ის პრობლემა, რომელსაც ტექსტის გაგებისა და გააზრებისას შეიძლება წააწყდნენ მოსწავლეები.**

აღწერეთ ის **სახსავლო ქმედება**, რომელიც დაგეხმარებათ გაააზრებინოთ მოსწავლეებს თქვენი მსჯელობის I ნაწილში გამოყოფილი თავისებურება და დააძლევინოთ ამავე მსჯელობის II ნაწილში აღნიშნული პრობლემა.

ასესენით და დაასაბუთეთ, რა გზით დაეხმარება ეს სასწავლო ქმედება მოსწავლეებს ამ ნაწარმოების **თავისებურების გააზრებაში** და როგორ დააძლევინებს მითითებულ **პრობლემას**. (პასუხი, რომელიც 50 ხიტუგაზე ნაკლებ შეიცავს, არ გახსროდება).

---

**საილუსტრაციოდ გთავაზობთ ტექსტის აპრობაციების დროს ერთ-ერთი კანდიდატის მიერ შესრულებულ ნაშრომს, რომელიც **ლიტერატურის სწავლების მეთოდის № 4 დავალების პირობის აღვარგურია (ხტილი დაცულია):****

**ა.**

„დავითიანზე“ მუშაობისას უპირველესად უნდა გავიაზროთ მისი კომპოზიციური თავისებურება. მოსწავლეს ეს კრებული არათანამიმდევრული და ქაოსური მოებვენება, თუ მას არ განვუმარტვოთ, როგორ მოიაზრებს პოეტი ადამიანის დანიშნულებასა და მის ფუნქციას სამყაროში. ადამიანი ოლამური ერთიანობის ნაწილია, ოლამში იგი ცხოვრობს ყველას ცხოვრებით: ვინც იცხოვრა, ვინც ცხოვრობს და ვინც იცხოვრებს. შესაბამისად, იგი მიკროკოსმოსია და მოიაზრება, როგორც ღვთის შვილი, როგორც კონკრეტული, კერძო ადამიანი თავისი პირადი ცხოვრებითა და ბედით და როგორც რომელიმე კონკრეტული ერის შვილი. გურამიშვილი როდესაც წერს, „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო: ვინ არის, სიდან მოსული, სად არის, წავის სადაო“, სწორედ ამას გულისხმობდა. ე. ი. თავის შეცნობა გულისხმობს იცოდე, რომ ხარ: ა) ღვთის შვილი, კაცობრიობის ნაწილი; ბ) კონკრეტული ადამიანი პირადი ცხოვ-

რებით; გ) რომელიმე ერის შვილი. „სიდან მოსული“ – დვთისაგან ქმნილი, სასუფევლიდან გამოძევებული, „სად არის“ – წუთისოფელში, „წავა სადაო“ – უფალთან. პოეტს ეს კარგად ჰქონდა გააზრებული და თავისი კრებულის კომპოზიციაც ამ პრინციპის შესაბამისად ააგო. რელიგიური ხასიათის ლექსები გვიჩვენებს გურამიშვილს, როგორც დვთის შვილს, ბიოგრაფიული ხასიათის ლექსები, როგორც კერძო პიროვნებას, პატრიოტული ხასიათის ლექსები, როგორც საქართველოს ნაწილს.

ბ.

პრობლემა იქნება იმ ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა, რომელიც საჭიროა ამ საკითხების მუშაობისას. მოსწავლეებს უნდა განემარტოს, თუ როგორ მოიაზრებს ბიბლია ისტორიულ განვითარებასა და ადამიანის დანიშნულების არსეს.

პრობლემის მიზეზი იქნება ტექსტის გაცნობისას წამოჭრილი კითხვები. ლექსები არათანა-მიმდევრულია, შინაარსობრივად ხშირად ერთმანეთის გაგრძელებას არ წარმოადგენს, ენაცვლება რელიგიური, პატრიოტული, ბიოგრაფიული ხასიათის თავები. ამდენად, ბუნებრივია, მოსწავლეს გაუჩნდეს შეკითხვა: რატომაა ასეთი არათანამიმდევრული კრებულში მოთავსებული მასალა შინაარსობრივი თვალსაზრისით?

გ.

გაკვეთილის პირველი ეტაპი იქნება მინილექცია, რომელშიც მოსწავლეებს გავაცნობ მათვის უცნობ მასალას (ადამიანი, როგორც ოლამური ერთოანობის ნაწილი).

მეორე აქტივობისას მე მათ მიეუთითებ, წაიკითხონ სტროფი: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს... ხელფასადაო“ და გამოთქვან საკუთარი შეხედულება ამ სტროფთან დაკავშირებით.

შემდეგ ეტაპზე მათი თვალსაზრისების შეჯამების საფუძველზე მივაწვდი განმარტებებს და მსჯელობას შევაფასებ ჩემი ინფორმაციით და ვთხოვ, გადაათვალიერონ სახელმძღვანელოში დაბეჭდილი მონაკვეთი, დააკვირდნენ სათაურებს და დააჯგუფონ ლექსები იმ სამი მიმართულებით, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ და რომელთა გააზრების გარეშეც შეუძლებელია „დაკონიანის“ ანალიზი.

#### ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის № 4 დაგალების შეფასების კრიტერიუმები

დავალება სამი ნაწილისაგან შედგება. მისი მაქსიმალური ქულაა 11. თუ **რომელიმე** მითითების პასუხი ენობრივად გაუმართავი იქნება ანდა 50 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, **ამ კონკრეტული** მითითების პასუხი არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა.

დაგალების ყოველი ნაწილი ამგვარად უნდა შეფასდეს:

## I მითითების შეფასების სქემა:

## II მითითების შეფასების სქემა:

№	კრიტერიუმები	ქაღლები
1.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პროცესი და დამაჯურებლადა განმარტებული მისი გამოშრვევი მიზეზი (მიზეზები); მსჯელობა დასაბუთებულია სათანადო მაგალითებით.	3
2.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პროცესი და დამაჯურებლადა განმარტებული მისი გამოშრვევი მიზეზი (მიზეზები), მაგრამ არ არის დასაბუთებული სათანადო მაგალითებით. ანდა გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პროცესი, მოხმობილია მაგალითები, მაგრამ არ არის დამაჯერებლად განმარტებული პროცესი მიზეზი (მიზეზები).	2
3.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პროცესი, მაგრამ დამაჯერებლად არ არის განმარტებული მისი გამოშრვევი მიზეზი (მიზეზები) და არ არის დასაბუთებული სათანადო მაგალითებით.	1
4.	არ არის გამოკვეთილი ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პროცესი.	0

### III მითითების შეფასების სქემა:

<b>№</b>	<b>კრიტერიუმები</b>	<b>ქულები</b>
1.	აღწერილია ის სასწავლო ქმედება, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში; <b>დამაჯერებლადად დასაბუთებული, თუ რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.</b>	3
2.	აღწერილია ის სასწავლო ქმედება, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში, მაგრამ <b>დამაჯერებლად არ არის დასაბუთებული, თუ რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.</b>	2
3.	აღწერილია ის სასწავლო ქმედება, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში, მაგრამ <b>არ არის ნაჩვენები, თუ რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.</b>	1
4.	არ არის აღწერილი ის სასწავლო ქმედება, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში.	0

თუ ნაშრომში დაშვებული არ არის სამხე მეტი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარვეზი, ქულათა ჯამს დაემატება 1 ქულა.

გთავაზობთ ზემოთ გამოქვეყნებული ნაშრომის შეფასებას მცირე კომენტარით, რომელიც, ჩვენი აზრით, წარმოდგენას შეგიქმნით, თუ როგორ გასწორდება ნაწერები მოცემული სქემის თითოეული კრიტერიუმის მიხედვით:

**I მითითების** პასუხი შეფასდა 3 ქულით, ვინაიდან ნაშრომში ადეკვატურადაა წარმოჩენილი შერჩეული ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება და დამაჯერებლადადა დასაბუთებული სათანადო მაგალითებით ტექსტიდან. არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირეოდენ უზუსტობებს ციტირებისას). აღსანიშნავია, რომ **მხატვრობა ნაწილობრივ შეესაბამება IX კლასის მოსწავლის ცოდნის დონეს** (მაგ., საფიქრებელია, რომ IX კლასის მოსწავლისათვის როულად აღსაქმელი აღმოჩნდება შემდეგი მოსაზრება: „ადამიანი ოლამური ერთიანობის ნაწილია, ოლამში იგი ცხოვრობს ყველას ცხოვრებით“). ამასთანავე, ნაშრომი გამოირჩევა საკითხისადმი ორიგინალური და არაგრაფარეტული მიღვომით.

**II მითითების** პასუხი შეფასდა მაქსიმალური 3 ქულით, ვინაიდან ნაშრომში გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პრობლემა და დამაჯერებლადადა განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზები (ბიბლიის არცოდნა და თვით „დავითიანის“ ტექსტის კომპოზიციური თავისებურება). მართალია, დამოწმებული მაგალითები მოკლებულია კონკრეტულობას, მაგრამ მთლიანობაში მსჯელობა დასაბუთებულია.

**III მითითების** პასუხი შეფასდა მაქსიმალური 3 ქულით, ვინაიდან ნაშრომში აღწერილია ის სასწავლო ქმედებები, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში. დამაჯერებლადადა დასაბუთებული, თუ რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედებები დასახული მიზნის მიღწევას.

**გართალია, ნაშრომი უხევებ ენობრივ შეცდომებს არ შეიცავს, მაგრამ ამ შეცდომათა და ხარვეზთა რაოდენობა არ იძლევა დამატებითი 1 ქულის მინიჭების საშუალებას; კურძო:**

ა) სტილისტური ხარვეზებია: „პრობლემა იქნება იმ ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა, რომელიც საჭიროა ამ საკითხზე მუშაობისას“; „ლექსები არათანამიმდევრულია“ (საფიქრებელია, აგტორს იმის თქმა სურდა, რომ „დავითიანში“ ლექსთა თანამიმდევრობა შინაარსობრივ თუ თემატურ ლოგიკას არ ექვემდებარება და არა იმისა, რომ არათანამიმდევრულია ცალკეულ

ნაწარმოებთა ტექსტები); „ენაცვლება რელიგიური, პატრიოტული, ბიოგრაფიული ხასიათის თავები“ (უნდა იყოს – ურთიერთს ენაცვლება...); „გაკვეთილის პირველი ეტაპი იქნება მინილექცია, რომელ შიც მოსწავლეებს გავაცნობ...“ (არა ლექციაში გავაცნობ, არამედ ლექციის მეშვეობით გავაცნობ); „მეორე აქტივობისას მე მათ მივუთითებ, წაიკითხონ...“ (მითითება თავადაა აქტივობა); „მსჯელობას შევაფასებ ჩემი ინფორმაციით“; „დააჯგუფონ ლექსები იმ სამი მიმართულებით...“

ბ) ციტირებისას დაშვებული უზუსტობებია: „სიდან მოსული“ (უნდა იყოს – „სიდამ მოსულა“); „...წაიკითხონ სტროფი: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს... ხელფასადაო“ და გამოთქვან საკუთარი შეხედულება ამ სტროფთან დაკავშირებით.“ (აღნიშნული სტროფი სრულდება სიტყვით – „ულაგმო და უსადაო“, სიტყვა „ხელფასადაო“ მესამე სტრიქონს ასრულებს).

გ) სინტაქსური შეცდომებია: „გურამიშვილი როდესაც წერს, ...გულისხმობდა“ (უნდა იყოს – გულისხმობა); „იმ ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა, რომელიც საჭიროა...“ (უნდა იყოს – რომლებიც საჭიროა).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მოყვანილი ნაშრომის ჯამური ქულაა – 9.

## ე) წაკითხულის გააზრება

წაიკითხეთ ტექსტი ბოლომდე. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც სტატიის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული სამ-სამი პასუხიდან სწორი შემოხაზეთ (დაუშვებელია შემოხაზული ასოს წაშლა და მის ნაცვლად რომელიმე სხვა ასოს შემოხაზვა). დია კითხვების პასუხები ჩაწერეთ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილებში.

დაწერეთ ტექსტის მოკლე რეზიუმე.

1. ორი მთავარი მიმართულება კაცობრიობის აზრისა და გრძნობისა იბრძვის მუდამ ჟამს და, ვინ იცის, დამთავრდება კი ოდესმე იგი ბრძოლა? მოჰყვება ოდესმე ამ დაუსრულებელ ბრძოლას მშვიდობიანობა, შეთანხმება და შერიგება? თუ ამ ბრძოლას, როგორც დასაბამი არა პქონია, ისე დასასრულიც არ გქნება და ყოველთვის კაცობრიობა იქნება დატანჯული საუკუნო რევენით ორ მებრძოლ მხარეთა შორის? არ ვიცით.
2. და ეს კი ვიცით დანამდვილებით, რამდენადაც წარსული გვასწავლის და აწმუო ამას გვაჩვენებს, რომ კაცობრიობისათვის ყოვლად შეუძლებელია, რომელიმე მებრძოლთაგანის მხარე დაიჭიროს ისე, რომ მეორეზე თვალი და გული არ დარჩეს და ერთ დროს ამ მეორისაკენ არ გადავიდეს, რომ მერე ისევ წინანდელ მეგობარს დაუბრუნდეს.
3. რა მიმართულებაა ეს ორი მიმართულება, რა პქვიან ამ ორ მებრძოლ მხარეს, რომელიც ბედშავ კაცობრიობის გულსა და სულს, აზრსა და გონებას პქენჯნის და სწიწვის? ეს გახლავთ ბრძოლა სულისა და გონებისა ხორცობან და სხეულთან, ბრძოლა სულის მოთხოვნილებათა ხორცის მოთხოვნილებასთან, ან თუ გინდათ სარწმუნოებრივი სახე მივცეთ, ეს გახლავთ ბრძოლა კერპობისა ქრისტიანობასთან.
4. მოთხოვნილება ხორცისა – ეს იყო უმთავრესი საგანი, რომელსაც ემსახურებოდა ბერძენთა და რომაელთა კულტურა; მოთხოვნილება სულისა – ეს იყო უმთავრესი საგანი, რომელიც დაადგინა ქრისტიანობამ ბერძენთა და რომაელთა ცივილიზაციის ნაგვრევებზე და რომელიც მისცა პრინციპად და მთავარ აზრად განახლებულ კაცობრიობას, და მას აქეთ იგი დაედვა სარჩულად საქრისტიანო ერის ცივილიზაციასა და კულტურას.
5. ფილოსოფიის მიმართულების დასახასიათებლად მიღებული სიტყვებით რომ გთქვათ, საბერძნებისა და რომის ცივილიზაცია უმთავრესად ნატურალისტური, მატერიალისტური იყო, ხოლო საქრისტიანო ევროპისა – სპირიტუალისტური და იდეალისტური... ძველი ქვეყნების (საბერძნებისა და რომის) ისტორიამ დაგვიმტკიცა, რომ ადამიანს და ადამიანთა კრებულს – საზოგადოებას არ ძალუმს „პურითა მხოლოდ ერთითა ცხონება“, – ადამიანს და საზოგადოებას, რომლის იდეალიცაა მარტო ხორცის განცხოვა, მარტო ხორცის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება – მოელის მოსპობა და გაცამტვერება.
6. ერთი უცნაური რამ სჩანს კიდევ ამ ისტორიიდან – ის საზოგადოება, ის ცივილიზაცია, რომელსაც ხორცი გაუხდია ცხოვრების უმთავრეს პრინციპიად და ამ პრინციპის სამსახურისათვის შეულევია თავისი ძალ-დონე, ვედარ შეითვისებს ახალ პრინციპს – სულის გაბატონებას – და ამ სულიერი პრინციპის თანდათან განმტკიცება ძირს უთხრის ძველ პრინციპზე აშენებულ საზოგადოებას. საბერძნებით და რომი უნდა განახლებულიყო, უნდა გადამდნარიყო და მხოლოდ ამგვარად შეეძლო განახლებულ კაცობრიობას ახალი, დიდი პრინციპის გაღმერთება.
7. საქრისტიანო ევროპა თხეულები საუკუნე ემსახურა ამ ახალ პრინციპს – სულს და სულის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მაგრამ ცხოვრებამ ამცნო, რომ ძველი პრინციპი ხორცის თაყვანისცემისა უბრალო ჩვეულება კი არ ყოფილა გალადებული საბერძნებისა და რომის კულტურისა, იგი ძირითადი მხარე იყო კაცის – ადამიანის და საზოგადოების არსებობისა.
8. გამოცდილებამ ამცნო, რომ, როგორც მარტო ხორცის დაკმაყოფილება არა კმარა და არ არის ხელსაყრელი, ასევე მხოლოდ სულის გაბატონება და ხორცის კი დათრგუნვა კაცობრიობის არსებობის მთავარ მოთხოვნილებათა მივიწევებაა, ცალმხრივი დაკმაყოფილებაა კაცობრიობის საწადელთა და ამიტომაც არა ხანგრძლივი, არა საფუძვლიანი. ამ გამოცდილებამ გამოიწვია ხანა განახლებისა და რეფორმაციებისა, როდესაც საბერძნებისა და რომის კერპული კულტურა გაღმერთებულ იქნა და როცა ქრისტიანულ სარწმუნოებაში აზრთა აღრევა მოხდა. მაგრამ როგორც ძველმა ქვეყნებმა ვერ შეითვისეს მათთვის უცხო პრინციპი – საქრისტიანო ქვეყნისაგან წამოყენებული, ისე ვერც საქრისტიანო ერმა, რომელიც არსებითად გამსჭვალული იყო სულის მოთხოვნილებათა თაყვანისცემით, ძველი – კერპული პრინციპი ვერ შეითვისა.
9. მაგრამ საუკუნის მეორე მეოთხედიდან კვლავ უეცრად საქრისტიანო ევროპა მიეცა სასორწარკვეთილებას. სული ტკბილია, მაგრამ ხორციც ტკბილი აღმოჩნდა, ერთი უმეორეოდ წარმოუდგენელი შეიქნა და ისევ ძველ ქვეყანათა კულტურის ტრფიალი შემოვიდა ხმარებაში. ამ საუ-

კუნის საუკეთესო შვილთა ტანჯვა და ვაება, სულიერი მწუხარება და სევდა შედეგია სწორედ იმ გამოუკევლობისაც, რომელიც გამოიწვია ხორცისა და სულის კულტურას შორის რეაგვამ.

**10.** თანამედროვე ადამიანი, რომელსაც გრძნობა და გონება აქვს, რაც არ უნდა იუაროს, შვილია საქრისტიანო ცივილიზაციისა; მასში ღრმადა აქვს გამჯდარი ფესვები ამ ცივილიზაციის უმთავრეს პრინციპებს, მაგრამ ეს ადამიანი – ადამიანია, ისე, როგორც ძველი ბერძენი და რომაელი, როგორც განახლებული ევროპის იტალიელი, გინდ პოლანდიელი, და როგორც კაცს, მეორე დიდი მოთხოვნილებაცა აქვს – მოთხოვნილება ხორცისა. ხორცის მოთხოვნილების პრინციპი კი ძველმა კულტურამ შეიძულავა.

**11.** ამიტომაც, ძველი საბერძნეთისა და რომის ცივილიზაციაც ძალაუნებურად, ფატალურად იწვევს მას. ამ ბრძოლაში, რაკი ცხოვრებაში შეუადგილის ამორჩევა ყოვლად შეუძლებელია, ზოგიერთი გაცხარებულ ქრისტიანთა ბანაკში მიდის, ზოგიერთი არანაკლებ გაცხარებულ კერძოაყვანისმცემელთ აძლევს ხელს. უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა ამ სურათს წარმოადგენს და ეს სურათი მეტად წააგავს იმ სურათს, რომელსაც ძველი ქვეყანა წარმოადგენდა თავისი არსებობის უკანასკნელ ხანაში.

**კიტა აბაშიძე, ლ. ტოლსტოის ახალი რომანი „აღდგომა“,  
წიგნში: ცხოვრება და ხელოვნება, თბ., 1971, გვ. 533-535.**

**(1) 1. რა არის პირველი აბზაცის უმთავრესი აზრი?**

ა) არასოდეს ექნება დასასრული მსოფლადქმის ორ მთავარ დაპირისპირებას. ბ) გაურკვევებულია, მსოფლადქმის ორი მთავარი მიმართულება ოდესმე შეთანხმდება ოუ არა. გ) ორ მთავარ მიმართულებას შორის დაუსრულებელ ბრძოლას ოდესმე შეთანხმება მოჰვება.

**(1) 2. რა არის მეორე აბზაცის ფუნქცია?**

ა) პირველ აბზაცში გამოთქმული მოსაზრების გამეორება. ბ) პირველ აბზაცში გამოთქმული მოსაზრების დაზუსტება. გ) პირველ აბზაცში გამოთქმული მოსაზრების უარყოფა.

**(1) 3. რამ განაპირობა დაპირისპირება „კერპობისა ქრისტიანობასთან“?**

ა) ადამიანის არსის სხვადასხვაგვარმა გააზრებამ. ბ) ადამიანის სულისა და გონების ერთ-მანეთან ბრძოლამ. გ) „კერპობის“ მიერ სულიერი საწყისის უპირატესობის აღიარებამ.

**(1) 4. რა აკავშირებს მეოთხე აბზაცს წინა აბზაცებთან?**

ა) მეოთხე აბზაცში გამოერებულია წინა აბზაცებში გამოთქმული მოსაზრებები. ბ) მეოთხე აბზაცში გაფართოებულია წინა აბზაცებში გამოთქმული მოსაზრებები. გ) მეოთხე აბზაცში დაკონკრეტებულია წინა აბზაცებში გამოთქმული მოსაზრებები.

**(1) 5. რამ გამოიწვია ანტიური ცივილიზაციის განადგურება მეხუთე აბზაცის მიხედვით?**

ა) საზოგადოების მიერ იდეალისტური მსოფლადქმის აღიარებამ. ბ) საზოგადოების მიერ ნატურალისტური მსოფლადქმის უარყოფამ. გ) საზოგადოების მიერ ხორციელი საწყისის გაფეხიშებამ.

**(1) 6. რა პროცესმა გამოიწვია „ახალი, დიდი პრინციპის გაღმერთება“?**

ა) ანტიური ცივილიზაციის განახლებამ და განვითარებამ. ბ) სულიერი საწყისის თანამიმდევრულებამ გაბატონებამ. გ) ხორციელი და სულიერი საწყისების თანაბარზომიერმა შერწყმამ.

**(1) 7. რატომ ვერ აღმოფხვრა ადამიანში სულიერმა ხორციელი საწყისი?**

ა) იმიტომ, რომ მოხდა სულიერი და ხორციელი საწყისების შერწყმა. ბ) იმიტომ, რომ ხორციელი საწყისი განუყოფელია ადამიანის ბუნებისაგან. გ) იმიტომ, რომ ხორცის თაყვანისცემა უბრალო ჩვეულება ყოფილა.

**(1) 8. მოიყვანეთ ქართული პაგიოგრაფიიდან შემდეგი შეხედულების საპირისპირო თვალსაზრისი: „როგორც მარტო ხორცის დაკმაყოფილება არა კმარა და არ არის ხელსაყრელი, ასევე მხოლოდ სულის გაბატონება...“**

**(1) 9. რომელი ეპოქა იგულისხმება „განახლებისა და რეფორმაციების“ ხანაში?**

**(1) 10. დაიმოწმეთ ილიას „განდეგილიდან“ ის მონაკვეთი, რომელშიც გამოხატულია შემდეგი შეხედულების საპირისპირო თვალსაზრისი: „სული ტკბილია, მაგრამ ხორციც ტკბილი აღმოჩნდა, ერთი უმეორეოდ წარმოუდგენელი შეიქნა“.**

- (1) 11. რა განაპირობებს თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის ტრაგიზმს?
- ა) არჩევანის გაკეთების შეუძლებლობა სულიერ და ხორციელ საწყისებს შორის.
  - ბ) ის, რომ „საქრისტიანო ერმა“ ვერ შეითვისა „ძველი – კერპული პრინციპი“.
  - გ) სულიერი საწყისისათვის უპირატესობის მინიჭება ხორციელთან შედარებით.
- (1) 12. ამოიწერეთ ფრაზა, რომელშიც ჩანს, რომ ავტორის თანადროული საზოგადოება განიცდის სულიერ კრიზისს.
- (1) 13. რა განასხვავებს თანამედროვე ევროპელს ძველი ბერძნისა და რომაელისაგან?
- ა) ის, რომ თანამედროვე ევროპელი უარს აცხადებს ქრისტიანულ ცივილიზაციაზე.
  - ბ) ის, რომ თანამედროვე ევროპელი უარყოფს ხორციელ საწყისს.
  - გ) ის, რომ თანამედროვე ევროპელი ქრისტიანული კულტურის პირმშოა.
- (1) 14. რას გულისხმობს ავტორი სიტემებში: „ძველი საბერძნეთისა და რომის ცივილიზაციაც ძალაუნებულად, ფატალურად იწვევს მას“.
- ა) თანამედროვე ევროპა მთლიანად ვერ გათავისუფლდა ადამიანის ანტიკური გაგებისაგან.
  - ბ) თანამედროვე ევროპაში „ზოგიერთი გაცხარებულ ქრისტიანთა ბანაკში მიღის“.
  - გ) თანამედროვე ევროპელი მთლიანად თავისუფალია ადამიანის ანტიკური გაგებისაგან.
- (1) 15. რა არის ამ ტექსტის უმთავრესი სათქმელი?
- ა) თანამედროვე ევროპას სულიერი ქრიზისი უცილობლად დაღუპავს.
  - ბ) ხორციელი და სულიერი საწყისების პარმონიული შერწყმა ვერ ხერხდება.
  - გ) ხორცის მოთხოვნილებათა გაფეტიშებას საზოგადოების განადგურება მოჰყვება.
- (1) 16. რის შესახებ არ საუბრობს აგტორი?
- ა) ანტიკური ფილოსოფიის შესახებ. ბ) ქრისტიანობის გენეზისის შესახებ. გ) წარმართული მსოფლმხედველობის შესახებ.
- (4) 17. დაწერეთ მოცემული ტექსტის რეზიუმე (არანაკლებ 50 სიტყვისა).

საიდუსტრიულ გთავაზობთ ტექსტის აპრობაციების დროს ორი კანდიდატის მიერ შესრულებულ ნაშრომებს, რომლებიც რეზიუმებს მოთხოვნებს აკმაყოფილებს (ხელი დაცულია):

## I

კაცობრიობის განვითარების ორი ძირითადი მიმართულება არსებობს – მატერიალისტური და იდეალისტური. ამ ორი მიმართულების დაპირისპირებას შეიძლება ეწოდოს სულისა და გონიერების მარადიული ბრძოლა ხორცისა და სხეულთან. ნატურალისტური, მატერიალისტური საწყისის საუკეთესო გამომხატველია ბერძნული და რომაული ცივილიზაციები, ხოლო ქრისტიანული ევროპა იდეალისტური მიმართულების დამაკვიდრებელია.

სულიერი და ხორციელი საწყისების მორიგება აუცილებელია, თუმცა კაცობრიობამ ეს დღემდე ვერ მოახერხა. ქრისტიანულ ევროპაში დაიწყო სააზროვნო კრიზისი, რომელიც სწორედ ამ დაპირისპირებამ გამოიწვია.

თანამედროვე ადამიანი ქრისტიანული ცივილიზაციის მემკვიდრეა, მაგრამ არც ამ ცივილიზაციის უმთავრესი პრინციპების მატარებელს შეუძლია უარყოს მოთხოვნილება ხორცისა.

## II

თავისი არსებობის მანძილზე კაცობრიობა დაუსრულებლად იბრძვის. არავინ იცის, მოჰყვება თუ არა ამ ბრძოლას მხარეთა შორის შეთანხმება, მათი შერიგება. ის კი ცხობილია, რომ კაცობრიობას უჭირს არჩევნის გაკეთება. ამ ბრძოლის აზრი ის გახდავთ, რომ სული და გონიერება ხორცისა და სხეულს უპირისპირდება. სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ესაა „ბრძოლა კერპობისა ქრისტიანობასთან“.

მოთხოვნილება ხორცისა იყო უმთავრესი რამ, რასაც ბერძნულ-რომაული კულტურა ემსახურებოდა. სულის მოთხოვნილება კი გახდა პრინციპი, რომელიც ქრისტიანობამ დაადგინა და თავისი არსებობის უმთავრეს საგნად აქცია.

ქველი ქვეყნების ისტორიაშ ცხადებო, რომ ადამიანთა საზოგადოებას არ ძალუდს „პურითა ხოლო ერთითა ცხონება“. იმ საზოგადოებას, რომელიც მხოლოდ ხორცის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას გაიხდის არსებობის მთავარ პრინციპად, უგჭველი განადგურება მოედის, თუმცა, მხოლოდ სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაცა და ხორცის სრული დათრგუნვაც კაცობრიობის საწადელთა მხოლოდ ცალმხრივი დაკმაყოფილებაა, ვინაიდან ხორცი და სული ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია. თანამედროვე ევროპელი ქრისტიანული ცივილიზაციის შეიძლია, მაგრამ, ამასთანავე, ის იმგარივე ადამიანიცაა, როგორებიც ძველი ბერძნები და რომაელები იყვნენ. ამიტომაც, ამ მუდმივი ბრძოლის გამო ჰარმონიის მიღწევა შეუძლებელია.

### **წაგითხულის გააზრების შეფასების სქემა**

- |  |                 |                 |                 |
|--|-----------------|-----------------|-----------------|
| 1. ბ) -----1ქ.   | 2. ბ) -----1ქ.  | 3. ბ) -----1ქ.  | 4. ბ) -----1ქ.  |
| 5. ბ) -----1ქ.   | 6. ა) -----1ქ.  | 7. ბ) -----1ქ.  |                 |
| 8. გრიგოლ ხანძთელმა უარი თქვა ეპისკოპოსობის პატივზე, რადგან ეს ხორციელ დიდებად მიიჩნია. -----1ქ.                             |                 |                 |                 |
| 9. რენესანსის (აღორძინების) ხანა. -----1ქ.   |                 |                 |                 |
| 10. „...რა გითხრა, შვილო? / ყველაზე უფრო სული ტკბილია, / იგი ტყვე არის წეობის-სოფლისა / და ეგ ყოველი მის ბორკილია.“ -----1ქ. |                 |                 |                 |
| 11. ბ) -----1ქ.  |                 |                 |                 |
| 12. ეს სურათი მეტად წააგავს იმ სურათს, რომელსაც ძველი ქვეყანა წარმოადგენდა თავისი არსებობის უკანასკნელ ხანაში. -----1ქ.      |                 |                 |                 |
| 13. ბ) -----1ქ.  | 14. ა) -----1ქ. | 15. ბ) -----1ქ. | 16. ა) -----1ქ. |

### **რეზიუმეს შეფასების კრიტერიუმები**

რეზიუმეს მაქსიმალური ქულადა **4.** უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა გაარკვიოს, **წარმოადგენს თუ არა შესრულებული დავალება რეზიუმეს.** თუ პასუხი სტატიის შინაარსის თხრობაა (ვრცელი პერიფრაზია), წერილის კრიტიკული ანალიზია, მისი შეფასება-კომენტარია ან ენობრივად გაუმართავია ანდა 50 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისაა, იგი არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა. თუ დავალების პასუხი რეზიუმეა, იგი უნდა შეფასდეს მოცემული სქემის მიხედვით.

<b>№</b>	<b>კრიტერიუმები</b>	<b>ქულები</b>
1.	დავალება <b>ამომწურავადაა შესრულებული</b> (საუბარია სტატიის ყველა არსებითი ასპექტის შესახებ) და არ არის დაშვებული <b>არც ერთი</b> ენობრივი შეცდომა. <b>4</b>	
2.	დავალება <b>ამომწურავადაა შესრულებული</b> (საუბარია სტატიის ყველა არსებითი ასპექტის შესახებ), მაგრამ დაშვებულია <b>ერთი-ორი</b> ენობრივი შეცდომა. <b>3</b>	
3.	დავალება <b>ნაწილობრივაა შესრულებული</b> (არ არის საუბარი სტატიის ერთ-ერთი არსებითი ასპექტის შესახებ) და არ არის დაშვებული <b>არც ერთი</b> ენობრივი შეცდომა; ანდა დავალება <b>ამომწურავადაა შესრულებული</b> (საუბარია სტატიის ყველა არსებითი ასპექტის შესახებ), მაგრამ დაშვებულია <b>ორზე მეტი</b> ენობრივი შეცდომა. <b>2</b>	
4.	დავალება <b>ნაწილობრივაა შესრულებული</b> (არ არის საუბარი სტატიის ერთ-ერთი არსებითი ასპექტის შესახებ) და დაშვებულია <b>ერთი-ორი</b> ენობრივი შეცდომა. <b>1</b>	
5.	<b>ნაშრომში არ არის საუბარი სტატიის ორი ან მეტი არსებითი ასპექტის შესახებ ანდა ენობრივად გაუმართავია.</b> <b>0</b>	

გთავაზობთ ზემოთ გამოქვეყნებული რეზიუმეების შეფასებას მცირე კომუნტარებით, რომლებ-  
ბიც, ჩვენი აზრით, წარმოდგენას შეგიქმნით, თუ როგორ გასწორდება ნაშრომები მოცემული  
სქემის მიხედვით:

მოყვანილ ნაშრომთაგან პირველი შეფასდა 2 ქულით, ვინაიდან დავალება ნაწილობრივაა  
შესრულებული (არ არის საუბარი სტატიის ერთ-ერთი არსებითი ასპექტის, კერძოდ, კიტა აბა-  
შიძის სტატიის მე-10 აბზაცში გამოთქმული მოსაზრებების შესახებ. ამ აბზაცში ნაჩვენებია თა-  
ნამედროვე ადამიანის წინაშე მდგარი დრამატული არჩევანის გამომწვევი მიზეზი), ამასთანავე,  
ნაშრომში არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა.

მეორე ნაშრომმა დაიმსახურა მაქსიმალური 4 ქულა, რადგანაც დავალება ამომწურავადაა  
შესრულებული (საუბარია სტატიის ყველა არსებითი ასპექტის შესახებ) და არ არის დაშვებუ-  
ლი არც ერთი ენობრივი შეცდომა.

## ვ) წერითი დაგალება

(10) 1. XI კლასის დამამთავრებელ ეტაპზე მოსწავლეებს უნდა ურჩიოთ, რა წაიკითხონ ზაფხულის არდადებებზე. წარმოიდგინეთ, რომ ესაუბრებით ოქვენი კლასის საუკეთესო მოსწავლეს, რომელსაც წასაკითხად სთავაზობთ კონკრეტულ ნაწარმოებს (თქვენ მიერ არჩეული თხზულება შესაძლოა ქართულიც იყოს და უცხოურიც, ოდონდ არ უნდა იყოს შეტანილი სასკოლო სახელმძღვანელოებში).

### დაწერეთ, როგორ დააინტერესებთ მოსწავლეს:

- გადმოეცით, როგორ წარუდეგნო მოსწავლეს ოქვენ მიერ შერჩეულ ტექსტს;
- ჩამოაყალიბეთ, როგორ გაუდვიძებთ მას ამ ტექსტის წაკითხვის ინტერესს;
- ცალკე აბზაცად გამოყავით ოქვენი მსჯელობა იმის შესახებ, თუ რას მისცემს, ოქვენი აზრით, შერჩეული ნაწარმოების წაკითხვა ამ ასაკის მოსწავლეს.

(ნაშრომი, რომელიც 150 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

(10) 2. გალაპტოონ ტაბიდის შემოქმედების ანალიზმა XII კლასის მოსწავლეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მოსწავლეთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ პოეტი ურწმუნო იყო და ამ თვალსაზრისის დასასაბუთებლად მოჰყავს შემდეგი სტროფი:

„ვეწვევი განდევილ მამათა  
„უმანქო ჩასახვის“ სავანეს.  
იქ შავი თოვლივით დამათოვს  
ჭვარტლი და ბურუსი თავანის.  
სიმკაცრით შეხედავს საშვენი  
თვალები შეკრული კამარის:  
ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი  
არ არის, არ არის, არ არის!“

მოსწავლეთა მეორე ნაწილი არ იზიარებს ამ პოზიციას და მის საპირისპიროდ იმოწმებს სხვა სტროფს ამავე ლექსიდან:

„დაპქრიან უდაბნოს ქარები,  
მტანჯავენ და ვიცი: გახსოვარ!  
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...  
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!“

არგუმენტირებული მსჯელობით ჩამოაყალიბეთ ოქვენი პოზიცია. **დასაშვებია თქვენი მსჯელობა მხოლოდ ამ ლექსით არ შემოფარგლოთ.** (ნაშრომი, რომელიც 150 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

(10) 3. დავით წერედიანის აზრით, „ნესტანი მშვენიერია, ნესტანი სიკეთით სავსეა, მაგრამ ნესტანი საშიშია. ტარიელი პოემის ყველა ეპიზოდში ცოტათი უფრთხის ნესტანს“. არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეთ ან უარყავით მგლევრის ეს მოსაზრება. (ნაშრომი, რომელიც 150 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

(10) 4. თამაზ ჭილაძე წიგნში „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ წერს: „ფატმანი ნესტანის, თინათონის, ტარიელისა და ავთანდილის „ც ა ლ ი ა“, მეგობარია, მეორე ქაჯეთის ციხეში – გულანშაროში – სამუდამოდ ჩარჩენილი სხივი“. არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეთ ან უარყავით ავტორის ეს მოსაზრება. (ნაშრომი, რომელიც 150 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

(10) 5. გრიგოლ გიგნაძე წერს: „ფაქტებზე დიდი ძალადობის შედეგი იყო, როდესაც ზოგიერთმა კრიტიკოსმა ზვიადაურისადმი აღაზას თანაგრძნობაში სატრფიალო ნიუანსი დაინახა“. თამაზ ჩხენელი კი აღნიშნავს: „ზვიადაურის ძალგულოვნების, ვაჟებაცური შეუპოვრობისა და გაუტეხელობის სულისკვეთება აღაზას გულში მამრული სიქველის სხვა, ამ შემთხვევაში, ეროტიულ ასკექტს უკავშირდება“. არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეთ, რომელ თვალსაზრისს იზიარებთ და რაომ. (ნაშრომი, რომელიც 150 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

საილუსტრაციოდ გთავაზობთ ტექნიკის აპრობაციების დროს ორი კანდიდატის მიერ შესრულებულ ნაშრომებს, რომლებიც № 5 წერითი დაგალების პირობის აღეყვატების (ხტილი დაცულია):

## I

ვეთანხმები გრიგოლ კიკნაძის თვალსაზრისს. შეცდომაა, ვიფიქროთ, რომ აღაზას თანაგრძნობა ზვიადაურისადმი სატრუტიალო ნიუანსს შეიცავს, ან, როგორც თამაზ ჩენეკელი აღნიშნავს, „აღაზას გულში ეროტიული ასპექტის“ გამოღვიძებას უკავშირდება. ამის დასამტკიცებლად ჯოფოლას სიტყვებიც კმარა: „იტირე? მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა, დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟაცის კარგისა“. აღაზაც ისეთივე შვილია პირობისა, როგორიც არიან ჯოფოლა და ზვიადაური. იგი ჯოფოლას ნაწილია და იმ თვალსაზრისის გამომხატვებით, რომელიც ჯოფოლას სახეს ეკისრება პოემაში.

ვფიქრობ, თამაზ ჩენეკელის მოსაზრება ექრდნობა ეპიზოდს, რომელშიც აღაზა შენატრის იმას, ვინც ზვიადაურის მკლავზე წვებოდა. ჩემი აზრით, ეს მხოლოდ ნიუანსია, რომლითაც ვაჟამ კაი უმის ფასი კიდევ ერთხელ და ახლა უკვე ქალური საწყისის პოზიციიდან გვიჩვენა. აღაზაში სატრუტიალო-ეროტიკული შეგრძებები კი არ იღვიძებს, არამედ იგი დედაკაცურად დასტირის თავის „ლამაზ მმას“ ისე, როგორც ალუდა ქეთელაური – მუცალს. განა შემთხვევითაც: „ალუდას თოფი არ უნდა, ატირდა როგორც ქალიო“. ვიფიქროთ, რომ ალუდას დედაკაცურად მოეწონა მუცალი? ეს ხომ მკრეხელობაც იქნებოდა და დიდი უზუსტობაც!

ქეთელაურიცა და აღაზაც დასტირიან თავიანთ „ლამაზ მმებს“, სულიერ ნათესავებს, „ვაჟაცური რჯულით“ დანახულ-განჭვრეტილობა, როგორც განიცდის ქეთელაური, ისე განიცდის აღაზაც: ოღონდ ქალურად, დედაკაცურად. ეს კი კიდევ უფრო მეტყველი და შთამბეჭდავია მკითხველისათვის. ამით ვაჟამ დედაკაცად დაბადებული „კაი უმა“ გვიჩვენა. აღაზაც „კაი უმა“ ისევე, როგორც ჯოფოლა, ზვიადაური, ქეთელაური, მუცალი. ილია ამბობდა: „გმირობა სულის ღონეა და არა ხორცისა“. აღაზას პიროვნებაც ამას ადასტურებს.

აღაზამ ჯოფოლას საქმე გააკეთა – ჯოფოლა ხელფეხშეკრული რომ არ ყოფილიყო, ზვიადაურის მკლელით ხმლით შეებრძოლებოდა. რა თქმა უნდა, აღაზა ამას ვერ შეძლებდა, მაგრამ მან დედაკაცურად იბრძოლა: დაიტირა „ქედჩაჟანგებული მთა“ – ზვიადაური. ამიტომაც მოუწონა ქმარმა მას საქციელი.

„კაცის კაცურად სიკვდილი“ აღაზას მსგავსი ქალებისათვის ტრაგიკულიცაა და საამაყოც. ლვთისშვილი ხომ მოვლენებს არა მხოლოდ ხორციელ-ესთეტიკური თვალით უყურებენ, არა მედ – სულის თვალითაც...

## II

კითხვაზე პასუხის გასაცემად უთუოდ უნდა გავიხსენოთ ის ეპიზოდი, რომელშიც მოთხოვილია, თუ როგორ სჯიან ზვიადაურს ქისტები და რა განცდები ეუფლება ამ დროს აღაზას.

ვაჟა-ფშაველას თქმით, აღაზა, ამ სურათის შემყურე, „ბნედებოდა“. მას ებრალებოდა ზვიადაური არა მარტო იმის გამო, რომ კლავდენებ, არამედ იმიტომაც, რომ, უცხო მიწაზე მოკლულს, დამტირებელიც არ ედირსებოდა. აღაზას განცდებში, სიბრალულის გარდა, თავს იჩენს აშკარად ეროტიკული ელფერის მქონე ასეთი განცდაც: მას მოსწონს ზვიადაური როგორც არა მარტო ვაჟაცი (მამაცი, შეუპოვარი მებრძოლი), არამედ როგორც მამრიც – აღაზა შენატრის იმ ქალს, რომელსაც ღირსებია ზვიადაურის მკლავზე წოლა. ამ დეტალზე დაყრდნობით შესაძლოა ვიმსჯელოთ იმაზე, რომ თამაზ ჩენეკელის მოსაზრება სავსებით მისაღებია.

ჩემი აზრით, აღაზას სულში ნამდვილად გაიღვიძა ზვიადაურის, როგორც მამრის, მშვენიერებით აღტაცების განცდამ. დასახელებული დეტალის გარდა, ნათქამის დასასაბუთებლად ტექსტის სხვა ეპიზოდების დასახელებაც არის შესაძლებელი. გავიხსენოთ, როგორ იქცევა აღაზა, როცა ზვიადაურს დაიტირებს: მას „სამ ბალანს“ ააჭრის და საგულდაგულოდ ინახავს ჩიქილის „ყურში“. ეს „სამი ბალანს“ მისთვის ზვიადაურის ფიზიკური მშვენიერების სიმბოლოა, მისი, როგორც მამაკაცის, სილამაზის სახესოვარი...

გავიხსენოთ ისიც, როგორ უჭირს აღაზას ჯოფოლასათვის იმის გამხელა, რომ ხევსური ზვიადაური დაიტირა. მას რცხვენია საკუთარი საქციელისა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავად ქისტია და ზვიადაური – ხევსური. ჯოფოლასთან ამის გამხელისას, წესით, სირცხვილის

გრძნობა არ უნდა იპყრობდეს – ცოტა ხნით ადრე ხომ ჯოულამ ასე გამოიდო თავი ხევსური სტუმრისათვის. როგორც ჩანს, აღაზას სირცხვილს იწვევს საკუთარი გრძნობები – ვაითუ, ჯოულა მიხვდა, რომ მისმა ერთგულმა ცოლმა „სხვა კაცს“ „სხვა თვალით“ შეხედა ისე, როგორც ქალმა – კაცს. ალბათ, ამიტომაც ურჩევნია, ქმარს უამბოს რაღაც „ზღაპარი“, ვიდრე ის, რაც რეალურად მოხდა.

აღაზას გრძნობები ზეიადაურის მიმართ, შესაძლოა, დიდი სიღრმით არ გამოირჩევა, მაგრამ ფაქტია: იგი ნამდვილად მოიხილა მისი „მამრული სიქველის სხვა... ეროტიული ასპექტით“.

## № 5 წერითი დაგალების შეფასების კრიტერიუმები

წერითი დაგალების მაქსიმალური ქულაა **10.** უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, **უპასუხებს ოუ არა ნაწერი მოცემული დაგალების პირობას.** თუ ნამუშევარი დაგალების პირობას არ უპასუხებს ან 150 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისაა ანდა ენობრივად გაუმართავია, იგი არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა.

### I ტაბულა

<b>№</b>	<b>საკითხის გააზრება და მსჯელობის დასაბუთება</b>	<b>ქულები</b>
1.	დაგალება <b>კარგადაა</b> გააზრებული, მოსაზრებები დამაჯერებლადად დასაბუთებული, მსჯელობა <b>გამყარებულია</b> შესაფერისი მაგალითებით ვაჟა-ფშაველას პოემიდან და/ან ლიტერატურისმცოდნეობითი ნაშრომებიდან.	3
2.	დაგალება <b>კარგადაა</b> გააზრებული, თუმცა <b>ზოგჯერ</b> მოსაზრებები არ არის დამაჯერებლად დასაბუთებული და/ან <b>არ არის</b> გამყარებული შესაფერისი მაგალითებით ვაჟა-ფშაველას პოემიდან და/ან ლიტერატურისმცოდნეობითი ნაშრომებიდან.	2
3.	დაგალება გააზრებულია, თუმცა მსჯელობა <b>არ არის</b> სათანადოდ დასაბუთებული და <b>არ არის</b> გამყარებული შესაფერისი მაგალითებით ვაჟა-ფშაველას პოემიდან და/ან ლიტერატურისმცოდნეობითი ნაშრომებიდან; ანდა დაგალება <b>ზედაპირულადაა</b> გააზრებული, თუმცა <b>ცალკეულ</b> შემთხვევებში მსჯელობა სათანადოდა დასაბუთებული და <b>გამყარებულია</b> შესაფერისი მაგალითებით ვაჟა-ფშაველას პოემიდან და/ან ლიტერატურისმცოდნეობითი ნაშრომებიდან.	1
4.	დაგალება <b>არ არის</b> გააზრებული და/ან <b>წარმოადგენს</b> ვაჟა-ფშაველას პოემისა და/ან ლიტერატურისმცოდნეობითი ნაშრომების <b>პერიფრაზს.</b>	0

### II ტაბულა

<b>№</b>	<b>ორიგინალური აზროვნება</b>	<b>ქულები</b>
1.	ნაშრომში <b>გამოვლინდა</b> ორიგინალური აზროვნება.	1
2.	ნაშრომში <b>არ</b> გამოვლინდა ორიგინალური აზროვნება.	0

III გაბულოა

<b>№</b>	<b>ნაშრომის ორგანიზება, ლოგიკურად აგება და ფაქტობრივი სიზუსტე</b>	<b>ქულები</b>
<b>1.</b>	ნაშრომი ორგანიზებულია და მონაკვეთთა შორის დაცულია ლოგიკური კავშირები, არ არის დაშვებული <b>არც ერთი</b> ფაქტობრივი შეცდომა.	<b>2</b>
<b>2.</b>	ნაშრომი არ არის სათანადოდ ორგანიზებული და/ან მონაკვეთთა შორის დარღვეულია ლოგიკური კავშირები, არ არის დაშვებული <b>არც ერთი</b> ფაქტობრივი შეცდომა; ანდა ნაშრომი ორგანიზებულია და მონაკვეთთა შორის დაცულია ლოგიკური კავშირები, მაგრამ დაშვებულია <b>ერთი</b> ფაქტობრივი შეცდომა.	<b>1</b>
<b>3.</b>	ნაშრომი არ არის სათანადოდ ორგანიზებული და/ან მონაკვეთთა შორის დარღვეულია ლოგიკური კავშირები; ანდა დაშვებულია <b>ერთზე მეტი</b> ფაქტობრივი შეცდომა.	<b>0</b>

IV ტაბულა

№	ნაშრომის ენობრივი მხარე	ქულგბი
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდად გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, <b>არ არის</b> დაშვებული ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური და სინტაქსური შეცდომები.	4
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდად გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება <b>ორილებულება</b> სტილისტური ხარვეზი და/ან <b>ერთობება</b> ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომა.	3
3.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდად გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება <b>სამზადაოება</b> სტილისტური ხარვეზი და/ან <b>ორილებულება</b> ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური და/ან <b>ერთობება</b> სინტაქსური შეცდომა.	2
4.	შერჩეულია დასმული ამოცანისათვის შესაფერისი სტილი, თუმცა ლექსიკა მწირია, ზოგჯერ დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება და/ან გვხვდება <b>რამდენიმე</b> სტილისტური ხარვეზი და/ან <b>სამი-ოთხი</b> ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური და/ან <b>ორი</b> სინტაქსური შეცდომა.	1
5.	შერჩეულია დასმული ამოცანისათვის შეუფერებელი სტილი და/ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება <b>ხუთზე</b> მეტი სტილისტური ხარვეზი და/ან <b>ხუთზე</b> მეტი ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური და/ან <b>ორზე</b> მეტი სინტაქსური შეცდომა.	0

გთავაზობთ ზემოთ გამოქვეყნებული ნაშრომების შეფასებას მცირე კომენტარებით, რომლებიც, ჩვენი აზრით, წარმოდგენას შეგიქმნით, თუ როგორ გასწორდება ნაწერები მოცემული სქემის თითოეული კრიტიკიუმის მიხედვით:

I ტაბულის მიხედვით პირველი ნაშრომი შეფასდა მაქსიმალური 3 ქულით, რადგანაც დავალება კარგადაა გააზრებული, მოსაზრებები დამაჯერებლადაა დასაბუთებული, მსჯელობა კი გამყარებულია შესაფერისი მაგალითებით ვაჟა-ფშაველას პოემებიდან და, აგრეთვე, ციტირებულია ილია ჭავჭავაძის მოსაზრებაც.

II ტაბულის მიხედვითაც ნაშრომი მაქსიმალური 1 ქულით შეფასდა, ვინაიდან ტექსტში მკაფიოდ გამოვლინდა ავტორის ინდივიდუალობა და საინტერესო, არატრაფარეტული დამოკიდებულება დასმული საკითხის მიმართ.

III ტაბულის მიხედვით ნაშრომმა 2 ქულა დაიმსახურა, რადგანაც ტექსტი ორგანიზებულია და მონაკვეთობა შორის დაცულია ლოგიკური კავშირები, ამასთანავე, არ არის დაშვებული არც ერთი ფაქტობრივი შეცდომა.

IV ტაბულის მიხედვით ნაშრომმა 2 ქულა დაიმსახურა, რადგანაც, მართალია, ტექსტში აზრი ლექსიკურად ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, მაგრამ გვხვდება ორი სტილისტური ხარვეზი: „იგი ჯოყოლას ნაწილია და იმ თვალსაზრისის გამომხატველი, რომელიც ჯოყოლას სახეს ეკისრება პოემაში.“ და „...როგორც განიცდის ქეთელაური, ისე განიცდის აღაზაც“; ორი პუნქტუაციური შეცდომა: „მე რა გამგე გარ მაგისა,“ (სტრიქონის ბოლოს მძიმის ნაცვლად უნდა ეწეროს კითხვის ნიშანი) და „ატირდა როგორც ქალიო...“ (კავშირის წინ აკლია მძიმე) და, აგრეთვე, ერთი სინტაქსური შეცდომა – „...როგორიც არიან ჯოყოლა და ზვიადაური“).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მოყვანილი ნაშრომის ჯამური ქულაა – 8.

მეორე ნაშრომმა ყველა ტაბულის მიხედვით მაქსიმალური ქულები დაიმსახურა და, შესაბამისად, მისი ჯამური ქულაა – 10.

ძვირფასო პედაგოგებო,

გაითვალისწინეთ, რომ ამ კრებულში გამოქვეყნებული კითხვები და დავალებები არ შევასამოცდო ტესტებში, თუმცა, მათი გაცნობა, ვფიქრობთ, გაგიიოლებთ ანალოგიური ტიპის სამუშაოს შესრულებას. აგრეთვე სასურველია, ყურადღება მიაქციოთ ტესტურ კითხვათა და დავალებათა აპრობაციების დროს შესრულებული ნაშრომების ნიმუშებსა და მათს კომენტარებს, რომლებიც კრებულის ბოლოსაა მოცემული. ვიმედოვნებთ, რომ გამოქვეყნებული მასალის გაცნობა და გათვალისწინება დაგეხმარებათ სასერტიფიკაციო გამოცდისათვის სათანადოდ მომზადებაში.

გისურვებთ წარმატებას!

# დ ა ნ ა რ თ ი

I. ქუთაისში 2010 წლის 28 თებერვალს ჩატარებულ აპრობაციაზე  
გამოყენებული ტესტი შეფასების სქემითურთ

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი.  
გათვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!  
პასუხების ფურცელის გამოცვა დაუშევებულია!  
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის!

ტესტის მაქსიმალური ქულაა – 80.

№№ 1-14 დავალებების პასუხები შეგიძლიათ ტესტის ბუკლეტში შემოსაზოთ და გადაიტანოთ პასუხების ფურცელში შემდეგნაირად: ყოველი დავალების ნომრის გვერდით განთავსებულ უჯრედებში X ნიშანი უნდა დასვათ იმ უჯრედში, რომელიც, თქვენი აზრით, სწორ პასუხს შეაძება;

ამ დავალებათა პასუხების გადატანისას არ უნდა აგერიოთ დავალებების ნომრები. ნომრების არევის შემთხვევაში კომპიუტერი სწორი პასუხის ამოცნობას ვედარ შეძლებს;

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში მთლიანად გაშავეთ ის უჯრედი და იმავე ნომრის გასწვრივ მონიშნეთ სხვა (ეს ეხება მხოლოდ №№ 1-14 დავალებებს);

№№ 15-32 დავალებების პასუხები შესაბამისი ნომრების გასწვრივ უნდა გადაიტანოთ პასუხების ფურცელში;

№ 32 დავალება სამი ნაწილისაგან შედგება: а), б) და გ). პასუხების ფურცელშიც ამგარადა მითითებული;

სავალდებულოა, რომ № 32 დავალების ა), ბ) და გ) ნაწილები პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ ა), ბ) და გ) ნაწილებისათვის გამოყოფილ ადგილებში გადაიტანოთ;

№ 32 დავალების თითოეული ნაწილი (ა, ბ, გ) ცალ-ცალკე სწორდება შეფასების სხვადასხვა სქემის მეშვეობით და, ამდენად, ამ დავალების შემადგენელი ნაწილების ერთმანეთში არევა დაუშვებელია;

№ 32 დავალება, რომლის შემადგენელი ნაწილები პასუხების ფურცელში ერთმანეთში იქნება არეული, არ შეფასდება.

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

## წაკითხულის გააზრება

უურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული სამ-სამი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X (თუ პასუხების ფურცელში შეცდომას დაუშვებთ, შევიძლიათ მთლიანად გააშვროთ ის უჯრედი და მის ნაცვლად სხვა მონიშნოთ).

დაწერეთ ტექსტის მოკლე რეზიუმე.

დავალების მაქსიმალური ქულაა – 18.

რომანტიზმი, ჰეგელის მარჯვე გამოთქმით, შეიძლება დავახასიათოთ როგორც „უბედური ცნობიერება“, ანუ ის ცნობიერება, რომელსაც თავისი არსებობის მიზანი უსასრულობაში, გრძნობადი სამყაროს მიღმა ეგულვის და უწყის მისი მიუღწევლობა, მაგრამ, მეორე მხრივ, არ შეუძლია ამ მიუღწეველ მიზანს არ ესწრაფოს: „რაღაც უმაღლესი სიბრძნე გვასწავლის, რომ კაცობრიობაში დიდ შეცდომაში ჩავარდნის გამო სამშობლო დაკარგა. ამდენად, მისი მიწიერი ყოფნის დანიშნულება ისაა, რომ უკან (დაკარგული სამშობლოსაკენ – კ. კ.) უნდა ისწრაფოდეს, სადამდე მიღწევასაც თავის თავს მინდობილი ადამიანი ვერ ახერხებს... აქედან წარმოდგება მათი (ახალი დროის ხალხების – კ. კ.) პოზიტის ლტოლვა იმ ორი სამყაროს – გრძნობადისა და ზეგრძნობადის – შეერთებისაკენ, რომელთა შორისაც ვმოძრაობთ“, – წერდა ავგუსტ შლეგელი.

რომანტიზმისათვის დამახასიათებელია გრძნობადი და ზეგრძნობადი, მოვლენათა და გამოცდილების მიღმა მდებარე, „მიწიერი“ და „ციური“ სამყაროების პრინციპული დაპირისპირება. ამ აზრით, რომანტიზმი შეუსაუკუნეობრივი მსოფლგანცდის თავისებური აღორძინებაა, რომელიც ახალი დროის რენესანსულ-განმანათლებლური სულისკვეთების წინააღმდეგაა მიმართული.

მაგრამ რომანტიზმი არ იყო შუა საუკუნეების მსოფლმხედველობის უბრალო გამეორება. მან ბევრ ისეთ მომენტზე გაამახვილა უურადღება, შუა საუკუნეებში ან უცნობი რომ იყო, ანდა უკანა პლანზე იდგა. ერთ-ერთი ასეთი მომენტია ადამიანური „მე“-ს აქტიური ხასიათის წინა პლანზე წამოწევა. რომანტიზმის მიხედვით, ის, რასაც ჩვენ მოვლენათა სამყაროს ვუწოდებთ, მიღმური, ზეგრძნობადი სამყაროს ზემოქმედებისა და ადამიანური „მე“-ს აქტივობის ურთიერთგამსჭვალვის შედეგად ჩნდება.

ადამიანს რაღაც შეაქვს „სამყაროში“, რაღაცნაირად აგებს მოვლენათა სინამდვილეს, იგი მოვლენათა სამყაროს შექმნის თანამოზიარეა და ამ აზრით დემიურგულ ხასიათს ატარებს. სამყაროს ამგვარ თანაშექმნას გერმანულ იდეალიზმში ტრანსცენდენტალური კონსტრუქტორება ეწოდება. ამ მოძღვრებით რომანტიზმი გაემიჯნა შუა საუკუნეების თვალსაზრისს, რომლის მოხედვითაც საგნები ადამიანს ისე ეცხადება, როგორც არსებობს „თავისთავად“.

გარდა ამისა, შეუსაუკუნეობრივი მსოფლგანცდისათვის დამახასიათებელი არ არის „ციურის“ წვდომასთან დაკავშირებული რომანტიკული დრამატიზმი. ასეთი დრამატიზმი შუა საუკუნეებში საერთოდ გაუგებარი იქნებოდა, მაგრამ სავსებით გასაგებია XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ევროპაში, როდესაც განმანათლებლობაში საფუძვლიანად შეარყია რელიგიური რწმენა, თუმცა ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას...

რომანტიკოსებისათვის ადამიანის მოწყვეტა ზეგრძნობადისაგან მისი ყოფიერების მხოლოდ ერთი მხარეა. ამის მიუხედავად, ადამიანს არ შეუძლია ზეგრძნობადს არ ესწრაფოდეს. შესაძლოა, საკითხის ამგვარ გადაჭრაში დიდი როლი კანტის ფილოსოფიამ შეასრულა (სამწუხაროდ, რომანტიზმისადმი მიძღვნილ შრომებში კანტის დამსახურება ამ მსოფლმხედველობრივ მხატვრული მიმართულების ჩამოყალიბებაში ზოგჯერ იგნორირებულია).

კანტმა უარყო მეტაფიზიკა, როგორც მეცნიერება ზეგრძნობადი სინამდვილის შესახებ, მაგრამ შეინარჩუნა მეტაფიზიკა, როგორც ადამიანის ბუნებრივი, ე. ი. ადამიანის არსებიდან გამომდინარე მისწრაფება. ადამიანი თავისი არსით მეტაფიზიკური, ე. ი. მოვლენათა სამყაროს მიღმა მსწრაფელი არსებაა. მაგრამ როგორ შეუძლია გრძნობად სამყაროში მცხოვრებ ადამიანს ზეგრძნობადი სინამდვილისაკენ ლტოლვა? რომანტიკოსების პასუხი ამ კითხვაზე ერთმნიშვნელობანია – საკუთარ თავში, საკუთარ სუბიექტურობაში ჩაღრმავების გზით.

გრძნობადისა და ზეგრძნობადის, „ცისა“ და „მიწის“ რადიკალური დაპირისპირების კითარებაში, ჩვენი მიწიერი ყოფნის პირობებში „ციური“ ადამიანურ „მე“-ში ჩაღრმავებით მიიღწევა, ვინაიდან ადამიანის სულიერი ყოფა, „მიწიერ“ არსებობასთან მისი კავშირის მიუხედავად, ყოველგვარი საგნობრიობიდან და, შესაბამისად, მოვლენათა სინამდვილისაგან ყველაზე უფრო დაშორებული რამაა: „...ჩვენ სამყაროში მოგზაურობაზე ვოცნებობთ: მაგრამ განა სამყარო ჩვენს შიგნით არაა? ჩვენ არ ვუწიოთ ჩვენი სულის სიღრმე. სწორედ იქ მივყავართ იდუმალ გზას. მარადი-

ულობა მისი სამყაროებით, წარსულითა და მომავლით, ჩვენს შიგნითაა მოთავსებული, ან არ-სად“, – წერდა ხოვალისი...

ადამიანის რომანტიკული გაგება პიროვნების სუბიექტურობის ანალიზის საფუძველზე დგინდება. ასეთი გაგება აქცენტირებას ახდენს ადამიანის სასრულობაზე. რომანტიკოსები ამ საკითხშიც კანგრეს ემყარებიან. კანგრეს ფილოსოფიას მიზნად დაუსახა პასუხი გაეცა სამ კითხვაზე: 1. რა შემიძლია ვიცოდე? 2. რა შემიძლია გავაკეთო? 3. რის იმედი შემიძლია ვიქონიო? მაგრამ ამ სამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, თუ გვეცოდინება, ვინ არის ის, ვინც იმეცნებს, მოქმედებს და იმედოვნებს, ე. ი. თუ გვეცოდინება, რა არის ადამიანი.

მაგრამ – „რა შემიძლია ვიცოდე?“ – კანგრის მიხედვით, შემეცნების საზღვარს ეხება. საზღვარი იქაა, სადაც რაიმეს შემოსაზღვრა ხდება. მაგრამ შემოსაზღვრული ნიშნავს სასრულს. ამდენად, პირველი კითხვა ადამიანური შემეცნების სპეციფიკურ სასრულობას ეხება, მეორე – ქცევისას და მესამე – იმედოვნებისას. მაგრამ საჭიროა ის ინსტანცია, რომელიც სასრულობის ამ ფორმებს გააერთიანებს, ასეთი კი, კანგრის მიხედვით, საერთოდ ადამიანური ყოფიერების სასრულობაა (მ. ჰაიდეგერი).

რომანტიზმი კიდევ უფრო გაამძაფრა საკითხის ამგვარი დასმა. ადამიანის სასრულობაზე აქცენტირება შეუა საუკუნეებშიც გვხვდება, მაგრამ ამ ეპოქაში ეჭვეჭვეშ არ დამდგარა იმის შესაძლებლობა, რომ ადამიანის შეუძლია უსასრულოს ეზიაროს. პრობლემა მხოლოდ საჭირო საშუალებათა გამონახვაში მდგომარეობდა. რომანტიკული მსოფლგანცდის საფუძველი სწორედ მიღმურთან ამ ზიარების შესაძლებლობის რწმენის მოშლაა.

**ძ. კაციტაძე, სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი,  
ურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1990, №1.**

- (1) 1. რა მიზნით იყენებს პეგელი გამოთქმას „უბედური ცნობიერება“?
- ა) გრძნობადისა და ზეგრძნობადის დასახასიათებლად; ბ) „მიწიერი ყოფნის“ დანიშნულების გასარკვევად; გ) რომანტიზმის ბუნების საჩვენებლად.
- (1) 2. რა თვალსაზრისით იყო რომანტიზმი შუასაუკუნეობრივი მსოფლგანცდის თავისებური აღორძინება?
- ა) ადამიანური „მე“-ს წინა პლანზე წამოწევით; ბ) გრძნობადისა და ზეგრძნობადის შეერთებისაკენ სწრაფვით; გ) მიწიერი და ციური სამყაროების დაპირისპირებით.
- (1) 3. რა განასხვავებს რომანტიზმს შუა საუკუნეების მსოფლმსედველობისაგან?
- ა) ადამიანის ყოფიერების სასრულობის გააზრება;
  - ბ) პიროვნების სუბიექტურ სამყაროზე ყურადღების გამახვილება;
  - გ) რენესანსულ-განმანათლებლურ სულისკვეთებასთან დაპირისპირება.
- (1) 4. რა თვალსაზრისით არის ადამიანი „სამყაროს შექმნის თანამოზიარე“?
- ა) ადამიანი თავად არის დემიურგი; ბ) ადამიანი „რადაცნაირად აგებს“ მოვლენათა სინამდვილეს; გ) ადამიანს საგნები ისე ეცხადება, როგორც არსებობს „თავისთავად“.
- (1) 5. რას ნიშნავს „სამყაროს ტრანსცენდენტალური კონსტრუირება“?
- ა) ადამიანის ლტოლვას ზეგრძნობადი სინამდვილისაკენ;
  - ბ) გრძნობადისა და ზეგრძნობადის რადიკალურ დაპირისპირებას;
  - გ) ზეგრძნობადი სამყაროსა და ადამიანური „მე“-ს ურთიერთგამსჭვალვას.
- (1) 6. რა განაპირობებს „რომანტიკულ დრამატიზმს“?
- ა) დაეჭვება მიღმური სამყაროს შეცნობის შესაძლებლობაში;
  - ბ) პრინციპული დაპირისპირება „მიწიერ“ და „ციურ“ სამყაროებს შორის;
  - გ) სწრაფვა გრძნობადისა და ზეგრძნობადის შეერთებისაკენ.
- (1) 7. რომანტიკოსთა აზრით, რის მიუხედავად არ შეუძლია ადამიანს მოსწყდეს ზეგრძნობადს?
- ა) იმის მიუხედავად, რომ ეს ყოფიერების ერთი მხარეა;
  - ბ) იმის მიუხედავად, რომ მისთვის დამახასიათებელი არაა რომანტიკული დრამატიზმი;
  - გ) იმის მიუხედავად, რომ რომანტიზმი გაემიჯნა შუა საუკუნეების თვალსაზრისს.

- (1) 8. რა გზით მიიღწევა „ციური“ „მიწიერი ყოფნის“ პირობებში?
- ა) ადამიანურ „მე“-ში ჩაღრმავების გზით; ბ) „მიწიერ“ არსებობასთან მისი დაკავშირების გზით; გ) მოვლენათა სამყაროს მიღმა სწრაფვის გზით.
- (1) 9. რატომ მიიჩნევს იმანუელ კანტი ადამიანს მეტაფიზიკურ არსებად?
- ა) იმიტომ, რომ ადამიანი ზეგრძნობადი სამყაროსაკენ იღლივის;
  - ბ) იმიტომ, რომ ადამიანი მოწყდა ზეგრძნობად სამყაროს;
  - გ) იმიტომ, რომ ადამიანის შემეცნებას საზღვარი არ გააჩნია.
- (1) 10. რა არის ნოვალისის დამოწმებული ციტატის მთავარი სათქმელი?
- ა) მარადიული სამყარო ჩვენ შიგნითაა; ბ) მარადიული სულის სიღრმე შეუცნობელია; გ) მარადიულობა საერთოდ არ არსებობს.
- (1) 11. რა არის რომანტიკული მსოფლგანცდის ძირითადი მახასიათებელი?
- ა) გრძნობადისა და ზეგრძნობადის შესაძლებლობაში დაეჭვება;
  - ბ) მიღმურთან ზიარების შესაძლებლობის რწმენის მოშლა;
  - გ) უსასრულოსთან ადამიანის ზიარების შესაძლებლობის რწმენა.
- (1) 12. რის მეშვეობით განიხილავს ავტორი რომანტიზმის მსოფლხედვას?
- ა) ევროპელ მოაზროვნეებთან კამათის მეშვეობით; ბ) ევროპელ ფილოსოფოსთა მოსაზრებების ანალიზის მეშვეობით; გ) მხოლოდ საკუთარი არგუმენტების მოხმობის მეშვეობით.
- (1) 13. რა საკითხი არ არის განიხილული მოყვანილ ტექსტში?
- ა) რომანტიზმის დაპირისპირება განმანათლებლობის ფილოსოფიასთან;
  - ბ) რომანტიზმის წარმოშობის ისტორიული პირობები;
  - გ) რომანტიზმის წარმოშობის ფილოსოფიური საფუძვლები.
- (1) 14. რა არის ამ ტექსტის ძირითადი ფუნქცია?
- ა) რომანტიზმის მიერ შუასაუკუნეობრივი მსოფლგანცდის აღორძინების ჩვენება;
  - ბ) რომანტიზმის ნაციონალური თავისებურებების დახასიათება;
  - გ) რომანტიზმის ძირითადი ფილოსოფიური საფუძვლების ანალიზი.
- (4) 15. 4-5 წინადადებით დაწერეთ მოცემული ტექსტის რეზიუმე.

### ქართული ენა

- (2) 16. მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რა მოსაზრებები არსებობს ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციასთან დაკავშირებით.
- (3) 17. რას უწოდებენ სიტყვათა წყვილს: გაცნობიერებული – გათვითცნობიერებული?
- რომელი მათგანი უნდა გამოვიყენოთ მოცემულ წინადადებაში: მას კარგად პერიოდი . . . , თუ რა პასუხისმგებლობა დაუკითხა.
- პასუხი დაასაბუთეთ.
- (2) 18. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზი: მან ხაფუძველი დაუდო ქართულ ფილოსოფიურ სკოლას. განმარტეთ, რამ გამოიწვია ეს ხარვეზი.

- (2) 19. მოსწავლემ დაფაზე დაწერა შემდეგი კომპოზიტები: მისვლა-მოსვლა, კნაწა-კნუწი, ქუჩა-ქუჩა.
- გაასწორეთ შეცდომა და განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (3) 20. მოსწავლემ ზმნის სათავისო ქცევის მაგალითად მოიყვანა მიუძრებს.
- მიუთითეთ, რა შეცდომა დაუშვა მან და გააანალიზეთ, რა განაპირობებს ამგვარ შეცდომას. განმარტეთ სათავისო ქცევის რაობა.
- (2) 21. მოსწავლემ დაწერა: ერთ-ერთ ჩეკნთაგანს კონკურსში უნდა მიეღო მონაწილეობა.
- გაასწორეთ შეცდომა და განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (2) 22. მოსწავლემ შეადგინა წინადადება: გადაეცი დედას, ქვირის ბოლოს ჩამოვალ-მეთქი.
- მიუთითეთ, რა შეცდომა დაუშვა მან და განუმარტეთ, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (2) 23. მოსწავლემ დაწერა: მაია და ნინო ჩემი ნათეხავებია.
- გაასწორეთ შეცდომა და განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (5) 24. თქვენი მიზანია, განვლილი მასალიდან **გაახსენოთ** მოსწავლეებს ის საკითხები, რომლებიც დაეხმარება მათ შერწყმული წინადაღების არსის უკეთ გააზრებაში.
- (2) I. ჩამოთვალეთ ეს საკითხები;
- (3) II. აღწერეთ ერთ-ერთი სასწავლო ქმედება, რომელიც დაგეხმარებათ ამ მიზნის მიღწევაში და დაასაბუთეთ მისი ეფექტიანობა.
- (7) 25. წაიკითხეთ ნაწყვეტი მიხეილ ჯავახიშვილის კრიტიკული წერილიდან „ისევ ქართული ენის შესახებ“:
- (2) I. იმსჯელეთ, რომელი საკითხის სწავლებისას გამოიყენებთ ამ ტექსტს.
- (2) II. იმსჯელეთ, რომელი უნარი შეგიძლიათ გამოუმუშაოთ მოსწავლეს ამ ტექსტის საშუალებით.
- (3) III. აღწერეთ ორი სასწავლო ქმედება, რომლებიც დაგეხმარებათ თითოეული მიზნის მიღწევაში და დაასაბუთეთ მათი ეფექტიანობა.
- ჭირი დაუმალავი სჯობიაო. ეს ჭირიც ჩვენი ძველი ნაცნობია, თითქმის ნაჩვევი და გაშინაურებული. ქართული ენის ამდვრევისა და დამახინჯების შესახებ მოგახსენებთ. ყველას ბაგშვობიდანვე გვახსოვს ამ საგანზე ჩივილი და ზრუნვა, მაგრამ ჩვენი დასნეულებული ქართული ენა ფქნება წამოდგომისა და დაწმენდის მაგიერ უარესად დააგადდა და ატალახდა.
- გვახსოვს „დოოების“, „ივერიის“, „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ ქართული, ახლა კი, „ქართული სიტყვის“ ერთი წერილის ავტორისა არ იყოს, ნაწერზე ადვილად გამოიცნობთ დამწერის დაბადების კუთხეს. ცოტაოდენი ცოდნა ენის კანონებისა სავალდებულოდ აღარავის მიაჩნია.
- (10) 26. გაასწორეთ ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.
- I. დაუსაბუთეთ მოსწავლეს თქვენი შეფასება: I კრიტერიუმით შეფასების კომენტირებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყოველი შეცდომა და ხარვეზი, მიუცით თითოეულ მათგანს სათანადო კვალიფიკაცია.
- II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დაგალების უკეთ შესრულებაში.

## შეფასების სქემა

Nº	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ჯულგბი
I	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით; ბ) მსჯელობა ნაწილობრივ მკაფიოა, ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული ტექსტური მასალით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; გ) ტექსტი არაადეკვატურადა გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, ტექსტური მასალაც არაადეკვატურად არის მოხმობილი.	2 1 0
II	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერი სტილისტურად გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტური სარვეზები; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ სტილისტურად გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.	2 1 0
III	ორთოგრაფია-მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის <b>საჭხე მეტი შეცდომა</b> ; ბ) არ არის ამ ტიპის <b>უკანონო მეტი შეცდომა</b> ; გ) ამ ტიპის შეცდომა <b>უკანონო მეტია</b> .	2 1 0

მოსწავლემ გაანალიზა მწყემსი ქალისა და განდეგილის დიალოგის ფრაგმენტები ილია ჭავჭავაძის პოემიდან „განდეგილი“.

- „მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?“
- „ეგეთი არის, სჩანს, ნება დვთისა...“
- „როგორ თუ დვთისა? ღმერთს რაში უნდა ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?  
ვფიქრობდი: ხერა მაშ რისთვის მორთო  
ესე ლამაზად წუთისოფელი?  
განა მისთვის, რომ ადამიანმა  
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?  
ან შენ როგორ სხლებ უწუთისოფლოდ!  
მერე იცი კი, რა-რიგ ტკბილია!  
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,  
აქ ჭირია და იქ კი – ლხინია.  
ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი  
ყველა გულიდამ ამოგილია?  
ნუთუ ნაღველი, დარდი და ჯავრი

თან არავისი წამოგიდია,  
არ გაგონდება არც მამა, დედა,  
ან მმა, ანუ და, ან სახლი, კარი?  
ნუთუ მის-დღეში არა გყოლია  
მოკეთე, გულის შემატეკივარი?  
როგორ მოშორდი?..“ – „რა გითხრა, შვილო?  
ყველაზე უფრო სული ტკბილია,  
იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა  
და ეგ ყოველი მის ბორკილია“.  
– „მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა  
წავწყდებით,  
ვეღარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?“  
– „სხნა ყველგან არის... ხოლო გზა სხნისა  
ესეთი მერგო მე... უბედურსა...“

**შეფასეთ ნაწყები მოსწავლის თხზულებიდან, რომელიც უპასუხებს მითითებას: ოქუენი ხიტყვებით ჩამოყალიბეთ მწყემსი ქალის პოზიცია.**

ქალი, ვინც განსაცდელის სახით გამოუგზნა უფალმა განდეგილ ბერს, ვერ ხვდება თუ რატომ უნდა მოწყდეს ადამიანი ამქვეყნიურ ცხოვრებას და რატომ უნდა გაატაროს თავის სიცოცხლე მარტოობაში. იგი მიიჩნევს, რომ ეს წუთისოფელი უფალმა ადამიანებისათვის შექმნა და მისცა მათ, რადგან დამტკბარიყვნენ ამქვეყნიური ცხოვრებით. ილია ჭავჭავაძის აზრით, უძრავად ყოფნა არავის არგებს და ამ ნაწარმოების დედა აზრიც სწორედ ეს არის. იმიტომაა მწყემსი ქალის პოზიცია ასე მკვეთრად გამოკვეთილი, რომ ის ეთანხმება ილიას მოსაზრებას ამქვეყნიურ ცხოვრებაზე.

## ქართული ლიტერატურა

- (1) 27. მოსწავლეებმა ვერ გაიგეს „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი სტრიქონი:  
„ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წასაგებლად!“  
განუშარტეთ მათ, რა იგულისხმება ამ ტაქტში.
- (4) 28. დაუხსახელეთ მოსწავლეებს რომანტიზმისათვის დამახასიათებელი ორი ძირითადი ნიშანი და მოყვანეთ ორივე მათგანის შესაბამისი მაგალითები ქართული მწერლობიდან.
- (1) 29. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: რა ფუნქცია დააკისრა ილიამ სოსია მეწისქვილის სახეს?  
უპასუხეთ მოსწავლის ამ შეკითხვას.
- (1) 30. თქვენი მიზანია მოსწავლეებს გააცნოთ ვაჟა-ფშაველას წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.  
მოკლედ ჩამოაყალიბეთ ამ სტატიის მთავარი სათქმელი.

### მხატვრული ტექსტის ანალიზი

- (4) 31. წაიკითხეთ სანდრო ცირეკიძის მინიატურა „ეპილოგი“.  
ბუხართან თბილა.  
ბებია იკუნტება და თითისტარს ატრიალებს.  
– თოვს ისევ.  
– თოვს.  
დაჩუმდნენ. დაღლილ ძვლებს ასვენებენ.  
ბაბუა აკანკალებს ძველ წიგნს და გაყვითლებულ პწარებს კითხულობს ისევ.  
– რა ჩემი ზამთარია.  
– აღარავინ მოდის.  
ბაბუამ წიგნი დახურა. შუბლი შეიკრა და ძველ სავარძელს მიესვენა. ფიქრები ირევიან თოვლივით.  
ბებია თითისტარს ატრიალებს და იკუნტება თბილ ბუხართან. ბაბუამ ჩათვლიმა.  
გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:  
• განმარტეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი;  
• ჩამოაყალიბეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი დასახული მიზნის მისაღწევად.  
**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**  
(ნაშრომი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახსროდება).

### ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა

- (11) 32. წარმოიდგინეთ, რომ ასწავლით X ქლასს. თქვენი მიზანია დაეხმაროთ მოსწავლეებს ამო-იცნონ და გაიაზრონ შესასწავლი ტექსტების მხატვრული თავისებურებები.  
შეარჩიეთ ქვემოთ ჩამოთვლილ ტექსტთაგან **ერთ-ერთი:**  
იოვანე საბანისძის ოხზულება „აბოს წამება“;  
ილია ჭავჭავაძის სტატია „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“;  
აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“;  
გალაკტიონ ტაბიძის ლექსები: „ლურჯა ცხენები“ და „სილაურდე ანუ ვარდი სილაში“;  
გურამ რჩეულიშვილის მოთხოვნა „აღავერდობა“.  
**ლიტერატურული ნაწარმოების არჩევის შემდეგ შეასრულეთ მოცემული დავალება:**  
ა) გამოყავით და აღწერეთ ამ ნაწარმოების **თრი ძირითადი** თავისებურება, რომლებიც, თქვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია მთელი ტექსტის გაგებისა და გააზრებისათვის. **ეს თავისებურებები**

გულისხმობს (თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) თემატურ თუ იდეურ პრობლემატიკას, აულტურულ-ისტორიულ კონტექსტს, ქვეტექსტსა თუ აღუზიას, კომპოზიციურ თავისებურებებს (ნაწარმოების არქიტექტონიკას), პერსონაჟთა დახასიათებისა თუ თხრობის მეთოდებს, სტილს, უანრულ მახასიათებლებს, მხატვრულ საშუალებებს, პოეტურ ოსტატობას.

მსჯელობისას დაიმოწმეთ სათანადო მაგალითები შერჩეული ნაწარმოებიდან.

(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახდება).

ბ) ვინაიდან თქვენ გამოყავით შერჩეული ნაწარმოების ორი ძირითადი თავისებურება, უკვე შეგიძლიათ დაისახელოთ და გაანალიზოთ ის ორი პრობლემა (სირთულე), რომლებსაც თქვენ მიერ აღწერილი თავისებურებებისა და, შესაბამისად, მთელი ტექსტის გაგებისა და გააზრებისას შეიძლება წააწყდნენ მოსწავლეები.

ანალიზის დრო:

- მოიხმეთ ტექსტიდან ის მაგალითები, რომლებიც თვალსაჩინოს გახდის თქვენ მიერ გამოყოფილი თითოეული პრობლემის არსებობას;
- ახსენით, რა მიზეზით (მიზეზებით) შეიძლება შეექმნათ ეს პრობლემები მოსწავლეებს ამ კონკრეტული ნაწარმოების შესწავლისას.

(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახდება).

გ) თქვენ უძვე დაასახელეთ და გააანალიზეთ ის ორი პრობლემა (სირთულე), რომლებსაც ტექსტის გაგებისა და გააზრებისას შეიძლება წააწყდნენ მოსწავლეები.

ამჯერად აღწერეთ ის ორი სასწავლო ქმედება, რომლებიც დაგეხმარებათ დაანახვოთ და გაააზრებინოთ მოსწავლეებს თქვენი მსჯელობის I ნაწილში გამოყოფილი თავისებურებები და დააძლევინოთ ამავე მსჯელობის II ნაწილში აღნიშნული პრობლემები.

მსჯელობისას ახსენით, როგორ (რა გზით) დაეხმარება ეს სასწავლო ქმედებები მოსწავლეებს ამ ნაწარმოების თავისებურებების გაგებასა და გააზრებაში და როგორ (რა გზით) დააძლევინებს ტექსტის შესწავლისას წამოჭრილ პრობლემებს.

(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახდება).

2010 წლის 28 თებერვლის სააპრობაციო ტესტის შეფასების სქემა

**წაკითხულის გააზრება (დავალებები №№ 1-14)**

1. გ) -----I. 2. გ) -----I. 3. გ) -----I. 4. გ) -----I. 5. გ) -----I.  
 6. ა) -----I. 7. ა) -----I. 8. ა) -----I. 9. ა) -----I. 10. ა) -----I.  
 11. გ) -----I. 12. გ) -----I. 13. გ) -----I. 14. გ) -----I.

**რეზიუმეს (დავალება № 15) შეფასების კრიტერიუმები**

რეზიუმეს მაქსიმალური ქულაა 4. უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა გაარკვიოს, **წარმოადგენს თუ არა შესრულებული დავალება რეზიუმეს**. თუ პასუხი სტატიის შინაარსის თხრობაა (ვრცელი პერიოდიზია), წერილის კრიტიკული ანალიზია, მისი შეფასება-კომენტარია ანდა ენობრივად გაუმართავია, იგი არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა.

თუ დავალების პასუხი რეზიუმეა, იგი უნდა შეფასდეს მოცემული სქემის მიხედვით.

Nº	კრიტერიუმები	ქულები
1.	დავალება <b>ამომწურავადა</b> შესრულებული (საუბარია სტატიის ყველა არსებითი ასპექტის შესახებ) და არ არის დაშვებული <b>არც ერთი ენობრივი შეცდომა</b> .	4
2.	დავალება <b>ამომწურავადა</b> შესრულებული (საუბარია სტატიის ყველა არსებითი ასპექტის შესახებ), მაგრამ დაშვებულია <b>ერთი ან ორი ენობრივი შეცდომა</b> .	3
3.	დავალება <b>ნაწილობრივაა</b> შესრულებული (არ არის საუბარი სტატიის ერთ-ერთი არსებითი ასპექტის შესახებ) და არ არის დაშვებული <b>არც ერთი ენობრივი შეცდომა</b> ; ანდა დავალება <b>ამომწურავადა</b> შესრულებული (საუბარია სტატიის ყველა არსებითი ასპექტის შესახებ), მაგრამ დაშვებულია <b>ორზე მეტი ენობრივი შეცდომა</b> .	2
4.	დავალება <b>ნაწილობრივაა</b> შესრულებული (არ არის საუბარი სტატიის ერთ-ერთი არსებითი ასპექტის შესახებ) და დაშვებულია <b>ერთი ან ორი ენობრივი შეცდომა</b> .	1
5.	ნაშრომში არ არის საუბარი სტატიის ორი ან მეტი არსებითი ასპექტის შესახებ.	0

**ქართული ენა (დავალებები №№ 16-26)**

16. არსებობს მოხაზულება, რომ ქართული საღიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტა-ჟებია: ძველი (V-XI სს.) და ახალი ქართული ენა (XII ს. – დღემდე). -----I.  
 მეორე თვალსაზრისით: ძველი (V-XI სს.), საშუალი (XII-XVIII სს.) და ახალი ქართული ენა (XIX ს. – დღემდე). -----I.  
 17. პარონიმებს -----I.  
 გაცნობიერებული -----I.  
 გაცნობიერებული აქვს ნიშნავს გააზრებული აქვს რაიმე, გათვითცნობიერებული ნიშნავს გარკვეული არის რაიმეში. -----I.  
 18. მან საფუძვლი ჩაუყარა ქართულ ფილოსოფიურ სკოლას. -----I.  
 ეს ხარვეზი გამოიწვია სხვადასხვა გამოთქმის (საფუძვლი ჩაუყარა და სათავე დაუდო) აღრე-ვამ (კონტაქტისაცია). კერძოდ, ზმნა დაუდო აღებულია გამოთქმიდან – სათავე დაუდო. -----I.  
 19. ქანტაკურტი -----I.  
 ფუნქციონალურებული კომპოზიტი, რომლის ერთ-ერთ ფუნქცია შეცვლილია ხმოვანი ან თანხმოვა-ნი, უდევისორ იწერება. -----I.  
 20. მიშენებს – სასხვისო ქვევის ფორმა. -----I.  
 ამ შეცდომას განაპირობებს ის, რომ -ი სათავისო ქვევის ნიშანიც არის და სასხვისო ქვევი-საც. -ი სასხვისო ქვევის ნიშანია მაშინ, როდესაც ირიბ მისებული პირებით პირებით პირია. -I.  
 სათავისო ქვევა ზმნის ის ფორმა, რომელიც გამოხატავს, რომ პირდაპირი მისებული სუბიექტისაა ან სუბიექტისათვისაა დანიშნული. -----I.

<b>21.</b> ჩვენგანს	-1j.
ჩვენ I პირის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმაა, მას -თ(ა) მრავლობითი რიცხვის მაწარმეტებელი არ ხვიდება. -1j.	
<b>22.</b> ჩამოვალ-თქო	-1j.
-მეთქი ნაწილაცი არასწორადაა გამოყენებული. თუ პირველი პირი ავალებს მეორე პირს გადახვების თავისი ნათქვამი მესამე პირს, ასეთ შემთხვევაში საჭიროა -თქო ნაწილაკის გამოყენება. -1j.	
<b>23.</b> ნათესავები არიან	-1j.
როცა შედგენილი შემასხელის სახელიადი ნაწილი სულიერი საგნის აღმნიშვნელი არსებითი სახელია და დგას მრავლობით რიცხვში, იგი დამხმარე ზმნას მრავლობით რიცხვში ითანხმება. -1j.	
<b>24.</b> I. ა) თუ ჩამოთვლილია ორი საკითხი მაინც (წინადაღების ტიპი აგებულების მიხედვით, წინადაღების მთავარი წევრები, წინადაღების მეორებარისხოვანი წევრები, მარტივი წინადაღების რაობა, წინადაღების ერთგვაროვანი წევრები...). -2j.	
ბ) თუ დასახელებულია მხოლოდ ერთი საკითხი. -1j.	
II. ა) თუ აღწერილია ქმედება და მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებულია. -3j.	
ბ) თუ აღწერილია ქმედება, მაგრამ დასაბუთება არგუმენტირებული არ არის. -2j.	
გ) თუ ქმედება მხოლოდ აღწერილია. -1j.	
დ) თუ ქმედება მხოლოდ დასახელებულია. -0j.	
<b>25.</b> I. ა) თუ ადგევატურად არის გამოყოფილი საკითხი და დასაბუთებულია. -2j.	
ბ) თუ ადგევატურად არის გამოყოფილი საკითხი, მაგრამ დასაბუთებული არ არის. -1j.	
გ) თუ ადგევატურად არ არის გამოყოფილი საკითხი -0j.	
II. ა) თუ მსჯელობა კარგად არის დასაბუთებული. -2j.	
ბ) თუ მსჯელობა ნაწილობრივ არის დასაბუთებული. -1j.	
გ) თუ მსჯელობა დასაბუთებული არ არის. -0j.	
III. ა) თუ აღწერილია ქმედება და მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებულია. -3j.	
ბ) თუ აღწერილია ქმედება, მაგრამ დასაბუთება არგუმენტირებული არ არის. -2j.	
გ) თუ ქმედება მხოლოდ აღწერილია. -1j.	
დ) თუ ქმედება მხოლოდ დასახელებულია. -0j.	
<b>26.</b> I.	
1. (I კრიტერიუმის მიხედვით)	
ა) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება პირველი კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო მაგალითების მოხმობით -2j.	
ბ) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება პირველი კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო, მაგრამ მაგალითები არ მოიხმო -1j.	
გ) თუ გადმოწერილია მხოლოდ კრიტერიუმის მითითებები -0j.	
2. (II და III კრიტერიუმების მიხედვით)	
ა) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება II და III კრიტერიუმების მიხედვით -----1j.	
ბ) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება მხოლოდ II ან III კრიტერიუმის მიხედვით -----0j.	
3. I. შეცდომების აღმოჩენა:	
ა) თუ მასწავლებელს გამორჩა ერთი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი -2j.	
ბ) თუ მასწავლებელს გამორჩა ორი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ანდა არასწორად ამოიწერა ერთი -1j.	
გ) თუ მასწავლებელს გამორჩა სამი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ანდა არასწორად ამოიწერა ორი -0j.	
II. შეცდომების კვალიფიკაცია:	
ა) თუ ხუთი ენობრივი შეცდომისა და ხარვეზის კვალიფიკაცია სწორია -----3j.	
ბ) თუ ოთხი შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია სწორია -----2j.	
გ) თუ სამი შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია სწორია -----1j.	
დ) თუ მხოლოდ ორი შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია არის სწორია -----0j.	
III.	
ა) თუ კომენტარის ეს ნაწილი მეთოდურად სწორია და მსჯელობა არგუმენტირებულია -----2j.	
ბ) თუ კომენტარის ეს ნაწილი მეთოდურად სწორია, მაგრამ მსჯელობა ნაწილობრივ არის არგუმენტირებული -----1j.	
გ) თუ კომენტარის ეს ნაწილი მეთოდურად გაუმართავია და მსჯელობა არ არის არგუმენტირებული -----0j.	

## ქართული ლიტერატურა (დაგალებები №№ 27-30)

27. ამ სტრიქონში იგულისხმება შემდეგი: ავთანდილი ანდერძში თხოვნით მიმართავს როსტე-  
ვანს – ნუ დაგენანებათ ჩემი ქონების გაცემა ჩემივე სულის საცხონებლად. ——————*ქ.*
28. რომანტიზმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: ზეგრძნობადისაკენ (მიღმური სამყარო-  
საბენ) სწრაფვა; თავისუფლებისმოყვარე (მეამბოხე) ადამიანის, როგორც სამყაროს ცენტრის  
იდეის დამკვიდრება; წარსულისა და ბუნების გაიდეალება; ლაქვარდისფრის სიყვარული და  
სხვ. ეს ჩანს მაგ.: ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში „ცისა ფერს“ („ცისა ფერს, ლურჯსა  
ფერს პირველად ქმნილსა ფერს და არ ამ ქვეყნიერს, სიყრმიდგან ვეტრფოდი...“), „მერანი“  
(„გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი, თუ აქამომდე არ ემონა  
მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!..“), „შემოღამება მთაწმინდაზე“ („აწცა რა თვალი ლაჭ-  
ვარდს გიხილვენ...“), გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“ („ცისკარმან აღმოსავლეთი ვარ-  
დისა ფერად შეჰდება...“) და სხვ.
1. ა) ზეცისაკენ სწრაფვა; წარსულის, ბუნების იდეალიზაცია... ——————*ქ.*  
ბ) ზეცისაკენ სწრაფვა... ——————*ქ.*
2. ა) „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“; „თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედა-  
რი...“; „აწცა რა თვალი ლაჭვარდს გიხილვება...“ ——————*ქ.*  
ბ) „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“ ——————*ქ.*
29. ილიამ სოსია მეწისქვილის მხატვრული სახის საშუალებით ნაწარმოების მთავარი სათქმე-  
ლი (მთავარი პრობლემა) წარმოაჩინა: ეს არის გაუცხოება ადამიანებს შორის. „ხიდი ჩატე-  
ხილია“ როგორც სხვადასხვა, ისე ერთი და იმავე წოდების წარმომადგენელთა შორის. ——————*ქ.*
30. ვაჟას სტატიის მთავარი სათქმელი არის ის, რომ პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი ერთ-  
მანეთს არ ეწინააღმდეგება. თუ ადამიანი იღვწის თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ, ის პატ-  
რიოტიც არის და კოსმოპოლიტიც. ——————*ქ.*

### მხატვრული ტექსტის ანალიზის (დაგალება № 31) შეფასების კრიტერიუმები

№	კრიტერიუმები	ქულები
1.	ორივე მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მეაფიოდაა ჩამოყალიბე- ბული და არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი.	4
2.	ორივე მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მეაფიოდაა ჩამოყალიბე- ბული, მაგრამ დაშვებულია ერთი ენობრივი შეცდომა ანდა სტილისტური ხარვე- ზი; ანდა ერთ-ერთი მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მეაფიოდაა ჩამოყალიბებული, ხოლო მეორე მითითება არასრულია (შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს) და არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა ან სტილის- ტური ხარვეზი.	3
3.	ორივე მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მეაფიოდაა ჩამოყალიბე- ბული, მაგრამ დაშვებულია ორი ენობრივი შეცდომა ანდა სტილისტური ხარვე- ზი; ანდა ერთ-ერთი მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მეაფიოდაა ჩამოყალიბებული, ხოლო მეორე მითითება არასრულია (შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს) და დაშვებულია ერთი ენობრივი შეცდომა ანდა სტილისტური ხარ- ვეზი.	2
4.	ერთი მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, მეორე მითითება არ არის შესრუ- ლებული (ან არაადეკვატურადაა შესრულებული); ანდა ორივე მითითება ადეკვა- ტურადაა გააზრებული, პასუხი მეაფიოდაა ჩამოყალიბებული, მაგრამ დაშვებუ- ლია ორზე მეტი ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი.	1
5.	მითითები არ არის ადეკვატურად გააზრებული; ან პასუხი ენობრივად გაუმარ- თავია; ანდა 50 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისად.	0

**ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის (დაგალება № 32) შეფასების კრიტიკულები**

დაგალება სამი ნაწილისაგან შედგება. მისი მაქსიმალური ქულაა 11. თუ **ცომელიძე** მითითების პასუხი ენობრივად გაუმართავი იქნება ანდა 50 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, **ამ კონკრეტული** მითითების პასუხი არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა.

დაგალების ყოველი ნაწილი ამგარად უნდა შეფასდეს:

**I მითითების შეფასების სქემა:**

Nº	კრიტიკულები	ქულები
1.	ადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების <b>ორიგე</b> ძირითადი მხატვრული თავისებურება და <b>დამაჯერებლადაა</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; <b>არ არის</b> დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა, მსჯელობა <b>შეესაბამება X</b> კლასის მოსწავლის ცოდნის დონეს.	4
2.	ადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების <b>ერთი</b> ძირითადი მხატვრული თავისებურება და <b>დამაჯერებლადაა</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით, ხოლო <b>მეორე</b> მხატვრული თავისებურება წარმოჩენილია <b>ადეკვატურად</b> , მაგრამ <b>არა-დამაჯერებლადაა</b> დასაბუთებული მაგალითებით, <b>არ არის</b> დაშვებული უხეში ფაქტობრივი შეცდომა, მსჯელობა <b>შეესაბამება X</b> კლასის მოსწავლის ცოდნის დონეს.	3
3.	ადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების <b>ორიგე</b> ძირითადი მხატვრული თავისებურება და <b>დამაჯერებლადაა</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით, <b>არ არის</b> დაშვებული უხეში ფაქტობრივი შეცდომა, მსჯელობა <b>არ შეესაბამება X</b> კლასის მოსწავლის ცოდნის დონეს; <b>ან ადეკვატურადაა</b> წარმოჩენილი ნაწარმოების <b>ორიგე</b> ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ <b>არადამაჯერებლადაა</b> დასაბუთებული მაგალითებით, <b>არ არის</b> დაშვებული უხეში ფაქტობრივი შეცდომა, მსჯელობა <b>შეესაბამება X</b> კლასის მოსწავლის ცოდნის დონეს.	2
4.	ადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების <b>ორიგე</b> ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით, <b>არ არის</b> დაშვებული უხეში ფაქტობრივი შეცდომა, მსჯელობა <b>შეესაბამება X</b> კლასის მოსწავლის ცოდნის დონეს; <b>ან ადეკვატურადაა</b> წარმოჩენილი ნაწარმოების <b>ერთი</b> ძირითადი მხატვრული თავისებურება და <b>დამაჯერებლადაა</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით, <b>არ არის</b> დაშვებული უხეში ფაქტობრივი შეცდომა, მსჯელობა <b>მეორე</b> ძირითადი მხატვრული თავისებურება, <b>არ არის</b> წარმოჩენილი ნაწარმოების <b>მეორე</b> ძირითადი მხატვრული თავისებურება, <b>არ არის</b> დაშვებული უხეში ფაქტობრივი შეცდომა, მსჯელობა <b>შეესაბამება X</b> კლასის მოსწავლის ცოდნის დონეს.	1
5.	არადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების <b>ორიგე</b> ძირითადი მხატვრული თავისებურება; <b>ან ადეკვატურადაა</b> წარმოჩენილი ნაწარმოების <b>ერთი</b> ძირითადი მხატვრული თავისებურება, ხოლო <b>მეორე</b> მხატვრული თავისებურება წარმოჩენილია <b>ადეკვატურად</b> , მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; <b>ანდა ადეკვატურადაა</b> წარმოჩენილი ნაწარმოების <b>ორიგე</b> ძირითადი მხატვრული თავისებურება და <b>დამაჯერებლადაა</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით, მაგრამ <b>დაშვებულია</b> უხეში ფაქტობრივი შეცდომა და მსჯელობა <b>არ შეესაბამება X</b> კლასის მოსწავლის ცოდნის დონეს.	0

## II მითითების შეფასების სქემა:

<b>№</b>	<b>კრიტერიუმები</b>	<b>ქულები</b>
1.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი ორიგე პრობლემა და დამაჯერებლადაა განმარტებული მათი გამომწვევი მიზეზები, მსჯელობა დასაბუთებულია სათანადო მაგალითებით.	3
2.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი ორიგე პრობლემა და დამაჯერებლადაა განმარტებული მათი გამომწვევი მიზეზები, მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; ანდა გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი ორიგე პრობლემა, მოხმობილია მაგალითები, მაგრამ <b>არ არის</b> დამაჯერებლად განმარტებული ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზები.	2
3.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი <b>ერთი</b> პრობლემა, დამაჯერებლადაა განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზები, დასაბუთებულია სათანადო მაგალითებით, მაგრამ <b>არ არის</b> გამოკვეთილი ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი <b>მეორე</b> პრობლემა; ანდა გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი ორიგე პრობლემა, მაგრამ დამაჯერებლად <b>არ არის</b> განმარტებული მათი გამომწვევი მიზეზები და <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით.	1
4.	<b>არ არის</b> გამოკვეთილი ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პრობლემები.	0

## III მითითების შეფასების სქემა:

<b>№</b>	<b>კრიტერიუმები</b>	<b>ქულები</b>
1.	აღწერილია ორიგე სასწავლო ქმედება, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურებების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემების დაძლევაში, დამაჯერებლადაა დასაბუთებული, თუ რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედებები დასახული მიზნის მიღწევას.	3
2.	აღწერილია ორიგე სასწავლო ქმედება, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურებების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემების დაძლევაში, მაგრამ დამაჯერებლად <b>არ არის</b> დასაბუთებული, თუ რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედებები დასახული მიზნის მიღწევას.	2
3.	აღწერილია <b>ერთი</b> სასწავლო ქმედება, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურებების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემების დაძლევაში, დამაჯერებლადაა დასაბუთებული, თუ რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას, მაგრამ <b>არ არის</b> აღწერილი <b>მეორე</b> სასწავლო ქმედება; ანდა აღწერილია ორიგე სასწავლო ქმედება, მაგრამ <b>არ არის</b> ნაჩვენები, თუ რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედებები დასახული მიზნის მიღწევას.	1
4.	<b>არ არის</b> აღწერილი ის სასწავლო ქმედებები, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურებების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემების დაძლევაში.	0

თუ ნაშრომში დაშვებული არ არის ხამზე მეტი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარგები, ქულათა ჯამს დაემატება 1 ქულა.

## II. 2010 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტი შეფასების სქემითურთ

### ო ნ ს ო რ უ ქ ც ი ა

ოქვენ წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი.  
გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!  
პასუხების ფურცელის გაკეცვა დაუშვებელია!  
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის!

#### ტესტის მაქსიმალური ქულაა – 80.

№№ 1-9 დავალებების პასუხები შეგიძლიათ ტესტის ბუკლეტში შემოხაზოთ და გადაიტანოთ პასუხების ფურცელში შემდეგნაირად: ყოველი დავალების ნომრის გვერდით განთავსებულ უჯრედებში X ნიშანი უნდა დასვათ იმ უჯრედში, რომელიც, თქვენი აზრით, სწორ პასუხს შეესაბამება;

ამ დავალებათა პასუხების გადატანისას არ უნდა აგერიოთ დავალებების ნომრები. ნომრების არევის შემთხვევაში კომპიუტერი სწორი პასუხის ამოცნობას ვეღარ შეძლებს;

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში მთლიანად გააშავეთ ის უჯრედი და იმავე ნომრის გასწვრივ მონიშნეთ სხვა (ეს ეხება მხოლოდ №№ 1-9 დავალებებს);

№№ 10-31 დავალებების პასუხები შესაბამისი ნომრების გასწვრივ უნდა გადაიტანოთ პასუხების ფურცელში;

№ 31 დავალება სამი ნაწილისაგან შედგება: ა), ბ) და გ). პასუხების ფურცელშიც ამგვარადა მითითებული;

სავალდებულოა, რომ № 31 დავალების ა), ბ) და გ) ნაწილები პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ ა), ბ) და გ) ნაწილებისათვის გამოყოფილ ადგილებში გადაიტანოთ;

№ 31 დავალების თითოეული ნაწილი (ა, ბ, გ) ცალ-ცალკე სწორდება შეფასების სხვადასხვა სქემის მეშვეობით და, ამდენად, ამ დავალების შემადგენელი ნაწილების ერთმანეთში არევა დაუშვებელია;

№ 31 დავალება, რომლის შემადგენელი ნაწილები პასუხების ფურცელში ერთმანეთში იქნება არეული, არ შეფასდება.

**არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!**

**ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.**

**გისურვებთ წარმატებას!**

## წაკითხულის გააზრება

უურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X (თუ პასუხების ფურცელში შეცდომას დაუშევებთ, შეგიძლიათ მთლიანად გააშავოთ ის უჯრედი და მის ნაცვლად სხვა მონიშნოთ).

დაწერეთ ტექსტის მოკლე რეზიუმე.

დავალების მაქსიმალური ქულაა – 13.

ერთადერთი მოწინააღმდეგე, რომელსაც იგი [ბარათაშვილი] ებრძვის და რომლის წინაშეც ბოლოს აუცილებლად ქედი უნდა მოიხაროს ყოველმა მომაკვდაფმა, არის ბედისწერა...

ბარათაშვილის მერანის უგზო უკვლოდ ფრენა, მისი გიუური, უმიზნო ლტოლვა საუკეთესო ლირიკული სახეა შოპენისურის პესიმისტური ფილოსოფიისა. როგორც მსოფლიო ნებისყოფა, რომელიც მუდმივ დაუკმაყოფილებელი წყურვილით იტანჯება, ის მუდმივ თავის საზღვრების გადალახვას სცდილობს, მაგრამ საზღვრებს ვერა ხედავს, ილტვის, მაგრამ თავის სურვილის დაკმაყოფილებას ვერა სძლებს, ეძიებს, მაგრამ ყოველგან მხოლოდ თავისავე თავს პოულობს, სწორედ იმიტომ, რომ მხოლოდ თვითონ ისაა ერთადერთი „ნამდვილი სინამდვილე“, ყოველივე კი, რაც იმის გარეშე არსებობს, არის მოვლენა, აჩრდილი... – ისე ბარათაშვილის მხედარი, ეს უსახელო ტრაგიკული მე, დრტვინავს და დელავს, ქარს ჰკვეთავს და წყალს აპობს, უმიზნოდ მიპქრის, უმიზნოდ იტანჯება და ამაოდ ლამობს გაექცეს თავის ბედისწერას, რომელიც ყოველთვის უქან არის, მიტომ, რომ მისი საზღვრები გარდაუვალი და აბსოლუტურია. ესაა ბრძოლა მესი თავისთავთან, თავის საბედისწერო საზღვრებთან, ტრაგიკული გათიშვა, რომლის შერიგება და მოსპობა ყოვლად შეუძლებელია...

გრძნობა, რომელიც ტრაგიზმში სჭარბობს, არის ტანჯვა შეერთებული სიდიადესთან: იბრძვის, იტანჯება და ბოლოს იდუპება არა უბრალო, საშუალო ადამიანი, არამედ არაზეულებრივი პიროვნება, დიადი თვით შეცოდებასა და დანაშაულობაში... ტრაგიზმი მსოფლიო ყოფნის ბეჭდს და საშიშს მხარეს ააშკარავებს, ყოველი ჩვენგანი მის განცდაში ერთგვარ სიამოვნებას გრძნობს. ეს არის ტანჯვის სიტქმოება, ანუ „ტანჯვის სამოთხე“, როგორც ი. ჭავჭავაძე ამბობს ერთს თავის ლექსში: ერთი ამოცანა ჩვენი ფსიქიური ბუნების. ადამიანი ხშირად... შეუბრალებლად ატიტვლებს თავის ძეელ ჭრილობებს, აახლებს განვლილ ტკივილებს, ეშვება უკვე გამოულებული სულის სიღრმეში და ჰქმნის ახალს წყაროს ტანჯვისა და მწუხარებისა. ჩემის აზრით, ამ მოვლენის ახსნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ იმ შეხედულებით ვიხელმძღვანელებთ, რომ ადამიანური ცხოვრების მიზანს პიროვნების გაფართოება შეადგენს და არა შეუშფოთებელი ბედნიერება. და მართლაც, თითქმის არსად არა ჰგრძნობს ადამიანი ისე აშკარად თავის პიროვნების გაფართოებას, როგორც ტანჯვასა და ტრაგიკულ ბედის განცდაში...

აქ, ტრაგიკულს საფრთხესა და ტანჯვაში ჰგრძნობს მე თავის ბატონობის სფეროს გაფართოებას იმ საზღვრებამდი, რომელიც მისაწვდომია საზოგადოდ მომაკვდაფთავის...

ზღუდე, რომელსაც ვერასოდეს ვერ გადაბიჯებს პიროვნება, არის დროების მიერ შექმნილი საზღვრები. ადამიანისთვის საშინელი და მტანჯველია არა მარტო აზრი დროებითი განსაზღულებისა, არა მარტო სიკვდილის იდეა, თვით დროების ვითარებაში ამას გარდაც იმალება რამდენიმე მომენტი, რომელიც ხშირად უიმისოდაც სწამლავს ამ ქვენიურს ცხოვრებას. ერთს მათგანს კარგა ხანია ყურადღება მიაქცია ფილოსოფიურმა აზროვნებამ: ყოველს სიამოვნებას და ბედნიერებას რეალური ფასი და ღირებულება აქვს, როცა ის აწმეოს ეკუთვნის; განვლილი სიამოვნება და ბედნიერება უკვე აჩრდილია სინამდვილისა. მომავალ დროის დაპირებებსა და იმედებს აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ როდისმე აწმეო სინამდვილის სისხლსა და ხორცს შეისხამენ. ამგვარად, ადამიანური ცხოვრების სიმდიდრე, მრავალმხრიანობა და ბედნიერება აწმეოს ჩარჩოებშია მოთავსებული. რაღაც თვით ეს აწმეო? ბეწვის ხიდი, წარსულისა და მყობადობის თვალუწყვდენებს ოკეანეთ შორის გადებული, მოჩვენება, რომლისაკენ მუდმივ ამაოდ ხელს იწვდის ადამიანი. ხოლო, რადგან არსებითად ბედნიერება მხოლოდ აწმეოშია, აწმეო კი მოჩვენებაა, რომლის დასახელებასაც ვერ ასწრებს ადამიანი, რომ ის უკვე დაუბრუნებდად გამქრალია, თვით ბედნიერებასაც აჩრდილისებრი ელფერი ეძლევა. და სწორედ ჩვენი არსებობის ამ მხარეს მიაქცია ყურადღება ბარათაშვილმა თავის ფილოსოფიურ ლექსში: „ვპოვე ტამარი, შესაფარი...“

ეს არის ტრაგედია სოფლის დელვით მაშვრალი მწირისა, რომელსაც ბედნიერებამ ელვასავით ერთით გაუდიმა, უდიდესი მშვენიერება გაუნათა და დაანახვა. გაუდიმა ერთის წუ-

თოთ, რომ შემდეგ სამუდამოდ გამქრალიყო და ამით მისი ობლობა და მიუსაფრობა კიდევ უფრო აუტანელი გაეხადა:

მაგრამ საწუთო განა ვისმე დიდხანს ახარებს?

განქრა ტაძარი და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;

მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,

მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!

თუმცა ნათესაობა შოპენიაუერის ნებისყოფის მეტაფიზიკასა და ბარათაშვილის ლირიკულს ტრაგიზმს შორის თვალსაჩინოა, მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია წინააღმდეგობაც მათ შორის. გერმანელ პესიმისტისთვის ისტორიულს მსვლელობას არავითარი აზრი და რეალური შინაარსი არა აქვს: არსებითად ის, რასაც კაცობრიობის ისტორიულს განვითარებას უწოდებენ, წინსვლა კი არა, უმიზო, შმაგი ტრიალია ერთს გარდაუვალს წრეში, უთვალავი განმეორება ერთისა და იმავე ტრაგიკომედიისა, რომელშიაც მხოლოდ შემთხვევითი, უმნიშვნელო როლები და გარეგნული დეკორაცია იცვლება, ძირითადი მეტაფიზიკური აზრი, ანუ, უკეთ ვსოქვათ, უაზრობა კი დასაბამითვე შეურყუველი რჩება.

ხელოვნება, განსაკუთრებით ტრაგედია, შოპენიაუერის პირით, სწორედ ფარდასა ჰქედის იმ ჭეშმარიტებას, რომ ინდივიდუალური არსებობის ერთადერთს ნამდვილს მიზანს თავისივე თავის ძირში აღმოფხვრა შეადგენს. ტრაგიკული გმირი ხანგრძლივ ბრძოლისა და ტანჯვის შემდეგ სცნობს, რომ ის იღუპება არა ამა თუ იმ შეცოდების ან დანაშაულისთვის, არა ამა თუ იმ პირად მოქმედებისთვის, არამედ თვით მსოფლიო ცოდვის სიმძიმის გამო. ამგვარად ტრაგიკული სული რეზიგნაციისკენ\* უთოთებს: ის გვასწავლის თვალი დაგუცხუჭოთ ამ ქვეყნიურს სილამაზეს, ყური არ ვათხოვოთ მომხიბლავ ხელს, ხელი არ გაფუწოდოთ მის მოჩვენებებს, რომელიც ჩაგვითრევენ ცხოვრების ტრიალში, არამედ ესქილოსის, სოფოკლის და შექსპირის გმირებივით უარი ვსოქვათ ნებისყოფაზედ.

ბარათაშვილის პოეზიიდან ინდივიდუალიზმის შესახებ ამის საწინააღმდეგო შეხედულობა გამოკრთის. ეს მგოსანი პირველი ქართველი მოციქულია ძლიერის ინდივიდუალიზმისა, დიადი ტრაგიკული პიროვნებისა, რომელიც თავის დანიშნულებას ჰქედავს არა არსებობის გაყინვასა და განადგურებაში, არამედ მის გამდიდრებაში და გამრავალფერებაში. თავის მოუსვენარს ძიებაში მან სამყაროში აღმოაჩინა გენიოსური ინდივიდუალობა, დიადი მე, რათა შემდეგ ამავე მე-ში პირიქით მთელი ქვეყნის მრავალმხრივობა დაენახვებინა და მგოსანმა რამოდენიმეთ მართლაც შესძლო დაენახვებინა, რომ ძლიერი, შემომქმედი პიროვნება გრძნობათა და გულისთვისა დაუშრებელი წეაროა, რომელსაც შეუძლიან ცხოველჟყოს ამ ქვეყნიური უსულდგმულო არსებობა. ციურ მნათობთა და კოსმიურ ძალთა თუ ვერა, მან მომაკვდავთ მაინც გვაგრძნობინა რაოდენი საუნჯე იმალება ინდივიდუალურს ყოფნაში, რა მშვენიერია უდიდესი ადამიანობა: ამით მან დირსება და ფასი დაუბრუნა პირვენებას, რომელსაც გარეშე ტლანქი ძალი განადგურებით ემუქრებიან, მისი არსებობა ძვირფასი გახადა და მის საბედისწერო ბრძოლისთვის გული აგვიცემა.

არის რაღაც გამოუთქმელად ამმაღლებელი ამ ძლიერებაში, რომელიც თვით ტრაგიკულს გათიშვაში ცხოვრებას ზურგს არ უბრუნებს, სულმოკლედ ქედს არ იხრის თვით სიკვდილის წინაშეც და შთამომავლობას მედგრად უთოთებს იმ გზისაკენ, რომელზედაც მან ამაყად შესდგა ფეხი: „სრული ცხოვრება, ფართო არსებობა, ძლიერი პირვენება!“

**გერონტი ქიქოძე, ტრაგიული გრძნობა 6. ბარათაშვილის ლირიკაში,  
გაზ. „საქართველო“, 1916, №№ 260-261.**

- (1) 1. **რატომაა, ავტორის აზრით, „ბარათაშვილის მერანის უგზო უკვლოდ ფრენა... საუკეთესო ლირიკული სახე შოპენიაუერის პესიმისტური ფილოსოფიისა?“**
  - ა) იმიტომ, რომ „მერნის“ ლირიკული გმირი ამაღლ ცდილობს გაექცეს საკუთარ ბედისწერას.
  - ბ) იმიტომ, რომ „მერნის“ ლირიკული გმირი „არის მოვლენა, ახრდილი...“
  - გ) იმიტომ, რომ „მერნის“ ლირიკული გმირი „დრტვინავს და ლელავს...“
  - დ) იმიტომ, რომ „მერნის“ ლირიკული გმირი წარმატებით იბრძვის ბედისწერის წინააღმდეგ.
- (1) 2. **რა აკავშირებს ერთმანეთთან პირველ და მეორე აბზაცებს?**
  - ა) მეორე აბზაცში გამეორებულია პირველ აბზაცში გამოთქმული მოსაზრებები.
  - ბ) მეორე აბზაცში განზოგადებულია პირველ აბზაცში გამოთქმული მოსაზრებები.
  - გ) მეორე აბზაცში დასაბუთებულია პირველ აბზაცში გამოთქმული მოსაზრებები.
  - დ) მეორე აბზაცში უარყოფილია პირველ აბზაცში გამოთქმული მოსაზრებები.

\* რეზიგნაცია – რეზინიაცია (ფრანგ. **resignation**) – ბედს დამორჩილება უსიტყვოდ, უდრტვინველად.

- (1) 3. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: „ყოველივე..., რაც იმის გარეშე არსებობს, არის მოვლენა, აჩრდილი...“?
- ა) ამქვეყნიური რეალობა იღუზორულია.
  - ბ) ამქვეყნიური რეალობა მარადიულია.
  - გ) ამქვეყნიური რეალობა მიუღებელია.
  - დ) ამქვეყნიური რეალობა ტრაგიკულია.
- (1) 4. ავტორის აზრით, რატომ გრძნობს „ყოველი ჩექნანი“ ტრაგიზმის განცდაში „ერთგვარ სიამოვნებას“?
- ა) იმიტომ, რომ „ადამიანი... შეუბრალებლად ატიტვლებს თავის ძველ ჭრილობებს“.
  - ბ) იმიტომ, რომ „ადამიანური ცხოვრების მიზანს პიროვნების გაფართოება შეადგენს“.
  - გ) იმიტომ, რომ „ადამიანური ცხოვრების მიზანს... შეუშფოთებელი ბედნიერება“ შეადგენს.
  - დ) იმიტომ, რომ „ტრაგიზმი მსოფლიო ყოფნის ბნელს და საშიშს მხარეს ააშკარავებს“.
- (1) 5. რას მიაქცია ყურადღება, ავტორის აზრით, „ბარათაშვილმა თავის ფილოსოფიურ ლექსში: „ვპოვე ტაძარი, შესაფარი...“?
- ა) ბედნიერება მხოლოდ აწმუნშია შესაძლებელი.
  - ბ) „ბედნიერებას რეალური ფასი და ღირებულება აქვს“.
  - გ) ბედნიერებას „სიკვდილის იდეა... სწამლავს“.
  - დ) ბედნიერება წარსულსა და მყოფადშიცაა შესაძლებელი.
- (1) 6. ავტორის შეხედულებით, რა არის შოპენჰაუერის ფილოსოფიის უმთავრესი აზრი?
- ა) ბედთან ბრძოლა უაზრობაა.
  - ბ) მოჩვენებები „ჩაგვითრევენ ცხოვრების ტრიალში“.
  - გ) სინამდვილის გარდაქმნა შესაძლებელია.
  - დ) „ტრაგიკული გმირი... შეცოდების“ გამო იღუპება.
- (1) 7. რა უმთავრესი განსხვავებაა შოპენჰაუერისა და ბარათაშვილის შეხედულებებს შორის?
- ა) ბარათაშვილისაგან განსხვავებით, შოპენჰაუერი მიიჩნევს, რომ ინდივიდს „შეუძლიან ცხოველჰყოს ამ ქვეყნიური უსულდგმულო არსებობა.“
  - ბ) ბარათაშვილისაგან განსხვავებით, შოპენჰაუერმა „მომაცვდავთ მაინც გვაგრძნობინა რაოდენი საუნჯე იმალება ინდივიდუალურს ყოფნაში“.
  - გ) შოპენჰაუერისაგან განსხვავებით, ბარათაშვილი არ ჰკარგავს ინდივიდის სიდიადის რწმენას.
  - დ) შოპენჰაუერისაგან განსხვავებით, ბარათაშვილის დაკარგული აქვს ინდივიდის სიდიადის რწმენა.
- (1) 8. რა საკითხი არ არის განსილული მოყვანილ ტექსტში?
- ა) ბარათაშვილისა და შოპენჰაუერის მსოფლმხედველობათა დაპირისპირება.
  - ბ) ევროპული ფილოსოფიისა და ქართული მწერლობის მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართება.
  - გ) ნათესაობა შოპენჰაუერის მეტაფიზიკასა და ბარათაშვილის პოეზიის ტრაგიზმს შორის.
  - დ) რომანტიზმის დაპირისპირება განმანათლებლობის ფილოსოფიასთან.
- (1) 9. რა არის ბოლო აძხაცის უმთავრესი აზრი?
- ა) ადამიანის დანიშნულებაა შეუპოვრად გაუსწოროს თვალი სინამდვილეს.
  - ბ) ადამიანის დანიშნულებაა ქედი მოიხაროს სიკვდილის წინაშე.
  - გ) ადამიანის დანიშნულება „ტრაგიკულს გათიშვაში“ მდგომარეობს.
  - დ) ადამიანის დანიშნულება ცხოვრების უარყოფაში მდგომარეობს.
- (4) 10. 4-5 წინადადებით დაწერეთ მოცემული ტექსტის რეზიუმე.

## ქართული ენა

- (1) 11. მოკლედ ჩამოაყალიბეთ ერთ-ერთი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს სალიტერატურო ენის ნორმების დადგენას.
- (3) 12. რას უწოდებენ სიტყვათა წევილს: აღქმა – აღთქმა?  
განმარტეთ ორივე სიტყვა.  
რომელი მათგანი უნდა გამოვიყენოთ მოცემულ წინადადებაში: გამოკვლევა ეხება ბავშვის მიერ სინამდვილის . . . და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს.
- (2) 13. მოსწავლემ დაწერა: არასამთავრობო ორგანიზაციამ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა მოახდინა.  
აუხსენით მას, რა სტილისტური ხარვეზი აქვს ამ წინადადებას.  
განუმარტეთ, რა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლემ, რომ თავიდან აიცილოს ანალოგიური ხარვეზი.
- (1) 14. მოსწავლემ გააანალიზა კომპოზიტები: ბუტბუტი, რახახი, ლაქლაქი. მისი განმარტებით, ეს კომპოზიტები უდევისოდ იწერება, რადგან ფუძეთა შორის და კავშირს ვერ ჩაგვამთ.  
დააზუსტეთ მოსწავლის პასუხი.
- (2) 15. მოსწავლემ დაწერა: იმათმა, უფროსების ქებით ფრთაშესხმულებმა, კონკურსისთვის მზადება დაიწყება.  
მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (2) 16. მოსწავლემ დაწერა: დავით აღმაშენებელმა სამშეილდე თურქებისაგან გაანთავისუფლა.  
მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (2) 17. მოსწავლემ დაფაზე დაწერა შემდეგი ზმნები: დაუწერია, ჩაუცვია, გაუწყვეტია.  
გაასწორეთ შეცდომა და განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (1) 18. მოსწავლემ დაწერა: ხელოვნების მუზეუმში არაერთი ექსპონატია, რომლის რესტავრაციას დიდი თანხა სჭირდება.  
მიუთითეთ მოსწავლეს, რა შეცდომა დაუშვა.
- (2) 19. მოსწავლემ დაწერა: განსაკუთრებულია ეკატერინე გაბაშვილის წელილი იხეთ მნიშვნელოვანი საქმეში, როგორც ქალთა უფლებების დაცვა.  
მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (5) 20. თქვენი მიზანია, განვლილი მასალიდან გაახსენოთ მოსწავლეებს ის საკითხები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ქვემდებარებული დამოკიდებული წინადადების არსის უაქ გასააზრებლად.

- (2) I. ჩამოთვალეთ ეს საკითხები.  
 (3) II. აღწერეთ ერთ-ერთი სასწავლო ქმედება, რომელიც დაგეხმარებათ ამ მიზნის მიღწევაში და დასაბუთეთ მისი ეფექტიანობა.

- (5) 21. თქვენი მიზანია მოსწავლეებს გამოუმუშაოთ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.  
 (2) I. წაიკითხეთ ნაწყვეტი ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტური წერილიდან და დასაბუთეთ, რომ ეს ტექსტი დაგეხმარებათ დისკუსიის წარმართვაში.  
 (3) II. ჩამოაყალიბეთ სადისკუსიო თემა და თითო არგუმენტი ავტორის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.

„ჩვენი საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობაში „თავისუფლება“ გაიგივებულია ეროვნულ თავისუფლებასთან, პიროვნული თავისუფლება განიხილება მისი, როგორც მთელის, ნაწილი. ეს უაღრესად საშიში შეცდომაა, რადგან აქ სიმართლე ყირაზეა დაყენებული. სინამდვილეში სწორედ პიროვნული თავისუფლებაა მთელი, ხოლო ეროვნული თავისუფლება – ნაწილი... ეროვნული თავისუფლება – პიროვნული თავისუფლებისაგან მოწყვეტილი – შეიძლება ერთგვარ კერპთაყვანისმცემლობას შევადაროთ“.

- (4) 22. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი.  
 (1) I. დაასახელეთ საკითხი, რომლის სწავლების მიზნითაც გამოიყენებდით ამ ტექსტს.  
 (3) II. აღწერეთ ერთ-ერთი სასწავლო ქმედება, რომლის მეშვეობითაც აჩვენებთ, როგორ გამოიყენებთ ამ ტექსტს. დაასაბუთეთ თქვენ მიერ შერჩეული ქმედების ეფექტიანობა.

ალექსანდრე სარაჯიშვილი გადმოგვცემს ვიდაც ვაჭრის ნაამბობს: „ერთს მანუფაკტურის მაღაზიაში შევიდა ჩვენი პრისტავი და საროჩები იკითხა.

- რა საროჩები გნებავთო, – პიოთხა კუპერმა, – პალატნიანი თუ შოლკოვი?
- მე ნეუნად გაზრდილი არა ვარ, სიტეცზედაც საღლასნი ვარო.

ჩამოიდო პრიგაშიკმა პოლკიდან ერთი პაჩკა საროჩკა და დაუწყო პრილავკაზედ.

პრისტავმა გადაარჩია ოთხი საროჩკა სხვადასხვა ფერისა: ლილოვი, გალუბოვი, კარინოვი და სირენევი. ბუმაგაში გაახვევინა და ჩაიდო ვეშებით გაბენილს საკვიაჟში...“

ალექსანდრე სარაჯიშვილი განაგრძობს: „ჯავრი მომდიოდა: ნუთუ რუსთაველის ენა ისეთი დარიბი ყოფილა, რომ ერთი უბრალო ამბის თქმა ვერ მოგვიხერხებია, თუ რუსული სიტყვები არ ჩავურთეთ? ავიდე და ვაჭრის ნაამბობი გადმოვაქართულე... მაგრამ ვაი შენს მტერს, მე რომ მომივიდა...“

რატომ?! რა მოხდა?!

საქმე ისაა, რომ ყველა გადმოქართულებული სიტყვა – ფარჩა, დუქანი, ბოქაული, პერანგი, ვაჭარი, ტილო, აბრეშუმი, აზიზი, ჩითი, ნოქარი, ლაუგარდი, მიხაკი, ქალალდი, ბარგი, სურჯინი... – სულ თათრული, სპარსული, არაბული, სომხური და ლათინური გამოდგა!

დაუ, გაიხაროს ჩვენმა მტერმა, რომელსაც პგონია, ვითომც ენის სიწმინდე თავისებური სიტყვებია და არა თავისებური სინტაქსი“.

- (10) 23. გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ

კომენტარი.

- (8) I. დაწერეთ ქულა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაუსაბუთეთ მოსწავლეს თქვენი შეფასება: I კრიტერიუმით შეფასების კომენტირებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყოველი შეცდომა და სარვეზი; თითოეულ მათგანს მიუწერეთ – ორთოგრაფიულია ეს შეცდომა, მორფოლოგიური, სინტაქსური, პუნქტუაციური თუ სტილისტური ხარვეზია.
- (2) II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

## შეფასების სქემა

Nº	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ჯულგბი
I	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	<p>ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით (ჩანს ტექსტის ცოდნა);</p> <p>ბ) მსჯელობა ნაწილობრივ მკაფიოა და ნაწილობრივ არგუმენტირებული, არ არის გამყარებული ტექსტური მასალით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა;</p> <p>გ) ტექსტი არააღეკვატურადად გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, ტექსტური მასალაც არააღეკვატურად არის მოხმობილი.</p>	2 1 0
II	ლექსიკა და სტილი	<p>ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერი სტილისტურად გამართულია;</p> <p>ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტური ხარვეზები;</p> <p>გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ სტილისტურად გაუმართავია, გვხვდება არააღეკვატური ლექსიკა.</p>	2 1 0
III	ორთოგრაფია-მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	<p>ა) არ არის ამ ტიპის <b>სამზე მეტი შეცდომა</b>;</p> <p>ბ) არ არის ამ ტიპის <b>უკვე მეტი შეცდომა</b>;</p> <p>გ) ამ ტიპის <b>შეცდომა უკვე მეტია</b>.</p>	2 1 0

**ნაწყვეტი მოსწავლის თხზულებიდან, რომელიც უპასუხებს მითითებას:** ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია დანაშაულისა და სახულის ზერობრივი პრობლემის შესახებ „გამზრდელში“.

ბათუს აზრით სინდისი ადამიანის ყველაზე მკაცრი მსაჯულია, მეგობრების ნდობის დაკარგვა და სიცოცხლის სიმარტოვეში გატარება – ძალიან უდიდესი სატანჯველი.

პაჯიუსუბისა და ბათუს განაჩენი ერთ საკითხში ემთხვევა ერთმანეთს. საფარ-ბეგი სიკვდილის დირსი არ არის. სიკვდილი შვებაა იმგვარ ცხოვრებასთან შედარებით, რაც მან უნდა განვლოს.

რა მიზეზით ჩაიდინა საფარ-ბეგმა ეს მძიმე დანაშაული? როგორ უნდა დასაჯონ იგი? ორი შესაძლებლობისგან უფრო სასტიკი აირჩია მწერალმა – საფარი დატოვა საკუთარი სინდისის პირისპირ. უფრო მეტიც, გამზრდელის სიკვდილის მიზეზი გახადა. ავტორის პოზიცია გასაგებია მოღალატე უნდა დაისაჯოს.

მე არ ვამართლებ საფარ-ბეგს, მაგრამ ასეთი სასჯელი განა მეტისმეტი არ არის? არ ვიცი, შეიძლება მთელი საუკუნის შემდეგ ეს დანაშაული არც ისე მძიმედ მოგვეჩვნოს. იმ დროს ზერობრივი პრინციპები უფრო სხვაგვარად აღიქმებოდა. აქ კარგად ხანს, თუ როგორ განიცდის საფარი საკუთარ საჭირებლს. იგი ინანიებს ჩადენილს. ვფიქრობ, მან უკვე ათას წილად ზღვო.

## ქართული ლიტერატურა

- (2) 24. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: რატომ გახდა სადავო ქართლის ეპისკოპოსთაოვის არსების კათალიკოსად კურთხევა და რატომ დაუჭირა გრიგოლ ხანძთელმა მხარი არსების კანდიდატურას? განუმარტეთ მოსწავლეს ქართლის ეპისკოპოსთა გულისწყრომის მიზეზი და გრიგოლის გადაწყვეტილების მოტივი.
- (2) 25. შაირობის შესახებ მსჯელობისას შოთა რუსთაველი უპირატესობას ანიჭებს ეპიკური პოემის ჟანრს. დასასახელეთ ორი არგუმენტი, რომლებიც მოჰყავს პოეტს თვალსაზრისის დასასაბუთებლად.
- (3) 26. თქვენი მიზანია აუხსნათ მოსწავლეებს, რა დატვირთვა აქვს დამეს („შემოღამებას“) ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში: „შემოღამება მთაწმინდაზე“ და „მგზავრის წერილები“. ამ მიზნის მისაღწევად მოკლედ ჩამოაყალიბეთ:
- ა) რა დამოკიდებულება ვლინდება შემოღამების მიმართ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე“;
- ბ) როგორ არის შეფასებული დამე ილია ჭავჭავაძის მოთხოვნაში „მგზავრის წერილები“;
- გ) რა განაპირობებს როგორც ერთი, ისე მეორე ავტორის ამგვარ დამოკიდებულებას.
- (1) 27. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: თუ ალუდა ქეთელაური მკლავის მოჭრის ტრადიციის წინააღმდეგი იყო, რატომ მოაჭრა მარჯვენა მუცალის ძმას? მოკლედ განუმარტეთ მოსწავლეს მისთვის საინტერესო საკითხო.
- (2) 28. დაუსახელეთ მოსწავლეებს სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი და მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითი ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებიდან.
- (2) 29. მოსწავლის აზრით, კუსმა კილგა მართალია, როდესაც ჰაკი აძბას მონას უწოდებს. განუმარტეთ მოსწავლეს, რომ მისი შეხედულება მცდარია და კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით დაუსაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

## მხატვრული ტექსტის ანალიზი

- (4) 30. წაიკითხეთ რეზო ინანიშვილის მინიატურა „მარადიული პეიზაჟი“. სულ იქით ცა არის, შემოღვიძის ლურჯაღმიყუჩებული ცა. მის წინ – შემრეშილტყიანი გრძლადწასული გორა. გორის წინ – სანთლებივით სწორად ასული ალვები, ალვების წინ – მსუბუქად გაფენილი ყვითელი სიმინდები (ჯაფარა მიფრინავს იმ მსუბუქ სიყვითლეში), სიმინდების წინ – ძეგვის მუქი ღობე, ღობესთან – შავადაგრაგნილი ტოტებშეკაფული მუხა (ნაკაფზე ფუნჯებად ამოჰყრია წვრილი ყლორტები), მუხასთან – გრძელი საცალფეხო ხიდი, ხიდქვეშ მიედინება წმინდა, ოქროსფრად მოციმციმე წყალი, ხიდზე გამოდის წელში მოხრილი თითქმის მუხლებამდე ცხვირმიტანილი შავი დედაბერი, ზურგზე ჰქიდია პირთამდე სავსე ტომარა, ფეხის წვერები ერთმანეთის მოყოლებით მოიწევენ ჩემკენ.

.....  
ვერ ვცნობ და მაინც:  
დედაბერმ იმ სავსე ტომარით დარდი მოაქვს ჩემთან.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- განმარტეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი;
- ჩამოაყალიბეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი დასასული მიზნის მისაღწევად.

**თქვენი თვალსაზრისი დასასაბუთეთ!**

(ნაშრომი, რომელიც 50 ხიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახსროდება).

## ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა

- (11) 31. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი მიზანია დაეხმაროთ მოსწავლეებს ამოიცნონ და გაიაზრონ შესასწავლი ტექსტების მხატვრული თავისებურებები.
- შეარჩიეთ ქვემოთ ჩამოთვლილ ტექსტთაგან ერთ-ერთი:
- იაკობ ხუცესის თხზულება „შემანიკის წამება“;
- დავით გურამიშვილის ლექსი „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“;
- აკაკი წერეთლის მოთხოვნა „ბაში-აჩუკი“;
- გაგა-ფშაველას პოემა „გველის ძამელი“;
- გალაკტიონ ტაბიძის ლექსი: „უსიყვარულო“ და „თოვლი“;
- მიხეილ ჯავახიშვილის მოთხოვნა „ლამბალო და ყაშა“.

**ლიტერატურული ნაწარმოების არჩევის შემდეგ შეასრულეთ მოცემული დავალება:**

- ა) გამოყავით და აღწერეთ ამ ნაწარმოების ერთი ძირითადი თავისებურება, რომელიც, თქვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია მთელი ტექსტის გაგებისა და გააზრებისათვის. ეს თავისებურება გულისხმობს (თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) თემატურ თუ იდეურ პრობლემატიკას, კულტურულ-ისტორიულ კონტექსტს, ქვეტექსტსა თუ ალუზიას, კომპოზიციურ თავისებურებას (ნაწარმოების არქიტექტონიკას), პერსონაჟთა დახასიათებისა თუ თხრობის მეთოდებს, სტილს, ეანრულ მახასიათებლებს, მხატვრულ საშუალებებს, პოეტურ ოსტატობას.

მსჯელობისას დაიმოწმეთ სათანადო მაგალითები შერჩეული ნაწარმოებიდან.

(აასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახსროდება).

- ბ) ვინაიდან თქვენ გამოყავით შერჩეული ნაწარმოების ძირითადი თავისებურება, უკვე შეგიძლიათ დაასახელოთ და გააანალიზოთ ის ერთი პრობლემა, რომელსაც თქვენ მიერ აღწერილი თავისებურებისა და, შესაბამისად, მთელი ტექსტის გაგებისა და გააზრებისას შეიძლება წააწყდნენ მოსწავლეები.

**ანალიზის დროს:**

- მოიხმეთ ტექსტიდან ის მაგალითები, რომლებიც თვალსაჩინოს გახდის თქვენ მიერ გამოყოფილი პრობლემის არსებობას;
- ახსენით, რა მიზანით (მიზანებით) შეიძლება შეექმნათ ეს პრობლემა მოსწავლეებს ამ კონკრეტული ნაწარმოების შესწავლისას.

(აასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახსროდება).

- გ) თქვენ უკვე დაასახელეთ და გააანალიზეთ ის პრობლემა, რომელსაც ტექსტის გაგებისა და გააზრებისას შეიძლება წააწყდნენ მოსწავლეები.

ამჯერად აღწერეთ ის ერთი სასწავლო ქმედება, რომელიც დაგეხმარებათ დაანახოთ და გაააზრებინოთ მოსწავლეებს თქვენი მსჯელობის I ნაწილში გამოყოფილი თავისებურება და დააძლევინოთ ამავე მსჯელობის II ნაწილში აღნიშნული პრობლემა.

მსჯელობისას ახსენით, როგორ (რა გზით) დაეხმარება ეს სასწავლო ქმედება მოსწავლეებს ამ ნაწარმოების თავისებურების გამჭვივაში და როგორ (რა გზით) დააძლევინებს ტექსტის შესწავლისას წამოჭრილ პრობლემას.

(აასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახსროდება).

## 2010 წლის სასერტიფიკაციო ტესტის შეფასების სქემა

### წაკითხულის გააზრება (დავალებები №№ 1-9)

1. ა) -----1/2 2. გ) -----1/2 3. ა) -----1/2 4. ბ) -----1/2 5. ა) -----1/2  
6. ა) -----1/2 7. გ) -----1/2 8. ღ) -----1/2 9. ა) -----1/2

### რეზიუმეს (დავალება № 10) შეფასების კრიტერიუმები

<p>რეზიუმეს მაქსიმალური ქულაა <b>4.</b> უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა გაარკვიოს, <b>წარმოადგენს თუ არა შესრულებული დავალება რეზიუმეს.</b> თუ პასუხი სტატიის შინაარსის თხორბაა (პერიფრაზია), წერილის კრიტიკული ანალიზია ან მისი შეფასება-კომენტარია, ანდა ენობრივად გაუმართავია, იგი არ შეფასდება და დაიწერება <b>0</b> ქულა.</p> <p>თუ დავალების პასუხი რეზიუმეა, იგი უნდა შეფასდეს მოცემული კრიტერიუმების მიხედვით.</p>									
--	--	--	--	--	--	--	--	--	--

Nº	კრიტერიუმები	ქულები
1.	დავალება <b>ამომწურავადაა შესრულებული</b> (საუბარია სტატიის ყველა არსებითი ასპექტის შესახებ) და არ არის დაშვებული <b>არც ერთი</b> ენობრივი შეცდომა.	4
2.	დავალება <b>ამომწურავადაა შესრულებული</b> (საუბარია სტატიის ყველა არსებითი ასპექტის შესახებ), მაგრამ დაშვებულია <b>ერთი-ორი</b> ენობრივი შეცდომა.	3
3.	დავალება <b>ნაწილობრივაა შესრულებული</b> (არ არის საუბარი სტატიის ერთ-ერთი არსებითი ასპექტის შესახებ) და არ არის დაშვებული <b>არც ერთი</b> ენობრივი შეცდომა; ანდა დავალება <b>ამომწურავადა შესრულებული</b> (საუბარია სტატიის ყველა არსებითი ასპექტის შესახებ), მაგრამ დაშვებულია <b>ორზე მეტი</b> ენობრივი შეცდომა.	2
4.	დავალება <b>ნაწილობრივაა შესრულებული</b> (არ არის საუბარი სტატიის ერთ-ერთი არსებითი ასპექტის შესახებ) და დაშვებულია <b>ერთი-ორი</b> ენობრივი შეცდომა.	1
5.	<b>ნაშრომში არ არის საუბარი სტატიის ორი ან მეტი არსებითი ასპექტის შესახებ,</b> ანდა ენობრივად გაუმართავია.	0

### ქართული ენა (დავალებები №№ 11-23)

11. სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისას ითვალისწინებენ, რამდენად გავრცელებულია ეს ფორმა კლასიკოსთა ნაწერებში, საერთო-სახალხო ენაში; არჩეული ფორმა მართებული უნდა იყოს თანამედროვე ქართული ენის გრამატიკული სისტემის მიხედვით; არჩეული ფორმა უნდა შეესაბამებოდეს ენის განვითარების შინაგან ტენდენციებს... -----1/2
12. ა) პარონიმებს -----1/2  
 ბ) ადქმა – სინამდვილის (სამყაროს) ასახვა გრძნობათა ორგანოებით (მხედველობით, სმენით), გააზრება (შემეცნება); ადოქმა – პირობის მიცემა, დაპირება. -----1/2  
 გ) ადქმა -----1/2
13. ა) **შესწავლა მოახდინა** კალკია (სხვა ენის კონსტრუქციის სიტყვასიტყვითი თარგმანია, რომელიც ქართულისათვის არაბუნებრივ შესიტყვებას იძლევა / არაბუნებრივია). -----1/2  
 ბ) იმისათვის, რომ მოსწავლებ თავიდან აიცილოს ანალოგიური ხარვეზი, ამ ტიპის შედგენილი შემასმენლის ნაცვლად უნდა გამოიყენოს მარტივი შემასმენელი – ზმის პირიანი ფორმა (მაგ., შეისწავლა). -----1/2
14. ეს კომპოზიტები ერთცნებიანია (ერთმნიშვნელობიანია) და მიღებულია მნიშვნელობას მოქლებული მარცვლების გაორკეცებით, ამიტომ იწერება უდევისოდ. -----1/2
15. ა) **მათ** პირის ნაცვალსახელს დაურთო ბრუნვის ნიშანი (**დასაშვებია: მათ – პირის ნაცვალსახელის ნაცვლად გამოიყენა კუთვნილებითი – იმათმა.**) -----1/2

- ბ) მათ III პირის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის მოთხრობითი პრუნვის ფორმაა და -ძა პრუნვის ნიშანი ზედმეტია (**დასაშვებია:** უნდა იცოდეს პირის ნაცვალსახელთა პრუნება, ნაცვალსახელთა ფუნქციები). -----1ქ.**
- 16. ა) გაანთავისუფლა** არასწორი ფორმაა, უნდა იყოს გაათავისუფლა. -----1ქ.  
**ბ) გან-** ზმინისწინის გათიშვა დაუშვებელია. -----1ქ.
- 17. ა) ჩაუცვამს** -----1ქ.  
**ბ) უ** თემის ნიშანი ზმინის ფუძეს გადაჰყვება I თურმეობითში. -----1ქ.
- 18. უ** ნდა დაეწერა **როგოროვთ.** -----1ქ.
- 19. ა) არასწორად გამოიყენა წევრ-კავშირი **როგორი.** -----1ქ.  
**ბ) როდესაც** მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვაა **ისეთი,** დამოკიდებულ წინადადებაში გამოიყენება წევრ-კავშირი **როგორი.** -----1ქ.**
- 20. I ა) თუ ჩამოთვლილია ორი საკითხი მაინც: წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით, ქვეწყობილი წინადადების შედგენილობა (მთავარი, დამოკიდებული), მისათითებელი სიტყვები, წინადადების მთავარი წევრები (ქვემდებარე და შემასმენებელი), წევრ-კავშირები... -----2ქ.  
**ბ) თუ დასახელებულია მხოლოდ ერთი საკითხი.** -----1ქ.  
**გ) თუ დასახელებული საკითხი (საკითხები) დავალების პირობას არ შეესაბამება.** -----0ქ.**
- II ა) თუ სრულყოფილად არის აღწერილი სასწავლო ქმედება და მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებულია.** -----3ქ.  
**ბ) თუ სრულყოფილად არის აღწერილი სასწავლო ქმედება, მაგრამ მისი ეფექტიანობა დასაბუთებული არ არის ან სასწავლო ქმედება მხოლოდ დასახელებულია და მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებულია, ანდა სასწავლო ქმედების აღწერა სრულყოფილი არ არის და არც მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებული. -----2ქ.  
**გ) თუ სასწავლო ქმედება მხოლოდ დასახელებულია და მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებული არ არის ან სასწავლო ქმედების აღწერა სრულყოფილი არ არის და არც მისი ეფექტიანობა დასაბუთებული.** -----1ქ.  
**დ) თუ სასწავლო ქმედება მხოლოდ დასახელებულია.** -----0ქ.**
- 21. I ა) თუ დასაბუთება არგუმენტირებულია.** -----2ქ.  
**ბ) თუ დასაბუთება ნაწილობრივ არის არგუმენტირებული.** -----1ქ.  
**გ) თუ დასაბუთება არ არის არგუმენტირებული ან არგუმენტები არადამაჯერებელია.** -----0ქ.
- II ა) თუ ჩამოყალიბებულია სადისკუსიო თემა და არგუმენტები.** -----3ქ.  
**ბ) თუ ჩამოყალიბებულია სადისკუსიო თემა და ერთ-ერთი არგუმენტი მაინც ან ჩამოყალიბებულია ორივე არგუმენტი.** -----2ქ.  
**გ) თუ ჩამოყალიბებულია მხოლოდ სადისკუსიო თემა ან ერთ-ერთი არგუმენტი.** -----1ქ.  
**დ) თუ არაადეკვატურად არის ჩამოყალიბებული სადისკუსიო თემა და არგუმენტები.** -----0ქ.
- 22. I ა) თუ საკითხი ადეკვატურად არის დასახელებული.** -----1ქ.  
**ბ) თუ საკითხი ადეკვატურად არ არის დასახელებული.** -----0ქ.
- II ა) თუ სრულყოფილად არის აღწერილი სასწავლო ქმედება და მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებულია.** -----3ქ.  
**ბ) თუ სრულყოფილად არის აღწერილი სასწავლო ქმედება, მაგრამ მისი ეფექტიანობა დასაბუთებული არ არის ან სასწავლო ქმედება მხოლოდ დასახელებულია და მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებულია, ანდა სასწავლო ქმედების აღწერა სრულყოფილი არ არის და არც მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებული. -----2ქ.  
**გ) თუ სასწავლო ქმედება მხოლოდ დასახელებულია და მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებული არ არის ან სასწავლო ქმედების აღწერა სრულყოფილი არ არის და არც მისი ეფექტიანობა დასაბუთებული.** -----1ქ.  
**დ) თუ სასწავლო ქმედება მხოლოდ დასახელებულია.** -----0ქ.**
- 23. I.**
- 1. ა) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება I კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო მაგალითების მოხმობით.** -----2ქ.  
**ბ) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება I კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო, მაგრამ მაგალითები არ მოიხმო ან არ დაწერა შესაბამისი ქულა.** -----1ქ.  
**გ) თუ გადმოწერილია მხოლოდ კრიტერიუმის მითითებები.** -----0ქ.
- 2. ა) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება II და III კრიტერიუმების მიხედვით.** -----1ქ.  
**ბ) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება მხოლოდ II ან III კრიტერიუმების მიხედვით.** -----0ქ.
- 3. ა) თუ მასწავლებელს გამორჩა მხოლოდ ერთი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი.** -----2ქ.

- ბ) თუ მასწავლებელს გამორჩა ორი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ან/და არასწორად ჩათვალა ერთი ან ორი მართებული ფორმა ან შესიტყვება. -----1j.
- გ) თუ მასწავლებელს გამორჩა სამი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ან/და არასწორად ჩათვალა სამი მართებული ფორმა ან შესიტყვება. -----0j.
4. ა) თუ სწორია ხუთი ენობრივი შეცდომისა და ხარვეზის კვალიფიკაცია. -----3j.
- ბ) თუ სწორია ოთხი შეცდომისა და ხარვეზის კვალიფიკაცია. -----2j.
- გ) თუ სწორია სამი შეცდომისა და ხარვეზის კვალიფიკაცია. -----1j.
- დ) თუ სწორია მხოლოდ ორი შეცდომისა და ხარვეზის კვალიფიკაცია. -----0j.

## II.

5. ა) თუ კომენტარის ეს ნაწილი მეთოდურად სწორია და მსჯელობა არგუმენტირებულია. ---2j.
- ბ) თუ კომენტარის ეს ნაწილი მეთოდურად სწორია, მაგრამ მსჯელობა ნაწილობრივ არის არგუმენტირებული. -----1j.
- გ) თუ კომენტარის ეს ნაწილი მეთოდურად არასწორია და მსჯელობა არ არის არგუმენტირებული. -----0j.

**მასწავლებელს არ უნდა გამორჩენოდა ქვემოთ მითითებული შეცდომები და სტილისტური ხარვეზი. გარდა ამისა, მას შეძლო სასვენი ნიშნებისა და ზოგიერთი შესიტყვების (სტილისტური ხარვეზის) განხხვავებული ინტერპეტაცია.**

ბათუს აზრით\_(პუნქტ.) სინდისი ადამიანის ყველაზე მკაცრი მსაჯულია, მეგობრების ნდობის დაკარგვა და სიცოცხლის სიმარტოვეში გატარება – ძალიან უდიდესი (სტილ.) სატანჯველი.

ჰაჯი-უსუბისა და ბათუს განაჩენი ერთ საკითხში ემთხვევა ერთმანეთს. საფარ-ბეგი სიკვდილის ღირსი არ არის. სიკვდილი შეება იმგვარ ცხოვრებასთან შედარებით, რაც (სინტ.) მან უნდა განვლოს.

რა მიზეზით ჩაიდინა საფარ-ბეგმა ეს მძიმე დანაშაული? როგორ უნდა დასაჯონ იგი? ორი შესაძლებლობისგან (სინტ.) უფრო სასტიკი აირჩია მწერალმა – საფარი დატოვა საკუთარი სინდისის პირისპირ. უფრო მეტიც, გამზრდელის სიკვდილის მიზეზი გახადა. ავტორის პოზიცია გასაგებია\_(პუნქტ.) მოღალატე უნდა დაისაჯოს.

მე არ ვამართლებ საფარ-ბეგს. მაგრამ ასეთი სასჯელი განა მეტისმეტი არ არის? არ ვიცი, შეიძლება მთელი საუკუნის შემდეგ ეს დანაშაული არც ისე მძიმედ მოგვეჩენოს. იმ დროს ზნეობრივი პრინციპები უფრო სხვაგვარად აღიქმებოდა. აქ კარგად სჩანს (მორფ.), თუ როგორ განიცდის საფარი საქციელს. იგი ინანიებს ჩადენილს. ვფიქრობ, მან უკვე ათას წილად (ორთ.) ზდო.

## ქართული ლიტერატურა (დავალებები №№ 24-29)

24. ქართლის ეპისკოპოსთაოვის არსენის კათალიკოსად კურთხევა სადავო იმიტომ გახდა, რომ არსენის კურთხევა ეპისკოპოსთა უმრავლესობის აზრის გაუთვალისწინებლად მოხდა; მირიანმა თავისი ძე არსენი ეპისკოპოსთა მხოლოდ მცირე ნაწილის თანხმობით დადგინა კათალიკოსად („მირეან... ძე თვისი დაადგინა კათალიკოსად თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთაითა“). გრიგოლ ხანძთელმა არსენის კანდიდატურას მხარი იმიტომ დაუჭირა, რომ, გრიგოლის აზრით, არსენის კათალიკოსობა დვოთის ნება იყო („არსენი კათალიკოსი ნებითა დმრთისაითა კათალიკოსი არს...“).
1. არსენის კათალიკოსად კურთხევა ეპისკოპოსთა უმრავლესობის დაუკითხავად მოხდა -----1j.
2. გრიგოლის აზრით, არსენის კათალიკოსად კურთხევა დვოთის ნება იყო -----1j.
25. შაიორბის შესახებ მსჯელობისას შოთა რუსთაველი უპირატესობას ეპიკური პოემის უანრს იმიტომ ანიჭებს, რომ, ავტორის აზრით, მხოლოდ ვრცელ ეპიკურ ნაწარმოებშია შესაძლებელი საოქმელის სრულფასოვნად გადმოცემა („...რა ვედარ მიხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა / არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა...“). რუსთაველის შეხედულებით, ეპიკურ ნაწარმოებში ყველაზე უკეთ ვლინდება პოეტის შემოქმედებითი შესაძლებლობები („ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა... / მართ აგრეთვე მელექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა...“; „დიდსა ვერ მოპყლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა“; „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.“).
1. მხოლოდ ვრცელ ეპიკურ ნაწარმოებშია შესაძლებელი სათქმელის სრულფასოვნად გადმოცემა -----1j.

**2. კრიტიკულ ნაწარმოებში უგელაზე უკეთ კლინიკება პოეტის შემოქმედებითი შესაძლებლობები** ————— 1ქ.

26. დამე („შემოღამება“) ნიკოლოზ ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“ არის პოეტის მწუხარებისა და სევდის თანაზიარი; შემოღამება ავტორს შვებას ჰყვრის („მხოლოდ სული გრძნობს, თუ ვითარი სძლვენით მას შვება“); დამე ნ. ბარათაშვილისათვის მჭმუნვარების განქარვების საშუალებაა („როს მჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად“); შემოღამება ავტორს სულიერად ამშვიდებს და ადამადლებს. ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ დამე შეფასებულია, როგორც ადამიანთა უბედურების წყარო („შენ რომ არ დაარსებულიყავ ქვეუნისათვისა, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურობაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა“); ილია აფასებს დამეს, როგორც ბოროტებისა და უმეცრების სიმბოლოს („შენ ხარ უამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადღეგრძელო სიბეჭდისა და უმეცრებისა. პოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან...“). დამისადმი („შემოღამებისადმი“) ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებათა სხვადასხვაობას განაპირობებს მათი მსოფლადქმისა და ესთეტიკური პრინციპების განსხვავებულობა (ისინი სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებს მიეკუთვნებიან, კერძოდ, ნ. ბარათაშვილი რომანიკოსია, ი. ჭავჭავაძე კი – რეალისტი).

ა) დამე („შემოღამება“) ნ. ბარათაშვილს შვებას ჰყვრის ————— 1ქ.

ბ) ილია ჭავჭავაძისათვის დამე არის ადამიანთა უბედურების წყარო (ბოროტების სიმბოლო) - 1ქ.

გ) ლიტერატურულ-ესთეტიკურ მსოფლმხედველობათა სხვადასხვაობა ————— 1ქ.

27. მუცალსა და მის მმასთან შეტაკებისას ალუდა ჯერ კიდევ არ იყო მკლავის მოჭრის ტრადიციის წინააღმდეგი („ბევრს ქისტს მააჭრა მარჯვენა, / სცადა ფრანგული ფხიანი“; „რამდენ სხვა მაკალ, შენს ქავზე / ხელებ ჯღრდესავით ჰკიდია...“); ალუდამ სიმამაცე, როგორც ლირებულება, უფრო მაღლა დააყენა, ვიდრე მოკლული მტრისათვის მკლავის მოჭრის ტრადიცია და ამისაკენ მას მუცალის გაეკაცობაშ უბიძა („მკლავზედაც გებას მარჯვენა, / შენზედ ალალი არიო! / შენ ხელ შენს გულზედ დამიწდეს, / ნუმც ხარობს ქავის კარიო!“); ალუდას გარდაქმნა მუცალოთან შერკინების შემდეგ დაიწყო („ვერ გავიმეტე მუცალი / მარჯვენის მოსაჭრელადა, / გული გამიწყრა, არა ჰქნა...“); ქისტის ვაჟკაცობაშ იმდენად შეძრა ალუდა, რომ ის დიდი სულიერი ტიპილის ფასად დაუპირისპირდა თემის არაჟუმანურ ტრადიციას („წესი არ არის მტრის მოკლა, თუ ხელ არ მასჭერ დანითა“, – / ვაი ეგზოს სამართლის, / მონათლულს ცოდვა-ბრალითა!“).

**მუცალსა და მის მმასთან შეტაკებისას ალუდა ჯერ კიდევ არ იყო მკლავის მოჭრის წინააღმდეგი** ————— 1ქ.

28. სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი სამყაროს იდუმალების განცდის გამოხატვაა (სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელია სინამდვილის ინტუიციური ჭვრება, ინდივიდუალიზმი, განცდათა მუსიკალური და ფერწერული ხატებით გადმოცემა, ასოციაციური აზროვნება...). მაგალითად: „ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ / უდაბნო ლურჯად ნახავერდები...“, „მე ძლიერ მიყვარს ისფერ თოვლის / ქალწულებივით ხიდიდან ფენა...“, „ცაზე ჰკიდია მზე-მაღლაღური, / აპრილი აკრავს მწვანე აფიშებს...“

1. სამყაროს იდუმალების განცდის გამოხატვა ————— 1ქ.

2. „ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ / უდაბნო ლურჯად ნახავერდები“ ————— 1ქ.

29. ჰაკი ამბა უჯუშ ემხას ძიძიშვილია, მათს ურთიერთობას ტრადიციით განმტკიცებული სიყვარული და ერთგულება უდევს საფუძვლად („მე არ შემიძლია შენი თავი სიკვდილს დავუთმო, უჯუშ, სანამ ცოცხალი ვარ. შენმა გამზრდელმა მამახემმა მიანდერდა, როცა კვდებოდა: უჯუში შენი მზე არის, ეს იცოდეო“); თავადიშვილ უჯუშ ემხას ისევე უყვარს და ეიმედება გლეხი ჰაკი ამბა, როგორც ჰაკის – უჯუში („უჯუში ჰაკის უკიოდა: – ჰაკი! ა, ჰაკი! სად ხარ, ჰაკი! სიკვდილზე უფრო მწარე იყო უიმედობის გრძნობა“); უკელასგან გაწირული ძიძიშვილის გადარჩენას ჰაკი გულწრფელი სიყვარულითა და ერთგულებით ცდილობდა, ქლასობრივი იდეოლოგიით მოწამლულ კუზმას კი ამის დაშვება არ შეეძლო („როცა [კუზმა] საქმის ნამდვილ ვითარებას გაეცნო, მისი რევოლუციური შეგნება ისე აღმფოთდა, რომ ჰაკის კლასობრივი სიბრძავე საკუთარ შეურაცხყოფად მიიღო...“); ჰაკის თავგანწირვას საფუძლად უდევს არა მონური ფსიქოლოგია, არამედ ძიძიშვილის გულწრფელი სიყვარული და მისდამი ერთგულება. ჰაკი ამბამ საკუთარ თავზე აიღო ვასკა-პირატის მკვლელობა და ამგვარი თავგანწირული ნაბიჯით სცადა უჯუშის გადარჩენა („თავდამსხმელებს მე ვესროლე იარაღი... უჯუშ ემხას კი იარაღისათვის ხელიც არ უხლია...“; „ამბა იბრალებდა ემხას დანაშაულს, რათა იგი სასჯელისაგან დაეხსნა. არც ეს ეწინააღმდეგებოდა ჰაკის ხასიათს და მის საყვაელთაოდ ცნობილ თავგანწირულ ერთგულებას უჯუშისადმი“).

1. ჰაკი ამბას საქციელი განპირობებულია ძიძიშვილისადმი გულწრფელი ერთგულებით ————— 1ქ.

2. ჰაკიმ საკუთარ თავზე აიღო უჯუშის მიერ ჩადენილი მკვლელობა ————— 1ქ.

**მხატვრული ტექსტის ანალიზის (დაგალება № 30) შეფასების კრიტერიუმები**

<b>№</b>	<b>კრიტერიუმები</b>	<b>ჯული</b>
1.	<b>ორიგე</b> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მეცნიერდაა ჩამოყალიბებული და არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი.	4
2.	<b>ორიგე</b> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მეცნიერდაა ჩამოყალიბებული, მაგრამ დაშვებულია ერთი-ორი ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი; ანდა ერთ-ერთი მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მეცნიერდაა ჩამოყალიბებული, ხოლო მეორე მითითება არასრულია ( <i>შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს</i> ) და არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი.	3
3.	<b>ორიგე</b> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მეცნიერდაა ჩამოყალიბებული, მაგრამ დაშვებულია ორზე მეტი ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი; ანდა ერთ-ერთი მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მეცნიერდაა ჩამოყალიბებული, ხოლო მეორე მითითება არასრულია ( <i>შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს</i> ) და დაშვებულია ერთი-ორი ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი.	2
4.	ერთი მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, მეორე მითითება არ არის შესრულებული (ან არაადეკვატურადაა შესრულებული); ანდა <b>ორიგე</b> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, პასუხი მეცნიერდაა ჩამოყალიბებული, მაგრამ დაშვებულია <b>სამზე მეტი</b> ენობრივი შეცდომა ან სტილისტური ხარვეზი.	1
5.	მითითებები არ არის ადეკვატურად გააზრებული; ან პასუხი ენობრივად გაუმართავა; ანდა <b>50 სიტყვაზე</b> ნაკლები მოცულობისადან.	0

**ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის (დაგალება № 31) შეფასების კრიტერიუმები**

დაგალების მაქსიმალური ქულაა 11. აღნიშნული დაგალება სამი ნაწილისაგან შედგება. თუ **რომელიმდე** მითითების (შემადგენელი ნაწილის) პასუხი ენობრივად გაუმართავი იქნება ანდა **50 სიტყვაზე** ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, **ამ კონკრეტული** მითითების (მონაკვეთის) პასუხი არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა.

დაგალების ყოველი ნაწილი ამგვარად უნდა შეფასდეს:

## I Թուուղեծուն Շեցասցեծուն Նշեմա:

№	კრიტერიუმები	ქვლები
1.	ადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება და დამაჯერებლადაა დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა; მსჯელობა შეესაბამება მოსწავლის ცოდნის დონეს და გამოირჩევა საკითხისადმი ორიგინალური, არატრაფირებული მიღებით.	4
2.	ადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება და დამაჯერებლადაა დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა; მსჯელობა ნაწილობრივ შეესაბამება მოსწავლის ცოდნის დონეს და გამოირჩევა საკითხისადმი ორიგინალური, არატრაფირებული მიღებით.	3
3.	ადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ არ არის დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა; მსჯელობა ნაწილობრივ შეესაბამება მოსწავლის ცოდნის დონეს და არ გამოირჩევა საკითხისადმი ორიგინალური, არატრაფირებული მიღებით.	2
4.	ადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ არ არის დასაბუთებული სათანადო მაგალითებით და დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; მსჯელობა შეესაბამება IX ქლასის მოსწავლის ცოდნის დონეს. ანდა ადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ არ არის დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა; მსჯელობა არ შეესაბამება მოსწავლის ცოდნის დონეს და არ გამოირჩევა საკითხისადმი ორიგინალური, არატრაფირებული მიღებით.	1
5.	არაადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება. ანდა ადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ არ არის დასაბუთებული სათანადო მაგალითებით და დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; მსჯელობა არ შეესაბამება მოსწავლის ცოდნის დონეს და ტრაფირებულია.	0

## II Թօտուտղծութեան Շնորհակալութեան Նշանակութեան Առաջարկ

№	კრიტერიუმები	ქვლები
1.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პრობლემა და დამაჯა-რებლადაა განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზი (მიზეზები); მსჯელობა და-საბუთებულია სათანადო მაგალითებით.	3
2.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პრობლემა და დამაჯა-რებლადაა განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზი (მიზეზები), მაგრამ არ არის დასაბუთებული სათანადო მაგალითებით. ანდა გამოკვეთილია ტექსტის გააზრე-ბის დამაბრკოლებელი პრობლემა, მოხმობილია მაგალითები, მაგრამ არ არის დამაჯერებლად განმარტებული პრობლემის გამომწვევი მიზეზი (მიზეზები).	2
3.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პრობლემა, მაგრამ დამა-ჯერებლად არ არის განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზი (მიზეზები) და არ არის დასაბუთებული სათანადო მაგალითებით.	1
4.	არ არის გამოკვეთილი ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პრობლემა.	0

### III მითითების შეფასების სქემა:

<i>Nº</i>	<i>კრიტერიუმები</i>	<i>ჯულიანი</i>
1.	აღწერილია ის სასწავლო ქმედება, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში; <b>დამაჯერებლადაბად დასაბუთებული</b> , თუ რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.	3
2.	აღწერილია ის სასწავლო ქმედება, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში, მაგრამ <b>დამაჯერებლადაბად არ არის დასაბუთებული</b> , თუ რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.	2
3.	აღწერილია ის სასწავლო ქმედება, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში, მაგრამ <b>არ არის ნაჩვენები</b> , თუ რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.	1
4.	არ არის აღწერილი ის სასწავლო ქმედება, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში.	0

თუ ნაშრომში დაშვებული არ არის სამზე მეტი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარვეზი, ქველათა ჯამში დაუმატება 1 ქულა.

## რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის დავალებათა ნაწილი (№№ 11-19) საგნობრივ ცოდნას ამოწმებდა. მასწავლებელს უნდა მიეთითებინა მოსწავლისათვის მის მიერ დაშვებული ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, სინტაქსური შეცდომებისა თუ სტილისტური ხარვეზების შესახებ და აეხსნა, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, რომ არ დაუშვას მსგავსი შეცდომა.

მასწავლებელთა უმეტესობა კარგად ართმევდა თავს ამ დავალებების პირველ ნაწილს, რომელიც შეცდომების პოვნას ან გასწორებას გულისხმობდა, მაგრამ მათვის რთული აღმოჩნდა დავალებების მეორე ნაწილი, რომელიც მოითხოვდა საკითხის ახსნას. ზოგიერთი პასუხი ძალიან ზოგადი ან არასრულყოფილი იყო; მაგალითად, ტესტის მე-16 დავალებაში მოცემული იყო მორფოლოგიურად არასწორი ფორმა – **გაანთავისუფლა**. ამ კონკრეტულ ფორმასთან დაკავშირებით მასწავლებელს უნდა განემარტა, რომ შეცდომის თავიდან ასაცილებლად მოსწავლემ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი წესი: ზმნისწინების, კერძოდ, გან- ზმნისწინების გათიშვა ხევა პრეფიქსით დაუშვებელია. ამის ნაცვლად მასწავლებელთა ნაწილი მხოლოდ იმას წერდა, რომ მოსწავლემ უნდა იცოდეს ზმნისწინების მართლწერა. ამგვარ პასუხებში ქულა არ იწერებოდა, რადგან მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ მოსწავლემ უნდა იცოდეს ზმნისწინების, თემის ნიშნების, წევრ-კავშირის სწორი გამოყენება ან რომელიმე სხვა საკითხი, ზოგადი ხასიათის განცხადებაა და არა კონკრეტული რჩევა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს, რათა მომავალში არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა თუ ხარვეზი.

ტესტის №№ 20-22 დავალებები საგნის ცოდნასთან ერთად მოითხოვდა სწავლების მეთოდი-კაზე უურადღების გამახვილებას; მასწავლებელს უნდა აღეწერა შეთავაზებული მასალის ახსნისა და გაგებისათვის საჭირო სასწავლო ქმედება და დაესაბუთებინა ამ ქმედების ეფექტიანობა მიზნისა და შესაძლო შედეგის გათვალისწინებით. დავალების ამ ნაწილის შესრულებისას მირთადად ორი სახის უზუსტობა შეიმჩნეოდა: ან საერთოდ არ იყო სასწავლო ქმედების ეფექტიანობაზე მსჯელობა, ან იყო, მაგრამ დასაბუთების გარეშე, ძალიან ზოგადი ფრაზებით, – ნებისმიერ საკითხს რომ მიესადაგებოდა. ასე მაგალითად, ბარბარიზმებთან დაკავშირებული სასწავლო ქმედების ეფექტიანობის დასაბუთებისას ხშირად აღნიშნავდნენ, რომ წარმოდგენილი ქმედება მოსწავლეს გამოუმუშავებს მსჯელობისა და დაკვირვების უნარს, რაც, ცხადია, ძალიან ზოგადი ახსნაა. ბარბარიზმებზე ყურადღება მახვილდება ენის ლექსიკური ფონდის შესწავლისა და ენის სიმინდის დაცვის ჩვეულების გამომუშავების მიზნით და სასწავლო ქმედების ეფექტიანობის დასაბუთებაც კონკრეტულად სწორედ აქეთკენ უნდა ყოფილიყო მიმართული.

შესრულებული ნაშრომების ერთ ნაწილში აშკარად შეიმჩნეოდა არგუმენტაციისა და კონკრეტიზაციის დეფიციტი. სასურველია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ ნებისმიერი სასწავლო ქმედების ეფექტიანობას განსაზღვრავს ამ ქმედების შედეგი, ახალი მასალის გაგება-ათვისების ხარისხი. შესაბამისად, მასწავლებელს, ბუნებრივია, წინასწარ აქვს გააზრებული სავარაუდო შედეგი და არჩეული ქმედების ეფექტიანობის დასაბუთებაც არ უნდა იყოს მისთვის რთული.

შეცდომათა ერთი ნაწილი დაკავშირებული იყო დავალების პირობის არასწორ (არაზუსტ) გააზრებასთან. მე-20 დავალების პირობაში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ მასწავლებელს განვლილი მასალიდან უნდა დაესახელებინა საკითხები, რომლებიც ახალი მასალის უკეთ გააზრებაში დაეხმარებოდა მოსწავლეებს. წარმოდგენილი ჩამონათვალი და შემდეგ მსჯელობაც არაიშვიათად უშუალოდ ახალ, ასახსნელ თემას ეხებოდა და არა გასახსენებელ საკითხებს.

საერთოდ, სასურველია, უფრო ლაპკონიურად და კონკრეტულად იყოს ჩამოყალიბებული მსჯელობა, უფრო მკვეთრად და ლოგიკურად გაიმიჯნოს ერთი დავალების სხვადასხვა ქვეყნების (მითითებების) პასუხები.

ტესტის № 23 დავალება მოითხოვდა მოსწავლის ნამუშევრის გასწორებას, შეფასებასა და სათანადო კომენტარების დართვას.

ნაშრომების გასწორებისას გამოიკვეთა რამდენიმე ტიპის შეცდომა და უზუსტობა.

მასწავლებელს უნდა შეეფასებინა მოსწავლის ნამუშევარი მოცემული სქემის გამოყენებით. მას კრიტერიუმის შესაბამისად უნდა დაერთო კომენტარი და აუცილებლად დაეწერა ქულები თითოეული კრიტერიუმის მიხედვით. შეცდომები ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ მასწავლებლები ყურადღებით არ კითხულობდნენ დავალების პირობას, არასწორად იაზრებდნენ და ამის გამო არაადეკვატურად იყენებდნენ შეფასების სქემას. მასწავლებლების ნაწილი საერთოდ არ წერდა შესაბამის ქულებს.

თვალში საცემი იყო, რომ მასწავლებელთა უმრავლესობას ნაშრომის 1-ლი კრიტერიუმით შეფასებისას გადმოწერილი ჰქონდა კრიტერიუმის მითითებები, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი კომენტარი დაერთო და დაესაბუთებინა მისეული შეფასება. გარდა ამისა, კომენტარი ხშირად არ იყო გამყარებული კონკრეტული მაგალითებით.

მე-2 კრიტერიუმით ნაშრომის ენობრივი მხარე ლექსიკისა და სტილის თვალსაზრისით უნდა შეფასებინათ, მე-3 კრიტერიუმით შეფასება კი ორთოგრაფიული, მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. მასწავლებელთა უმრავლესობას არ ჰქონდა გამიჯნული მე-2 და მე-3 კრიტერიუმები და მე-3 კრიტერიუმით შეფასებისას ქულას წერდა სტილისტური ხარვეზის გათვალისწინებით, რაც ბუნებრივია, უზუსტობას იწვევდა. სტილისტური ხარვეზი მე-2 კრიტერიუმით შეფასებისას უნდა ყოფილიყო ამოწერილი და სელახლა გამეორება არ იყო საჭირო.

იყო შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი არათუ ვერ პოულობდა ტექსტში დაშვებულ შეცდომებს, არასწორად იწერდა მართებულ ფორმებს. ხშირი იყო არასწორი კვალიფიკაციის შემთხვევები ან საერთოდ არ იყო შეცდომათა კვალიფიკაციის მცდელობა. ზოგიერთი მასწავლებელი ორთოგრაფიულ და მორფოლოგიურ შეცდომებს აერთიანებდა, მაგალითად: „მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომებია: სჩანს, ათას წილად, შესაძლებლობისგან“. დავალების პირობის თანახმად, მათ ცალ-ცალკე უნდა გამოეყოთ ორთოგრაფიული, მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რათა ნათლად წარმოჩენილიყო, სწორად აძლევს თუ არა მასწავლებელი კვალიფიკაციას თითოეულ შეცდომას.

რაც შეეხება ბოლო მითითებას, მასწავლებელთა რჩევები უმეტესად იყო მოკლე და ზოგადი; არ იყო კონკრეტული რჩევები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს უკეთ შეასრულოს ამგვარი წერითი დავალება და არ დაუშვას ენობრივი შეცდომები და სტილისტური ხარვეზები.

## 2010 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე შესრულებული ნამუშევრები

გთავაზობთ სამ ნიმუშს 2010 წლის გამოცდაზე პედაგოგთა მიერ შესრულებული ნამუშევრების დიდან:

### რეზიუმე (იხ. დაგალება № 10)

ბარათაშვილის „მერნის“ ფილოსოფია თავისი ტრაგიზმით ენათესავება შოპენპაუერის პესი-მისტერ ფილოსოფიას არსებობის შესახებ. ორივე მიიჩნევს, რომ არსებობა ბედისწერას ვერ გაექცევა; რომ ინდივიდი, პიროვნება შემოსაზღვრულია „ამქვეყნიურობითა“ და „დროებით“. მაგრამ ბარათაშვილი, რომელმაც უურადღება მიაქცია იმას, რომ ბედნიერება მხოლოდ აწმყოშია შესაძლებელი („ვპოვე ტაბარი შესაფარი...“), შოპენპაუერისაგან განსხვავებით, მიიჩნევს, რომ ადამიანი ამ ტრაგიკულ აწმყოში პოულობს სწორედ იმ სიამოვნებას, რომელსაც პიროვნების გაფართოება იწვევს; რომ ეს ტანჯვა არის ადამიანის ამამაღლებელი „სრულ ცხოვრებამდე..., ძლიერ პიროვნებამდე“, რომელიც, ჰიუხედავად ყველაფრისა, ბედს შეერკინება. ესაა პიროვნების სიდიადე, რომელიც შოამომავლობას არსებობის რწმენას უნარჩუნებს.

### მხატვრული ტექსტის ანალიზი (იხ. დაგალება № 30)

რ. ინანიშვილის „მარადიული პეიზაჟი“ თითოეული მკითხველისათვის ნაცნობ გრძნობას აღმრავს. ტექსტის მთავარი სათქმელიც ამ „სატკივარით“ აღძრული სევდის ჩვენებაა. სათაურში სიტყვა „მარადიული“ შემთხვევითი არ უნდა იყოს. ბენებაც ცვალებადია, მაგრამ „გრძლადწაული გორა“, „შემრეშილი ტყეები“, ოქროსფრად მოციმციმე წყალი მრავალი თაობის მზერას დაატკბობს. ადამიანები კი წავლენ და მონატრების ტკივილს დაგვიტოვებენ. ამიტომ ასოცირდება უცნობი მოხუცი დედასთან, რომელსაც სავსე ტომრით ჩვენსკენ დარდი მოაქვს. დარდი იმისა, რომ რაღაც დამთავრდა და ეს დასასრული შესკენაც მოიწევს, გიახლოვდება.

ავტორი შემოდგომის შოამბეჭდავ პეიზაჟს გადმოგცემს. შედარებით – „სანთლებივით სწორად ასული ალვები“ – დროის დინებას გვისატავს. შემოდგომის სევდიანი სურათი საერთო განწყობას ერწყმის. „ტოტებშეკაფული მუხა“ – მოგონებაა წარსულიდან. ავტორი დეტალებზე ხაზგასმით ქმნის ემოციურ განწყობას. მარტობის უდიდესი სევდა გამოსჭვივის წელში მოხრილი („მუხლებამდე ცხვირმიტანილი“) მოხუცის, მინიატურისათვის დამახასიათებელი ძუნწი აღწერით. სიმბოლურია ტომარა, რომელიც ადამიანური დარდების დამტევია. მოხუცის შეჩვეულ მარტობას გადმოსცემს ძირს დახრილი თვალები (მუხლებს ზევით რომ ვერ სწვდება თვალსაწიერი). იმას, რომ მოხუცი მაინც ზრუნავს ვიდაცაზე, ავტორი გვისატავს სიარულის მანერის დეტალიზაციით: „ფეხის წვერები მოყოლებით მოიწევენ ჩემკენ“: თითქმის ფოტოგრაფიული სიზუსტითაა ნაჩვენები ყველა დეტალი, თხრობა დინამიკურია. მოხუცი ქალის გამოჩენისთანავე დინამიზმი მატულობს, ჩნდება ავტორიც, იგრძნობა მწერლის მღელვარება, რომელიც ბოლოს მკვეთრ, ყდერად და მრავლისმეტყველ ფრაზად ყალიბდება.

### ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა (იხ. დაგალება № 31)

ა) იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაზე“ მუშაობისას მთელი ტექსტის გაგებისა და გაზრდისათვის უმნიშვნელოვანებისა თხზულების კულტურულ-ისტორიული კონტექსტი.

მოსწავლებს მივუთითებ, რომ ნაწარმოები ეყრდნობა V საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ ვითარებას, კერძოდ, მაზდეანურ ირანთან ურთიერთობას, ვარსექნ პიტიახშისა და ვახტანგ გორგასლის პოლიტიკურ დაპირისპირებას. ამასთანავე, უმნიშვნელოვანებისა თხზულების კულტურული კონტექსტი. მაზდეანურ ირანთან ურთიერთობისას ქრისტიანული რელიგია ჩვენი ეროვნული მეობისა და ფიზიკური გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყო, ამიტომაც ჩამოყალიბდა პაგიოგრაფიული უანრი, რომლის მიზანია რწმენისა და იდეალებისათვის თავდადებული პიროვნების სახის შექმნა (წმინდა შუშანიკის სახე). ყოველი ნაწარმოები ხომ თა-

ვისი დროის ნაყოფია და, ამდენად, მისი გააზრებისათვის აუცილებელია ეპოქის მსოფლმხედვებულობისა და კულტურული საკითხების გაოვალისწინება. ჰაგიოგრაფიაში ქრისტიანული კულტურისათვის დამახასიათებელი სახე-სიმბოლოებით აზროვნებენ, მაგალითად, სახე-სიმბოლო „სძალი ქრისტეს“ მოწამის სახესაც ძერწავს, სიუკეტურ თხრობასაც წარმართავს და ნაწარმოებს კომპოზიციურადაც კრაგს. აღნიშნული სახე-სიმბოლო „სახარებისეული „10 ქალწულის“ იგავის გამოძახილია და მიგვანიშნებს, რომ მოწამე დვოიური სიყვარულით განიმსჭვალა.

**ბ)** პრობლემას ქმნის იმ ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა, რომელიც ეპოქის ისტორიული ფონისა და ქრისტიანულ კულტურასთან დაკავშირებულ სახეთა გააზრებისათვისაა საჭირო. მაგალითად, მოსწავლეებს უნდა განემარტოთ, რომ ავტორი დედოფალს „სამგზის სანატრელს“ უწოდებს, ხოლო ვარსკენს – „სამგზის საწყალობელს“ ე. ი. შუშანიკი სამივე პიპოსტასისათვის – მამა ღმერთისა, მე ღმერთისა და სულიწმინდისათვის რჩეულია, ხოლო ვარსკენი სამივესაგან უარყოფილია. უფრო მეტიც, იგი „უძღები შვილია“, არშუშას მიერ დაწყებული საქმის მოდალატეა, ამიტომაც მას უპირველეს ბრალდებად უყენებს: „მამამან შენმან აღვმართნა სამარტვილენი...“, შუშანიკი „ტარიგი ქრისტესი“, ანუ წმინდა მსხვერპლია, ქართული ეკლესიისათვის შეწირული. შუშანიკს რომ ფარულად ძაბა აცვია, ხოლო კაცთა ოვალდასანახად – ანტიოქიური პალეკარტი, თანაც ეს რომ არავინ იცის – პირადი მოძღვრის გარდა, მიგვანიშნებს – დედოფალმა დათმო ამქვეყნიური ცხოვრება და ქრისტესათვის ტანჯვის გზა აირჩია.

ბოლოს, შუშანიკი საკუთარ თავს „მეათერთმეტე მოქმედს ვენახისას“ უწოდებს, რითაც მისი თავმდაბლობა და ქრისტიანული მიმტკებლობა გამოიხატება.

**გ) ჯგუფური მუშაობა:**

მოსწავლეებს დავყოფ ორ ჯგუფად; I ჯგუფში გაერთიანებულ მოსწავლეებს ვთხოვ ტექსტიდან ამოიწერონ ქრისტიანულ კულტურასთან დაკავშირებული საკითხები და, ამასთანავე, გვერდით მიუწერონ, თუ როგორ ესმით ამა თუ იმ საკითხის შინაარსი, ხოლო II ჯგუფის წევრებს დავავალებ, რომ გაიხსენონ, რა იციან V საუკუნის საქართველოს პოლიტიკური, რელიგიური თუ სოციალური ვითარების შესახებ. შემდგე ეტაპზე შევაჯამებ მათ ნააზრევს, მაგალითად: დავახასიათებოთ მთავარ პერსონაჟთა მოქმედებების მნიშვნელობასა და მიზნებს V საუკუნის საქართველოს ისტორიული ფონის გათვალისწინებითა და ეპოქის კულტურულ-მსოფლმხედველობრივი საკითხების გააზრებით, აგრეთვე, წარმოვაჩენთ იაკობ ხუცესის, როგორც პაიოგრაფის სათქმელს.

ბოლოს, კიდევ ერთხელ მივუთითებ შესაბამის ლიტერატურას და დავავალებ ამ ნაშრომებზე დაყრდნობით დაწერონ ანალიტიკური ესე: „V საუკუნის საქართველო და იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“.

### III. 2011 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტი შეფასების სქემითურთ

#### ო ნ ს ო რ უ ქ ც ი ა

ოქვენ წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი.  
გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!  
პასუხების ფურცელის გაკეცვა დაუშვებელია!  
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის!

#### ტესტის მაქსიმალური ქულაა – 80.

№№ 1-10 და 23-34 დავალებების პასუხები შეგიძლიათ ტესტის ბუკლეტში შემოხაზოთ და გადაიტანოთ პასუხების ფურცელში შემდეგნაირად: ყოველი დავალების ნომრის გვერდით განთავსებულ უჯრედებში X ნიშანი უნდა დასვათ იმ უჯრედში, რომელიც, თქვენი აზრით, სწორ პასუხს შეესაბამება.

პასუხების გადატანისას არ უნდა აგერიოთ დავალებების ნომრები. ნომრების არევის შემთხვევაში კომპიუტერი სწორი პასუხის ამოცნობას ვეღარ შეძლებს.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში მთლიანად გააშავეთ ის უჯრედი და იმავე ნომრის გასწვრივ მონიშნეთ სხვა (ეს ეხება მხოლოდ №№ 1-10 და 23-34 დავალებებს).

№№ 11-22 და 35-36 დავალებების პასუხები შესაბამისი ნომრების გასწვრივ უნდა გადაიტანოთ პასუხების ფურცელში.

№ 36 დავალება სამი ნაწილისაგან შედგება: ა), ბ) და გ). პასუხების ფურცელშიც ამგვარადაა მითითებული.

**სავალდებულოა,** რომ № 36 დავალების ა), ბ) და გ) ნაწილები პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ ა), ბ) და გ) ნაწილებისათვის გამოყოფილ აღგილებში გადაიტანოთ.

№ 36 დავალების თითოეული ნაწილი (ა, ბ, გ) ცალ-ცალკე სწორდება შეფასების სხვადასხვა სქემის მეშვეობით და, ამდენად, ამ დავალების შემადგენელი ნაწილების ერთმანეთში არევა დაუშვებელია.

№ 36 დავალება, რომლის შემადგენელი ნაწილები პასუხების ფურცელში ერთმანეთში იქნება არეული, არ შეფასდება.

**გახსოვდეთ:** აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში! ბაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დაგალება, რომელიც პასუხების ფურცელში საბანგებოდ ამ დაგალებისათვის გამოყოფილ აღგილას არ იძნება გადატანილი! არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!

**ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.**

**გისურვებთ წარმატებას!**

## I. წაკითხულის გააზრება

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთოთ აღნიშვნა – X (თუ პასუხების ფურცელში შეცდომას დაუშვებთ, შევიძლიათ მთლიანად გააშვროთ ის უჯრედი და მის ნაცვლად სხვა მონიშნოთ).

დავალების მაქსიმალური ქულაა – 10.

ქრისტიანობა ის მოძღვრებაა, რომელიც კაცს შეაცნობინებს საწუთოოს, სოფლის არარაობას, მის სრულ უნიშვნელობას იმქვეყნიურ, მარადიულ, ღვთაებრივ საუფლოსთან, ზესთასოფელთან შედარებით. ქრისტიანული მრწამისის თანახმად, გონიერმა კაცმა უყოფმანოდ უნდა დათმოს, უარყოს ამქვეყნიური ცხოვრების წამიერი სიხარული, სოფლიური სიამენი, რათა თავისთავი ზეციურ სამყაროს გაუსაკუთროს მთლიანად და წარმავალის წილ წარუგალი სიხარული დაიკვიდროს.

ამ თვალსაზრისის უკიდურესი გამოვლინება ისე შორს მიღიოდა, რომ ხილულ სინამდვილეს, ყოველსავე მატერიალურს, კვლავ იმდროინდელ ტერმინს თუ მიგმართავთ – სოფელს ბოროტებად, სატანის სადგურად სახავდა სულაც, მიიჩნევდა, რომ სოფლისა და სოფლიურ საქმეთა მოძაგება, მათი მტრობა უპირველესი პირობა იყო სულის ხსნისა და ღვთაებრივთან მიახლებისა. აქედანაც იღებდა სათავეს ცხოვრებისაგან განდგომის, განდეგილობისა და ასკეტური თვითგვემის (როგორც მაშინ იტყოდნენ – „ხორცია გვემის“, „ხორცია განლევის“, „ხორცია მოკვდინების“) იდეალი, რომლის ნიმუშებიც მრავლად იპოვება ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში.

არეპაგიტულ წიგნთა ავტორმა საუკუნოვანი წევლის დადი ახსნა ხილულ სინამდვილეს – მატერიალურ სამყაროს, მრავალთა და მრავალთაგან ბოროტებად დასახულს. როგორ შეიძლება მატერიალობდა ბოროტი იყოსო? – კვირობდა არეპაგიტულ წიგნთა ავტორი. – ერთი რომ, მატერია სამყაროული წესრიგისა და მშვენიერების მონაწილეა და ასეთ რასმე ბოროტი ვერასგზით ვერ ეთქმისო. გარდა ამისა, თუკი მატერია არაარსია, როგორც ზოგიერთს მიაჩნია, ვერც კეთილი იქნება და ვერც ბოროტი, ხოლო თუკი რითომე წილნაყარია არსთან, მაშინ უეჭველად დმერთის მიერ ყოფილა შექმნილი, ხოლო დმერთი ბოროტს არაფერს ქმნის, ყოველივე ქმნილი თავისთავად სიკეთე არისო.

დღესდღეობით ძნელი წარმოსადგენიცაა, რანაირ მეხის გავარდნას ნიშნავდა ეს მოსაზრება საიმდროოდ, რანაირად უნდა შემცბარიყვნენ ორთოდოქსული აზრის იმუამინდელი კანონმდებელნი, რომელთაგან, ვინ უწყის, მრავალნი იყვნენ თუ არა წვდომილნი ქრისტიანობის ჭეშმარიტ არსებას! მაგრამ ეს კიდევ არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც ითქვა კიდევ.

ბოროტება საერთოდაც არ არსებობს. ის, რაც შესაძლოა ბოროტება გვეგონოს, სიკეთის მოკლებაა მხოლოდ, რამეთუ, რაც კი არსებობს, ყოველსავეს ერთი მიზეზი, ერთი საწყისი აქს – კეთილი ღმერთი, მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის მქმნელი. ასე რომ, ბოროტება უარსოა, საწყისი არ გააჩნია, იმ ზომამდე, რომ თავიანთი ბუნებით ეშმაკიც კი კეთილნი არიან და არა ბოროტნი, ოდონდ ისინი არსებობას ეწინააღმდეგებიან, არარსებობისკენ ისწრაფვიან და მხოლოდ ამდენად არიანო ბოროტნი. და ამას ეუბნებოდნენ იმ ადამიანებს, თავადაც რომ ნიადაგ ძრწოდნენ და სხვათაც – ურიცხვ უბირ მორწმუნებს – რომ აძრწუნებოდნენ სატანის აჩრდილის წინაშე.

ნუ ძრწითო, – თითქოს ანუგეშებდა სასომისხდილთ „მსოფლიოში საკვირვებლად სახელგანთქმული კაცი“, – ხილული თუ უხილავი სამყაროები, რაც კი არსებულია, არსია, ყოველივე ზესთა სიკეთის მიერ არის შექმნილი ვითარცა სიკეთე, ვითარცა მშვენიერება, რამეთუ შექმნას საფუძვლად უდევს ზესთაკეთილი და ზესთამშვენიერი შემოქმედის უსახომო სიყვარული შექმნილისადმი, სიყვარული არის ის ძალა, რომელმაც შექმნა ყოველივე, და ეს სიყვარული ყოველ არსს, დიდსა თუ მცირეს, თვით ყველაზე უმნიშვნელოსაც კი, თანაბრად მიეფინება.

მეორე მხრივ, ყოველ არსში, დიდსა თუ მცირეში, თვით ყველაზე უმნიშვნელოშიც კი, სიყვარული არის ჩადებული, ვითარცა მისი მძღოლი დვრიტა, არსთა კვლავ ზესთასიკეთისაკენ მიმაქცეველი. ყოველი არსი, დიდი თუ მცირე, თვით ყველაზე უმნიშვნელოც კი, იმას ესწრაფვის, რომ მეტი და მეტი სიკეთე და მშვენიერება შეიმოსოს, თავისზე მაღლა მდგომს მიბაძოს და ამით მიბაძოს ზესთასიკეთეს, შეძლებისდაგვარად დაემსგავსოს მას. სიყვარული, უზენაესისკენ სწრაფვა არის მძვრელი ძალა, რომლის მძოხებითაც არსი უნდა დაუბრუნდნენ ზესთამშვენიერსა და ზესთასაყვარელ შემოქმედს – თავად სიყვარულს („რამეთუ დმერთი სიყვარული არს“). და იმ ეპოქაში, რადა თქმა უნდა, არაგის გააკვირვებდა ამის გამასრულებელი აზრი, რომ არსთა შემწე და ზეადმყვანი ეს ძალა არის სწორედ სამების მეორე წევრი, მე დმერთი, ქრისტე.

ასე რომ, ხილული სამყარო, სოფელი გადაულახავი უფსკრულით კი არ ყოფილა გათიშული უხილავისგან, ზესთასოფლისგან, სიყვარულის ძალით ყოფილა მასთან შინაგანად, ორგანულად დაკავშირებული და გაერთიანებული, სატანის სათარეშო თვალშეუდგამი უდაბნო კი არ ყოფილა, არამედ – შემოქმედის მიერ ნაკურთხი და შუქცენილი ნავთსაყუდარი, და მის მკვიდრო, მათ შორის, უწინარეს ყოველთა, კაცს არამცოუ ეკრძალება, პირუკუ – უპირველეს მცნებად აქვს მიცემული სიყვარული. სიყვარული ჯერ ამ გონების წამლები მშვენიერებისა, რასაც ხილული სამყარო ეწოდება, ხოლო შემდეგ, თანდათანობით, თითქოს საფეხურებს მიუყვებაო, – უფრო და უფრო ზესთა სფეროთა, ვიდრე არსთა სწრაფვის საბოლოო მიზანს არ მისწვდება.

**რეგაზ თვარაძე, მხატვრული სიტყვით გაცხადებული სული,  
წიგნში: ქართული მწერლობა (30 ტომად, ტ. I, თბ., 1987.)**

- (1) 1. რა არის პირველი აბზაცის უმთავრესი აზრი?
  - ა) ადამიანის დანიშნულებაა მოწამეობრივი გზის გავლა.
  - ბ) ადამიანმა სულის ასამაღლებლად ამქვეყნიური უნდა დათმოს.
  - გ) ქრისტიანობა ადამიანს ზეციურ სამყაროს შეაცნობინებს.
  - დ) ქრისტიანობა ერთადერთი ჭეშმარიტი მოძღვრებაა დედამიწაზე.
- (1) 2. რა არის მეორე აბზაცის ფუნქცია?
  - ა) პირველ აბზაცში გამოთქმული მოსაზრების გამეორება.
  - ბ) პირველ აბზაცში გამოთქმული მოსაზრების უარყოფა.
  - გ) პირველ აბზაცში მოცემული მსჯელობის განვითარება.
  - დ) პირველ აბზაცში მოცემული მსჯელობის შეჯამება.
- (1) 3. როგორ იყო გააზრებული ხილული სინამდვილე, სანამ არეოპაგიტულ წიგნთა ავტორის მოძღვრება გახდებოდა ცნობილი?
  - ა) როგორც ბოროტების საუფლო.
  - ბ) როგორც წამიერი სიხარული.
  - გ) როგორც „წარუგვალი სიხარულის“ წყარო.
  - დ) როგორც „სამყაროული წესრიგის“ მონაწილე.
- (1) 4. არეოპაგიტულ წიგნთა ავტორის თვალსაზრისით, რატომ არ შეიძლება მატერია ბოროტი იყოს?
  - ა) იმიტომ, რომ მატერია არ არის წილნაყარი არსთან.
  - ბ) იმიტომ, რომ მატერია „ვერც კეთილი იქნება და ვერც ბოროტი“.
  - გ) იმიტომ, რომ მატერია „სიკეთის მოკლებაა მხოლოდ“.
  - დ) იმიტომ, რომ მატერია დმერთის მიერ არის შექმნილი.
- (1) 5. რატომ ნიშნავდა „საიმდოოდ“ ეს მოსაზრება „მეხის გავარდნას“?
  - ა) იმიტომ, რომ ეწინააღმდეგებოდა საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს.
  - ბ) იმიტომ, რომ ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანობის ჭეშმარიტ არსეს.
  - გ) იმიტომ, რომ უარყოფდა სიკეთის უზენაესობის რწმენას.
  - დ) იმიტომ, რომ უარყოფდა დვოაებრივი საწყისის უპირატესობას.
- (1) 6. კონკრეტულად რომელ აზრს გულისხმობს სტატიის აგტორი, როდესაც წერს – „ეს კიდევ არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც ითქვა კიდევ“?
  - ა) ეშმაკნი „არსებობას ეწინააღმდეგებიან, არარსებობისკენ ისწრაფვიან“.
  - ბ) „ეშმაკნიც კი კეთილი არიან და არა ბოროტინი“.
  - გ) ორთოდოქსები მორწმუნებს აძრწუნებდნენ სატანის აჩრდილით.
  - დ) ყოველივეს, რაც არსებობს, ერთი მიზეზი აქვს.
- (1) 7. რა არის ბოროტება არეოპაგიტულ წიგნთა ავტორის განმარტებით?
  - ა) ბოროტებაა მთელი ხილული სინამდვილე.
  - ბ) ბოროტებაა ხოფლიურ სიამეთაგან მიღებული ტქბობა.
  - გ) ბოროტება სიკეთის მოკლებაა მხოლოდ.
  - დ) ბოროტება ცოდვა და ეშმაკის მორჩილებაა.
- (1) 8. რატომ არ ყოფილა ხილული სამყარო გადაულახავი უფსკრულით გათიშული ზესთასოფლისაგან?
  - ა) იმიტომ, რომ ადამიანი „ხორცო გვემით“ ამაღლდება ამქვეყნიურ რეალობაზე.

- ბ) იმიტომ, რომ ეშმაკნიც კი თავიანთი არსით კეთილდინი არიან.
- გ) იმიტომ, რომ ყოველი არსი თავისზე მაღლა მდგომს უპირისპირდება.
- დ) იმიტომ, რომ ხილული სამყარო უხილავს სიყვარულის ძალით უკავშირდება.

(1) 9. **რის ჩვენება არ არის არეპაგიტულ წიგნთა ავტორის მიზანი?**

- ა) იმისა, რომ ბოროტება საერთოდაც არ არსებობს.
- ბ) იმისა, რომ მატერიალური, ამქვეყნიური რეალობა ბოროტება.
- გ) იმისა, რომ სიყვარული უზენაესისკენ სწრაფვაა.
- დ) იმისა, რომ ყოველივე ზესთასიკეთის მიერ არის შექმნილი.

(1) 10. **რა არის ამ ტექსტის უმთავრესი ფუნქცია?**

- ა) ქრისტიანობის წიაღში შექმნილი ახალი მოძღვრების გადმოცემა.
- ბ) ქრისტიანობის წიაღში შექმნილი დოგმატიკის კრიტიკა.
- გ) ქრისტიანული თეოლოგიის ძირითადი პრინციპების გადმოცემა.
- დ) ქრისტიანული თეოლოგიის წინააღმდეგობრივი ბუნების კრიტიკა.

## II. ქართული ენა

(2) 11. XIX საუკუნის 60-იან წლებში განხორციელდა ქართული ანბანის რეფორმა.

მოკლედ ჩამოაყალიბეთ ამ რეფორმის არსი.  
განმარტეთ, რომ იყო განპირობებული რეფორმის აუცილებლობა.

(2) 12. განმარტეთ, რას ნიშნავს გამოთქმა – *ხიზიფების შრომა*.

საიდან მომდინარეობს ეს გამოთქმა?

- ა) ანტიკური მითოლოგიდან. ბ) ბიბლიიდან.
- გ) მხატვრული ლიტერატურიდან. დ) ქართული მითოლოგიდან.

(1) 13. მოსწავლემ დაწერა: ამ ამბის გამო გიორგი და მიხეი მეგობრები დადებით ხახიათზე იყენებენ.  
აუხსენით მოსწავლეს, რა სარვეზი აქვს ამ წინადადებას.

(2) 14. მოსწავლემ დაწერა: მასწავლებელმა მამა-შეცდომად დაარიგა ბიჭები.

მიუთითეთ მოსწავლეს, რა შეცდომა დაუშვა.  
განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) 15. მოსწავლეს უნდა ებრუნებინა სიტყვა გოგონა. მან ნათესაობითი ბრუნვის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებად დაწერა: **გოგონის – გოგონების.**  
მიუთითეთ მოსწავლეს, რა შეცდომა დაუშვა.  
განუმარტეთ მას, რა განაპირობებს ამ ტიპის სახელთა ბრუნების თავისებურებას.

(2) 16. მოსწავლემ დაწერა: ორი წლისა იყო ანა, როდესაც განგებამ მშობლიურ კერას მოწყვიტა.  
მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) 17. მოსწავლემ ვნებითი გვარის მაგალითად მოიკვანა ზმნა **გილამაზებს.**  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა შეცდომა დაუშვა.  
მოკლედ ჩამოაყალიბეთ გვარის კატეგორიის არსი.

(1) 18. მოსწავლეს უნდა გაეკალიზებინა შემდეგი წინადადება: გიგა ყველაფერზე არას ამბობს.  
მისი განმარტებით, სიტყვა **არა** წინადადების წევრი არ არის, რადგან ნაწილაკია.  
აუხსენით მოსწავლეს, რა შეცდომა დაუშვა.

(1) 19. მოსწავლემ დაწერა: **ყოველ ღონებს ხმარობდნენ,** რათა საქმის დროზე გამოხვილება უნდოდათ.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ამგვარი შეცდომა.

- (6) 20. თქვენი მიზანია აუქსენათ მოსწავლეებს, თუ როგორ გაარჩიონ ერთმანეთისაგან უთანდებულო ნათესაობითში დასმული **უბრალო დამატება** და **განსაზღვრება**.
- (2) I. მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რა ინფორმაცია უნდა მიაწოდოთ მოსწავლეებს.
- (2) II. აღწერეთ ერთ-ერთი სასწავლო ქმედება, რომელიც დაგეხმარებათ ამ მიზნის მიღწევაში.
- (1) III. დაასაბუთეთ თქვენ მიერ შერჩეული სასწავლო ქმედების ეფექტიანობა.
- (გაითვალისწინეთ, თუ ამ დაგვალების პასუხში დაშვებული იქნება ერთი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარჯზე მაინც, დაგაკლდებათ 1 ქულა).
- (5) 21. თქვენი მიზანია მოსწავლეებს გამოუმუშაოთ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.
- (1) I. წაიკითხეთ ნაწყვეტი ოთარ ჭილაძის პუბლიცისტური წერილიდან და დაასაბუთეთ, რომ ეს ტექსტი დაგეხმარებათ დისკუსიის წარმართვაში.
- (3) II. ჩამოაყალიბეთ სადისკუსიო თემა და თითო არგუმენტი ავტორის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.
- „ჩვენი ემიგრაციის მთავარი მიზეზი მაინც არასწორად გაგებული თავისუფლება მგონია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სამშობლოსგან ვთავისუფლდებით, ქართველობაზე ვამბობთ პირველ რიგში უარს და თუ ეს მართლა ასეა, ძალიან დიდი ძალისხმევა გვმართებს ყველას ამ დამღუპველი პროცესის შესაჩერებლად... მშობლების, ბებია-ბაბუქების პატივმოყვარების დასაკმაყოფილებლად მშობლიურ გარემოს ძალით მოწყვეტილი ბავშვი ქვეყნის ქომა-გად ვერ გამოდგება...“.
- (გაითვალისწინეთ, თუ ამ დაგვალების პასუხში დაშვებული იქნება ერთი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარჯზე მაინც, დაგაკლდებათ 1 ქულა).
- (12) 22. გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.
- (9) I. დაწერეთ ქულა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაუსაბუთეთ მოსწავლეს თქვენი შეფასება: I კრიტერიუმით შეფასების კომენტირებისას მოიხდეთ სათანადო მაგალითები თხევდებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყოველი შეცდომა და ხარვეზი. თითოეულ მათგანს მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება – ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურს, სინტაქსურსა თუ სტილისტურს.
- (2) II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

### შეფასების სქემა

№	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ქულები
I	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით; ბ) მსჯელობა ნაწილობრივ მკაფიოა, ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული ტექსტური მასალით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; გ) ტექსტი არააღეკვატურადად გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, ტექსტური მასალაც არააღეკვატურად არის მოხმობილი.	2 1 0
II	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერი სტილისტურად გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გახვდება სტილისტური ხარვეზები; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ სტილისტურად გაუმართავია, გვხვდება არააღეკვატური ლექსიკა.	2 1 0
III	ორთოგრაფია-მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის <b>სამხედულო შეცდომა</b> ; ბ) არ არის ამ ტიპის <b>უძველეს შეცდომა</b> ; გ) ამ ტიპის შეცდომა <b>უძველეს შეცდომა</b> .	2 1 0

## წაიკითხეთ და შეაფასეთ მონაკვეთი მოსწავლის თხზულებიდან:

ალუდა ქეთელაური შეეცადა სინათლის სხივი შეეტანა ხალხში, რომლებსაც თვალზე სისასტიკის ლიბრი ჰქონდა გადაფარებული. მას სურდა დაენახვებია ადამიანებისათვის ის სულიერი სიმაღლე, რომელიც აიძულებდა მათ, რომ უარი ეთქვათ დაუსრულებელ სისხლისღვრაზე.

ამის შეგნება არც ქეთელაურისათვის აღმოჩნდა აღვილი. თავდაპირველად ალუდა შეება ქისტს, როგორც ქურდ-ბაცაცას და დაამარცხა იგი, როგორც გმირი, რომელმაც ქეთელაურის ლირსებას საზღვრები გაუფართოვა. მისი გაჟერება ალუდას აიძულებს არაქრისტიან ქისტში დაინახოს „ლამაზი მმა“, ვინც ქეთელაურს საშუალება მისცა მოესმინა თავის იდუმალი ხმისათვის.

ალუდაც აცნობიერებს, რომ ვალდებულია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოლოს სამართლიანობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანის „წვენ-ხორცის“ ჭამა სამუდამოდ დასტანჯავს მას. ალუდა თავის ქვეცნობიერებაში განხორციელებული პროცესის შედეგად შეიცნობს სიკეთეს, რომელიც მას მისცემს ძალას, რომ შეეწინააღმდეგოს თემის უსამართლობას.

(გაითვალისწინეთ, თუ ამ დავალების პასუხში დაშვებული იქნება ერთი ენობრივი შეცდომა ან/და ხტილისტური ხარვეზი მაინც, დაგაკლდებათ 1 ქულა).

### III. ქართული ლიტერატურა

(1) 23. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: რას გულისხმობდა დედოფალი, როდესაც თქვა – „ჰყავთ წარმდებად საქმე ესე ჩემი?“

**რომელი წინადაღება გამოგადებათ მოსწავლის შეკითხვის პასუხად?**

- ა) შუშანიკმა თავისი გულისტკივილი გამოხატა ვარსკენის სისასტიკის გამო.
- ბ) შუშანიკმა საყვედური თქვა იმის გამო, რომ მხარში არავინ ამოუდგა.
- გ) შუშანიკს ეშინოდა, რომ მზად არ იყო ეკისრა მოწამის მძიმე ტვირთი.
- დ) შუშანიკს ეშინოდა, რომ მოღალატე პიტიახში არ დაინდობდა მეუდღეს.

(1) 24. იოვანე საბანისძე წერს: „და არა თუ ხოლო ჩემდა მარტოხსა საძიებელ არს სმენად საწადელი ესე მარტკლობად წმიდისა ამის მოწამისად, არამედ – ყოველთავ. ჯერ-არს თქუენდაცა დაკპრვებად ჩემ თანა“. რა მთავარი სათქმელისათვის ამზადებს მკითხველს ავტორი მოცემული მონაკვეთით?

- ა) არაბმა დამპურობლებმა მოშალეს მეფობა ქართლში და თბილისში არაბი ამირა დასვეს.
- ბ) არაბმა დამპურობლებმა საკუთარი თანამემამულეც კი არ დაინდეს და სასტიკად აწამეს, რათა ქრისტიანები დაეშინებინათ.
- გ) არაბმა დამპურობლებმა ჭეშმარიტი რწმენისაგან „გარდადრიკეს“ ქართველები, რომელიც ხუთას წელზე მეტია, რაც გაქრისტიანდნენ.
- დ) არაბმა დამპურობლებმა ხარკისაგან გაათავისუფლეს ის ქართველები, რომელიც „ირყვანან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“.

(1) 25. გიორგი მერჩულე წერს: „ესე ვითარცა ესმა დიდებულსა კურაპალატსა, შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა. მაშინ ძეთა კურაპალატისათა – ადარნესე და ბაგრატ და გუარამ – შეწირეს თითოეულად, რათა საჭმარი მონასტერსა მისსა უწმდა, ყოველი უხუებით“. რომელი საკითხის შესახებ საუბრის დროს გამოიყენებდით ტექსტის ამ მონაკვეთს?

- ა) ეკლესიის გავლენის გაძლიერება ხელს უშლიდა ცენტრალურ ხელისუფლებას.
- ბ) მეფის ოჯახსა და სახულიერო პირებს შორის ურთიერთობა დაბაბული იყო.
- გ) მეფის ხელისუფლება ხელს უწყობდა ეკლესიის გავლენის გაძლიერებას.
- დ) შუა საუკუნეების საქართველოში ეკლესიას წამყვანი როლი ეკისრებოდა.

(1) 26. „ვეფხისტყაოსნის“ რომელი მონაკვეთიდან ჩანს აშგარად, რომ ავტორი კარგად იცნობს არეოპაგიტულ მოძღვრებას?

- ა) „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“.
- ბ) „ვთქვა მიჯნურობა – პირველი და ტომი გვართა ზენათა“.
- გ) „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“.
- დ) „ღმერთი კეთილს მოავლინებს, მით ბოროტსა არ დაბადებს“.

(1) 27. დედოფალმა შუშანიკმა უთხრა ჯოჯიქს: „ესე ყოველი ცხორებად, ვითარცა ყუავილი ველთად, წარმავალ არს და დაუდგრომელ, და ვინ სთესა, მოიმკო, და ვინ განაბნია გლახაკთათუს, შეიკრიბა...“

„ვეფხისტყაოსნის“ რომელი ციტატა გამოხატავს ანალოგიურ აზრს?

- ა) „დიდთა და წვრილთა წეალობა შენცა ნუ მოგეწყინების“.
- ბ) „რასაცა გასცემ, შენია, რასც არა, დაკარგულია“.
- გ) „უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების“.
- დ) „უხვსა პმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია“.

- (1) 28. დავით გურამიშვილის პოეზიის შესწავლისას რომელი მწერლის შემოქმედებასთან არის მიზანშეწონილი პარალელის გავლება?
- ა) ალექსანდრე პუშკინის შემოქმედებასთან. ბ) იოპან ვოლფგანგ გოეთეს შემოქმედებასთან.
  - გ) უილიამ შექსპირის შემოქმედებასთან. დ) ფრანსუა ვიონის შემოქმედებასთან.
- (1) 29. რომანგიზმის შესახებ საუბრისას მოსწავლემ მოიხმო გავრცელებული აზრი: „ნიკოლოზ ბარათაშვილი მიუწვდომლისაკენ ისწრაფვის, რაც დამახასიათებელია რომანგიზული პოეზიისათვის, რეალობაში დაბრუნების მტანჯველი განცდა კი განაპირობებს მის პესი-მიზმს“, მაგრამ ამ თვალსაზრისის დასაბუთება სათანადო მაგალითებით ვერ შეძლო.
- რომელი მაგალითი დაადასტურებს ზემოთქმულ მოსაზრებას?**
- ა) „მაგრამ ვერ სცნობენ, გლაბ, მოკვდავნი განგებას ციურს“.
  - ბ) „მაინც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი, თუ არა ოდენ საწყალი აღუვსებელი?“
  - გ) „დამშობა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი!“
  - დ) „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს, მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“.
- (1) 30. რა თვალსაზრისით შეიძლება იმის თქმა, რომ ილიას შემოქმედება ნოვატორულია?
- ა) თავის შემოქმედებაში დასვა გლეხობისა და არისტოკრატიის იურიდიული თანასწორობის საკითხი.
  - ბ) მხატვრულ შემოქმედებაში დასვა სამწერლო ენის დემოკრატიზაციის აუცილებლობის საკითხი.
  - გ) თავის შემოქმედებაში პირველმა ახსენა საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობა.
  - დ) მხატვრულ შემოქმედებაში პირველმა გამოკვეთა ადამიანთა ურთიერთგაუცხოების პრობლემა.
- (1) 31. რა აზრს გამოხატავს ვაჟა-ფშაველა გარდაცვლილი პერსონაჟების საუბრის მეშვეობით „სტუმარ-მასპინძლის“ ფინალში?
- ა) იდეალები, რომლებსაც გმირები შეეწირნენ, გაუგებარია.
  - ბ) იდეალები, რომლებსაც გმირები შეეწირნენ, დაფასებულია.
  - გ) იდეალები, რომლებსაც გმირები შეეწირნენ, მარადიულია.
  - დ) იდეალები, რომლებსაც გმირები შეეწირნენ, საყოველთაოა.
- (1) 32. 1937 წელს გალაგტიონ ტაბიძემ დაწერა უსათავრო ლექსი:
- „მოწმეა რბევის და თარეშის ხვადგურის  
ბინდბუნდი საზიზდარ რკინიგზის სადგურის.  
აგზავნის სადღაცა კუბოებს – ვაგონებს  
და მათი კივილი იმ დღეებს მაგონებს,  
როდესაც ამ გზებზე გაეკრა ვაება...  
ნუთუ ის კივილი ლიანდაგს ჩაება?“
- რომელი ისტორიული რეალობაა ასოციაციურად ასახული ამ ლექსში?**
- ა) ანგისაბჭოთა მოღვაწეობისათვის დასჯილ ადამიანებს ციმბირში გზავნიდნენ.
  - ბ) პოლიტიკური რეპრესიების შედეგად ქართული ინტელიგენცია მთლიანად განადგურდა.
  - გ) საბჭოთა ტერორის ევროპაში გაქცევით დააღწია თავი გრიგოლ რობაჭიძემ.
  - დ) უამრავი ადამიანი დახვრიტეს 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის.
- (1) 33. პაოლო იაშვილი წერს:
- „დაიტანჯა  
მაჯა  
მარჯნის  
მმიმე  
ჯაჭვის  
ტარებით.  
ჩემს დამტანჯველს  
ღმერთი

დასჯის

ქაჯად

გადაგვარებით“.

რა უმთავრესი მხატვრული საშუალება ანიჭებს ამ სტროფს განსაკუთრებულ ჟღერა-დობას?

ა) ანაფორა. ბ) ბგერწერა. გ) კონტრასტული ეფექტი. დ) რიტმული წყობა.

(1) 34. ჯემალ ქარჩხაძის მოთხოვობაში „ბიძაჩემი იონა“ აღწერილია, როგორ აწერინებს იონა კამპამიძე თავის დისტაციის თხზულებას – „ჩემი სანაკლიო“:

„თანამედროვე სანაკლიოს მიდამოებში მიკვლეული უძველესი ჩონჩხი, რომელსაც მკვეთრად ეტყობა როგორც ადამიანის, ასევე მაიმუნის დამახასიათებელი ნიშნები, ქვემიუტანლად ამბტიცებს, რომ სანაკლიო განეცუთვნება მსოფლიოს იმ მნიშვნელოვანი რაიონების რიცხვს, სადაც ერთ დროს ადამიანად ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური ძიება დღესაც წარმატებით გრძელდება და მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ სანაკლიოში გაცილებით მეტ ადამიანისმაგარ მაიმუნს წააწყდებიან, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა რეგიონში“.

რის თქმა სურს ავტორს ამ ტექსტის მეშვეობით?

- ა) იონა აბუხად იგდებს სამშობლოს წარსულს.
- ბ) იონა ამასხარავებს არქეოლოგიის მიღწევებს.
- გ) იონა დასცინის საბჭოთა მეცნიერებას.
- დ) იონა დისტაციის წარმატებაზე ზრუნავს.

#### IV. მხატვრული ტექსტის ანალიზი

(6) 35. წაიკითხეთ მონაკვეთი ხუან რამონ ხიმენესის წიგნიდან „პლატერო და მე“ (ესანური-დან თარგმანი მანანა გიგინებიშვილმა).

გზისპირა ყვავილების თვალიერებაში გავერთვ. უეცრად მზერა მომტაცა თვალისმომჭრელმა ჩიტმა. ცვარწაყრილი მწვანე მოლიდან ცაში აიჭრებოდა და ძირს ენარცხებოდა ფეხდაბორკილი. წუმად ვუახლოვდებით. წინ მე მივიჩქარი, პლატერო უკან მომდევს. იქ, გადაჩრდილულში, წეაროსთვალთან, ონავარ ბავშვებს უკვე დაუგიათ მახე. ამ საცოდავს ყოველ შეფრთხიალებაზე სტკივა და უნებურად ეძახის, უხმობს თავის ზეციურ თანამოძმეთ.

სხივნათელი, კამპამა დილა ლურჯად მჭვირვალებს. ჟივილ-ხივილი იფრქვევა მახლობელი ფიჭვნარიდან. ჭიკჭიკი და გალობა ხან მარტულობს, ხან მინელდება, არ ცხრება და ეხმატბილება ზღვიდან ოქროსფრად შემოციმებულ ნაზ სიოს, რომელიც ხეთა კენწეროებს ატოვებს. არადა, ზედ მახესთანაა მიამიტ გადალობელთა საბრალო გუნდი!

პლატეროს მოვახტი, ქუსლი ვკარი და ფიჭვნარისკენ გავუტიქ, ჩამობურულ ტევრში შევაჭენე და ავტებე ყვირილი, მღერა, ტაშისცემა. პლატერო დაფეთდა და აყროფინდა. გამყივანად და ომახიანად შემოსძახა კიდევ და კიდევ. ექო გამოეგასუხა საიდანდაც, თითქოს შორეული უღრმესი ჭიდან. ჩიტებს ურიამული არ შეუწყვეტიათ, ისე აიშალნენ და მახლობელი ჭალაკისკენ გაფრინდნენ.

ანცი ბალების ბუზღუნი უკან მოვიტოვეთ. პლატერომ თავისი გაბურძგნილი დრუნხი მადლიერებით ისე მომიცაცუნა მკერდზე, რომ გული შემცემა.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- განმარტეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი;
- ჩამოაყალიბეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი დასახული მიზნის მისაღწევად.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**  
(ნაშრომი, რომელიც 50 ხიტკაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

## V. ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა

(გაითვალისწინეთ, თუ ნაშრომში დაშვებული იქნება სამზე მეტი ენობრივი შეცდომა ან/და ხტოლისტური ხარჯები, დაგაკლდებათ 1 ქულა).

(14) 36. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი მიზანია დაეხმაროთ მოსწავლეებს ამოიცნონ და გაიაზრონ შესასწავლი ტექსტების მხატვრული თავისებურებები.

შეარჩიეთ ქვემოთ ჩამოთვლილ ტექსტთაგან ერთ-ერთი:

შოთა რუსთაველის „ვეფხისტევაოსნის“ დასაწყისი (პროლოგი);

ალექსანდრე კაზაციის „ხევისძერი გოჩა“;

ვაჟა-ფშაველას „გველის ჭამელი“;

გურამ დოჩანა შეიძლის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

ლიტერატურული ნაწარმოების არჩევის შემდეგ შეასრულეთ მოცემული დავალება:

ა) გამოყავით და აღწერეთ ამ ნაწარმოების ერთი ძირითადი თავისებურება, რომელიც, თქვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია მთელი ტექსტის გაგებისა და გააზრებისათვის. ეს თავისებურება გულისხმობს (თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) თემატურ თუ იდეურ პრობლემატიკას, კულტურულ-ისტორიულ კონტექსტს, ქვეტექსტსა თუ ალუზიას, კომპოზიციურ თავისებურებას (ნაწარმოების არქიტექტონიკას), პერსონაჟთა დახასიათებისა თუ თხრობის მეთოდებს, სტილს, სინარულ მახასიათებლებს, მხატვრულ საშუალებებს, პოეტურ ოსტატობას.

მსჯელობისას დაიმოწმეთ სათანადო მაგალითები შერჩეული ნაწარმოებიდან.

(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

ბ) ვინაიდან თქვენ გამოყავით შერჩეული ნაწარმოების ძირითადი თავისებურება, უკვე შეგიძლიათ დასახელოთ და გააანალიზოთ ის ერთი პრობლემა, რომელსაც თქვენ მიერ აღწერილი თავისებურებისა და, შესაბამისად, მთელი ტექსტის გაგებისა და გააზრებისას შეიძლება წააწყდნენ მოსწავლეები.

ანალიზის დროს:

- მოიხმოთ ტექსტიდან ის მაგალითები, რომლებიც თვალსაჩინოს გახდის თქვენ მიერ გამოყოფილი პრობლემის არსებობას;
- ახსენით, რა მიზეზით (მიზეზებით) შეიძლება შეექმნათ ეს პრობლემა მოსწავლეებს ამ კონკრეტული ნაწარმოების შესწავლისას.

(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

გ) თქვენ უკვე დაასახელეთ და გააანალიზეთ ის პრობლემა, რომელსაც ტექსტის გაგებისა და გააზრებისას შეიძლება წააწყდნენ მოსწავლეები.

ამჯერად აღწერეთ ის ერთი სასწავლო ქმედება, რომელიც დაგეხმარებათ დაანახვოთ და გაააზრებინოთ მოსწავლეებს თქვენი მსჯელობის I ნაწილში გამოყოფილი თავისებურება და დააძლევინოთ ამავე მსჯელობის II ნაწილში აღნიშნული პრობლემა.

მსჯელობისას ახსენით, როგორ (რა გზით) დაეხმარება ეს სასწავლო ქმედება მოსწავლეებს ამ ნაწარმოების თავისებურების გაგებასა და გააზრებაში და როგორ (რა გზით) დააძლევინებს ტექსტის შესწავლისას წამოჭრილ პრობლემას.

(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

## 2011 წლის სასერტიფიკაციო ტესტის შეფასების სქემა

### I. წაკითხულის გააზრება (დავალებები №№ 1-10)

1. ა) -----Iქ. 2. ა) -----Iქ. 3. ა) -----Iქ. 4. ღ) -----Iქ. 5. ა) -----Iქ.  
6. ა) -----Iქ. 7. ა) -----Iქ. 8. ღ) -----Iქ. 9. ა) -----Iქ. 10. ა) -----Iქ.

### II. ქართული ენა (დავალებები №№ 11-22)

11. ა) ქართული ანბანის რეფორმა გულისხმობდა ორთოგრაფიის გამარტივებას (ანბანიდან ამოიღეს რამდენიმე ასო: ა კ ჰ ც ფ უ). -----Iქ.  
    ბ) XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის ამ ასოებს დანიშნულება დაკარგული პქონდათ. ---Iქ.
12. ა) გამოოქმდა – ხიზივებს შრომა ნიშნავს მძიმე და ფუჭ, ამათ გარჯას. -----Iქ.  
    ბ) ა) ანტიკური მითოლოგიდან. -----Iქ.
13. სიტყვასთან ხასიათი მსაზღვრელად დადებითი შეუფერებელია. ხასიათი შეიძლება იყოს კარგი და არა დადებითი. -----Iქ.
14. ა) მამაშვილურად იწერება დეფისის გარეშე. -----Iქ.  
    ბ) ორცენტიანი (დეფისით შეერთებული) კომპოზიტისაგან წარმოქმნილი სიტყვა უდეფისოდიწერება. -----Iქ.
15. ა) ამ სიტყვის მხოლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა გოგონას. -----Iქ.  
    ბ) ამ ტიპის სახელებში -ა სიტყვათმაწარმოებელი სუფიქსია, ამიტომ ეს სახელები მხოლობითში უკვეცელია. -----Iქ.
16. ა) ზმნას მოწყვიტა აკლია პირის ნიშანი, უნდა იყოს მოსწყვიტა. -----Iქ.  
    ბ) ზმნა მოსწყვიტა ამ წინადაღებაში სამპირიანია, ამიტომ ირიბი ობიექტური პირის ნიშანი აუცილებელია. -----Iქ.
17. ა) გილამაზებს არის მოქმედებითი გვარის სახევისო ქვევის ფორმა. ი- პრეფიქსი ზმნის ამ ფორმაში სახევისო ქვევის ნიშანია და არა ვნებითი გვარისა. -----Iქ.  
    ბ) გვარი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, როგორია სუბიექტური პირის მიმართება ზმნით აღნიშნული მოქმედებისადმი. -----Iქ.
18. ამ წინადაღებაში არა ნაწილაკი სახელის მნიშვნელობით არის გამოყენებული, ამიტომ იგი წინადაღების წევრია. -----Iქ.
19. მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადაღებას მთავართან აერთებს რადგან კავშირი, რათა კი გამოიყენება მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადაღებასთან. -----Iქ.
20. I. ა) მიწოდებული ინფორმაცია არსებითია. -----2ქ.  
    ბ) ინფორმაცია ზერელეა. -----Iქ.  
    გ) ინფორმაცია დავალების პირობას არ შეესაბამება. -----0ქ.
- II. ა) სრულყოფილად არის აღწერილი სასწავლო ქმედება. -----2ქ.  
    ბ) სასწავლო ქმედების აღწერა სრულყოფილი არ არის. -----Iქ.  
    გ) სასწავლო ქმედება მხოლოდ დასახელებულია. -----0ქ.
- III. ა) სასწავლო ქმედების ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებულია. -----Iქ.  
    ბ) სასწავლო ქმედების ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებული არ არის. -----0ქ.  
        არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ---Iქ.  
        დაშვებულია ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. -----0ქ.
21. I. ა) დასაბუთება არგუმენტირებულია. -----Iქ.  
    ბ) დასაბუთება არ არის არგუმენტირებული ან არგუმენტები არადამაჯერებელია. -----0ქ.
- II. ა) ჩამოყალიბებულია სადისკუსიო თემა და არგუმენტები. -----3ქ.  
    ბ) ჩამოყალიბებულია სადისკუსიო თემა და ერთ-ერთი არგუმენტი მაინც ან ჩამოყალიბებულია მხოლოდ არგუმენტები. -----2ქ.  
    გ) ჩამოყალიბებულია მხოლოდ სადისკუსიო თემა ან ერთ-ერთი არგუმენტი. -----Iქ.  
    დ) არაადეკატურად არის ჩამოყალიბებული სადისკუსიო თემა და/ან არგუმენტები. -----0ქ.  
        არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ---Iქ.  
        დაშვებულია ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. -----0ქ.
22. I. შეფასება  
    შინაარსობრივი მხარე (I კრიტერიუმი)  
    ა) მასწავლებელმა ხწორად შეაფასა თხზულება პირველი კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომუნტარი დაურთო მაგალითების მოხმობით -----2ქ.

ბ) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხულება პირველი კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო, მაგრამ მაგალითები არ მოიხმო	—1ქ.
გ) გადმოწერილია მხოლოდ კრიტერიუმის მითითებები	—0ქ.
<b>ენობრივი მხარე (III – III კრიტერიუმები)</b>	
1. ა) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხულება II და III კრიტერიუმების მიხედვით ——1ქ.	
ბ) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხულება მხოლოდ II ან III კრიტერიუმის მიხედვით	—0ქ.
2. ა) მასწავლებელს გამორჩა <b>ერთი</b> ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი ——3ქ.	
ბ) მასწავლებელს გამორჩა <b>ორი</b> ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ანდა არასწორად ამონტერა <b>ერთი</b> ——2ქ.	
გ) მასწავლებელს გამორჩა <b>სამი</b> ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ანდა არასწორად ამონტერა <b>ორი</b> ——1ქ.	
დ) მასწავლებელს გამორჩა <b>სამზე</b> მეტი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ანდა არასწორად ამონტერა <b>სამი</b> ——0ქ.	
3. ა) სწორია <b>ხუთი</b> ენობრივი შეცდომისა და ხარვეზის კვალიფიკაცია ——3ქ.	
ბ) სწორია <b>ოთხი</b> შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია ——2ქ.	
გ) სწორია <b>სამი</b> შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია ——1ქ.	
დ) სწორია მხოლოდ <b>ორი</b> შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია ——0ქ.	
<b>II. მასწავლებლის რეკომენდაციები</b>	
ა) რეკომენდაციები მეთოდურად სწორია და მხჯელობა არგუმენტირებულია. ——2ქ.	
ბ) რეკომენდაციები მეთოდურად სწორია, მაგრამ მხჯელობა ნაწილობრივ არის არგუმენტირებული. ——1ქ.	
გ) რეკომენდაციები მეთოდურად გაუმართავია და მხჯელობა არ არის არგუმენტირებული. ——0ქ.	
არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ——1ქ.	
დაშვებულია ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ——0ქ.	

### III. ქართული ლიტერატურა (დავალებები №№ 23-34)

23. ბ) ——1ქ.	24. ბ) ——1ქ.	25. ბ) ——1ქ.	26. ღ) ——1ქ.
27. ბ) ——1ქ.	28. ღ) ——1ქ.	29. ს) ——1ქ.	30. ღ) ——1ქ.
31. ბ) ——1ქ.	32. ს) ——1ქ.	33. ბ) ——1ქ.	34. ბ) ——1ქ.

**IV. მხატვრული ტექსტის ანალიზის (დავალება № 35) შეფასების კრიტერიუმები**

<b>№</b>	<b>კრიტერიუმები</b>	<b>ქულები</b>
1.	<b>ორივე</b> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, მსჯელობა <b>ლოგიკური</b> და <b>თანამდევევრულია; ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.	6
2.	<b>ორივე</b> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, მაგრამ <b>ცალკეულ შემთხვევებში</b> დარღვეულია მსჯელობის თანამიმდევრულობა ან <b>არ ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.	5
3.	<b>ორივე</b> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, მაგრამ <b>ცალკეულ შემთხვევებში</b> დარღვეულია მსჯელობის თანამიმდევრულობა და, აგრეთვე, <b>არ ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც.	4
4.	<b>ერთი</b> მითითება ადეკვატურადაა გააზრებული, მსჯელობა <b>ლოგიკური</b> და <b>თანამდევევრულია, ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, ხოლო <b>მეორე</b> მითითება <b>არ არის</b> ადეკვატურად გააზრებული.	3
5.	<b>ერთი</b> მითითება ადგაგატურადაა გააზრებული, მაგრამ <b>ცალკეულ შემთხვევებში</b> დარღვეულია მსჯელობის თანამიმდევრულობა ან/და <b>არ ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, ხოლო <b>მეორე</b> მითითება <b>არ არის</b> ადეკვატურად გააზრებული.	2
6.	<b>ერთი</b> მითითება ადგაგატურადაა გააზრებული, მაგრამ <b>ცალკეულ შემთხვევებში</b> დარღვეულია მსჯელობის თანამიმდევრულობა ან/და <b>არ ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, ხოლო <b>მეორე</b> მითითება <b>საერთოდ არ არის</b> შესრულებული.	1
7.	მითითებები <b>არ არის</b> ადეკვატურად გააზრებული, ან პასუხი ენობრივად <b>გაუმართავია, ან 50 სიტყვაზე</b> ნაკლები მოცულობისაა, ანდა დაშვებულია <b>უხეში ფაქტობრივი</b> შეცდომა.	0

V. დიტერატურის სწავლების მეთოდიების (დავალება № 36) შეფასების კრიტერიუმები

დავალების მაქსიმალური ქულად 14.

აღნიშნული დავალება სამი ნაწილისაგან შედგება. ოუ რომელიმდებარებული მითითების (შემადგენელი ნაწილის) პასუხისმგებელი ენობრივად გაუმართავი იქნება ანდა 50 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, ამ კონკრეტული მითითების (მონაკვეთის) პასუხის არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა.

დავალების ყოველი ნაწილი ამგვარად უნდა შეფასდეს:

I მითითების შეფასების კრიტერიუმი:

№	კრიტერიუმები	ქულები
1.	ადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება და <b>დასაბუთებულია</b> სათანადო მაგალითებით; <b>აზრი თანამიმდევრულად და ლოგიკურადაა</b> ჩამოყალიბებული; <b>ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; <b>არ არის</b> დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა; მსჯელობა <b>შეესაბამება</b> მოსწავლეთა ცოდნის დონეს.	5
2.	ადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება და <b>დასაბუთებულია</b> სათანადო მაგალითებით; <b>ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია</b> მსჯელობის თანამიმდევრულობა; <b>ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; <b>არ არის</b> დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა; მსჯელობა <b>შეესაბამება</b> მოსწავლეთა ცოდნის დონეს.	4
3.	ადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; <b>ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია</b> მსჯელობის თანამიმდევრულობა; <b>არ ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; <b>არ არის</b> დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა; მსჯელობა <b>შეესაბამება</b> მოსწავლეთა ცოდნის დონეს.	3
4.	ადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; <b>დაშვებულია</b> ფაქტობრივი შეცდომა; <b>ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; მსჯელობა <b>შეესაბამება</b> მოსწავლეთა ცოდნის დონეს. ანდა <b>ადეკვატურადაა</b> წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; <b>არ ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; <b>არ არის</b> დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა; მსჯელობა <b>ნაწილობრივ</b> შეესაბამება მოსწავლეთა ცოდნის დონეს.	2
5.	ადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; <b>დაშვებულია</b> ფაქტობრივი შეცდომა; <b>არ ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; მსჯელობა <b>ნაწილობრივ</b> შეესაბამება მოსწავლეთა ცოდნის დონეს. ანდა <b>ადეკვატურადაა</b> წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; <b>არ ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; <b>დაშვებულია</b> ფაქტობრივი შეცდომა; მსჯელობა <b>ნაწილობრივ</b> შეესაბამება მოსწავლეთა ცოდნის დონეს.	1
6.	არადეკვატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება. ან <b>ადეკვატურადაა</b> წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; <b>დაშვებულია</b> ფაქტობრივი შეცდომა და არ <b>ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ანდა მსჯელობა <b>არ შეესაბამება</b> მოსწავლის ცოდნის დონეს.	0

## II მითითების შეფასების კრიტერიუმი:

<b>№</b>	<b>კრიტერიუმები</b>	<b>ქულები</b>
1.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პრობლემა და <b>დამაჯერებლადაა</b> განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზი (მიზეზები); მსჯელობა <b>დასაბუთებულია</b> სათანადო მაგალითებით.	4
2.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პრობლემა და <b>დამაჯერებლადაა</b> განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზი (მიზეზები), მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით.	3
3.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პრობლემა, <b>მოხმობილია</b> მაგალითები, მაგრამ <b>არ არის</b> დამაჯერებლად განმარტებული პრობლემის გამომწვევი მიზეზი (მიზეზები).	2
4.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პრობლემა, მაგრამ დამაჯერებლად <b>არ არის</b> განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზი (მიზეზები) და <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით.	1
5.	<b>არ არის</b> გამოკვეთილი ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პრობლემა. ანდა გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი იმგვარი პრობლემა, რომელიც ლოგიკურად <b>არ უკავშირდება</b> პირველი მითითების პასუხს.	0

## III მითითების შეფასების კრიტერიუმი:

<b>№</b>	<b>კრიტერიუმები</b>	<b>ქულები</b>
1.	ადეკვატურადაა შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში; <b>დამაჯერებლადაა</b> დასაბუთებული, <b>რა გზით უზრუნველყოფს</b> ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.	4
2.	ადეკვატურადაა შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში, მაგრამ <b>არ არის</b> დამაჯერებლად დასაბუთებული, <b>რა გზით უზრუნველყოფს</b> ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.	3
3.	ადეკვატურადაა შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში, მაგრამ <b>არ არის</b> ნაჩვენები, <b>რა გზით უზრუნველყოფს</b> ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.	2
4.	<b>ნაწილობრივ</b> ადეკვატურადაა შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში, მაგრამ <b>არ არის</b> ნაჩვენები, <b>რა გზით უზრუნველყოფს</b> ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.	1
5.	<b>არ არის</b> აღწერილი ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში.	0

თუ ნაშრომში დაშვებული არ არის ხამზე მეტი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარჯები, ქულათა ჯამს დაემატება 1 ქულა.

## 2011 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე შესრულებული ნაშუშევრები

გთავაზობთ ორ ნიმუშს 2011 წლის გამოცდაზე პედაგოგთა მიერ შესრულებული ნაშუშევრები დიდან:

### მხატვრული ტექნიკის ანალიზი (იხ. დაგალება № 35)

ამ ტექსტის მთავარი სათქმელია, გაუდვივოს ადამიანებს ბუნების სიყვარული. ეპითეტებით: „თვალისმომჭრელი“ (ჩიტი), „ცვარწაყრილი“ (მოლი), „სხივნათელი და კამკამა“ (დილა), „ნაზი“ (სიო) – ავტორი ბუნების მშვენიერებას, სილამაზეს, უბიწოებას, განუმეორებლობას უსვამს ხაზს. ავტორი ცდილობს ადამიანებს გაგვაგებინოს, რომ დმერთმა ჩვენ, „კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“ (შოთა რუსთაველი) და გვასწავლოს კიდევ ამ დვოთით ნაბოძები სახუქრის გაფრთხილება. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ნაწარმოებში ბავშვები არღვევენ ბუნების ჰარმონიას – ეს ის ასაკია, როცა, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფრის გამოსწორება...

ბუნებას არ უნდა გუცუროთ როგორც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენთვის გამოსადეგსა და გამოსაყენებელს. ჩიტიც ისეთივე სულიერია, როგორიც ყოველი ჩვენგანი. მასაც სტკივა, მასაც სწყურია სიცოცხლე: „ამ საცოდავს ყოველ შეფრთხიალებაზე სტკივა და უნებურად ეძახის, უხმობს თავის ზეციურ თანამომეთ“. ავტორს სწორედ ამ აზრის (ჩიტიც ჩვენნაირი სულიერია) მკითხველის გულამდე მიტანა სურს ფრაზით: „ზედ მასებთანაა მიამიტ მგალობელთა საბრალო გუნდი!“ და ეს ფრაზა, იმავდროულად, მკითხველში საფრთხის განცდასაც აღძრავს.

მშვენიერი დილის სურათის ფონზე ბავშვების სისახტიკე განსაკუთრებულ კონტრასტს ქმნის. პერსონაჟის პატარა გამარჯვება კი (ჩიტებს საფრთხე ააცილა) პლატეროს მიერ მადლიურების გამოხატვით მთავრდება, რაც, თავის მხრივ, ნათლად მიანიშნებს, რომ ბუნებასა და ადამიანს შორის ჰარმონიული ურთიერთობა უნდა სუფევდეს.

### ლიტერატურის ხწავლების მეთოდიკა (იხ. დაგალება № 36)

ა) გურამ დოჩანაშვილის ამ ნაწარმოებში ყურადღება უნდა მიექცეს პერსონაჟთა ხატვის თავისებურებას. მოთხოვთ უდავო დირსებაა ის, რომ ავტორი ქმნის პერსონაჟთა მეტად საინტერესო, თუმცა აშკარად დაპირისპირებულ სახეებს, რომელთა ურთიერთობებიც გამოკვეთს ნაწარმოების იდეას. ერთ მხარეს დგას თავიდან ფეხებამდე მოწესრიგებული, სპორტული აღნაგობის, ყოველთვის მოდურად ჩატმული ხელმძღვანელი, რომელმაც „კარგად დაიწყო“, ხოლო მეორე მხარეს – ცოტა მოუწესრიგებული, ოდნავ დაბნეული და მეოცნებე კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს, მოდის შესახებ კი მხოლოდ ის იცის, რომ დიდჯიბებიანი სამოსი უკეთესია, რადგან წიგნები კარგად ჩაგეტევა.

ამ ორი ცენტრალური გმირის ორბიტაზე მოძრაობები თამაზი და კლიმი, რომლებიც არანაკლებ საინტერესო სახეებს ქმნიან. ისინი ავსებენ და ამთლიანებენ მთავარ პერსონაჟებს. განათლებული, თავმდაბალი და საქმიანი კლიმი სახეა საზოგადოების იმ მცირე ნაწილისა, რომელსაც ცხოვრებაში სწორი გზა უპოვია, ხოლო ხელმძღვანელის სიტყვას „დაწაფებული“ თამაზი უფერული და ხერვიულობისაგან მოქნარებაატეხილი ახალგაზრდაა. იგი სახეა იმ პრაგმატული საზოგადოებისა, რომელიც უფროს-უმცროსობით გამიჯნულა და „ჩამოლაბორანტების“ შიშს აუგანია.

ბ) პერსონაჟთა ხატვის თავისებურება დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთან. მოსწავლეებს არ ესმით, თუ რატომ შეიძლება ჩაითვალოს უარყოფით გმირად ადამიანი, რომელმაც საკმაოდ ახალგაზრდამ მიაღწია წარმატებას, ხელმძღვანელობს სამეცნიერო განყოფილებას და ხელქვეითთა სიმპათიაც დაიმსახურა. მათთვის შეიძლება გაუგებარი დარჩეს ავტორის ის ირონიაც, რომელსაც იგი იჩენს თამაზის მიმართ. ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკი გულმოდგინედ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას და უფრთხილდება თანამდებობას, რომელიც ახლახან მიიღო.

მკითხველისათვის შეიძლება არც იყოს გასაგები, როგორი ადამიანია კექერაძე. იგი უწიგნურობის გამო „მისალოცს“ გიშოდებს, შენი გულწრფელად შერს, სამაგიეროდ შენს სამსახურებრივ მიღწევებს არაფრად თვლის, რაღაც ახსოვს, რომ „ბეტანქურმაც კარგად დაიწყო“. პერსონაჟის ხატვა ნაწარმოებში მრავალ ასპექტთანაა დაკავშირებული. მოსწავლემ ავტორის თვალითაც უნდა დაინახოსა და შეაფასოს გმირი, პერსონაჟისავე ქმედებითა თუ საუბრითაც და სხვა პერსონაჟების თვალითაც. ერთ-ერთიც რომ გამორჩეს, შეიძლება ვეღარ ჩასწვდეს ავტორის მოზანდასახულობას და ესა თუ ის პერსონაჟი მისთვის ბოლომდე ამოუცხობი დარჩეს.

გ) კლასს გავყოფ ორ ჯგუფად და დავავალებ, რომ ერთმა ტექსტიდან ამოიწეროს კექერაძის დამახასიათებელი ადგილები, მეორემ – ხელმძღვანელისა. ვთხოვ, რომ შეადგინონ ორმხრივ ჩანაწერთა დღიური: ყოველ დამახასიათებელ ადგილს მიუწერონ ემოციური კომენტარი. პრეზენტაციის დროს ყურადღებას გავამახვილებინებ იმაზე, რომ პერსონაჟები დაახასიათონ სამივე კუთხით: ა) როგორია ავტორის შეხედულება და აზრი მათ შესახებ; ბ) როგორ გამოხატავენ ისინი საკუთარ თავს ქმედებით და გ) რას ფიქრობენ მათზე სხვა პერსონაჟები. შემდეგ შევაჯამებოთ მსჯელობას და მოსწავლეები მივლენ დასკვნამდე, რომ ამ ნაწარმოებში პედანტიზმი და პრაგმატულობა (ხელმძღვანელი) უპირისპირდება თავისუფალ და მოაზროვნე საზოგადოებას (კექერაძე), მაგრამ ამ კოლიზიიდან გამარჯვებული გამოდის ზნეობრივად ამაღლებული და კეთილშობილი ადამიანი, რომლისთვისაც ლიტერატურა არსებობის ტოლფასია, სიკვდილისა კი არ ეშინია იმის გამო, რომ სრულყოფილი და სისხლსავსე ცხოვრებით იცხოვრა.

მოსწავლეებს შინ კლიმისა და თამაზის მოკლე დახასიათებების დაწერას დავავალებ. ამ ხერხით ისინი ისწავლიან ტექსტზე მუშაობას, თავად მიაგნებენ იმას, რაც მასწავლებლისაგან მზამზარეული ფორმით უნდა მიეღოთ. გამოუმუშავდებათ ანალიტიკური აზროვნების უნარი. ეს კი, თავის მხრივ, სხვა ტექსტების ადეკვატურ გაგებასა და გააზრებაში დაეხმარებათ.

## IV. 2013 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტი შეფასების სქემითურთ

### ი ნ ს ტ რ უ ქ ვ ი ა

ოქვენ წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი.  
**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!**  
**პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!**  
**ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი ხამუშაოსათვის!**

#### ტესტის მაქსიმალური ქულაა – 80.

№№ 1-10 და 23-34 დავალებების პასუხები შეგიძლიათ ტესტის ბუკლეტში შემოხაზოთ და გადაიტანოთ პასუხების ფურცელში შემდეგნაირად: ყოველი დავალების ნომრის ქვეშ განთავსებულ უჯრედებში X ნიშანი უნდა დასვათ იმ უჯრედში, რომელიც, თქვენი აზრით, №№ პასუხებს შეესაბამება.

პასუხების გადატანისას არ უნდა აგერიოთ დავალებების ნომრები!

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში მთლიანად გააშავეთ ის უჯრედი და იმავე ნომრის გასწვრივ მონიშნეთ სხვა (ეს ეხება მხოლოდ №№ 1-10 და 23-34 დავალებებს).

№№ 11-22 და 35-36 დავალებების პასუხები შესაბამისი ნომრების ქვემოთ უნდა გადაიტანოთ პასუხების ფურცელში.

№ 36 დავალება სამი ნაწილისაგან შედგება: а), б) და გ). პასუხების ფურცელშიც ამგვარადა მითითებული.

**სავალდებულოა,** რომ № 36 დავალების а), б) და გ) ნაწილები პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ а), ბ) და გ) ნაწილებისათვის გამოყოფილ აღგილებში გადაიტანოთ.

№ 36 დავალების თითოეული ნაწილი (ა, ბ, გ) ცალ-ცალკე სწორდება შეფასების სხვადასხვა სქემის მეშვეობით და, ამდენად, ამ დავალების შემადგენელი ნაწილების ერთმანეთში არევა დაუშვებელია.

**გახსოვდეთ:** აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!

ბაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დაგალება, რომელიც პასუხების ფურცელში საბანგებოდ ამ დაგალებისათვის გამოყოფილ აღგილებას არ იძნება გადატანილი!

**არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!**

**ტესტის შესახრულებლად გეძლევათ 5 საათი.**

**გისურვებთ წარმატებას!**

## I. წაკითხულის გააზრება

უურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X (თუ პასუხების ფურცელში შეცდომას დაუშვებთ, შეგიძლიათ მოლიანად გააშავროთ ის უჯრედი და მის ნაცელად სხვა მონიშნოთ).

დავალების მაქსიმალური ქულაა – 10.

მამული გულით გიხმობთ შორეთიდან ახალგაზრდებო! თუ ჩემი მწერლური ნაქმი უცნობია თქვენთვის, სახელი მაინც გაგებონებათ ჩემი. შემეკითხებით: რატომ დავტოვე საქართველო, ჩვენი მამული და დედული ეგზომ მშვენიერი და ტკბილი? მოგითხოვთ. ბოლშევიკები გაჟვირიან: „ხალხურ დემოკრატიას“ ვამყარებოთ. სიყალბე მათი ამ სახელდებაშიც ჩანს: „დემო“ ნიშნავს ბერძნულად ხალხს; მაშასადამე, „ხალხური დემოკრატია“ ასე უნდა იკითხებოდეს: „ხალხური, ხალხო-კრატია.“ ვამყარებოთ დემოკრატიასო, უფრო მართალი იქნებოდა ეთქათ: „ვამყარებოთ დემონიკრატიასო.“ ეს არაა ხუმრობა. ადამიანისათვის უანასკნელი საყრდენი უზენაესია – დემორი. საბჭოეთში ყოველი რწმენა ზებუნებრივისა დადაგულია ლენინის ქედაფის სიტყვებით: „ტრუ-პოლოესტგა“. უურები გვაქვს გამოჭედილი, ხალხთა კეთილდღეობისათვის ვიბრძიოთ, ამავე დროს, ხალხს როგორც ცოცხალ კრებულს ბასრი დანით სახსრებს უხსნიან. ხალხის ალაგს მასაა გამეფებული, რომელშიაც პიროვნება, ეს უხვოიერესი მოვლენა, სრულიად ითქვიფება. არავთარი სახე აქ არაა და მაშასადამე არავთარი სახიერი. დილითგან შუალამებდე გაისმის: „დავეწიოთ, გავუსწროთ!“ ხალხი წელზე ფეხს იდგამს და ჭაპანწყვეტაშია. ყოველი ცალკეული ნუმერია მხოლოდ და ნუმერი – ნაკელი, ეგრედ წოდებულ: „სოციალისტური მშენებლობისათვის.“ ვამეტებ? დღევანდელი მოდგმა ნაკელად ეფინება ხვალინდელს, ხვალინდელი ასევე უნდა ეფინებოდეს მომავალს და ასე დაუსრულებლად. რაც ნოყიერდება ნაკელით, არის მხოლოდ კოლექტივი – ბნელი და უსახელო. ხალხისთვის რჩეული თავისთავს სწირავდა და როგორც გმირი, სახელი მისი ნათელით იფინებოდა მთელი ისტორიის კიდევანით. საბჭოეთში ქანცმორეული „სტაბინოვეცი“, კოლექტივისათვის განწირული, ამოტივტივდება ხოდმე გაზეთების ფურცლებზე და ამ ფურცლებთან ერთად, რომელთაც სხვა მიზნისთვის ხმარობენ, ივიწყება ისე, რომ მისი სახსენებელიც აღარ რჩება.

მცენარე იზრდება; ქართველთა გენია იტყვის: მცენარე ხარობს. არის სიხარული საბჭოეთის მშენებლობაში? ძველად გლეხი, თითქოს მზის თესლებით სავსე, სიყვარულით უახლოვდებოდა მიწას, ვითარ ქმარი, რათა გაენაყოფიერებია მისი საშო. მიწა ნაყოფს გამოიღებდა მადლით, გლეხი სიხარულით თვრებოდა. თუ მონახავთ ასეთ გლეხს რომელიმე კოლმეურნეობაში, თუ გინდ ერთადერთს სიტყვა უპან წამიდია. ვერ მონახავთ. ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა იგი თავის-უფალია; თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს სხივური ელემენტი ადამიანში. ვინაა თავის-უფალი საბჭოეთში? არავინ. იქ ყველაფერი აკრძალულია, რაიც არაა ბრძანებული. დღეს რომ ერთი ბრძანებლობს ხვალ იგი დასახურებად მიჰყავთ. ბერიას ხვედრი საბჭოეთში გამონაკლისი არაა. იქ იგი ყოველდღიური მოვლენაა. დამხვრებო გუშინდელი მბრძანებლისა შიშის ქარი ურბენთ სახსრებში; ფიქრობენ: მათაც არ ხვდეთ ეს ბედი. არის ეს დემოკრატია? შესაძლოა შემედაოთ ამ დებულების გამო, გარნა ვიცი სადღაც მიმალულ კუნძულში თქვენი არსისა დამეთანხმებით. თანხმობას ყისისე მიჩქალავთ, რადგან შიში აგიყანთ, მალული აზრი თქვენი, რომ არ იქნას უურადღებული. საბჭოეთში კაცს შიშის გამო მოსვენებით ვერც კი დაუძინია. ეშინია სიზმარში ბოდვით არ წამოსცდეს გულნადები აზრი რაიმე. ასეთია საბჭოეთის სამოთხე. ეს სამოთხე მივატოვე და არა ნამდვილი სამოთხე, შეუდარებელი სამშობლო ჩვენი. მოწყვეტილი ვარ ჩვენს დედამიწას, ხოლო შორეული ფესვებით მაინც მასთან ვარ. ეს ფესვებია უცხოეთში რომ მაცოცხლებენ. ქალნო და ვაუნო, ახალგაზრდებო! დღე არაა თქვენზე და თქვენთვის არ ვფიქრობდე გულაჩუყებული და თვალცრემლიანი. ვფიქრობ, თქვენში შექრილია ბოლშევიზმის გამხრწელი ძალა. თანვე ამასაც ვიგულვებ, რომ ეს შექრა ძირა ფენებს თქვენი არსისა ჯერ კიდევ არ წვდენია. თუ რაა ეს ფენები ამას ერთი მაგალითი ნათლივ დაგისახავთ. იყო ერთი ქართველი, თავადი, ანარქისტი და თავდადებული მამულიშვილი ვარლამ ჩერქეზიშვილი. ქართული მას არ ემარჯვებოდა. საქართველოს ბავშვობიდან იყო მოწყვეტილი. იცოდა რუსული, ფრანგული და ინგლისური. სიკვდილის წუთებში, როცა ადამიანის მთელი არსი შეირხევა საუკუნეოგან მოშვებული ფესვებით, მას უეცრად რუსულიც დაავიწყდა, ფრანგულიც და ინგლისურიც. მომაკვდაგმა ქართულად იწყო ლუდლუდი. აი რა ძალისა არიან ძირა ფენები ადამიანისა, განსაკუთრებით ქართველისა. ეს რომ არ ვიცოდე ამ სიტყვითაც არ მოგმართავდით.

გულწრფელ იდეთ ყურად სიტყვა ესე, სიტყვა, რომელიც წრფელი გულიდგანაა წარმოშვებული და მამური გრძნობებით ოქვენკენ მოშვებული. დაენდეთ მხოლოდ და მხოლოდ ღრმა სიტყვას ამ ძირა ფენებიდგან; იქაა გულის ძერა და მაჯის ცემა საქართველოსი; იქაა განმეტყველება მისი. ისმენთ ამ ხმას, თქვენში წამოიჭრებიან წმინდა ნინო, რომელმაც ვაზის ჯვარით გვაზიარა ქრისტეს მცხებას, დავით აღმაშენებელი – ფუქმდებელი საქართველოს ხელმწიფებისა, მეფე თამარ, მზიური შარავანდი იმ ხელმწიფებისა, ქეთევან დედოფალი – წმინდა ნინოს დობილი, წამებული ვაზის ჯვარისათვის, მესიტყვენი დიდი კარდუსი, ჩვენი მითიური თაურმდებენისა: იაკობ ხუცესი, გიორგი მერჩული, შოთა, საბა სულხან ორბელიანი, ილია, აკაკი, ვაჟა; წამოიჭრებიან თქვენში ძლევამოსილებით და მხრებში ამართულთ თქვენ ვერა გძლევთ რა, იყვეს იგი თუგინდ დემონური ძალა ბოლშევიზმისა. დაიმყენით სიტყვა ესე თქვენ ყმაწვილნო გულებში, ახალგაზრდებო! ხალასო ნერგებო საქართველოს მომავლისა! გესმით? გიხმობთ ქართველი მწერალი, რომელსაც მწერლური გეზით ჯერ კიდევ მარდათ აქვს ამართული მარჯვენათი მეწამული ალამი საქართველოსი. ისმინეთ ხმა ჩემი და ჩემთან ერთად გადასძახეთ მშობლიურ მთაველებს: მზეგრძელი იყავ საქართველო!

**გრიგოლ რობაქიძე.** მიმართვა ახალგაზრდობისადმი. წიგნში:  
**გრიგოლ რობაქიძე.** ნაწერები. წიგნი V. თბ.: 2012, გვ. 387-389.

- (1) 1. **რას გაექცა მწერალი, როდესაც სამშობლო დატოვა?**
  - ა) სიკვდილის შიშს.
  - ბ) უაზრო ჭაპანწყვეტას.
  - გ) უსახელო კოლექტივს.
  - დ) უღმერთო რეალობას.
  
- (1) 2. **რომელ ფრაზაში ჩანს პიროვნების მიმართ ბოლშევიკური რეჟიმის დამოკიდებულების აგრძორისეული შეფასება?**
  - ა) „დილითგან შუაღამებდე გაისმის: „დავეწიოთ, გავუსწროთ!“
  - ბ) „ხვალინდელი ასევე უნდა ეფინებოდეს მომავალს“.
  - გ) „ქოველი ცალკეული ნუმერია მხოლოდ...“
  - დ) „ხალხი წელზე ფეხს იდგამს და ჭაპანწყვეტაშია“.
  
- (1) 3. **რა კონკრეტული დანაშაული მიუძღვის, ავტორის აზრით, საბჭოთა სისტემას გლეხობის წინაშე?**
  - ა) კოლმეურნეობამ გლეხს წაართვა საზოგადოებრივი სოლიდარობის განცდის სიხარული.
  - ბ) კოლმეურნეობამ გლეხს წაართვა საკუთარი შრომით მოგვრილი ბედნიერების განცდა.
  - გ) კოლმეურნეობამ გლეხს წაართვა საპუთარი შრომით ოჯახის რჩენის საშუალება.
  - დ) კოლმეურნეობამ გლეხს წაართვა ქვეყნის მშენებლობაში მონაწილეობის შესაძლებლობა.
  
- (1) 4. **რას ნიშნავს ავტორის სიტყვები:** „იქ ყველაფერი აკრძალულია, რაიც არაა ბრძანებული“?
  - ა) საბჭოთა კავშირში აკრძალულია სახელმწიფოებრივ მშენებლობაში მონაწილეობა.
  - ბ) საბჭოთა კავშირში აკრძალულია პიროვნებებს შორის ადამიანური ურთიერთობა.
  - გ) საბჭოთა კავშირში შეზღუდულია ადამიანის პიროვნული თავისუფლება.
  - დ) საბჭოთა კავშირში შეუძლებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.
  
- (1) 5. **რატომ შეიძლება ქართველი ახალგაზრდობა შეედაგოს ავტორს დემოკრატიის გაგებაში?**
  - ა) იმიტომ, რომ არ ესმის დემოკრატიის მნიშვნელობა.
  - ბ) იმიტომ, რომ არ იცის თავისუფლების ფასი.
  - გ) იმიტომ, რომ ეშინია თავისუფლების აზრის გამოთქმისა.
  - დ) იმიტომ, რომ სძულს საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმი.
  
- (1) 6. **რა მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი, როცა წერს: „ასეთია საბჭოეთის სამოთხე“?**
  - ა) ალუზიას.
  - ბ) გროტესკს.
  - გ) სარკაზმს.
  - დ) პიპერბოლას.

(1) 7. კონკრეტულად რომელი მოსაზრების დასასაბუთებლად იმოწმებს ავტორი ვარლამ ჩერქე-ზიშვილის მაგალითს?

- ა) „ეს სამოთხე მივატოვე და არა ნამდვილი სამოთხე, შეუდარებელი სამშობლო ჩვენი“.
- ბ) „ეს შეჭრა ძირა ვენებს თქვენი არსისა ჯერ კიდევ არ წვდენია“.
- გ) „ვფიქრობ, თქვენში შეჭრილია ბოლშევიზმის გამხრწნელი ძალა“.
- დ) „საბჭოეთში კაცს შიშის გამო მოვენებით ვერც კი დაუძინია“.

(1) 8. რა აკავშირებს მეორე აბზაცს წინა აბზაცთან?

- ა) მეორე აბზაცი იმეორებს წინა აბზაცში გამოთქმულ მოსაზრებებს.
- ბ) მეორე აბზაცი აფართოებს წინა აბზაცში გამოთქმულ მოსაზრებებს.
- გ) მეორე აბზაცი აკონკრეტებს წინა აბზაცში გამოთქმულ მოსაზრებებს.
- დ) მეორე აბზაცი უარყოფს წინა აბზაცში გამოთქმულ მოსაზრებებს.

(1) 9. რა ძირითად მიზანს ისახავს ავტორი ისტორიულ პირთა მოხსენიებით?

- ა) გააძლიეროს ქართველ ახალგაზრდებში ისტორიისადმი მოწიწებულება.
- ბ) გააძლიეროს ქართველ ახალგაზრდებში რეჟიმის საწინააღმდეგო სულისკვეთება.
- გ) გააძლიეროს ქართველ ახალგაზრდებში საკაცობრიო ღირებულებების პატივისცემა.
- დ) გააძლიეროს ქართველ ახალგაზრდებში ქართული სიტყვიერების სიყვარული.

(1) 10. რომელი ფრაზა გამოხატავს ტექსტის ძირითად სათქმელს?

- ა) „ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა იგი თავის-უფალია“.
- ბ) „დაენდეთ მხოლოდ და მხოლოდ ლრმა სიტყვას ამ ძირა ფენებიდგან“.
- გ) „მოწყვეტილი ვარ ჩვენს დედამიწას, ხოლო შორეული ფესვებით მაინც მასთან ვარ“.
- დ) „რაც ნოუიერდება ნაკელით, არის მხოლოდ კოლექტივი – ბნელი და უსახელო“.

## II. ქართული ენა

- (2) 11. უძველეს წერილობით ტექსტებს „ხანმეტ ძეგლებს“ უწოდებენ. რას ნიშნავს ტერმინი „ხანმეტი“ და რა გრამატიკულ მოვლენას უკავშირდება იგი?

---

---

---

- (3) 12. მოსწავლემ ომონიმის მაგალითად ლექსიკონიდან ამოიწერა შემდეგი:
- ხელი – ადამიანის ზედა კიდურის ნაწილი მაჯიდან თითების ბოლომდე.
- ხელი – იგივეა, რაც სახელური.
- აუხსენით მოსწავლეს, რა შეცდომა დაუშვა.
- განუმარტეთ, რას ეწოდება ომონიმები (მიუთითეთ მაგალითები).

---

---

---

---

- (1) 13. მოსწავლემ დაწერა: მახტავლებულმა დაგვავალა მთავარი ხაკვანძო საკითხების გამოყოფა. აუხსენით მოსწავლეს, რა ხარვეზი აქვს ამ წინადაღებას.

---

---

---

- (2) 14. მოსწავლემ თქვა: დეფინით იწერება კომპოზიტები, რომელთა შემაღვეველ ფუძეთა შორის არის ან იგარაუდება და კავშირი.
- აუხსენით მოსწავლეს, რა შეცდომა დაუშვა, კერძოდ, მიუთითეთ, რა შემთხვევაში იწერება კომპოზიტები დეფინით და რა შემთხვევაში – ერთად.

---

---

---

- (1) 15. მოსწავლემ დაწერა: მათარა და ტომარა ფუძეებით სახელებია.
- დააზუსტეთ მოსწავლის პასუხი.

---

---

---

- (1) 16. მოსწავლემ დაწერა: ვახუშტიმ შეძლო აეღწერა იმ პერიოდის თბილისის გარეუბნები, მათ შორის, კალაც.
- განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

---

---

---

- (2) 17. მოსწავლემ დაწერა: ათენელებმა ქვებზე წარწერები ამობევეთებს და ამ გზით დაუტოვეს შეტყობინება მოწინააღმდეგებს.

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

---

---

- (1) 18. მოსწავლებ დაწერა: *ის*, რომ ტურისტული ხეზონი დაიწყო, სარეკლამო სააგენტო იტურ- ბინებოდა.  
მიუთითეთ მოსწავლეს, რა შეცდომა დაუშვა.
- 
- 

- (1) 19. მოსწავლემ დაწერა: მოტიტვლებულ ფერდობზე აღვის ხე იღვა ცისქენ ტოტებაწვდილი.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- 
- 

- (6) 20. თქვენი მიზანია აუხსნათ მოსწავლეებს **ზმინწინის ფუნქციები**.

- (2) I. მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რა ინფორმაცია უნდა მიაწოდოთ მოსწავლეებს (მიუთითეთ ორი ფუნქცია მაინც).  
(2) II. აღწერეთ ერთ-ერთი სასწავლო ქმედება, რომელიც დაგეხმარებათ ამ მიზნის მიღწევაში.  
(1) III. დაასაბუთეთ თქვენ მიერ შერჩეული სასწავლო ქმედების ეფექტიანობა.  
(გათვალისწინეთ, თუ ამ დავალების პასუხში დაშვებული იქნება ერთი ენტრი შეც- დომა ან/და სტილისტური ხარვეზი მაინც, დაგაკლდებათ 1 ქულა).
- 
- 
- 
- 
- 
- 
- 
- 

- (6) 21. თქვენი მიზანია მოსწავლეებს გამოუმუშაოთ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.  
წაიკითხეთ ნაწყვეტი უმბერტო ეკოს ესედან „ინტერნეტიდან გუტენბერგამდე“.  
(1) I. რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმედი?  
(2) II. ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი ავტორის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე  
უარსაყოფად.  
(2) III. მოკლედ აღწერეთ, როგორ წარმართავთ დისკუსიას ამ ტექსტის დახმარებით.  
(გათვალისწინეთ, თუ ამ დავალების პასუხში დაშვებული იქნება ერთი ენტრი შეც- დომა ან/და სტილისტური ხარვეზი მაინც, დაგაკლდებათ 1 ქულა).

„შეუძლია თუ არა კომპიუტერს წიგნის შევიწროება? – აი, ესაა საკითხავი. ასევე შეუძლია თუ არა შეცვალოს საკითხავად განკუთვნილი ნაწარმოების ბუნება?

როდესაც ოორმებ საათს კომპიუტერთან გავატარებ და ოვალები ჩოგბურთის ბურთები გამიხდება, საარსებო მოთხოვნილებას ვერძნობ, რომ ჩავეგდო ნებისმიერ სავარძელში და ჩავეფლო გაზეობის ან საყვარელ დექსებში. ვიტყვი ასე: კომპიუტერები წიგნიერების ახალ ფორმას ავრცელებენ, მაგრამ მათ არ შეუძლიათ იმ ინტელექტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომლებსაც თვითონვე აძლევენ სტიმულს“.

- (12) 22. გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.

(9) I. დაწერეთ ქულა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაუსაბუთეთ მოსწავლეს თქვენი შეფასება: I კრიტერიუმით შეფასების კომენტირებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შევასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყოველი შეცდომა და ხარვეზი (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები). თითოეულ მათგანს მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება – ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურს, სინტაქსურსა თუ სტილისტურს.

(2) II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

შეფასების სქემა

№	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განზარტება	ქვლები
I	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით; ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; გ) ტექსტი არააღეკვატურადა გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, მაგალითებიც არააღეკვატურად არის მოხმობილი.	2 1 0
II	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერი სტილისტურად გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტური ხარვეზები; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ სტილისტურად გაუმართავია, გვხვდება არააღეკვატური ლექსიკა.	2 1 0
III	ორთოგრაფია-მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის <b>სამზარეულო</b> შეცდომა; ბ) არ არის ამ ტიპის <b>ექსპრესიული</b> შეცდომა; გ) ამ ტიპის შეცდომა <b>ექსპრესიულია</b> .	2 1 0

## **მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალება:**

საზოგადოების ნაწილი ზორპარკების წინააღმდეგია, რადგან მიიჩნევს, რომ ბუნებრივი გარემოსაგან ცხოველების მოწყვეტა არაჟუმანურია.

**არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.**

### **მოსწავლის ნამუშევარი:**

თითქმის ყველა სახელმწიფოში ერთი ზორპარკი მაინც არსებობს. ზორპარკებში სხვადასხვა სახეობის ცხოველის, ფრინველისა და ქვეწარმაგალის ნახვა შეგვიძლია. როდესაც ჩვენ ამ ცხოველებს ვათვალიერებთ, არ ვფიქრობთ იმაზე, რომ მათაც სურთ თავისუფლება. ისევე როგორც ადამიანებს, ცხოველებსაც აქვთ თავისი საცხოვრებელი გარემო, სადაც ისინი თავისუფლებას გრძნობენ და არ არიან ტყვეობაში.

არ შეიძლება ცხოველები მოვწყვიტოთ ბუნებრივ გარემოს მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანებისათვის ზორპარკში მათი თვალიერება ერთგვარი გართობაა. მათი ნახვა შეიძლება სხვადასხვა ნაკრძალებში და დაცულ ტერიტორიაზე, ისე, რომ არ წავართვათ თავისუფლება.

ცხოველების დასაჭერათ სხვადასხვა გზას იყენებენ. ზოგჯერ ამ დროსაც შეიძლება რამე დაუშავდეს ცხოველს. მათ ტრანსპორტირების დროსაც შეიძლება დაუშავდეთ რამე. მათ ჭირდებათ დრო, რომ შეეგუონ ახალ გარემო პირობებს. ყველაზე რთული ეს ზორპარკის შემთხვევაშია ალბათ, რადგან პერიგავენ თავისუფლებას და ახლა მათ უწევთ ცხოვრება მათთვის პატარა ადგილზე. ისინი ხომ შეჩვეულნი არიან ბუნებრივ გარემოში ცხოვრებას და არა ისეთ გარემოში, რაც ზორპარკშია. ზოგიერთი ცხოველი ვერ ახერხებს ადაპტაციას ახალ გარემოში და ამის გამო შეიძლება დაიღუპოს კიდევაც.

ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად უმჯობესია არ მოვწყვიტოთ ცხოველები ბუნებრივ გარემოს და არ გამოვიჩინოთ არა ჰუმანურობა მათ მიმართ, რადგან მათი ზორპარკში ყოფნა იგივეა, რაც ადამიანისათვის ტყვეობა.

(გაითვალისწინეთ, თუ ამ დავალების პასუხში დაშვებული იქნება ერთი ენობრივი შეცდომა ან/და ხტილისტური ხარვეზი მაინც, დაგაკლდებათ 1 ქულა).

### III. ქართული ლიტერატურა

- (1) 23. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: „შუშანიკი სასახლიდან ისე წავიდა, რომ მეუღლეს არ დაფლოდა. რატომ დატოვა დედოფალმა სასახლე ვარსკენთან მოლაპარაკების გარეშე?“  
**რომელი წინადადება გამოგადგებათ მოსწავლის შეკითხვის პასუხად?**  
ა) ვარსკენი დედოფლის გამაზდეანებას აპირებდა.  
ბ) ვარსკენი სპარსეთის პოლიტიკური მოკავშირე გახდა.  
გ) ვარსკენმა უარყო ქრისტიანული სარწმუნოება.  
დ) ვარსკენმა შუშანიკის მიტოვება გადაწყვიტა.
- (1) 24. მოსწავლემ იკითხა: „რა მიზნით შეიძლებოდა შეეტანა გიორგი მერჩულეს თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში აშოტ კურაპალატის გამიჯნურების ეპიზოდი?“  
**რომელი შეხედულება დაგეხმარებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?**  
ა) პერსონაჟის ხასიათი სტატიკური კი არ არის, არამედ – ვითარდება.  
ბ) სასულიერო წოდება იმდენად გავლენიანია, რომ მეფეთა ცხოვრებაშიც ერევა.  
გ) ხორციელი ცდუნების საფრთხე ძირითადად საერო წოდების წარმომადგენლებს ემუქრებათ.  
დ) ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში არატიპური მოტივების ასახვა საგსებით შესაძლებელია.
- (1) 25. მოსწავლემ იკითხა: „რატომ ტოვებს „ვეფხისტყაოსანში“ უცხო მოყმე ბრძოლის ველს ასე მოულოდნელად?“ („რა ცნა, მეფე მოვიდაო, პერა მათრახი მისხა ცხენსა“).  
**პოემის რომელი ციტატით განუმარტავთ მოსწავლეებს პერსონაჟის ამგვარ ქმედებას?**  
ა) „ადრე სცნობ, არის იგი ემა შობილი თუ უშობელი“.  
ბ) „გინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“.  
გ) „კაცთა ხორცისად ვით ითქმის ისრე თვალთაგან ფარული?“  
დ) „ხელმწიფობით შემქბრალნეს, ამად ხელი არ შევახე“.
- (1) 26. „ვეფხისტყაოსნის“ რომელი მონაკვეთიდან ჩანს აშკარად, რომ ავტორი კარგად იცნობს არეოპაგიტულ მოძღვრებას?  
ა) „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!“  
ბ) „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ლმერთი ლმერთად“.  
გ) „იტყვის: ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა დამისად...“  
დ) „რაცა ლმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების...“
- (1) 27. დავით გურამიშვილის პოეზიის შესახებ საუბრისას კლასში დაისვა შეკითხვა: „რას გულისხმობდა ილია ჭავჭავაძე, როდესაც წერდა, რომ დავით გურამიშვილმა უარყო ალეგორიულობა?“  
**რომელ დებულებას გამოიყენებოთ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად?**  
ა) დავით გურამიშვილმა გადააფასა ტრადიციული ქრისტიანული ალეგორიული სახეები.  
ბ) დავით გურამიშვილმა განაახლა ტრადიციული აღმოსავლური ალეგორიული სახეები.  
გ) დავით გურამიშვილმა უარყო ტრადიციული აღმოსავლური ალეგორიული სახეები.  
დ) დავით გურამიშვილმა უარყო ტრადიციული ქრისტიანული ალეგორიული სახეები.
- (1) 28. რა თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის პოეზია ენათესავება ქართველი რომანტიკოსი პოეტების შემოქმედებას?  
ა) რომანტიკოსთა შემოქმედებაში ისტორიულ თემატიკას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.  
ბ) რომანტიკოსთა შემოქმედებაში კეთილხმოვანებას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება.  
გ) რომანტიკოსთა შემოქმედებაში სოციალურ თემატიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.  
დ) რომანტიკოსთა შემოქმედებაში ძველი ქართული პოეზიის ზეგავლენა იგრძნობა.
- (1) 29. მოსწავლემ გამოთქვა მოსაზრება: „ოთარაანთ ქვრივი და მისი შვილი ხშირად ერევიან სხვების საქმეებში, რაც გამაღიზიანებელია. ისინი არ უნდა ცდილობდნენ შეცვალონ ადამიანების ცხოვრების წესი“.  
**რომელი მწერლის თვალსაზრისს შეახსენებთ მოსწავლეს, რომ ამ შეხედულებას განსხვავებული პოზიციიდან შეხედოს?**  
ა) გრიგოლ ხანძთელის შეხედულება ადამიანის ზნეობის შესახებ.

- ბ) დავით გურამიშვილის შეხედულება მართლის თქმის შესახებ.  
 გ) სულხან-საბა ორბელიანის შეხედულება მემკვიდრის აღზრდის შესახებ.  
 დ) შოთა რუსთველის შეხედულება მართალი სამართლის შესახებ.

- (1) 30. რითმის რომელი სახეობაა გამოყენებული აკაკი წერეთლის ლექსში „აღმართ-აღმართ“?  
 ა) ზმნური.  
 ბ) კალამბურული.  
 გ) მაჯამური.  
 დ) ჯვარედინი.

- (1) 31. მოსწავლემ იკითხა: „თეიმურაზ ხევისთავი ხომ განათლებული, მაღალი კულტურის, პე-  
 რილშობილი ადამიანია. რატომ იყენებს ავტორი მის მიმართ ისეთ დამცინავ გამოთქ-  
 მებს, როგორებიცაა: „ქაჩალი თაგვი“, „ხევისთავთა მონასტრები“, „წიგნის ჩრჩილი“, „გან-  
 ათლებული ქათამი“?  
**რომელ წინადაღებას გამოიყენებოთ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად?**  
 ა) თეიმურაზის ცოდნა გამოუსადეგარი აღმოჩნდა ნაშინდარის გლეხობისათვის.  
 ბ) თეიმურაზის ცოდნა უსარგებლოა მისთვისაც და ქვეყნისთვისაც.  
 გ) თეიმურაზმა ვერ შეძლო, დაემსახურებინა მარგოს პატივისცემა.  
 დ) თეიმურაზმა ფეხი ვერ მოიკიდა ახალ საქართველოში.

- (1) 32. „დიდოსტატის მარჯვენის“ შესახებ საუბრისას კლასში დაისვა შეკითხვა: „რატომ გაიხა-  
 რა დედოფალმა, როდესაც ამცნეს – „მეფემ და კათალიკოსმა ახალგაზრდა, ქრისტიანი  
 ლაზი დააწინაურესო“?  
**რომელ წინადაღებას გამოიყენებოთ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად?**  
 ა) ახალგაზრდა ლაზი დედოფალმა კათალიკოსის ერთგულ მოკავშირედ მიიჩნია.  
 ბ) ახალგაზრდა ლაზი დედოფალმა კოლონიკელიძის ასულის სატრფოდ იგულა.  
 გ) ახალგაზრდა ლაზი დედოფალმა საძულველი ფარსმანის მეტოქედ იგულა.  
 დ) ახალგაზრდა ლაზი დედოფალმა სვეტიცხოვლის ტაძრის ამგებად მიიჩნია.

- (1) 33. კლასში დაისვა შეკითხვა: „როგორ უნდა გავიგოთ ტიციან ტაბიძის სიტყვები: „ლექსი თვი-  
 თონ მწერს“?  
**რომელ შეხედულებას გამოიყენებოთ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად?**  
 ა) მიუხედავად ავტორის სულიერი შეჭირვებისა, პოეტური შემოქმედება მუდამ ზეციური მად-  
 ლითაა შთაგონებული.  
 ბ) პოეტს შთაგონება იმის მიუხედავად ეწვევა, მზადაა თუ არა ის ლექსის შექმნისათვის.  
 გ) შემოქმედებითი პროცესის ნაყოფი დამოკიდებული არაა ავტორის ნიჭისა და პოეტურ ოსტა-  
 ტობაზე.  
 დ) შთაგონება ის ძალაა, რომელიც მთლიანად იპყრობს და იმორჩილებს პოეტის არსებას.

- (1) 34. ანა კალანდაძის ლექსის „მკვდართა მზე გარ...“ განხილვისას მოსწავლემ დასვა შეკითხვა:  
 „რას გულისხმობს „მკვდართა მზე“?  
**როგორ უპასუხებოთ მოსწავლის ამ შეკითხვას?**  
 ა) მკვდართა მზე გულისხმობს ამომავალ კაშკაშა მზეს.  
 ბ) მკვდართა მზე გულისხმობს გარდაცვლილთა სამყაროს მზეს.  
 გ) მკვდართა მზე გულისხმობს ზამთრის მკრთალ მზეს.  
 დ) მკვდართა მზე გულისხმობს უცხო გალაქტიკის მზეს.

#### IV. მხატვრული ტექსტის ანალიზი

(6) 35. ყურადღებით წაიკითხეთ ტერენტი გრანელის მინიატურა „გულიდან სისხლის წვეთები“: მე ვწერ ამ სტრიქონებს ქარიან დამეში, როდესაც წვიმის წვეთები ეცემიან მინას და როცა სიშორებები ტირის როიალი.

მე ახლა მაგონდება ჩემი ცხოვრების ქარიშხლიანი დღეები და სინაზულის ურუანტელი მივლის.

თანაც მიხარია, რომ ვარ ტერენტი გრანელი.

წინ უფსკრულია და შავი ნისლი მახვევია ირგვლივ.

მე ქვეყნის განენიდან ნელა მოვდიოდი სინათლისაკენ, რომ მეხილა მზე.

ალბათ მიზიდავდა შორეული და უხილავი.

მოვედი ადრე.

და ახლა ისევ ვუახლოვდები სიბრუნვეს, როგორც ზღვას, სადაც სამუდამოდ ჩაიძირება ჩემი სხეული.

უოველ დამეს მოაქვს ფიქრი სიკვდილზე და სიშორეზე.

და მეშინია...

ვფიქრობ: მოვა წამი, როცა არ ვიქნები ცოცხალი. მაინც მჯერა ჩემი უკვდავება.

მე პოეზიამ მაგრძნობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული.

ქარიშხლიანი დამეა და მინდა ვიყო სხვაგან.

პოეზიამ იცის უეცარი სიხარული, რომელიც უდრის გაფრენას.

მე არ მინდოდა სიცოცხლე.

არც სიკვდილი.

მე რაღაც სხვა მსურდა.

ახლა ვფიქრობ და მწამს მესამე გზის არსებობა, როგორც იდუმალების.

მე ისევ ვდგავარ მარადისობის გარინდებულ საზღვართან ვით მგლოვიარე სერაფიმი და ვალი ქრისტეს ლანდს, რომელიც დამისხნის მე განსაცდელისაგან.

და მჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე.

მე მივმართავ მთელ მსოფლიოს შემდეგი სიტყვებით:

მე მინდა გაფურენა.

მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი.

ჩარჩენილი ვარ ბავშვივით ამ ცოდვილ მიწაზე და არ ვიცი, როგორ ამოვიდე იმ ტალახიდან, რომელსაც ეწოდება მიწა.

არა სიცოცხლე.

არა სიკვდილი.

არამედ რაღაც სხვა.

გამბობ: არ არიან სიტყვები გრძნობისათვის. გარეთ ისევ ქარიშხალია, წვიმის წვეთები ისევ ეცემიან მინას და ისევ სიშორეზე ტირის როიალი.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- განმარტეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი;
- ჩამოაყალიბეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი დასახული მიზნის მისაღწევად.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

(ნაშრომი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახსროდება).

## V. ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა

(გაითვალისწინეთ, თუ ნაშრომში დაშვებული იქნება სამზე მეტი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა).

- (14) 36. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი მიზანია დაეხმაროთ მოსწავლეებს ამოიცნონ და გაიაზრონ შესასწავლი ტექსტების მხატვრული თავისებურებები. შეარჩიეთ ქვემოთ ჩამოთვლილ ტექსტთაგან ერთ-ერთი:

შოთა რუსთაველის „რჩევა ნებტან-დარეჯანის გათხოვებისა“, „ტარიელისა და ნებტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა“ და „ხვარაზმას შვილის ინდოეთს მოხლევა საქორწილოდ და მისი მოკლვა“;

„დავით გურამიშვილისაგან ხაწუთოს ხოფლის სამდურავი“;

ნიკოლოზ ბარათა შვილის „ბედი ქართლისა“;

ვაჟა-ფშაველას „ბახტოონი“;

გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობა“.

ლიტერატურული ნაწარმოების არჩევის შემდეგ შეასრულეთ მოცემული დავალება:

- ა) გამოყავით და აღწერეთ ამ ნაწარმოების **ერთი ძირითადი** თავისებურება, რომელიც, თქვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია მთელი ტექსტის გაგებისა და გააზრებისათვის. ეს თავისებურება გულისხმობს (თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) თქმაზურ თუ იდეურ პრობლემატიკას, კულტურულ-ისტორიულ კონტექსტს, ქვემოთ მოყვარულ თემაზე აღნიშვნის, კომპოზიციურ თავისებურებას (ნაწარმოების არქიტექტონიკას), პერსონაჟთა დახასიათებისა თუ თხრობის მეთოდებს, სტილს, ჟანრულ მახასიათებლებს, მხატვრულ საშუალებებს, პოეტურ ოსტატობას.

მსჯელობისას დაიმოწმეთ სათანადო მაგალითები შერჩეული ნაწარმოებიდან. (აახუთ, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახწორდება).

ბ) ვინაიდან თქვენ გამოყავით შერჩეული ნაწარმოების ძირითადი თავისებურება, უკვე შეგიძლიათ დასახელოთ და გააანალიზოთ ის ერთი პრობლემა, რომელსაც თქვენ მიერ აღწერილი თავისებურებისა და, შესაბამისად, მოელი ტექსტის გაგებისა და გააზრებისას შეიძლება წააწყდნენ მოსწავლეები.

### ანალიზის დროს:

- მოიხმეთ ტექსტიდან ის „მაგალითები“, რომლებიც თვალსაჩინოს გახდის თქვენ მიერ გამოყოფილი პრობლემის არსებობას;
  - ასევნით, რა მიზანით (მიზენებით) შეიძლება შეექმნაო ეს პრობლემა მოსწავლეებს ამ კონკრეტული ნაწარმოების შესწავლისას.  
(აახეთ, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახწორდება).

გ) თქვენ უკვე დაასახელეთ და გააანალიზეთ ის პრობლემა, რომელსაც ტექსტის გაგებისა და გააზრებისას შეიძლება წააწყდნენ მოსწავლეები.

ამჯერად აღწერეთ ის ერთი სასწავლო ქმედება, რომელიც დაგეხმარებათ დაანახვოთ და გააზრებინოთ მოსწავლეებს თქვენი მსჯელობის I ნაწილში გამოყოფილი თავისებურება და დააძლევინოთ ამავე მსჯელობის II ნაწილში აღნიშნული პრობლემა.

მსჯელობისას ახსენით, როგორ (რა გზით) დაეხმარება ეს სასწავლო ქმედება მოსწავლეებს ამ ნაწარმოების თავისებურების გაგებასა და გააზრებაში და როგორ (რა გზით) დააძლევინებს ტექსტის შესწავლისას წამოჭრილ პრობლემას.

(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახსროდება).

---

---

---

---

---

## 2013 წლის სასერტიფიკაციო ტესტის შეფასების სქემა

### I. წაკითხულის გააზრება (დავალებები №№ 1-10)

1. -----ღ) 2. -----ღ) 3. -----ღ) 4. -----ღ) 5. -----ღ)  
6. -----ღ) 7. -----ღ) 8. -----ღ) 9. -----ღ) 10. -----ღ)

### II. ქართული ენა (დავალებები №№ 11-22)

11. ა) ამ ტექსტებში გამოიყენებოდა პრეფიქსი ხ-, რომელიც მოგვიანებით (IX-XI სს.) სალიტერატურო ენისათვის ზედმეტი გახდა. -----Iქ.  
ბ) პრეფიქსი ხ- გამოიყენებოდა II სუბ. და III ობიექტ. პირის ნიშნად (აგრეთვე ზედსართავის ხარისხის საწარმოებლად). -----Iქ.

12. ა) მოსწავლემ არ იცის, რა განსხვავებაა ომონიმისა და პოლისემიას შორის. სახელური სიტყვა ხელის ერთ-ერთი მნიშვნელობაა, ხოლო მისი ომონიმი იქნება: ხელი – გიუ, შმაგი. -----Iქ.  
ბ) ომონიმები ეწოდება სხვადასხვა წარმოშობისა და განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვებს, რომლებიც ბერითი შემადგენლობით სრულად ემთხვევა ერთმანეთს. -----Iქ.

გ) მაგ., ბარი – დაბლობი, ბარი – სასოფლო-სამეურნეო იარაღი, ბარი – პატარა რესტორანი და სხვ.; ბალი – ხილი, ბალი – მეჯლისი, ბალი – რაიმეს შეფასების ციფრული გამოხატულება. -----Iქ.

13. საკვანძო ნიშნავს მთავარს, არსებითს; ამიტომ მთავარი საკვანძო ტაგბოლოგიური შესიტყვებაა, უნდა იყოს მთავარი საკითხები ან საკვანძო საკითხები. -----Iქ.

14. ა) კომპოზიტები, რომელთა შემადგენელ ფუძეთა შორის ივარაუდება და კავშირი, იწერება დეფისით (მაგ., დედ-მამა); -----Iქ.  
ბ) და კავშირით შეერთებული კომპოზიტები (ფუძეგაორკეცებული სიტყვები და რიცხვითი სახელები) იწერება ერთად (მაგ., ფეხდაფეხ, ოცდასამი). -----Iქ.

15. სიტყვა ტომარა კუმშავ-კეცალი სახელია. -----Iქ.

16. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ აღ- ზმნისწინის გათიშვა დაუშვებელია, სწორი ფორმაა – აღეწერა. -----Iქ.

17. ა) უნდა იყოს ამოკვეთებ. -----Iქ.  
ბ) ამოკვეთებს არის ორპირიანი გარდამავალი ზმნა, ამიტომ პირის ნიშანი ჰა ზედმეტია. -----Iქ.

18. ამ წინადაღებაში დარღვეულია მართვა, კერძოდ, ზმნა იტელბინებოდა მოითხოვს ნაცვალსახელს მიცემითი ბრუნვის ფორმით – იტელბინებოდა იმას (რას?). -----Iქ.

19. განკერძოებული სიტყვები ან გამოთქმები ტექსტში გამოიყოფა მძიმებით. ცისკენ ტოტებაწვდილი არის განკერძოებული განსაზღვრება, ამიტომ უნდა გამოიყოს მძიმით. -----Iქ.

<b>20.</b>	I.	ა) დასახელებულია ორი ფუნქცია მაინც (მიმართულების ჩვენება, ასეუქტის წარმოება, ხი- ტყვაწარმოება, მომავალი დროის წარმოება). -----	2ქ.
		ბ) დასახელებულია მხოლოდ ერთი ფუნქცია. -----	1ქ.
		გ) არ არის დასახელებული არც ერთი ფუნქცია ან დასახელებულია არასწორად. -----	0ქ.
II.		ა) სრულყოფილად არის აღწერილი სასწავლო ქმედება. -----	2ქ.
		ბ) სასწავლო ქმედების აღწერა სრულყოფილი არ არის. -----	1ქ.
		გ) სასწავლო ქმედება მხოლოდ დასახელებულია. -----	0ქ.
III.		ა) სასწავლო ქმედების ეფექტიანობა დასაბუთებულია. -----	1ქ.
		ბ) სასწავლო ქმედების ეფექტიანობა დასაბუთებული არ არის. -----	0ქ.
		არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. -----	1ქ.
		დაშვებულია ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. -----	0ქ.
<b>21.</b>	I.	ა) სწორად არის ჩამოყალიბებული მთავარი სათქმელი. -----	1ქ.
		ბ) არასწორად არის გაგებული მთავარი სათქმელი. -----	0ქ.
II.		ა) ჩამოყალიბებულია თითო არგუმენტი ავტორის თვალსაზრისის როგორც გასამყარებ- ლად, ისე უარსაყოფად. -----	2ქ.
		ბ) ჩამოყალიბებულია მხოლოდ ერთი არგუმენტი. -----	1ქ.
		გ) არგუმენტი (არგუმენტები) არაადეკვატურია. -----	0ქ.
III.		ა) დისკუსიის პროცესის აღწერა სრულყოფილია. -----	2ქ.
		ბ) დისკუსიის პროცესის აღწერა სრულყოფილი არ არის. -----	1ქ.
		გ) დისკუსიის პროცესი აღწერილი არ არის. -----	0ქ.
		არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. -----	1ქ.
		დაშვებულია ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. -----	0ქ.
<b>22.</b>	I.	<b>შეფასების დასაბუთება</b>	
		<b>შინაარსობრივი მხარე (I – კრიტერიუმი)</b>	
		ა) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება პირველი კრიტერიუმის მიხედვით და და- ურთო არგუმენტირებული კომენტარი შესაბამისი მაგალითებით. -----	2ქ.
		ბ) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება პირველი კრიტერიუმის მიხედვით და და- ურთო არგუმენტირებული კომენტარი, მაგრამ მაგალითები არ მოიხმო. -----	1ქ.
		გ) მხოლოდ კრიტერიუმის მითითებებია გადმოწერილი. -----	0ქ.
		<b>ენობრივი მხარე (II – III კრიტერიუმები)</b>	
	1.	ა) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება II და III კრიტერიუმების მიხედვით. -----	1ქ.
		ბ) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება მხოლოდ II ან III კრიტერიუმის მიხედ- ვით. -----	0ქ.
	2.	ა) მასწავლებელს გამორჩა ერთი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი. -----	3ქ.
		ბ) მასწავლებელს გამორჩა ორი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი და/ან არასწორად ამო- წერა ერთი. -----	2ქ.
		გ) მასწავლებელს გამორჩა სამი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი და/ან არასწორად ამო- წერა ორი. -----	1ქ.
		დ) მასწავლებელს გამორჩა სამზე მეტი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი და/ან არასწორად ამოიწერა სამზე. -----	0ქ.
	3.	ა) სწორია ხუთი ენობრივი შეცდომისა და ხარვეზის კვალიფიკაცია. -----	3ქ.
		ბ) სწორია ოთხი შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია. -----	2ქ.
		გ) სწორია სამი შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია. -----	1ქ.
		დ) სწორია მხოლოდ ორი შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია. -----	0ქ.
II.		<b>მასწავლებლის რეკომენდაციები</b>	
		ა) რეკომენდაციები მეთოდურად გამართულია და მსჯელობა არგუმენტირებულია. -----	2ქ.
		ბ) რეკომენდაციები მეთოდურად გამართულია, მაგრამ მსჯელობა ნაწილობრივ არის არ- გუმენტირებული. -----	1ქ.
		გ) რეკომენდაციები მეთოდურად გაუმართავია და მსჯელობა არ არის არგუმენტირებული. -----	0ქ.
		არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. -----	1ქ.
		დაშვებულია ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. -----	0ქ.

### III. ქართული ლიტერატურა (დაგალებები №№ 23-34)

23.	-----	გ) 24.	-----	ბ) 25.	-----	ღ) 26.	-----	ა)
27.	-----	გ) 28.	-----	ა) 29.	-----	ბ) 30.	-----	გ)
31.	-----	ბ) 32.	-----	გ) 33.	-----	ღ) 34.	-----	ბ)

**IV. მხატვრული ტექსტის ანალიზის (დაგალება № 35) შეფასების კრიტერიუმები**

დაგალების მაქსიმალური ქულაა **6**.

თუ ნაშრომი ენობრივად გაუმართავი იქნება ან **50 სიტყვაზე** ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, ანდა მასში **უხეში ფაქტობრივი შეცდომები** იქნება დაშვებული, დავალება **არ შეფასდება** და დაიწერება **0** ქულა.

დაგალების ყოველი ნაწილი ამგვარად უნდა შეფასდეს:

**I მითითების შეფასების კრიტერიუმი:**

Nº	კრიტერიუმები	ქულები
1.	მითითება <b>ადეკვატურადა</b> გააზრებული, მსჯელობა <b>ლოგიკური და თანამიმდევრულია; ჩანს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.</b>	3
2.	მითითება <b>ადეკვატურადა</b> გააზრებული, მაგრამ <b>ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია მსჯელობის თანამიმდევრულობა ან არ ჩანს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.</b>	2
3.	მითითება <b>ადეკვატურადა</b> გააზრებული, მაგრამ <b>ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია მსჯელობის თანამიმდევრულობა და, აგრეთვე, არ ჩანს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, ან/და მსჯელობა <b>ზერულება.</b></b>	1
4.	მითითება <b>არ არის შესრულებული, ან არ არის ადეკვატურად გააზრებული, ან პასუხი ენობრივად გაუმართავია, ანდა დაშვებულია უხეში ფაქტობრივი შეცდომა.</b>	0

**II მითითების შეფასების კრიტერიუმი:**

Nº	კრიტერიუმები	ქულები
1.	<b>დახასიათებულია</b> მწერლის სტილი (ტექსტის სტილისტიკა), <b>გამოყოფილია</b> ტექსტის მხატვრული თავისებურებები და მსჯელობა დასაბუთებულია <b>ერთზე მეტი შესაფერისი მაგალითით.</b>	3
2.	<b>დახასიათებულია</b> მწერლის სტილი (ტექსტის სტილისტიკა), <b>გამოყოფილია</b> ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ მსჯელობა დასაბუთებულია მხოლოდ <b>ერთი შესაფერისი მაგალითით.</b>	2
3.	<b>დახასიათებულია</b> მწერლის სტილი (ტექსტის სტილისტიკა), მაგრამ <b>არ არის</b> გამოყოფილი ტექსტის მხატვრული თავისებურებები ანდა <b>არ არის დახასიათებული</b> მწერლის სტილი (ტექსტის სტილისტიკა), <b>თუმცა გამოყოფილია</b> ტექსტის მხატვრული თავისებურებები და დასაბუთებულია <b>ერთი შესაფერისი მაგალითით მაინც.</b>	1
4.	<b>არ არის დახასიათებული</b> მწერლის სტილი (ტექსტის სტილისტიკა) და <b>არ არის</b> გამოყოფილი ტექსტის მხატვრული თავისებურებები ან <b>არ არის დახასიათებული</b> მწერლის სტილი (ტექსტის სტილისტიკა), <b>თუმცა გამოყოფილია</b> ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ <b>არ არის დასაბუთებული</b> შესაფერისი მაგალითებით, ან პასუხი ენობრივად გაუმართავია, ანდა დაშვებულია <b>უხეში ფაქტობრივი შეცდომა.</b>	0

V. ლიტერატურის სწავლების მეთოდიების (დავალება № 36) შეფასების კრიტერიუმები

დავალების მაქსიმალური ქულად **14.**

აღნიშნული დავალება სამი ნაწილისაგან შედგება. ოუ **რომელიმე** მითითების (შემადგენელი ნაწილის) პასუხი ენობრივად გაუმართავი იქნება ანდა **50 სიტყვაზე** ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, **ამ კონკრეტული** მითითების (მონაკვეთის) პასუხი არ შეფასდება და დაიწერება **0 ქულა.**

დავალების ყოველი ნაწილი ამგვარად უნდა შეფასდეს:

I მითითების შეფასების კრიტერიუმი:

№	კრიტერიუმები	ქულები
1.	ადგევატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება და <b>დასაბუთებულია</b> სათანადო მაგალითებით; <b>აზრი თანამიმდევრულად და ლოგიკურადაა</b> ჩამოყალიბებული; <b>ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; <b>არ არის</b> დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა; მსჯელობა <b>შეესაბამება</b> მოსწავლეთა ცოდნის დონეს.	5
2.	ადგევატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება და <b>დასაბუთებულია</b> სათანადო მაგალითებით; <b>ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია</b> მსჯელობის თანამიმდევრულობა; <b>ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; <b>არ არის</b> დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა; მსჯელობა <b>შეესაბამება</b> მოსწავლეთა ცოდნის დონეს.	4
3.	ადგევატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; <b>ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია</b> მსჯელობის თანამიმდევრულობა; <b>არ ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; <b>არ არის</b> დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა; მსჯელობა <b>შეესაბამება</b> მოსწავლეთა ცოდნის დონეს.	3
4.	ადგევატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; <b>დაშვებულია</b> ფაქტობრივი შეცდომა; <b>ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; მსჯელობა <b>შეესაბამება</b> მოსწავლეთა ცოდნის დონეს. ანდა <b>ადგევატურადაა</b> წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; <b>არ ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; <b>არ არის</b> დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა; მსჯელობა <b>ნაწილობრივ</b> შეესაბამება მოსწავლეთა ცოდნის დონეს.	2
5.	ადგევატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; <b>დაშვებულია</b> ფაქტობრივი შეცდომა; <b>არ ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; მსჯელობა <b>ნაწილობრივ</b> შეესაბამება მოსწავლეთა ცოდნის დონეს. ანდა <b>ადგევატურადაა</b> წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; <b>არ ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; <b>დაშვებულია</b> ფაქტობრივი შეცდომა; მსჯელობა <b>ნაწილობრივ</b> შეესაბამება მოსწავლეთა ცოდნის დონეს.	1
6.	არაადგევატურადაა წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება. <b>ან ადგევატურადაა</b> წარმოჩენილი ნაწარმოების ძირითადი მხატვრული თავისებურება, მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; <b>დაშვებულია</b> ფაქტობრივი შეცდომა და <b>არ ჩანს</b> დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ანდა მსჯელობა <b>არ შეესაბამება</b> მოსწავლის ცოდნის დონეს.	0

## II მითითების შეფასების კრიტერიუმი:

<b>№</b>	<b>კრიტერიუმები</b>	<b>ქულები</b>
1.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პრობლემა და <b>დამაჯერებლადაა</b> განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზი (მიზეზები); მსჯელობა <b>დასაბუთებულია</b> სათანადო მაგალითებით.	4
2.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პრობლემა და <b>დამაჯერებლადაა</b> განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზი (მიზეზები), მაგრამ <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით.	3
3.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პრობლემა, <b>მოხმობილია</b> მაგალითები, მაგრამ <b>არ არის</b> დამაჯერებლად განმარტებული პრობლემის გამომწვევი მიზეზი (მიზეზები).	2
4.	გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პრობლემა, მაგრამ დამაჯერებლად <b>არ არის</b> განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზი (მიზეზები) და <b>არ არის</b> დასაბუთებული სათანადო მაგალითებით.	1
5.	<b>არ არის</b> გამოკვეთილი ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი პრობლემა. ანდა გამოკვეთილია ტექსტის გააზრების დამაბრკოლებელი იმგვარი პრობლემა, რომელიც ლოგიკურად <b>არ უკავშირდება</b> პირველი მითითების პასუხს.	0

## III მითითების შეფასების კრიტერიუმი:

<b>№</b>	<b>კრიტერიუმები</b>	<b>ქულები</b>
1.	ადეკვატურადაა შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში; <b>დამაჯერებლადაა</b> დასაბუთებული, <b>რა გზით უზრუნველყოფს</b> ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.	4
2.	ადეკვატურადაა შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში, მაგრამ <b>არ არის</b> დამაჯერებლად დასაბუთებული, <b>რა გზით უზრუნველყოფს</b> ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.	3
3.	ადეკვატურადაა შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში, მაგრამ <b>არ არის</b> ნაჩვენები, <b>რა გზით უზრუნველყოფს</b> ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.	2
4.	<b>ნაწილობრივ</b> ადეკვატურადაა შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში, მაგრამ <b>არ არის</b> ნაჩვენები, <b>რა გზით უზრუნველყოფს</b> ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას.	1
5.	<b>არ არის</b> აღწერილი ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში.	0

თუ ნაშრომში დაშვებული არ არის ხამზე მეტი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარჯები, ქულათა ჯამს დაემატება 1 ქულა.



## ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2014

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

თქვენ წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცელის გაპევვა დაუშვებელია!

ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის!

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 80.

№№ 13-34 დავალებების პასუხები შეგიძლიათ ტესტის ბუკლეტში შემოხაზოთ და გადაიტანოთ პასუხების ფურცელში შემდეგნაირად: ყოველი დავალების ნომრის ქვეშ განთავსებულ უკრედებში X ნიშანი უნდა დასვათ იმ უკრედში, რომელიც, თქვენი აზრით, სწორ პასუხს შეესაბამება.

პასუხების გადატანისას არ აგერიოთ დავალებების ნომრები!

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში მთლიანად გააშავეთ არასწორად მონიშნული უკრედი და იმავე ნომრის გასწვრივ მონიშნეთ სხვა.

№№ 1-12 და 35 დავალებების პასუხები შესაბამისი ნომრების გასწვრივ უნდა გადაიტანოთ პასუხების ფურცელში.

№ 35 დავალება სამი ნაწილისაგან შედგება: ა), ბ) და გ). პასუხების ფურცელშიც ამგვარადაა მითითებული.

**სავალდებულობა,** რომ № 35 დავალების ა), ბ) და გ) ნაწილები პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ ა), ბ) და გ) ნაწილებისათვის გამოყოფილ ადგილებში გადაიტანოთ.

№ 35 დავალების თითოეული ნაწილი (ა, ბ, გ) ცალ-ცალკე სწორდება შეფასების სხვადასხვა სქემის მეშვეობით და, ამდენად, ამ დავალების შემადგენელი ნაწილების ერთმანეთში არევა **დაშვებელია.**

**გახსოვდეთ:** აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!

გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომელიც პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!

**არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

## I. ქართული ენა

- (2) 1. XVIII საუკუნეში იყო მცდელობა სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულიყო სასულიერო მწერლობის ხორმები. ვის სახელს უკავშირდება ეს მცდელობა და რა სახელწოდებით არის ცნობილი თეორია, რომელიც ამ პროცესს დაედო საფუძვლად?
- 
- 

- (2) 2. განმარტეთ, რას ეწოდება კალკი (მოიყვანეთ მაგალითი).
- 
- 

- (1) 3. მოსწავლემ დაწერა: ეს მოვლენა სრულიად გააშუქა აღგილობრივმა ტელეგარებმა. აუხსენით მოსწავლეს, რა ხარვეზი აქვს ამ წინადადებას.
- 
- 

- (1) 4. მოსწავლემ დაწერა: დიდრონი ფიფქები ნარ-ნარად ეშვებოდნენ ციდან. განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- 
- 

- (2) 5. მოსწავლემ დაწერა: იმათმა შემოგვითვალეს, რომ მალე გვეხტუმრებოდნენ. მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა. განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- 
- 

- (1) 6. მოსწავლემ დაწერა: საღამოობით ბუხართან ვიჯებით და ვმუხსაიფობდით. განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- 
-

- (2) 7. მოსწავლებ დაწერა: როდენაც კხელყოფთ ბუნებას, ამით მიხი განადგურების თანამონაწილეებით.  
მიუთითოთ მას, რა შეცდომა დაუშვა.  
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

---

---

---

- (2) 8. მოსწავლემ დაწერა: პატივი მიაგებ იმ ოჯახს, ვინც ასეთი სახახელო შვილი გაზარდა. მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა. განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

.....

- (1) 9. მოსწავლებ დაწერა: ტუკ მთა და მინდორი კველაფერი მდუმარებელი განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

---

---

- (6) 11. ოქვენი მიზანია მოსწავლეებს გამოუმუშაოთ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

(2) I. წაიკითხეთ ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას ესედან „PRO DOMO SUA“ და დაასაბუთეთ, რომ ეს ტექსტი დაგეხმარებათ დისკუსიის წარმართვაში.

(3) II. ჩამოაყალიბეთ სადისკუსიო თემა და თითო არგუმენტი ავტორის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.

(გაითვალისწინეთ, თუ ამ დავალების პასუხში დაშვებული იქნება ერთი ენობრივი შეცდო-მა ან/და სტილისტური ხარვეზი მაინც, დაგაკლდებათ 1 ქულა).

ჩვენში ძალიან სათაკილოდ და ვითომ ნიჭის დამამცირებლად მიაჩნიათ მწერალზე სხვის გავლენა. მე კი ეს წესიერ, სად, ნორმალურ და აუცილებელ მოვლენად მიცნია იმ კანონის ძალით, რომელსაც პქვიან კანონი თანდათანობისა. აქ საკვირველი არა არის რა... ზემოქმედება მწერალზე აუცილებლად საჭიროა, უამისოდ მწერალი ცარიელი, უშინაარსო არსება იქნებოდა, თუ ამასთანავე იგი ცოცხლად გამომსახავი არ იყოს შთაბეჭდილებათა. რამ უნდა აავდეორს მისი ჩანგი, თუ ან ამბავი არ გაიგონა, ან ლექსი, ან საქმე, გარემოება ცხოვრებისა არა ნახა ამაღლევებელი, ან ბუნების მოვლენათ მიუყრუა ყური? აი ეს გარეგანი ფაქტორებია, ხოლო შინაგანი გული გახდავთ, რომელიც ამათ ითვისებს, ყალიბში ასხამს.

ზღვაში ბევრი წყალი ერეგა, მაგრამ ზღვას მაინც ზღვა ჰქვიან და ზღვაც იმიტომ არის, რომ ყველა იმ მდინარეთ იტევს, ისისხლხორცებს და საკუთარს დიდებულს სახელს არა ჰკარგავს.

- (12) 12. გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.

  - I. დაწერეთ ქულა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაუსაბუთეთ მოსწავლეს თქვენი შეფასება: I კრიტერიუმით შეფასების კომენტირებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყოველი შეცდომა და ხარვეზი (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები). თითოეულ მათგანს მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება – ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურს, სინტაქსურსა თუ სტილისტურს.
  - II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

## შეფასების სქემა

<b>№</b>	<b>კრიტერიუმები</b>	<b>კრიტერიუმების განმარტება</b>	<b>ჯული</b>
<b>I</b>	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოდ, არგუმენტირებულია, არგუ- მენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით; ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; გ) ტექსტი არააღმინატურადად გაგებული, მსჯე- ლობა არადამაჯერებელია, მაგალითებიც არააღმი- ნატურად არის მოხმობილი.	2 1 0
<b>II</b>	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწილი სტილისტურად გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექ- სიკა მწირია ან გვხვდება სტილისტური ხარვეზე- ბი; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ სტილი- სტურად გაუმართავია, გვხვდება არააღმინატური ლექსიკა.	2 1 0
<b>III</b>	ორთოგრაფია-მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის <b>სამზე მეტი შეცდომა</b> ; ბ) არ არის ამ ტიპის <b>ექსტე მეტი შეცდომა</b> ; გ) ამ ტიპის <b>შეცდომა ექსტე მეტია.</b>	2 1 0

### მოსწავლისათვის შეთავაზებული დაგალება:

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალგაზრდების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება-ში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ტელევიზია.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

#### მოსწავლის ნამუშევარი:

პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესის უმნიშვნელოვანესი უტაპია მსოფლმხედველობის ჩა-  
მოყალიბება, რომელიც ინდივიდის სამოქმედო არეალისა და თვალსაწიერის მიხედვით იქმნება. მსოფლმხედველობას უმეტესწილად განსაზღვრავს გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, ეს კი, უპირ-  
ველეს ყოვლისა, არიან ოჯახი ან ადგილი, სადაც ინდივიდი იზრდება, პირველ შთაბეჭდილებებს იდებს სამყაროზე. უფრო მოგვიანო პერიოდში საზოგადოება ზემოქმედებს თავისი იდეებითა და  
მისწრაფებებით. დღევანდებულ სამყაროში კი მასის აზრს ძირითადად მას მედიის საშუალებები და  
სოციალური ქსელები გამოხატავს, შესაბამისად ტელევიზიას უცილობლად აქვს გარკვეული გაფ-  
ლენა ინდივიდის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

დღევანდები ახალგაზრდები მიჯაჭვული არიან ინფორმაციის მიღების, გავრცელებისა და  
გაზიარების ინტერნეტსაშუალებებს. ტელევიზია დღეს ახალგაზრდებში სოციალურმა ქსელებმა  
ჩაანაცვლა, თუმცა ის მაინც ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროდ რჩება. რა გასაკირია, რომ  
ახალგაზრდებზე განსაკუთრებით ზემოქმედებს ტელევიზია. ისინი ხომ გამოუცდელები არიან, ემო-  
ციებსა და გრძნობებს აყოლილნი. ტელევიზიაც ხშირად მანიპულირებს ამით და არასწორად ან  
მხოლოდ ცალმხრივად გაშუქებული ინფორმაციით უეცარ დაშფოთებას ან აღტაცებას იწვევს  
მათში, რაც უკარგავს ახალგაზრდებს საღ, კრიტიკული აზროვნების უნარს.

როგორც ავღნიშნე, რაც უფრო მწვავედ იქნება მოვლენა გაშუქებული, მით უფრო მძაფრი  
რეაქცია მოყვება მას ახალგაზრდების მხრიდან. ასე რომ, სხვა მრავალ ფაქტორებთან ერთად,  
ტელევიზია უდიდეს გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ამ სა-  
შუალებით მიღებული მოსაზრებები უარყოფითად აისახება ჯანსაღი მსოფლმხედველობის ჩამო-  
ყალიბებაზე.

(გაითვალისწინეთ, თუ ამ დაგალების პასუხში დაშვებული იქნება ერთი ენობრივი შეცდომა  
ან/და სტილისტური ხარვეზი მაინც, დაგაკლდებათ 1 ჯული).



## II. ქართული ლიტერატურა

(1) 13. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: „პონებთან საბრძოლველად მიმავალი ვარსექნი ხუცესს აგა-  
ლებს, შუშანიკს სამკაულები გამოართვას, რადგან მას ცოლად აღარ მიიჩნევს. ბრძოლი-  
დან დაბრუნებული კი ეპისკოპოსს მიუვარდება და მოსთხოვს: „გამომეც ცოლი ჩემი, რად  
განმაშორებ ჩემგან?!“ რით უნდა აიხსნას ვარსექნის ამგვარი საქციელი?“  
**რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?**

- ა) ვარსექნი მისთვის საძულველ ეპისკოპოსთან ჩხუბის მიზეზს ეძებს და საბაბად დედოფლის ეპ-  
ლესიაში ყოფნას იყენებს.
- ბ) ვარსექნის სძულს მეუღლე, რომელიც არ ემორჩილება, მაგრამ შვილების კეთილდღეობისათვის  
ცდილობს მის დაბრუნებას სასახლეში.
- გ) პიტიახში გულგრილი არ არის დედოფლის მიმართ და სამკაულების მოთხოვნა მხოლოდ ხერ-  
ხია შუშანიკის გასაღიზიანებლად.
- დ) პიტიახში უნდა, რომ ქვემევრდომების დასანახავად ჰყავდეს ცოლი და ამ მიზნის მიღწევას  
ეპისკოპოსზე ძალადობით ცდილობს.

(1) 14. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: „რატომ მიმართავს გრიგოლ ხანძთელი აშოტ კურაპალატს  
ასე: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელ-  
მწიფერ?“

- რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?
- ა) აშოტი პირდაპირი შთამომავალი იყო დავით წინასწარმეტყველისა და ამიტომაც კურაპალატს  
გრიგოლ ხანძთელი მის შვილად მოიხსენიებს.
- ბ) ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას ქართული ტრადიცია უკავშირებდა ბიბლიურ მეფეებს, კერ-  
ძოდ, დავითს – ებრაელთა მეფეებსა და წინასწარმეტყველს.
- გ) გიორგი მერჩულე ყველა პერსონაჟს ბიბლიურ არქეტიპს უძებნის, იგი ხანძთელს მაცხოვარს  
ადარებს, კურაპალატს კი – დავითს.
- დ) გრიგოლ ხანძთელი ამ სიტყვებით ვერ მიმართავდა კურაპალატს, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ,  
რომ ავტორის სურვილია – განადიდოს ბაგრატიონთა დინასტია.

(1) 15. მოსწავლემ დასვა შეკითხვა: „რატომ ვერ ივიწყებს თინათინი უცხო მოყმეს და რატომ  
აგალებს ავთანდილს მის მოძებნას, როცა მეფებაც და სპასეტმაც დაივიწყეს ეს ამბავი?“

- რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?
- ა) თინათინი ვარაუდობს, რომ უცხობი რაინდი ხორციელი ადამიანი იყო, ამიტომ სურს გაიგოს,  
ვინ იყო ის, ვინც არ დაემორჩილა მეფის ბრძანებას.
- ბ) თინათინი შეურაცხყოფილია უცხობი რაინდის დაუმორჩილებლობით, ამიტომაც სურს მისი მო-  
ძებნა და სამაგალითოდ დასჯა, რომ სხვამ არავინ მიბაძოს.
- გ) თინათინს იმ უძლეველი რაინდის გაცხობა სურს, რომელმაც არაბთა ჯარი დაამარცხა, რათა  
თავის სამსახურში ჩააყენოს.
- დ) თინათინს სურს მამას დაუმტკიცოს, რომ მასზე ძლიერია და იმ პრობლემასაც კი მოაგვარებს,  
რომლის გადაჭრა როსტევანმა ვერ შეძლო.

(1) 16. რომელი ფილოსოფიური კონცეფცია აისახა „ვეფხისტყაოსანში“?

- ა) ეპიკურეიზმი.
- ბ) ნეოთომიზმი.
- გ) ნეოპლატონიზმი.
- დ) სოფიზმი.

(1) 17. გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი ასახვალებს მიზეზს, რამ უბიძგა დაეწერა ლექსი „მერანი“.

რა იყო ეს მიზეზი?

- ა) ადამ მიცავიჩის პოემა „ფარისის“ წაკითხვა.
- ბ) აუხდენელი სურვილი, გასცლოდა დამთრგუნველ ყოფას.
- გ) ბიძის, ილია ორბელიანის, ტყვედ ჩავარდნა.
- დ) უმედო სიყვარული ეკატერინე ჭავჭავაძის მიმართ.

(1) 18. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“. ლელთ ღუნიას რომელ გამონათქვამს მიემართება უშუალოდ ავტორის ფრაზა: „რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა“.

- ა) „ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის“.
- ბ) „ადრიდა... ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“.
- გ) „ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრომილ“.
- დ) „წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი“.

(1) 19. გავრცელებული თვალსაზრისით, აკაკი წერეთლის შემოქმედებაში შეინიშნება რომანტიზმისათვის დამახასიათებელი მოტივები.

აკაკის რომელ ლექსეს გამოიყენებოთ ამ თვალსაზრისის დასასაბუთებლად?

- ა) „ვაჟა-ფშაველას“.
- ბ) „პოეტი“.
- გ) „ქებათა-ქება“ („სხვებმა სვან ლვინო...“).
- დ) „ჩანგური“.

(1) 20. ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ შესახებ მსჯელობისას მოსწავლემ დასვა შეკითხვა: „ოუკი ალუდა მკლავის მოჭრის ტრადიციის წინააღმდეგი იყო, რატომ მოაჭრა მარჯვენა მუცალის ძმას?“

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) ალუდა ამ დრომოქმედი ტრადიციის წინააღმდეგი იყო, თუმცა დათმობაზე წავიდა და მუცალის ძმას ხევსურთა გულის მოსაგებად მოაჭრა მკლავი.
- ბ) ქისტების მიერ ჩადენილი ქურდობით განრისსებული ალუდა შეპყრობილი იყო შურისძიების გრძნობით და მუცალის ძმისთვის მკლავის მოჭრით რისხება დაიცხო.
- გ) მუცალის ძმას რომ მოაჭრა მარჯვენა, მაშინ ალუდას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაცნობიერებული – რამდენად მიუღებელი იყო ეს ადათი.
- დ) მუცალის ძმისთვის მკლავის მოჭრით ალუდას სურდა, ხევსურებისთვის ეჩვენებინა, რამდენად შემზარავია ეს ტრადიცია და აემხედრებინა ისინი ადათის წინააღმდეგ.

(1) 21. დავით კლდიაშვილის შემოქმედების შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა: „რატომ გაუქირდა ქართველ თავადაზნაურობას ახალ რეალობასთან – კაპიტალისტური ცხოვრების წესთან – შეგუება და მისთვის ალლოს აღება?“

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

- ა) ბატონყმობის გაუქმების შემდეგ არისტოკრატია მიწებისა და სახლ-კარის მოვლა-პატრონობას შეუდგა და ახალი რეალობის აღსაქმელად საჭირო დრო აღარ ჰქონდა.
- ბ) თავადაზნაურობა, რომელიც ისტორიულად ქვეყანას მტრებისაგან იცავდა, ფიზიკურ შრომასა და პრაქტიკულ საქმიანობას თავისი ღირსებისათვის შეუფერებლად მიიჩნევდა.
- გ) ქართველ თავადაზნაურობას არ ჰქონდა უნარი მიეღო შესაბამისი სწავლა-განათლება, რაც ახალი რეალობის ადეკვატური აღქმისათვის იყო საჭირო.
- დ) ქართველი თავადაზნაურობა ხვდებოდა, რომ კაპიტალიზმი დროებითი მოვლენა იყო და არ დირდა მის არსები საფუძვლიანად გარკვევა.

- (l) 22. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა: „რას გულისხმობს თეიმურაზი, როცა ამბობს: „ქეჩოდან მოყოლებული ფეხის ფრჩხილებამდე აზნაურები ვართ“? რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?“
- ა) აზნაურობა ამ შემთხვევაში არა წოდებრივი მდგრმარეობის, არამედ ზოგადად ქართველის გამორჩეულობისა და არისტოკრატიზმის აღმნიშვნელი.
- ბ) აზნაურობა ამ შემთხვევაში არა წოდებრივი მდგრმარეობის, არამედ ზოგადად ქართველთა უმოქმედობისა და ამპარტაგნობის გამოხატულება.
- გ) აზნაურული თვითშეგნების შენარჩუნება საჭირო იყო იმდროინდელი საზოგადოებისათვის, რათა ერს ტრადიციული ფასეულობები არ დაეკარგა.
- დ) აზნაურული თვითშეგნების ჩამოყალიბება იმდროინდელი საზოგადოების გადარჩნის ერთადერთი გზა იყო და თეიმურაზი ამ იდეას ამკვიდრებდა.
- (l) 23. პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის“ შესწავლის დროს კლასში დაისვა შეკითხვა: „მართალია, ნაცარქექია შრომისმოყვარეობით არ გამოირჩევა, მაგრამ მოხერხებულობითა და გონიერებით დევს, ბოროტებას, ამარცხებს და რამდენად სწორია ყვარყვარეს შედარება ნაცარქექიასთან?“ რომელ მოსაზრებას გამოიყენებოთ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად?
- ა) ზღაპრული ნაცარქექიაც, ყვარყვარეს მსგავსად, უარყოფითი პერსონაჟია და საზოგადოების დამორჩილებაზე ზრუნვას.
- ბ) ყვარყვარეს ზღაპრულ ნაცარქექიასთან არაფერი აკავშირებს და ამ მეტსახელს მას უმართებულოდ უწოდებენ.
- გ) ყვარყვარეც ნაცარქექიასავით უსაქმურია, თუმცა ეშმაკობისა და ალდოს წყალობით ახერხებს საპუთარი მიზნის მიღწევას.
- დ) ყვარყვარეც მოხერხებული, გონიერი და უსაქმურია, თუმც ქვეყნის კეთილდღეობაზე ფიქრობს და არავის აზარალებს.
- (l) 24. ნიკო ლორთქიფანიძის მოთხოვის („შელოცვა რადიოთი“) შესახებ მსჯელობისას მოსწავლემ გამოთქვა მოსაზრება: „ელი გორდელიანის დაკავშირება ნიკოლოზ ბარათაშვილთან არალოგიკურია, რადგან ელიმ, ბარათაშვილის „მერანის“ ლირიკული გმირისაგან განსხვავებით, სამშობლო დატოვა არა მაღალი იდეალების, არამედ მატერიალური კეთილდღეობის გამო“. რომელი მოსაზრება გამოგადგებათ ავტორის პოზიციის ასახსნელად?
- ა) ელი გორდელიანი, მსგავსად ბარათაშვილისა, არისტოკრატთა ფეხნას ეკუთვნის და აგრძელებს წინაპართაგან საფუძველჩაყრილ „საერთო განვითარების შენელებულ მხედრულ სულს“.
- ბ) ელი გორდელიანი, მსგავსად ბარათაშვილის თანამედროვე ქალებისა, ფიქრობს: „ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს, ოღონდ ვამოთ ჩვენს საკუთარს გულს...“
- გ) ელი გორდელიანი, მსგავსად ბარათაშვილისა, არ აღიარა თანამედროვე საზოგადოებამ და იგი სამშობლოსათვის გაწეული დგაწლის დაუფასებლად წავიდა ამ ქვეყნიდან.
- დ) ელი გორდელიანი ტრაგიკული პიროვნებაა, რომელსაც, მსგავსად ბარათაშვილისა, აუხდა სიტყვები: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის...“

### III. წაკითხულის გააზრება და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა

ყურადღებით წაკითხეთ რევაზ ინანიშვილის მოთხოვნა „ომის ნამდვილი სუნი“ (შემოკლებული ვარიანტი):

მარტის ამ ჩამოღუშულ დღეებში ჩვენი ნათესაობა დასტიროდა ფრონტზე დაღუპულ კავებაზე უფროსს ჩემს ბიძაშვილებს შორის, ქალაქელ ბიჭს, რომლის დასახასიათებლად დღემდე გვაქვს შემორჩენილი ასეთი თქმა: ომამდე, სპარტაკ ბადაშვილი რომ გამოვიდოდა საღამოობით, მარჯვენა მხარეს ცეზარს მოიყოლებდა, თავისზე სამი წლით უმცროსსო. მეც მახსოვს ისინი ერთად – თეორპერანგიანები, შავკისერდადერებულები, ჯიუტქოჩიანები და სახევანათებულნი.

ორმოცდაორის ოქტომბერში რაღაც უცნაურად გაშავებული და გაფიორებული ცეზარი, ორ ყავარჯენზე დაყრდნობილი, თითქმის თვენახევრით ჩამოვიდა შინ. კონტუზირებულიც ხომ არ არისო – არაფისთან არაფერს ამბობდა ომის სიძელეებზე, იღიმებოდა სულ ოდნავ და გვერდზე, ხანდახან თუ გამოაჩენდა ბაგის ბოლოზე თქროს კილს. გვეფერებოდა, გვეცნიდა უმცროს ბიძაშვილებს, გვჩუქნიდა წითელ ტკიცინა სამთუმნიანებს.

მხოლოდ ერთხელ ვნახე გულიანად გაცინებული – შვიდ ნოემბერს, ქვემოთ, პლეხანოვზე ისა და მისი მეგობარი, ისიც ლეიტენანტი, ისიც ორ ყავარჯენზე დაყრდნობილი, ერთმანეთს მიჰყვებოდნენ და ისე იცინოდნენ. ეცინებოდათ ყალბ მხარებჭიან კოსტუმებში გამოწყობილ ნაპატიებ ძიებზე, რომლებიც თოჯინური სიძეჯითით გადადიოდნენ ქუჩაზე. „ჯერ ნამდვილი მხარებჭიანა... და მერე...“ იმახდა ცეზარი. „გუშინ მეკითხება ერთი მანდილოსანი, – თქვა მისმა მეგობარმაც. – რატომ ხართ ყველანი ხელში და ფეხში დაჭრილებიო?!!“ „ძრეტინკა!“ იცინოდა ცეზარი.

ადრე ხშირად გამბრაზებელი დედისა, ცეზარი ახლა სულ თავდახრილი იდგა მის წინაშე. აი, ვეკედავ ფალანგასავით შემზარავ მისი ხელის შავ მტევნესაც დედის შევერცხლილ საფეხულოან გატვერენილს...

ორჯერ ვნახე გამწყრალიც. ერთხელ, პატრულს რომ უყვირა: «Я тебе покажу «кацо», сопляк несчастный». მეორედ, დგინოს რომ სეამდნენ, ჭიქა ჭახანით დადგა მაგიდაზე, შუბლზე მიიჭირა მჯიდი და კბილების კრაჭუნით თქვა, – „ძმაკაცის ტვინი!..“

შვებულების ბოლომდე არ დარჩენილა შინ. რაღაცნაირად გუნებაარებული, ხუთი დღით ადრე ბრუნდებოდა ნაწილში, ცეტა ხნით მოდგა ვაგონის კართან. მაგარებელი დაიძრა. ცეზარმა ოდნავ აიწია მაღლა, ჯერ თითქოს უფრო გაუმკაცრდა სახე, მერე გაეღიმა, გაუბრჭყინდა ოქროს კბილიც ბაგის ბოლოზე... და მე დავინახე: ერთი მაღლი, ბეჭვის თეთრსაყელოიანი, თეთრბერებიანი ქალი აშკარად მოეფარა საღვურის რკინის ბოძს, მერე შუბლიც მიაჭირა ამ რკინის ბოძს.

ორმოცდასამის მარტის დასაწყისის მოღუშულ დღეს გერმანელი სნაიპერის ტყვიამ მუზარადი შეუნგრია უფროს ლეიტენანტ ცეზარს. მისმა შემზარავი მდე ძლიერმა ხელებმა დურბინდის შეკავებაც კი ვეღარ შესძლეს. – Командир! Командир! – ამაოდ აჭანჭყარებდნენ გულადმა გადაგარდნილს. უფროსი ლეიტენანტი ცეზარი დიდგბულად იწვა, მარცხენა წარბითან სისხლჩამომდინარი, თითქოს სიხარულითაც კი უბრწყინავდა ოქროს კბილი ბაგის ბოლოზე...

ორმოცდასამის ჩამოღუშული მარტის შუა რიცხვებში, ერთ შებინდებულზე, ჩვენი კარი შემოაღო იმ მაღლამა ქალმა, მე რომ დავინახე სადგურში ცეზარის გაცილებისას. თითქოს შეართო ჩვენი ოთახის სიპატარავემ, სიბნელემ. კართანვე შეჩერდა და ზურგით მიეყუდა მიხურულს. ჩვენ ორნი ვიყავით შინ, მე და ჩემი და, მასთან შედარებით პატარები, – დედა სამუშაოდან დაბრუნდებოდა ათის მერე, – გვენთო მთლად პატარა ლამაა, შუშის მაგივრად მრგვალად მოხვეული რვეულის ფურცელი გვედგა ზედ, გვენთო ნავთქურაც, იქიდანაც ამოდიოდა შუქი, მაგრამ ახალშემოსულისთვის, სანამ თვალს შეაჩვევდა, მაინც საკმაოდ ბეჭლოდა. შემოვიდა თუ არა, მე ის მაშინვე ვიცანი. ისევ ის პალტო ეცვა, საყელოზე თეთრბეჭვშემოვლებული, ბერეტიც თეთრი ეხეურა, წინწამოწეული. მერე, წლების შემდეგ, მიგხვდი, რომ მაშინ ის ძალიან პატარებდა ჩვენი პაწაწინა ოთახისათვის უწვეულოდ ელეგანტური სტუმარი, თან შემოყოლილი მისი აშკარა ქალური კეთილსურნელება. ვერც ერთი ვერ ვიღებდით ხმას. მაშინ ქალმა თქვა, – „მე ელისო ვარ!“ მოვიდა ჩვენთან, ერთად მოგვხვია გრძელი ხელები, მოგვეფერა სახეზე საფეხქლით, და იქვე, ჩვენს სახეებთან აუგარდა ქვითინი, ქვითინებდა ჯერ ასე, ჩვენთან ჩამოხრილი, მერე საბაზე მჯდარი, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა სიტყვებს: „რა დაგემართა, პატარებო! როგორდა მოვიქცე მე. დღეს თქვენთან ვტირი, მერე სადღა ვიტირო, ვისთან ვიტირო, უველაზე დიდი სატირალი ხომ მე მაქვს, მე, მე...“

ჩვენც ვტიროდით, მეცა და ჩემი დაც.

ბოლოს შეიკავა თავი, შეიმშრალა ცრემლები, ისევ მოგვეფერა, პატიებაც ითხოვა ამგვარი შეშფოთებისთვის და წავიდა. წავიდა აშკარად წონასწორობა დაკარგული, მთვარეულივით მიქანაობდა ქვაფენილზე და სიძნელეში.

როცა შემოგბრუნდით, მაშინ შევნიშნეთ, რომ პატარა ტუმბოზე რაღაც შეხვეული იდო. აღმოჩნდა ორი ფილა შოკოლადი. ორი ფილა შოკოლადი ორმოცდასამის მარტში!..

### 1) წაკითხულის გააზრება

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 25. რომელ ლიტერატურულ მიმართულებას ეკუთვნის ეს ტექსტი?

- ა) პოსტმოდერნიზმს.
- ბ) რეალიზმს.
- გ) რომანტიზმს.
- დ) სიმბოლიზმს.

(1) 26. ტექსტის რომელ მონაკვეთშია გამოყენებული კონტრასტი მხატვრული ეფექტის მისაღწევად?

- ა) „კონტუზირებულიც ხომ არ არისო – არავისთან არაფერს ამბობდა ომის სიძნელეებზე, იდიმებოდა სულ ოდნავ და გვერდზე...“
- ბ) „ორმოცდარის ოქტომბერში რაღაც უცნაურად გაშავებული და გაფითრებული ცეზარი... თითქმის თვენასევრით ჩამოვიდა შინ“. „ორ ყავარჯენზე დაყრდნობილი, ერთმანეთს მიჰყებოდნენ... ეცინებოდათ ყალბ მხარბეჭიან კოსტუმებში გამოწყობილ ნაპატიებ ძიებზე...“
- გ) „რაღაცნაირად გუნებარეული, ხუთი დღით ადრე ბრუნდებოდა ნაწილში, ცოტა ხნით მოდგა ვაგონის კართან“. „

(1) 27. რის თქმა სურს ავტორს ტექსტის ამ მონაკვეთით: „ადრე ხშირად გამბრაზებული დედისა, ცეზარი ახლა სულ თავდახრილი იდგა მის წინაშე“?

- ა) ომმა ცეზარი დაუნდობელ და შეუწინარებელ ადამიანად აქცია.
- ბ) ომმა ცეზარის ხასიათი რადიკალურად შეცვალა და გააუხეშა.
- გ) ომმა ცეზარს ადამიანის დაფასება და შეწყალება ასწავლა.
- დ) ომმა ცეზარს ახლობლების სიბრალული და დაფასება ასწავლა.

(1) 28. სავარაუდოდ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ ცეზარი „შვებულების ბოლომ-დე არ დარჩენილა შინ“?

- ა) ოჯახში შექმნილმა გაჭირვებამ აიძულა დროზე ადრე შეეწყვიტა შვებულება.
- ბ) პირადი ურთიერთობის სირთულეებმა აიძულა დროზე ადრე შეეწყვიტა შვებულება.
- გ) სამშობლოს დაცვის სურვილმა აიძულა დროზე ადრე შეეწყვიტა შვებულება.
- დ) სახელის მოხვეჭის სურვილმა აიძულა დროზე ადრე შეეწყვიტა შვებულება.

- (1) 29. რაზე მიანიშნებს ავტორი ფრაზით: „მაღალი, ბეწვის თეთრსაყელოიანი, თეთრბერეტიანი ქალი აშკარად მოეფარა სადგურის რკინის ბოძს, მერე შუბლიც მიაჭირა ამ რკინის ბოძს“?
- ა) ცეზარი ამ ქალის გულის მოსაკლავად აპირებდა თავის გაწირვას.
  - ბ) ცეზარი ამ ქალისათვის სიყვარულის დასამტკიცებლად მიდიოდა ფრონტე.
  - გ) ცეზარის ფრონტზე გამგზავრება ტრაგედია იყო ამ ქალისათვის.
  - დ) ცეზარის ფრონტზე გამგზავრება ტრაგედია იყო მთელი ქვეყნისათვის.

- (1) 30. რომელი ფრაზა მიანიშნებს ომისდროინდელ გაჭირვებაზე?

- ა) „გვენოო მთლად პატარა ლამპა, შუშის მაგივრად მრგვალად მოხვეული რვეულის ფურცელი გვედგა ზედ“.
- ბ) „ისევ ის პალტო ეცვა, საყელოზე თეთრბეწვებშემოვლებული, ბერეტიც თეთრი ეხურა“.
- გ) „ჩვენი კარი შემოადო იმ მაღალმა ქალმა, მე რომ დავინახე სადგურში ცეზარის გაცილებისას“.
- დ) „მხოლოდ ერთხელ ვნახე გულიანად გაცინებული – შვიდ ნოემბერს“.

- (1) 31. მთავარი პერსონაჟი არის:

- ა) ამპარტავანი.
- ბ) დაუნდობელი.
- გ) მამაცი.
- დ) მეოცნებე.

- (1) 32. როგორ შეიძლება დავახასიათოთ, სტილის თვალსაზრისით, ეს მხატვრული ტექსტი?

- ა) ლაკონიური, ემოციური და ქვეტექსტებით მდიდარი.
- ბ) ლაკონიური, სიმბოლოებითა და მეტაფორებით მდიდარი.
- გ) როგორც ადსაქმილი, ალეგორიუმით გადატვირთული ტექსტი.
- დ) სტატიკური სურათი, სადაც მოქმედება არ ვითარდება.

- (1) 33. რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?

- ა) მატერიალური გაჭირვების.
- ბ) ტრაგიკული სიყვარულის.
- გ) სამშობლოსთვის თავდადების.
- დ) უცხოეთიდან დაბრუნების.

- (1) 34. რა აზრს გამოხატავს ავტორი ტექსტის უკანასკნელი წინადაღებით: „ორი ფილა შოკოლა-დი ორმოცდასამის მარტში!“?

- ა) საყოველთაო გაჭირვების გამო ადამიანები ზეობრივ კომპრომისს არ ერიდებოდნენ.
- ბ) საყოველთაო გაჭირვების გამო ბაგშვებზე სათანადოდ ვერავინ ზრუნავდა.
- გ) საყოველთაო გაჭირვების ფონზე ეს საოცარი საჩუქარი იყო ბაგშვებისთვის.
- დ) საყოველთაო გაჭირვების ფონზე საზოგადოება გულგრილი იყო ბაგშვების მიმართ.

2) სწავლების მეთოდიკა (დავალება № 35)

- ა) იმსჯელეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.  
 (პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახმორდება).

- ბ) გააანალიზეთ პრობლემა, რომელსაც ტექსტის გაგებისა და გააზრებისას შეიძლება წააწყდნენ მოსწავლეები.

## ანალიზის დროს:

- მოიხმეთ ტექსტიდან მაგალითები, რომლებიც თვალსაჩინოს გახდის ოქვენ მიერ გამოყოფილი პრობლემის არსებობას;
  - ახსენით, რა მიზეზით (მიზეზებით) შეიძლება შეექმნათ ეს პრობლემა მოსწავლეებს ამ კონკრეტული ნაწარმოების შესწავლისას.  
(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება).

---

---

---

---

---

გ) დასახელ შექმნილი პროტოტიპის დაძლევის გზები.

- აღწერეთ ის **სახელმისამართო ქმედება**, რომელსაც გამოიყენებთ კლასში მუშაობის დროს;
- ახსენით, როგორ დაეხმარება ეს **სახელმისამართო ქმედება** მოსწავლეებს ამ ნაწარმოების თავისებურების გაგებასა და გააზრებაში;
- ახსენით, როგორ დააძლევინებს ეს **სახელმისამართო ქმედება** მოსწავლეებს ტექსტის შესწავლისას წამყრილ პროტოტიპს.  
(პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გახსროდება).

**შ ე ფ ა ს ე ბ ი ს      ს ქ ე მ ა**  
**(ქართული ენა და ლიტერატურა – მასწავლებელთა სასერტიფიკაციო  
გამოცდა)**

**I. ქართული ენა**

1. a) ანტონ კათალიკოსის ----- 1ქ  
 ბ) სამი სტილის თეორია ----- 1ქ
  2. a) კალკი ეწოდება სხვა ენის მიხედვით ნაწარმოებ სიტყვას ან გამოთქმას, რომელიც ქართულისათვის (მსესხებელი ენისათვის) ბუნებრივი არ არის. / კალკი ეწოდება ახალი სიტყვის, შესიტყვების წარმოქმნას უცხო ენის სტრუქტურის გავლენით. -1ქ.  
 ბ) აწარმოეს თოხნა, მოახდინეს ძარცვა, ადგილი პქონდა განთავისუფლებას. / რკინიგზა, თვითმფრინავი. ----- 1ქ
  3. სრულიად ნიშნავს „მთლიანად, სულ, სავსებით“, ამ კონტექსტში კი საუბარია ჩემპიონატის „კარგად, სრულყოფილად“ გაშუქებაზე, ამიტომ უნდა გამოვყენებინა ზმნიზედა სრულად (სრულად და სრულიად პარონიმებია). ----- 1ქ
  4. ფაქტების კონტექსტში კონტექსტი, რომელთა შემადგენელი ნაწილები მნიშვნელობას მოკლებული მარცვლებია, იწერება ერთად. უნდა იყოს ნარნარად. ----- 1ქ.
  5. a) მათმა არის მცდარი ფორმა, რადგან მათ არის პირის ნაცვალსახელის (ისინი) თანიანი მრავლობითის მოთხოვნითი ბრუნვის ფორმა და ბრუნვის ნიშანი (-მან) ზედმეტია. ----- 1ქ  
 ბ) მოსწავლემ უნდა იცოდეს პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების გარჩევა და მათი ბრუნება. ----- 1ქ.
  6. მოსწავლემ უნდა იცოდეს რიცხვში მონაცვლე ზმნები და მათი უფლება. ----- 1ქ.
  7. a) შეცდომაა ვხელყოფოთ. ----- 1ქ.  
 ბ) მოსწავლემ უნდა იცოდეს რთულფუძიან ზმნებში პირის ნიშნის სწორად გამოყენება. ----- 1ქ.
  8. a) არასწორად გამოიყენა წევრ-კავშირი ვინც. ----- 1ქ.  
 ბ) მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში უნდა გამოიყენოს წევრ-კავშირი რომელიც. ----- 1ქ.
  9. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ თუ ერთგვარ წევრებს განმაზოგადებელი სიტყვა მოხდევს, ამ სიტყვის წინ იწერება ტირე. ----- 1ქ.
  10. I    a) თუ ჩამოთვლილია ორი საკითხი მაინც. ----- 2ქ.  
 ბ) თუ დასახელებულია მხოლოდ ერთი საკითხი. ----- 1ქ.
  - II. a) სრულყოფილად არის აღწერილი სასწავლო ქმედება. ----- 2ქ.  
 ბ) სასწავლო ქმედების აღწერა სრულყოფილი არ არის. ----- 1ქ.  
 გ) სასწავლო ქმედება მხოლოდ დასახელებულია. ----- 0ქ.
  - III. a) სასწავლო ქმედების ეფექტიანობა დასაბუთებულია. ----- 1ქ.  
 ბ) სასწავლო ქმედების ეფექტიანობა დასაბუთებული არ არის. ----- 0ქ.
- არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ----- 1ქ.  
 დაშვებულია ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ----- 0ქ.
11. I. a) დასაბუთება არგუმენტირებულია. ----- 2ქ.  
 ბ) დასაბუთება ნაწილობრივ არის არგუმენტირებული. ----- 1ქ.  
 გ) დასაბუთება არ არის არგუმენტირებული ან არგუმენტები არადამაჯერებელია. ----- 0ქ.
  - II. a) ჩამოყალიბებულია სადისკუსიო თემა და არგუმენტები. ----- 3ქ.  
 ბ) ჩამოყალიბებულია სადისკუსიო თემა და ერთ-ერთი არგუმენტი მაინც ან ჩამოყალიბებულია ორივე არგუმენტი. ----- 2ქ.  
 გ) ჩამოყალიბებულია მხოლოდ სადისკუსიო თემა ან ერთ-ერთი არგუმენტი. ----- 1ქ.  
 დ) არაადეკვატურად არის ჩამოყალიბებული სადისკუსიო თემა და არგუმენტები. ----- 0ქ.
- არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ----- 1ქ.  
 დაშვებულია ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ----- 0ქ.

## 12. I. შეფასება

### შინაარსობრივი მხარე (I კრიტერიუმი)

- ა) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება პირველი კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო მაგალითების მოხმობით. -----2ქ.  
 ბ) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება პირველი კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო, მაგრამ მაგალითები არ მოიხმო. ---1ქ.  
 გ) გადმოწერილია მხოლოდ კრიტერიუმის მითითებები. -----0ქ.

### ენობრივი მხარე (II – III კრიტერიუმები)

1. ა) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება II და III კრიტერიუმების მიხედვით. -----1ქ.  
 ბ) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება მხოლოდ II ან III კრიტერიუმის მიხედვით. -----0ქ.
2. ა) მასწავლებელს გამორჩა ერთი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი. -----3ქ.  
 ბ) მასწავლებელს გამორჩა ორი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ან/და არასწორად ამოიწერა ერთი. -----2ქ.  
 გ) მასწავლებელს გამორჩა სამი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ან/და არასწორად ამოიწერა ორი. -----1ქ.  
 დ) მასწავლებელს გამორჩა სამზე მეტი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ან/და არასწორად ამოიწერა სამი. -----0ქ.
3. ა) სწორია ხუთი ენობრივი შეცდომისა და ხარვეზის კვალიფიკაცია. -----3ქ.  
 ბ) სწორია ოთხი შეცდომის ან ხარვეზის კვალიფიკაცია. -----2ქ.  
 გ) სწორია სამი შეცდომის ან ხარვეზის კვალიფიკაცია. -----1ქ.  
 დ) სწორია მხოლოდ ორი შეცდომის ან ხარვეზის კვალიფიკაცია. -----0ქ.

### II. მასწავლებლის რეკომენდაციები

- ა) რეკომენდაციები მეთოდურად სწორია და მსჯელობა არგუმენტირებულია. -----2ქ.  
 ბ) რეკომენდაციები მეთოდურად სწორია, მაგრამ მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია. -----1ქ.  
 გ) რეკომენდაციები მეთოდურად გაუმართავია და მსჯელობა არ არის არგუმენტირებული. -----0ქ.  
 არ არის დაშვებული არც ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. ---1ქ.  
 დაშვებულია ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტური ხარვეზი. -----0ქ.

## II. ქართული ლიტერატურა

13. გ) -----1ქ. 14. ბ) -----1ქ. 15. ა) -----1ქ. 16. გ) -----1ქ. 17. გ) -----1ქ. 18. ბ) -----1ქ.  
 19. გ) -----1ქ. 20. გ) -----1ქ. 21. ბ) -----1ქ. 22. ბ) -----1ქ. 23. გ) -----1ქ. 24. ღ) -----1ქ.

## III. წაკითხულის გააზრება და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა

### 1) წაკითხულის გააზრება

25. ბ) -----1ქ. 26. გ) -----1ქ. 27. ღ) -----1ქ. 28. ბ) -----1ქ. 29. გ) -----1ქ.  
 30. ა) -----1ქ. 31. გ) -----1ქ. 32. ა) -----1ქ. 33. ღ) -----1ქ. 34. გ) -----1ქ.

### 2) ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის შეფასების კრიტერიუმები (№ 35)

დავალების მაქსიმალური ქულაა 20.

თუ რომელიმე მითითება არაადეკვატურად იქნება გააზრებული ან დაშვებული იქნება ერთზე მეტი ფაქტობრივი შეცდომა, ან აასუსტ 50 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, იგი არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა.

დავალების ყოველი ნაწილი (მითითება) ამგვარად უნდა შეფასდეს:

## I ქრიტერიუმი

Nº	I მითითება (შინაარსობრივი მხარე)	ქულები
1.	დავალების პირობა და ნაწარმოების ტექსტი ადეკვატურადაა გააზრებული; ზუსტად არის წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი; აზრი თანამიმდევრულად და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული; ჩანს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; არ არის დაშვებული ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	5
2.	დავალების პირობა და ნაწარმოების ტექსტი ადეკვატურადაა გააზრებული; ზუსტად არის წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი; ზოგჯერ დარღვეულია მსჯელობის თანამიმდევრულობა ან არ ჩანს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; არ არის დაშვებული ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	4
3.	დავალების პირობა და ნაწარმოების ტექსტი ადეკვატურადაა გააზრებული; ზუსტად არის წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი; ზოგჯერ დარღვეულია მსჯელობის თანამიმდევრულობა და არ ჩანს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; არ არის დაშვებული ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	3
4.	დავალების პირობა და ნაწარმოების ტექსტი ადეკვატურადაა გააზრებული; ზუსტად არის წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი; აზრი თანამიმდევრულად და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული; ჩანს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ დაშვებულია ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	2
5.	დავალების პირობა და ნაწარმოების ტექსტი ადეკვატურადაა გააზრებული; ზუსტად არის წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი; ზოგჯერ დარღვეულია მსჯელობის თანამიმდევრულობა ან არ ჩანს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და დაშვებულია ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	1
6.	დავალების პირობა ან/და ნაწარმოების ტექსტი არაადეკვატურადა გააზრებული, ან/და არ არის წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი, ან/და დაშვებულია ერთხელ მეტი ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	0

## II ქრიტერიუმი

Nº	I მითითება (ტექსტის მხატვრული ანალიზი)	ქულები
1.	ნაშრომის პირველ ნაწილში მკაფიოდაა წარმოჩენილი ნაწარმოების მხატვრული მხარე; დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რა მხატვრული საშუალებებით ახერხებს ავტორი ტექსტის მთავარი სათქმელის გამოხატვას; მოხმობილია სათანადო გადალითები.	3
2.	ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოჩენილია ნაწარმოების მხატვრული მხარე; ნაჩვენებია, რა მხატვრული საშუალებებით ახერხებს ავტორი ტექსტის მთავარი სათქმელის გამოხატვას, თუმცა ზოგჯერ მოხმობილია არასათანადო მაგალითები.	2
3.	ნაშრომის პირველ ნაწილში სუსტადაა წარმოჩენილი ნაწარმოების მხატვრული მხარე; მთლიანობაში ნაჩვენებია, რა მხატვრული საშუალებებით ახერხებს ავტორი ტექსტის მთავარი სათქმელის გამოხატვას, თუმცა მოხმობილია არასათანადო მაგალითები ან/და მაგალითები საერთოდ არ არის მოხმობილი.	1
4.	ნაშრომის პირველ ნაწილში არ არის წარმოჩენილი ნაწარმოების მხატვრული მხარე ან/და არ არის ნაჩვენები, რა მხატვრული საშუალებებით ახერხებს ავტორი ტექსტის მთავარი სათქმელის გამოხატვას.	0

### III კრიტერიუმი

№	II მითითება	ქულგბი
1.	გამოკვეთილია პრობლემა და დამაჯერებლადაა განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზი (მიზეზები); მსჯელობა დასაბუთებულია სათანადო მაგალითებით; არ არის დაშვებული ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	4
2.	გამოკვეთილია პრობლემა და დამაჯერებლადაა განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზი (მიზეზები), მაგრამ არ არის დასაბუთებული სათანადო მაგალითებით; არ არის დაშვებული ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	3
3.	გამოკვეთილია პრობლემა; მოხმობილია მაგალითები, მაგრამ არ არის დამაჯერებლად განმარტებული პრობლემის გამომწვევი მიზეზი (მიზეზები); არ არის დაშვებული ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	2
4.	გამოკვეთილია პრობლემა და დამაჯერებლადაა განმარტებული მისი გამომწვევი მიზეზი (მიზეზები); მსჯელობა დასაბუთებულია სათანადო მაგალითებით, მაგრამ დაშვებულია ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	1
5.	არ არის გამოკვეთილი პრობლემა ან/და დაშვებულია ერთზე მეტი ფაქტობრივი/ტექსტუალური ხასიათის შეცდომა.	0

IV კრიტიკული

Nº	III მითითება	ჯულიები
1.	ადეკვატურადაა შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში; დამაჯერებლადაა დასაბუთებული, რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას; არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	4
2.	ადეკვატურადაა შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში, მაგრამ <b>არ არის</b> დამაჯერებლად დასაბუთებული, რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას; არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	3
3.	<b>ნაწილობრივ</b> ადეკვატურადაა შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში; დამაჯერებლადაა დასაბუთებული, რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას; არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	2
4.	აღვემატურადაა შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში; დამაჯერებლადაა დასაბუთებული, რა გზით უზრუნველყოფს ეს სასწავლო ქმედება დასახული მიზნის მიღწევას; <b>დაშვებულია</b> ფაქტობრივი შეცდომა.	1
5.	<b>არაადეკვატურადაა</b> შერჩეული ის სასწავლო ქმედება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული ძირითადი მხატვრული თავისებურების გააზრებასა და გამოკვეთილი პრობლემის დაძლევაში ან/და დაშვებულია <b>ერთზე მეტი</b> ფაქტობრივი შეცდომა.	0

*ნაშრომის ენობრივი მხარის შეფასების კრიტერიუმები*

**V კრიტერიუმი:**

<b>Nº</b>	<b>ლექსიკა, სტილი</b>	<b>ქულები</b>
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული; შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი გვხვდება ერთი-ორი უმნიშვნელო სტილისტური ხავეზი.	1
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, თუმცა ლექსიკა მწირია ან/და გვხვდება სტილისტური ხარვეზები.	0

**VI კრიტერიუმი:**

<b>Nº</b>	<b>სინტაქსი</b>	<b>ქულები</b>
1.	ნაშრომში არ არის დაშვებული სინტაქსური შეცდომა.	1
2.	ნაშრომში დაშვებულია სინტაქსური შეცდომა.	0

**VII კრიტერიუმი:**

<b>Nº</b>	<b>მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია</b>	<b>ქულები</b>
1.	ნაშრომში არ არის დაშვებული ერთზე მეტი მორფოლოგიური, ორთოგრაფიული ან პუნქტუაციური შეცდომა.	2
2.	ნაშრომში დაშვებულია ორი მორფოლოგიური, ორთოგრაფიული ან პუნქტუაციური შეცდომა.	1
3.	ნაშრომში დაშვებულია ორზე მეტი მორფოლოგიური, ორთოგრაფიული ან პუნქტუაციური შეცდომა.	0

# ს ა რ ჩ ვ ი

1.	შესავალი	3
2.	საგამოცდო პროგრამა	4
	ა) ქართული ენა	4
	ბ) ქართული ლიტერატურა	7
3.	ტესტურ დავალებათა ნიმუშები	12
	ა) ქართული ენა და ენის სწავლების მეთოდიკა	12
	ბ) ქართული ლიტერატურა	21
	გ) მხატვრული ტექსტის ანალიზი	31
	დ) ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა	34
	ე) წაკითხულის გააზრება	42
	ვ) წერითი დავალება	47
4.	დანართი	52
I.	აპრობაციაზე გამოყენებული ტესტი შეფასების სქემითურთ	52
	ა) აპრობაციაზე გამოყენებული ტესტი	52
	ბ) სააპრობაციო ტესტის შეფასების სქემა	60
II.	2010 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტი შეფასების სქემითურთ	65
	ა) 2010 წლის სასერტიფიკაციო ტესტი	52
	ბ) 2010 წლის სასერტიფიკაციო ტესტის შეფასების სქემა	74
	გ) რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის	81
	დ) 2010 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე შესრულებული ნამუშევრები	83
III.	2011 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტი შეფასების სქემითურთ	85
	ა) 2011 წლის სასერტიფიკაციო ტესტი	85
	ბ) 2011 წლის სასერტიფიკაციო ტესტის შეფასების სქემა	94
	გ) 2011 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე შესრულებული ნამუშევრები	99
IV.	2013 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტი შეფასების სქემითურთ	101
	ა) 2013 წლის სასერტიფიკაციო ტესტი	101
	ბ) 2013 წლის სასერტიფიკაციო ტესტის შეფასების სქემა	113
V.	2014 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტი შეფასების სქემითურთ	118
	ა) 2014 წლის სასერტიფიკაციო ტესტი	118
	ბ) 2014 წლის სასერტიფიკაციო ტესტის შეფასების სქემა	132